ვაჟა კაკაბაძე

Vazha Kakabadze

ზღაპრის ფილოსოფია - 3
(ნამდვილი ზღაპარი მეზღაპრეებისათვის
და მეზღაპრეები პოლიტიკაში)

Philosophy of a Fairy-Tale - 3
(Real fairy tales for story-tellers
and story-tellers in politics)

თბილისი,
2017

უაკ (UDC)
კ-171
ვაჟა ვლადიმერის ძე კაკაბაძე - ზღაპრის ფილოსოფია - 3 (ნამდვილი ზღაპარი მეზღაპრეებისათვის და მეზღაპრეები პოლიტიკაში), გამ.: „მერიდიანი“, თბ., 2017

Philosophy of a Fairy-Tale - 3
(Real fairy tales for story-tellers and story-tellers in politics)

▪

אגדה פילוסופיות

▪

Filozofia Baśni – 3
(Prawdziwe baśnie dla gawędziarzy i opowiadacze bajek w polityce)

▪

Hağıl fəlsəfəsi - 3 (Bu, həqiqəti danışanların nağılıdır və bu nağıl danışanlarlar siyasətçilərdir)

▪

Туьран философи, - 3
(боккъал долу туьйра, туьйранхошна, туьранхой политикехь)

▪

Philosophy of a Fairy-Tale - 3
(Real fairy tales for story-tellers and story-tellers in politics)
Vazha (Vaja) Kakabadze

Философия сказки – 3
(Настоящая сказка рассказчиков и рассказчики сказок в политике)

© წიგნი დეპონირებულია საქპატენტში, დადგენილი წესის შესაბამისად.

ISBN 978-9941-27-364-3

ზღაპრის ფილოსოფია - 3
(ნამდვილი ზღაპარი მეზღაპრეებისათვის
და მეზღაპრეები პოლიტიკაში)

Philosophy of a Fairy-Tale - 3
(Real fairy tales for story-tellers
and story-tellers in politics)

სარჩევი. Content

ანოტაცია. გვ.: 7
Annotation. pg.: 8
●
Philosophy of a Fairy-Tale - 3
(Real fairy tales for story-tellers and story-tellers in politics)
▪
אגדה פילוסופיות
▪
Filozofia Baśni – 3
(Prawdziwe baśnie dla gawędziarzy i opowiadacze bajek w polityce)
▪
Hağıl fəlsəfəsi - 3 (Bu, həqiqəti danışanların nağılıdır və bu nağıl danışanlarlar siyasətçilərdir)
▪
Туьран философи, - 3
(боккъал долу туьйра, туьйранхошна, туьранхой политикехь)

▪

Философия сказки – 3
(Настоящая сказка рассказчиков и рассказчики сказок в политике)

●

გაფრთხილება! და, თხოვნაა: დავიმახსოვროთ! გვ.: 13
Warning! Please remember! pg.: 17

ტკივილი გვ.: 20
Pain pg.: 22
Ból st.: 24

▣

თხრობა:

ꕥ

განათებული ნათელი - შურუგუმუ - - გვ.: 27
სახლში დაბრუნება - ოდაბადე - - გვ.: 31
გაყრა - - გვ.: 36
აგრესორი - - გვ.: 38
სამება სამში როგორც სამყაროს საწყისის უწყვეტობა - - გვ.: 43
სამი აპრილი 9 აპრილამდე მძიმედ მიაბიჯებდა,
გაბრიელს კი სამებამდე დიდი გზა
ჰქონდა გასავლელი - - გვ.: 47

მოციმციმე სულის ციცინათელები - - გვ.: 57
სულის ციცინათელას პირველი დილა - - გვ.: 66
ტკივილი მოაბიჯებს და ტკივილისაგან ოხრავს - - გვ.: 74
მზე, მთვარე და ვარსკვლავები - სამება - - გვ.: 132
იგავი - - გვ.: 148
16 აპრილი - - გვ.: 152
აწმყო - მომავლის რესტორანი - - გვ.: 160
მეზღაპრე პოლიტიკოსების სატვინონი - - გვ.: 205
სიკეთე და ბოროტება - - გვ.: 236
ვინ ვართ ზღაპრის ფილოსოფიის შვილები? - - გვ.: 246
რა უფრო მეტია, დღე თუ ღამე? - თვალხილულ ადამიანისათვის დღე - „და, იქმნა ნათელი“ - - გვ.: 256
სოფელი ღვთაება - თარბუდა - - გვ.: 270
სარჩევიდან ამოღებული სარჩევი - - გვ.: 285

ანოტაცია. Annotation.

●

ზღაპრის ფილოსოფია - 3
(ნამდვილი ზღაპარი მეზღაპრეებისათვის
და მეზღაპრეები პოლიტიკაში)

წარმოდგენილ წიგნში აღწერილია საქართველოში მიმდინარე უახლოესი პოლიტიკური მოვლენები და 9 აპრილის ტრაგედია, გაკეთებულია შედარებები ბაქოში 1990 წლის 20 იანვარს მომხდარ ტრაგედიასთან და ვილნიუსის 1991 წლის 13 იანვრის მოვლენებთან. ასევე, დოკუმენტური ფაქტების საფუძველზე, მოთხრობილია აფხაზეთის ომის დროს მომხდარი ეპიზოდები. წიგნში მოყვანილი პერსონაჟები რეალურია და მათ შორის არიან: ჩეჩენი, რომელმაც აფხაზეთში მებრძოლ ერთ-ერთ ქართველ ჯარისკაცს (ჩემს ბიძაშვილს - ზურა გაგუას) უამბო თავისი თავგადასავალი, რეალურია აზერბაიჯანელის პერსონაჟიც, მაგრამ, მთხრობელის თხოვნით მისი ნამდვილი სახელი წიგნში არ სახელდება, ასევე რეალურია ებრაელი მამაკაცის პერსონაჟი, რომლის შესახებაც მომიყვა იზრაელში მაცხოვრებელმა ქართველმა ებრაელმა (დავით იაკობაშვილი), და რეალურია 9 აპრილს დაღუპული გოგონას - ელისოს პერსონაჟი.

წიგნში მხილებულია როგორც ქართველი, ასევე რუსი პოლიტიკოსები. მხილებულია რუსეთის ყოფილი პრეზიდენ-ტი ბ. ელცინი, მისი გენერალები და ვ. პუტინი, და გამო-აშკარავებულია მათი გეგმები საქართველოს მიმართ.

მართალია წიგნს ჰქვია „ზღაპრის ფილოსოფია“, მაგრამ, როგორც მისი წინამორბედი წიგნები, ამ წიგნშიც ყველაფერი რეალურ ფაქტებზეა აგებული, უბრალოდ ზღაპრის ფორმა აქვს მიცემული და ეს იმიტომ, რომ ადვილი წასაკითხი იყოს.

Philosophy of a Fairy-Tale - 3
(Real fairy tales for story-tellers and story-tellers in politics)

The present book describes the latest ongoing political events of Georgia and tragedy of 9th April, and the comparison is made with tragedy of Baku that occurred on January 20, 1990 year and events of Vilnius of January 13, 1991 year. Also, the episodes of Abkhazian War are narrated on the basis of documentary facts. Personages of book are real and amongst them are: Chechen who had told his story to one of the Georgian soldiers fighting in Abkhazia (my cousin – Zura Gagua); Azerbaijani personage is also real but by the request of narrator his real name is not given in the book; also, the personage of Jew male is real, the story of the mentioned individual was told by Georgian Jew residing in Israel (Davit Iakobashvili), and the personage of the girl named Eliso who died on April 9 – is also real.

Georgian as well as Russian politicians are disclosed in the book. Former President of Russian Federation, B. Yeltsin, his generals and V. Putin are disclosed in the book and their plans regarding Georgia are revealed.

The title of the book is the "Philosophy of Fairy Tale", but as its preceding books the present book is construed on real facts, and it is provided in the form of the fairy tale in order to ease its reading.

"אגדה פילוסופיות"

האירועים האחרונים המתוארים בספר הנ"ל כוללים את הטרגדיה של התשיעי לאפריל, השוואה בין
הטבח שאירע בתשיעי לאפריל לבין הטבח שאירע בבקו בינואר 1990 והטבח שארע בוילנה בינואר
1991.
תיאור הארועים באבחזיה על סמך מסמכים ועדויות של חייל צ'צ'ני וחייל אזרי שביקשו להשאר
בעילום שם, שסופרו לחייל בשם זורא גאגואה. עדות נוספת נמסרה למר דויד יעקובשוילי על ידי יהודי
שהיה עד לטבח. ניתן עוד למצוא בספר את סיפורה הטרגי של בחורה בשם אליסו שנרצחה.
הספר חושף את פרצופם האמיתי של הפוליטקאים הגאורגים והרוסים אשר שיתפו פעולה בחורבן
שהביאו על מדינת גואורגיה בניצוחו של הנשיא הרוסי לשעבר בוריס ילצין והגנרלים שהיו מתחתיו
ולדימיר פוטין המכהן כיום כנשיא רוסיה.

השם של הספר יכול להטעות את הקוראים שמדובר בארועים שבדה הסופר, אך לא כך הם פני
הדברים.
הארועים המתוארים אמיתיים אך מסופרים כסיפורי מעשיות על מנת להקל על הקוראים.

Filozofia Baśni – 3
(Prawdziwe baśnie dla gawędziarzy i opowiadacze bajek w polityce)

W książce opisane zostały wydarzenia i przemiany polityczne toczące się w Gruzji w ciągu ostatnich lat, a wśród nich między innymi masakra 9 kwietnia 1989 w Tbilisi. Znajdujemy w niej porównanie tragedii w Baku z 20 stycznia 1990 roku i wydarzeń w Wilnie z 13 stycznia 1991 roku. Narracja obejmuje także epizody Wojny w Abchazji oparte na faktach. Bohaterowie książki są prawdziwymi osobami: Czeczen, opowiadający swoją historię jednemu z gruzińskich żołnierzy walczących w Abchazji (mój kuzyn – Zura Gagua); Azerbejdżanin, na którego prośbę w książce nie zostało ujawnione jego prawdziwe imię; rzeczywista jest także postać Żyda, którego opowieść została przedstawiona przez gruzińskiego Żyda mieszkającego w Izraelu (Davit Iakobashvili) i dziewczyny nazwanej Eliso, zmiarłej 9 kwietnia. W książce ujawnione zostały personalia gruzińskich i rosyjskich polityków, wśród których pojawiają się nazwiska poprzedniego prezydenta Federacji Rosyjskiej B.

Yeltsina, jego generałów, V. Putina. Opisane zostały w niej także ich plany dotyczące przyszłości Gruzji. Tytuł książki „Filozofia baśni" nawiązuje do jej specyficznej narracji prowadzonej w formie opowiadania, która ułatwia czytanie. Wszystkie książki z tej serii opierają się jednak na faktach.

Hağıl fəlsəfəsi (Bu, həqiqəti danışanların nağılıdır və bu nağıl danışanlarlar siyasətçilərdir)

Kitabda aprel ayının 9-u hadisəsi də daxil edilməklə, Gürcüstanda 1990-cı ilin yanvar ayının 20-də Bakı, 1991-ci ilin yanvar ayının 13-də Vilnüs şəhərində baş verən hadisələr müqayisə edilir və Gürcüstandakı son inkişaflardan danışılır. Həmçinin sənədli faktlara əsasən Gürcüstanın Abxaziya regionundakı hərbi əməliyyatlardan söz açılır.
Kitabda eləcə də Gürcüstan, Azərbaycan və Litvaya özünün qanunsuz hərəkətləri ilə böyük zərər gətirən siyasətçilər ifşa edilir, Burada Rusiya prezidentləri Mixail Qorbaçov, Boris Yeltsin, Vladimir Putinin və onların generallarının fikirləri əks olunub.

Туьран философи, - 3
(боккъал долу туьйра, туьйранхошна, туьранхой политикехь)

х1окх жайнчохь язин ду гуьржийчохь хилл йолу политикан хиламаш, 9 априлан трагеди, вовшех дуьстин ду 1990 шер 20 январехь бакох хилл йолу трагеди а 1991 шер 13 январехь

вилнйусера трагеди а. Цул сов, фактешца гойтуш ду Апхазой т1ом болш хена хилл йолу епизодаш. Жаинчохь буийцуш болу персонажаш боккъал хилл болу нах бу, царн йукъахь бу: нохчо, милохчо а апхазехь том беш волу цхьан гуьржий сурхочон (Зура Гагуа) бийцна ше бала. Ишт бакъ ву г1езло персонаж а, амма цуьн дехарца, боккъал йолу ц1е жайнчохь хьахина яц, цул сов, боккъал йу жуьгтичуьн персонажа а, милохчоьха а, Жуьгтийчохь 1аш волу жуьгтес, Давит Кобиашвилис дийцира соьга. Боккъал йолу персонаж, 9 апрелахь кхелхан йолу йо1 хьахин йу - Гуьрже аьлл. Жаинчохь гуьч бехан бо, г1азкхий а гуьржий а политикаш. Елцин а цуьн инарлаш а, путин а. Цер гуьржийчоьц йуозелл 1алашонаш. Бакъ ду, жаин ц1е йу „Туьйранин философи" амма, хьалх хилл долу жайнаш санн, х1окхчохь а дийцуш дерг бакъ йолу факташ йу, туьран кеп йелла ас цун, х1унд аьлча, хатт атт и хилит.

Философия сказки – 3
(Настоящая сказка рассказчиков и рассказчики сказок в политике)

В книге описаны новейшие события Грузии и трагедия 9 апреля, проведена сравнение с событиями которые произошли 1990 году 20 января в городе Баку и 1991 году 13 января в городе Вильнюсе. Также на основе докумен-

тальных фактах описаны военные событии в Афхазии – Грузия.

В книге разоблачены все те политики которые своими злодейскими действиями принесли большой ущерб народам Грузии, Литвы и Азербайджана. В книге затронуты взгляды Президентов Б. Горбачева, Б. Елцина, В. Путина и их Генералов.

●

გაფრთხილება! და, თხოვნაა: დავიმახსოვროთ!

ანტისაბჭოთა მოძრაობა საქართველოს სსრ-ში 1988 წლისთვის უფრო გააქტიურდა, თბილისში გაფიცვებსა და მიტინგებს აწყობდნენ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები. კონფლიქტი საბჭოთა მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის კიდევ უფრო გამწვავდა 1989 წლის 18 მარტს - „ლიხნის ასამბლეის“ ჩატარების შემდეგ, სადაც რამდენიმე ასმა აფხაზმა კონსტატინე ოზგანის მეთაურობით საქართველოსგან გამოყოფა და 1921-1931 წლების კავშირის რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვა. ამის საპასუხოდ, ანტისაბჭოთა ჯგუფებმა საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით არასანქციონირებული მიტიგნების სერია მოაწყვეს. მათი მტკიცებით საბჭოთა მთავრობა აფხაზურ სეპარატიზმს იყენებდა დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ.

ეროვნული მოძრაობის საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია 1989 წლის 5 აპრილს, როდესაც ასობით ათასი

ქართველი შეიკრიბა მთავრობის სახლის წინ რუსთაველის გამზირზე, თბილისში. მომიტინგეებმა, რომლებსაც ხელმ-ძღვანელობდა დამოუკიდებლობის კომიტეტი (მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი), მოაწყვეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და შიმშილობა დაიწყეს, აფხაზი სეპარატისტების დასჯისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი ვითარებაზე დედაქალაქში, და ვეღარ აცხრობდა საპროტესტო აქციებს.

6 აპრილიდან თბილისში იმყოფებოდა სსრკ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი კოჩეტოვი. 7 აპრილის დილას გაიმართა პოლიტბიუროს სხდომა ე. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით. გაიცა ბრძანება რეგულარული და შინაგან საქმეთა ჯარების რუსეთიდან თბილისში გადასრო-ლის შესახებ. კოჩეტოვმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა და საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა - ედუარდ შევარდნაძის რეკომენდა-ციით შეიმუშავეს მიტინგის გარეკვის ზოგადი გეგმა. 7 აპრილს, 21 საათზე, ჯ. პატიაშვილმა, სსრკ-ის ხელმძღ-ვანელობას, წესრიგის აღსადგენად დამხმარე ძალების გამოგზავნით მიმართა. 8 აპრილს გაიმართა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სხდომა, სადაც როდიონოვმა და კოჩეტოვმა კომიტეტის წევრებს მისცეს დაპირება, რომ

ოპერაცია ჩაივლიდა უსისხლოდ. როდიონოვმა ოპერაციაზე თანხმობა თავდაცვის მინისტრ იაზოვისგან მიიღო, ხოლო სკკპ ცკ-ის გადაწყვეტილებით, ოპერაციისათვის გაერთიანდა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები.

7 აპრილს დღისა და ღამის განმავლობაში თბილისში შევიდა, საქართველოში 5 აპრილს (ამ თარიღს გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება) რუსეთიდან ჩასული: საგანგებო დანიშნულების მოტომსროლელთა დივიზიის მე-4 პოლკი, საგანგებო დანიშნულების მილიციის რაზმები პერმიდან და ვორონეჟიდან.

9 აპრილს, 11 საათზე გამოცხადდა კომენდანტის საათი, მაგრამ ცნობა მოსახლეობას ადგილობრივი ტელევიზიით კომენდატის საათის მოქმედების შესახებ მიეწოდა მხოლოდ 22 საათსა და 15 წუთზე. ქალაქის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა გენერალი როდიონოვი. აქციის დარბევისას გამოყენებულ იქნა მომაკვდინებელი იარაღი: ქიმიური საშუალებები, სასანგრე ბარები, ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები.

დიდი მსხვერპლის მიუხედავად საქართველო მაინც არ გატყდა და ხელმეორედ მოიპოვა თავისუფლება, მაგრამ რუსეთი ამას არ შეეგუა და დაიწყო ახალი მზაკრული გეგმის შემუშავება, რომელსაც შემდეგი ეტაპები ჰქონდა: 1991 წლის 22 დეკემბერი - 1993 წლის 31 დეკემბერი, იმპერიული ცენტრის მიერ ორგანიზებული კრიმინალური, სამხედრო გადატრიალების საწყისი, პირველი ეტაპია, რომელსაც

ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლების მოსვლის დღიდანვე (1990 წლის 28 ოქტომბერი), ბევრი ავადსახსენებელი „მოსამზადებელი პერიოდი“ უძღვოდა წინ. რუსული ძალების მიერ წაქეზებული და შეიარაღებული რენეგატი, კრიმინალებისა და მოღალატე ქართველების მიერ საქართველოს ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობებისა და ტელევიზიის ძალისმიერ დაკავებას, სისხლიან გადატრიალებას თან მოჰყვა დედაქალაქიდან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოს, მინისტრთა კაბინეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განდევნა.

ამას მოჰყვა აფხაზეთის და ცხინვალის ოკუპაცია - ეს არის მეორე ეტაპი.

მესამე ეტაპი დაიწყო უკრაინის ანექსიით, რომელიც გაგრძელდება საქართველოს სრული ოკუპაციის მცდელობით.

ანალოგები

ბაქოს ტრაგედია - 1990 წლის 20 იანვარი. ბაქოში საბჭოთა რუსეთმა დაარბია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი მიტინგი. დარბევისას მძიმე ტანკებით გაისრისა და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იქნა 107 ადამიანი.

ვილნიუსის ტრაგედია - 1991 წლის 13 იანვარი. ვილნიუსში 14 მოკლული (მათ შორის ერთი ტანკის მიერ გასრესილი) და 600 დაჭრილი.

Warning! Please remember!

Anti-Soviet movement became active in Georgian SSR for the year of 1988, strikes and meeting were arranged in Tbilisi by anti-Soviet organizations. Conflict between Soviet government and national movement aggravated on March 18, 1989 year – after the "Likhni Assembly" where several hundreds of Abkhazians demanded separation from Georgia and restoration of republic status of 1921-1931 years. In response the series of non-sanctioned meeting were organized by anti-Soviet groups across the Republic of Georgia. They claimed that Abkhazian separatism was used by Soviet Government for opposing the movement of independence.

The protests of national movement reached its peak on April 5, 1989 year, when tens of thousands Georgians gathered in Tbilisi, at Rustaveli Avenue, in front of the Parliament Building of Georgia. Protesters lead by the independence committee (Merab Kostava, Zviad Gamsakhurdia, Giorgi Tchanturia, Irakli Tsereteli) had organized the peaceful meeting and begun the hunger strike demanding the punishment of Abkhazian separatists and restoration of independence of Georgia. Georgian Soviet Government lost the control over the situation in capital city and it could no longer resist the protest.

Deputy Minister of Defence of USSR, General Kochetov was staying in Tbilisi since April 6. At the morning of April 7 the

meeting of Politburo was held by the chairmanship of E. Ligachov. The order on transfer of regular and internal troops from Russia to Tbilisi was ordered. Kochetov, Commander of Transcaucasian Military District Troops, General Colonel Rodionov and First Secretary of Georgian Communist Party, Mr. Jumber Patiashvili – by the recommendation of Eduard Shevardnadze had elaborated the general plan on dispersal of protesters. On April 7, at 21:00 hours, Patiashvili asked the leadership of USSR to send the auxiliary forces in order to restore the public order. On April 8 the meeting of the Council of Defense of Republic was held. On the mentioned meeting Rodionov and Kochetov promised to conduct the operation without bloodshed. Rodionov obtained the consent on operation from the Minister of Defense, Mr. Yazov and on the basis of the decision of Central Committee of the Communist Party of USSR the forces of the Ministries of Defense and Internal Affairs were united for the operation.

On day and night of April 7 the following forces entered Tbilisi that arrived to Georgia from Russia on April 5 (please pay the attention to the arrival date): 4th Division of rifle troops of special appointment and Militia troops of special appointment from Perm and Voronezh.

On 9 April, at 23:00 hour the curfew time was announced but the information on validity of curfew time was delivered to local population by TV only at 22 hours and 15 minutes. Rodionov was appointed as the military commandant of the city. Fatal weapons were used during the dispersal of the meeting: chemical substances, trench shovels, firearms, armored vehicles and tanks.

In spite of great number of victims Georgia didn't depress and gained the independence, but Russia didn't accustom with it and began to develop new insidious plan with the following stages – December 22, 1991 year – December 31, 1993 year, beginning of criminal, military revolution organized by Imperial Center, first stage, preceded with several infamous "preparatory period" since coming to power of truly national government (October 28, 1990 year).

Renegade encouraged and armed by Russian troops, bloody coup, occupation of administrative building and TV center of Georgia by criminals and betrayer Georgians was followed by expulsion of the President of the Republic of Georgia, Supreme Council, Cabinet of Ministers and local self-governments from the capital city of Georgia.

The above mentioned was followed by the occupation of Abkhazia and Tskhinvali – this is the second stage.

Third stage began with annexation of Ukraine that will be continued by the attempt for occupation of Georgia in whole.

Analogues

Tragedy of Baku – January 20, 1990 year. Peaceful meeting of national-liberation movement was dispersed by Soviet Russia in Baku. During the dispersal 107 persons were crushed by tanks and killed by firearms.

Tragedy of Vilnius – January 13, 1991 year. 14 killed (one of them crushed by tank) and 600 injured individual in Vilnius.

❖

ტკივილი

ღმერთო, შენ დაიფარე საქართველო, მარიამ ღვთისმშობელის წილხვედრი ქვეყანა, სადაც ინახება ილია-წინასწარმეტყველის მოსასხამი, მარიამ ღვთისმშობელის პერანგი, იესო-ქრისტეს კვართი, სადაც დაიბადა ნოე და იქმნებოდა ლეგენდები, სადაც დამალულია სამყაროს შემეცნების გასაღები.

დღეს, გაცისკროვნებული გული ერთ-ორს თუ შემორჩენია და ისიც ხელს იფარებს გულზე, ნათება სხვამ, რომ არ შეამჩნიოს - ეშინია სულელ კაცად, რომ არ მონათლონ, აი ასეთი მანკიერი ხედვა ჩამოუყალიბდათ შეთის შთამომავლებს, იმ ერს, რომელიც ორჯერ არის კურთხეული ღმერთის მიერ და, რომელსაც ორჯერ მეტი მოეკითხება, ვიდრე სხვას.

სულიერმა შიმშილმა ქართველი ერი სრულიად გარყვნა, ფულის მონად აქცია, ჩაიძირა ცოდვების და უცოდინარობის ჭაობში, თითო-ოროლა თუ გადაურჩა, მაგრამ, ისინიც ჭაობის პირას დამდგარან, ცოდნისა და სიბრიყვეს შორის.

აირია საქართველო, ადამიანების უმეტესობა პოლიტიკოსობს და ხელისუფლების სათავეში მოსვლა სურთ, ქვეყანას კი არაფრად არგიან, არ იციან და არც აინტერესებთ თუ როგორ დაიბრუნონ მტრების მიერ მიტაცებული ტერიტორიები. ხოლო, ისინი ვინც სამეწარმეო საქმიანობაში არიან ჩართულნი, გამწარებულნი იტაცებენ მიწებს, იმას რადაც

გადაიქცევიან ოდესმე. უგუნურობამ ქართველი გლეხი მიწას მოსწყვიტა და უცხოეთში გადახვეწა, მის ადგილას კი, უცხო ტომის შვილებმა გაიდგეს ფესვები.

დღევანდელ საქართველოში სწავლა და ცოდნის მიღება ჭუჭყიანი ფულის შოვნის საფუძველი გახდა. უმაღლესი სასწავლებლის რექტორებისათვის და სკოლის დირექტორებისათვის მთავარი მიზანი ფულის შოვნაა და სულ არ ანაღვლებთ სტუდენტი თუ სკოლის მოსწავლე მიიღებს ცოდნას თუ არა, კიდევ უფრო უარესი ის გარემოებაა, რომ მათ დაბეზღებას და ერთმანეთის ქიშპობას აიძულებენ.

წლების განმავლობაში ეკლესიას მოწყვეტილი ქართველის სულში ბევრი მანკიერი თვისება დატბორდა, ამ ჭუჭყმა დღეს გარეთ გამოხეთქა, დააბინძურა გარემო, მოწამლა ახალგაზრდა თაობა.

დახმარება სჭირდება ქართველს, ან ვინ უნდა დაეხმაროს? თუ ჩვენ თვითონ არ ვუმკურნალეთ საკუთარ თავს. დროზე სჭირდება ჩვენს სულს შეწამვლა და გონებას გაჯანსაღება, თორემ გადავშენდებით.

და, ეს ჩემი მოთხრობა, პატარა წამალია, სიკეთეს ემსახურება, სიყვარულითაა დაწერილი და იმ მანკიერ მხარეებს ავლენს, რომელიც ჩვენს მომავალ თაობას უნდა ავარიდოთ - სარეველა თუ არ ამოძირკვე, ხორბალს გახარება გაუჭირდება.

ღმერთო შენ დაიფარე მარიამ ღვთისმშობელის წილხვედრი ქვეყანა და ქართველი ერი. დამიფარე მეც, იმ ადამია-

ნებისაგან ვინც ამ მოთხრობაში ვამხილე და ჩემს მიმართ შურისძიების გრძნობა გაუჩნდათ.

ამ ნამდვილ ზღაპარში ზოგიერთი გვარი განგებაა დამახინჯებული, რომ ღირსეულმა ადამიანმა, რომელიც თავის გვარს პატივს მიაგებს და მისით ამაყობს უხერხულად არ იგრძნოს თავი. ხოლო, იმ უღირსმა, რომელიც ამ მოთხრობაში არ მიგულისხმია, მაგრამ მსგავსი ცუდი საქციელი ჩაუდენია და ყოველივე თავის თავზე მიიღო ანუ ეცნო ამ წიგნში აღწერილი მანკიერებანი, და რახან ეცნო, ესე იგი განიცადა, ხოლო რახან განიცადა მაშასადამე შეეცდება ჩადენილის გამოსწორებას, რომ არც მან არ იგრძნოს თავი უხერხულად - დიახ, ამიტომ დავამახინჯე ზოგიერთი გვარი და სახელი.

Pain

God save Georgia, the country destined to the Most Holy Virgin, the country which keeps Prophet Elijah's mantle, the Virgin Mary's robe, seamless robe of Jesus (Holy Tunic), where Noah was born and legends have been created, and where the key to the cognition of the world is hidden.

Georgia has witnessed many disasters and torments including mud thrown by scoundrel compatriots too; it used to have plenty of enemies and friends alike, often facing physical destruction as well but it never fell on the knees as it was helped by the morality burnt into the hearts of every Georgian. And everyone knows how difficult it is to defeat a human with a radiant heart.

Today the radiant heart is hard to find, and if you do, it is still hidden to prevent others from noticing it, fearing not to be claimed as fools. This is the vicious vision that has been formed in the offspring of Seth, the nation twice blessed by God, thus double responsible for their sins than others.

Spiritual starvation has completely corrupted the Georgian nation, made it enslaved to money, plunged into the swamp of sins and ignorance. Very few have survived but still standing on the verge of the swamp, between knowledge and folly.

Georgia is at utmost confusion. Most of the people have been politicizing wanting to come to the power but doing no good to the country by either knowing or wishing to return territories taken away by the enemy. On the other hand, those engaged in business are desperately seizing the lands - the things they are soon to become. Stupidity tore Georgian farmers off the land and lost them abroad in foreign lands while settling foreigners in their places.

Getting education in present-day Georgia has become the basis for making dirty money. For the university rectors and shcool teachers making money is the main goal and they never care about how or whether students and pupils obtain knowledge or not. The worst thing is that students are made to denounce or rival one another.

During years lots of vices have accumulated in the souls of the Georgian people distanced from the Church. These vices have erupted today and polluted the environment, poisoned the younger generation.

The Georgians need help but who can do it unless we strive to heal ourselves? Our hearts need timely fertilization and the minds – speedy recovery. Otherwise we will become extinct.

And this short story of mine is a little remedy serving goodness, written with love and revealing the vices to be avoided by our new generations; wheat cannot grow unless you root out weeds.

God save Georgia, the country destined to the Most Holy Virgin, and the people of Georgia as well. God have mercy on me too and save me from the people unmasked in my tale as they might be wishing to revenge me.

In the fairy tale some surnames are purposefully misspelled not to put respectful people under these surnames in an awkward position. However, those not meant in the story but recognizing themselves conducting the same erroneous deeds not to feel awkward either inasmuch as they have realized their mistakes and will try to correct them. That is the reason I have distorted some of the names and surnames.

Ból

Broń Boże Gruzje, kraj dostany na udziału dziewicą Mary, gdzie przechowywane odzieży wierzchniej Proroka Elia, koszula Mariacki Matki Boża, Święta Tunika Jezusa Chrystusa, gdzie urodził się Noe i stworzony legendy, gdzie ukryty klucze do poznania świata.

Gruzja widziała wiele nieszczęścia, wystarczająco i zabrudzenia rzucone przez wewnętrznych lub zewnętrznych przeciwników, było wielu jak wrogów tak i przyjacielej, ona

często stanąła w obliczu fizycznego zniszczenia, ale nie pokonany, bo moralność uświęcone serce każdego Gruzjinu, a pokonać mężczyznę z uświęconym sercem niemożliwe.

Dziś uświęcone serce może pozostać w jednym – dwóch i one tej łoży rękę na sercu, że inni nie dostrzegają ich poświatę, obawia się, że nie są one nazywane osoby chore psychicznie, tako błędne spojrzenie na rzeczy wyszedł z potomków Seta, ludzie, który zostali pobłogosławiony przez Boga dwukrotnie i z których wymaga dwa razy większa niż w przypadku innych.

Duchowy głód całkowicie uwiódł narod gruziński, uczynił go niewolnikiem pieniędzy, utonął w bagnie grzechu i ignorancji, zapisany jeden lub dwa, ale są one w obliczu przepaści między wiedzą nie prawdą.

Gruzja zwariowała, większość ludzi zajmujących się polityką i chce przyjść do szczytu władzy, nie przejmują o kraju, nie znają i nie są zainteresowani, jak wrócić, terytorium zajmowane wrogowiem.A te, którzy są zaangażowani w biznesie, pochłonięty kradzieży ziemi, tego, co one będą. Głupota rozerwała gruzińskich chłopów z ich ziem i przyniósł do obcego kraju, a ich miejsce jest już zajęte przez dziecmi z innych plemion.

W dzisiejszej nauce Gruzji i edukacji w ogóle stały się sposobem na zarabianie pieniędzy, głównym celem rektorów uniwersytetów stało zarobić pieniądze i nie obchodzi studenci będą uczyć się, czy nie, pogarsza fakt, że uczniowie uczą się narzekać na siebie nawzajem i soritsya.

Duszy Gruzinów oddzielona od kościoła przez wiele lat utonęły się w grzechu, ten brud uwolnił się dziś, zanieczyszczone środowisko, zatruł młode pokolenie.

Gruzini potrzebują pomocy, ale kto im pomoże? Jeśli sami nie pełne utwardzenie. Nasz duch jest pilnie potrzebne leczenia i odświeżenie umysłu, inaczej jesteśmy zgubieni.

Moje opowiadanie jest mała tabletka, która służyć jako dobre, napisane z miłością i widać przez złą stronę, że nie należy dotykać młodszego pokolenia, jeśli nie pozbyć się chwastów, nie będzie upraw pszenicy.

Broń Boże Gruzje, kraj dostany na udziału dziewicą Mary i mieszkańcy Gruzji, broń i mnie, od ludzi, że powiedziałem w mojej historii i którzy mają chęć zemsty na mnie.

W tej prawdziwe historii, niektóre nazwiska są celowo okaleczone, aby przyzwoitych ludzi, którzy szanują swoje nazwisko i z tego dumny, nie czuje się zakłopotany. A te niegodne, że nie wspomniano w tej historii, ale były też złe i miały wszystko na ich koszt, rozpozna się w opisane w książce czynów złych, i wstydzić się, i raz zawstydzony na pewno starałby się go naprawić aby nie czuć się nieprzyjemne; tak, to dlaczego uszkodzony niektóre imiona i nazwiska.

თ ხ რ ო ბ ა:

ჭა არის ნაგები ცოდნის სამარხავად, ვინც შესვამს ჭიდან წყალს ეზიარება ბედნიერებას, გაღვივდება მასში, უფლის მიერ ჩამარხული თესლი, რომელიც გაიზრდება ნაყოფის მომცემ ხედ. ხე, რომელიც თავის ჩრდილში შეიფარებს და თავისი ნაყოფით გამოკვებავს გზა აბნეულ მგზავრს.

განათებული ნათელი - შურუგუმუ

ღმერთი სიკეთეა, სიყვარულია და ის ყველგანაა,
ის ჩვენშია და ჩვენს გარეთ, მთავარია შეგვეძლოს
მისი შეგრძნება; გავუფრთხილდეთ
ამ გრძნობას, და გავითავისოთ.

თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. იფიქრა, იფიქრა და თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი: ნათელმა შეიძინა ღვთიური ძალა და შექმნა სრულყოფილი წესრიგის არქი-ტექტურა თავისი კანონზომიერებებით.

და ნახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი. ნათელს ღმერთმა დღე და ბნელს

ღამე უწოდა, იყო საღამო, იყო დილა - პირველი დღე: დღე იყო, და არა იყო ღმერთის ხილვის გარეშე, მხოლოდ წყალი მიმოდიოდა დაგეგმილი ვექტორის მიმართულებით.

და თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი და გაჰყაროს წყლები. გააჩინა ღმერთმა მყარი და გაჰყარა ერთმანეთისგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ. და იქმნა ასე. მყარს ღმერთმა უწოდა ცა. იყო საღამო, იყო დილა - მეორე დღე: მყარად შემოეკრა ცა, სიმყარეს და წყალს, მასთან ერთად დაიწყო მოძრაობა და შექმნა მესამე დღის მოსვლის პირობა.

თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და, იქმნა ასე. ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყალს უწოდა ზღვა. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. და, თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული - ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით. იყო საღამო, იყო დილა - მესამე დღე: მესამე დღეს საფუძველი ჩაეყარა სიცოცხლის სუბსტანციას - თესლს, და სამებას, თავად მამაღმერთი და ღმერთი, როგორც შემოქმედი სიცოცხლისა და ადამიანის შემქმნელი მატერიისა - მიწა და წყალი, და შთამბერავი სულისა ანუ სულიწმინდისა.

თქვა ღმერთმა: იყოს მნათობი ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის აღმნიშვნელად - დღეებისა და წელიწადებისა; იყვნენ მანათობლებლად ცის მყარზე, რომ გაანათონ მიწა. და, იქმნა ასე. გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი

მნათობი - დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი ღამის განმგებლად, და ვარსკვლავები. დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინათ მიწა, განეგოთ დღე და ღამე, გაეყარათ ნათელი და ბნელი. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. იყო საღამო, იყო დილა - მეოთხე დღე: მეოთხე დღეს საფუძველი ჩაეყარა ვექტორის სპირალურ მოძრაობას, შეიქმნა ასაკი, შეიქმნა საწყისი და ბოლო, ანუ გარდასახვის განმსაზღვრელები, სუბტანციის მუდმივობით.

თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში სულდგმული; მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოს. და იქმნა ასე. შექმნა ღმერთმა დიდი თევზები და ყოველი სულ-დგმული, მცურავი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, რაც კი წყალში ფუთფუთებს, და ყველა ფრთოსანი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. აკურთხა ღმერთმა ფრთოსანი ისინი და თქვა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ ზღვები. ფრინველნმა იმრავლონ მიწაზე. იყო საღამო, იყო დილა - მეხუთე დღე. შეიქმნა მცენარეული და ცხოველური საკვები, გაჩნდა გარდაცვალება დროში და ჩაეყარა საფუძველი მარხვას ანუ განწმენდას, რამეთუ საფუძველი ეყრებოდა სუბტიტუციას.

თქვა ღმერთმა: წარმოშვას მიწამ სულდგმული თავ-თავისი გვარისდა მიხედვით - პირუტყვი, ქვემძრომი და მიწის მხეცები თავ-თავისი გვარისდა მიხედვით და იქმნა ასე. გააჩინა ღმერთმა ნადირი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, საქონელი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით. დაინახა

ღმერთმა, რომ კარგი იყო ყოველივე. ყოველივე ამან შექმნა გამრავლების და ჯიშის განვითარების კანონი.

თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად. ეპატრონონ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელ დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად, და დედაკაცი კაცის ერთგულად და მათ დაიწყეს განხორციელება ყველა წინა დღის წესისა, ანუ შეიქმნა ურთიერთობის კანონი; შეიქმნა მორჩილების გრძნობა ურთიერთის და ღმერთის მიმართ. შეუყვარდა ღმერთს თავისი ქმნილებები და ეს გრძნობა მათშიც გააცოცხლა, და ადამიანში გაჩნდა პირველი სიყვარული: „მე, მიყვარს მამა“. მაგრამ, ღმერთის უსაზღვრო სიყვარული ვერ აიტანა უპირისწყალო ანგელოზმა, რომელიც სუბლიმაციით იყო შეპყრობილი, რის გამოც შეეყარა ამპარტავნობა და გახდა რიოში.

დაცემულმა ანგელოზმა იცოდა ღმერთს, რომ ვერაფერს დააკლებდა ამიტომ ადამისა და ევას დაღუპვა განიზრახა და მაცდურობით აჭამა ხილი ცნობისა კეთილისა და ბოროტების, ამის შემდეგ ადამიანში გაჩნდა რელიგიურობის გრძნობა, რომელმაც თანდათანობით შეიძინა ორი ფორმა ინსტიტუ-იზირებული ხასიათის ღვთის მოყვარულობა და რელი-გიურობა გამოვლენილი „გულით ღვთისმოსაობით”, ანუ მართლმადიდებლური გრძნობა, გრძნობა, რომელიც სახლის-კენ ანუ ღმერთთან დაბრუნების ერთადერთი გზაა.

სახლში დაბრუნება - ოდაბადე

ადამიანის სული, გაცილებით უფრო ძვირფასია,
ვიდრე სხეული, და იმდენად ძვირფასი, რომ
მისი მცირედი დაკარგვის შემთხვევაშიც
ადამიანის სხეული კვდომას იწყებს.

ერთ კაცს, ღამე, გზა აებნა, აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, აირია, შინისკენ მიმავალ გზას დაუწყო ძებნა, ამ ყოფაში იყო როცა გადაეყარა რიოშ კაცს, და ჰკითხა:

- აქედან როგორ გავაღწიო?

დაფიქრდა რიოში, და უპასუხა:

- აქედან ვერ გააღწევ, ამიტომ ეცადე, აქვე მოეწყო; აიშენე სახლი, შექმენი ოჯახი, გაზარდე შვილები და ეპატრონე ყველაფერს.

შეწუხდა გზააბნეული, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი სახლში დაბრუნებისა, რომ განაგრძო გზის ძებნა; დაინახა ეს ღმერთმა, შეეცოდა და მწყემსი მიუვლინა.

მწყემსმა ჰკითხა:

- რას ეძებ?

სახლში დასაბრუნებელ გზას, - შეშინებულმა უპასუხა კაცმა.

- აი, იმ ქვას ეცოდინება და მას ჰკითხე. - მიუგო მწყემსმა.

გაიხარა კაცმა და მიეხუხდა ქვას.

- მასწავლე სახლში დასაბრუნებელი გზა. გთხოვ!

მაგრამ, ქვა დუმდა.

- რაო, არაფერს არ გპასუხობს? - ჰკითხა მწყემსმა.

- არა. - მიუგო კაცმა.

- მაგრამ, ამ უკუნეთ სიბნელეში ქვა როგორ დაინახე? - ისევ ჰკითხა მწყემსმა.

- შუქი ეცემოდა და ამიტომაც დავინახე. - უპასუხა კაცმა.

- ჰო-და გაჰყევი ამ შუქს და სახლში მიგიყვანს. - ღიმილით უპასუხა მწყემსმა.

გაიხარა კაცმა, ასეც მოიქცა, და სოფელს მიადგა, სადაც მისი სახლი იყო. გახარებულმა შეაღო სახლის კარი და უკან გამოყოლილი მწყემსი შეიპატიჟა.

- მობრძანდი კეთილო მგზავრო, დღეიდან ჩემი სახლი იგივე შენი სახლია, და ასე ჩაუსახლდა გაბრიელს გულში კეთილი მწყემსი.

ერთ წელიწადს, ძალიან ცხელი ზაფხული დადგა. სიცხემ, რაც წყალი იყო სოფელში, სულ მთლად დააშრო და შეუძლებელი გახდა ცხოვრება, სოფლის მცხოვრებლები შეიკრიბნენ, იმსჯელეს, აწონ-დაწონეს კითხვები და პასუხები, ერთ კონად შეკრეს და გადაწყვიტეს:

- „გაბრიელის გარდა ჩვენს უბედურ ყოფას ვერავინ უშველის და მას უნდა დავავალოთ ზაფხულთან წასვლა, რათა თხოვოს მას ცოტათი მაინც სიცხეს, რომ მოუკლოს, ან წვიმა გამოგვიგზავნოს, თორემ წყურვილით დავიხოცებით“.

გაბრიელი დათანხმდა, და გზას გაუჰყვა. გზაზედ მიმავალს სიცხისაგან დატანჯულ დროს შეხვდა. დრო სიცხისაგან ისე ლივლივებდა, რომ წყლის ორთქლი გეგონებოდათ.

- რაო, რა დაგემართა? დახმარება ხომ არ გჭირდება? - მორიდებით ჰკითხა გაბრიელმა დროს.

- აბა, რა უნდა მჭირდეს ამაზე უარესი, დროის მაჩვენებელი ისრები სიცხისაგან სულ დამიდნა, ამას კაცი კიდევ აიტანს, მაგრამ, აი, საშინელება, წარსული, აწყმყო და მომავალი სიცხემ ისე გაალღო, რომ ერთმანეთში ჩაიღვითნენ და ვერ გამიგია პროცესის რა მონაკვეთს ვზომავ.

- არ იდარდო, - დააწყნარა გაბრიელმა. - აი, ვნახავ ზაფხულს, ვთხოვ, სიცხეს რომ მოუკლოს და ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. - დააიმედა გაბრიელმა, და გზა განაგრძო.

ცოტა გაიარა თუ ბევრი, გზაზე სამყარო შეხვდა, რომელიც სიცხისაგან ისე შეწუხებულიყო, რომ სულს ძლივს ითქვამდა.

- რაო, ყოვლის მომცველო შეგაწუხა სიცხემ? - ჰკითხა გაბრიელმა.

- შემაწუხა რომელია, ვერ ხედავ სულს ძლივს ვითქვამ, - შეწუხებული ხმით უპასუხა სამყარომ და გვერდზე გაიხედა თითქოს-და გაბუტული ყოფილიყოს გაბრიელთან.

- არ იდარდო, აი, ვნახავ ზაფხულს და ყველაფერი მოგვარდება, - დაამშვიდა გაბრიელმა.

- რაო, რაო ეს სიცხე ზაფხულის ბრალია? ამაზე როგორ არ ვიფიქრე; ჰმ. - ერთი თქვა და თავი აქეთ-იქით გააქნია, მერე გაბრიელს თვალებში ჩახედა, და ასე მიმართა:

- მე, ხომ სამყარო ვარ, მაშასადამე ზაფხული ჩემი შემადგენელია და როგორ გაბედა დაუკითხავად სიცხის ასე მაღლა აწევა... როგორ გაბედა! - და, ისევ გაბრიელს მიმართა: - ახლავე აქ ვუხმობ. - და, ქარს უბრძანა: - წადი და ზაფხული აქ მომგვარე.

ცოტახანში ზაფხულიც ეახლა და შეშინებული თვალებით სამყაროს მიაჩერდა.

- რას მომჩერებილხარ? შენ... ვინ დაგავალა ასე, რომ დააცხუნე? - შეუტია სამყარომ ზაფხულს.

- მე რა, მე რა შუაში ვარ, რა ჩემი ბრალია მზემ ასე ინება. - თავის მართლებას შეუდგა ზაფხული.

- მზეო? ოოო, - ჩაილაპარაკა სამყარომ და გაბრიელს მიმართა: - მზე, მე არ მემორჩილება. წადი და არმაზს მიმართე იქნებ იმან მოგვიგვაროს ეს საქმე. და, თუ კი, მაშინ ყველას გვეშველება.

არმაზი, იბერიელთა კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი ღმერთი იყო, და მხოლოდ ყოვლად შემძლე უფალს ემორჩილებოდა, მაგრამ ამასთან ღმერთის დავალებით ბატონობდა მზეზე, მთვარეზე და ვარსკვლავებზე, მოკლედ და გასაგებად, რომ ვთქვად აერთიანებდა მთვარეს - მამას, მზეს - დედას და ვარსკვლავებს - შვილებს, მათ მწყემსავდა და ამ სამების ერთიანობას იცავდა ანუ ძე-ღმერთის, სული-

წმინდის და მამა-ღმერთის ერთიანობაზე ზრუნავდა და მათი მსახური იყო, და ქმნიდა ჯვრის ოთხ მხარეს, თავის თავის ჩათვლით, და ამიტომ, სულ არ გაკვირვებია და არც წინააღმდეგობა გაუწევია წმინდა ნინოს ქრისტიანობის ქადაგებას და ჯვრის შემობრძანებას იბერიაში, რამეთუ ესეც ღმერთის სურვილი იყო და ეს ყველაფერი კარგად იცოდა გაბრიელმა და, ამდენად, არ გასჭირვებია არმაზთან საუბარი:

- მოწყალეო ბატონო და იბერთა მფარველო, შეწუხდა ხალხი სიცხისაგან, დაშრა მდინარეები, ქვიშად იქცა მიწა. და, უმორჩილესად გთხოვთ, რომ უბრძანო მზეს შეამციროს თავისი მცხუნვარება, თორემ დაიღუპება თქვენი ხალხი.

- თქვენ, ჩემგან რომ გახვედით, და ქრისტიანობა აღიარეთ. - და, არმაზმა გამომცდელი მზერა ესროლა გაბრიელს.

- არა ჩემო ბატონო, ჩვენ უბრალოდ, თქვენთან ერთად სახლში დავბრუნდით. - მოწიწებით უპასუხა გაბრიელმა.

- ჰოო, ეგ მართალია. ჭკვიანი ყოფილხარ. - და, გულში გაიფიქრა: - „საიდან იცის ეს“. - და, დათანხმდა: - კარგი ასე იყოს აღსრულდეს თქვენი თხოვნა. - და, ანიშნა მზეს: - ცოტა დაცხრიო.

ასეც მოხდა და: გაივსო დამშრალი ხეობები წყლით, ქვიშა ისევ მიწად იქცა და გახალისდა გარემო, ჩიტები დაუბრუ-ნდნენ თავიანთ ბუდეებს, ნადირი ბუნაგს, ხოლო ადამიანები სოფელს.

გაყრა

ახლა, რომ ვართ, ასეთ ცუდ დღეში იბერია არასოდეს
ყოფილა, ერი გაირყვნა, დაჩლუნგდა და შიშის სნეულება
შეეპარა;
იბერიელს, დაავიწყდა ერის ძირითადი მისიის არსი
და ჩაიკეტა საკუთარ ჯიბეში, მხოლოდ საკუთარი თავის
და შვილის კეთილდღეობაზე ზრუნავს, იმას კი ვერ ხვდება,
რომ თუ ერი დავარდა ჯაგლაგი ცხენივით, თვითონაც
ეს დღე ელის და ოხრად დარჩება ნაშოვნი ქონება.

ოცდათორმეტ დეკემბერს წარსულმა და აწმყომ გააცნობიერა, რომ მათი ერთობლივი ცხოვრება შეუძლებელი იყო, და ორივე მხარემ ერთადერთ გამოსავლად გაყრა მიიჩნია. ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა მომავალი, რამეთუ მათ გარეშე ვერ იარსებებდა.

- რა გჭირს? - ჰკითხა გაბრიელმა მომავალს, როცა ის დამწუხრებული იხილა.

- აზრი დავკარგე, აწმყო და წარსული გაეყარნენ. - უპასუხა მომავალმა.

- არ იდარდო, ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ გაძლებენ და ისევ ერთად იქნებიან, - დაამშვიდა გაბრიელმა. და შესთავაზა: - გინდა კარგი იგავი მოგიყვე?

- მინდა, - მოწყენილმა უპასუხა მომავალმა.

გაბრიელმა თხრობა დაიწყო:

წყალმა და მიწამ აღარ ისურვეს ერთობლივი ცხოვრება.

წყალმა, გაყრის მიზეზად მოიდო: - „შენ რომ არა, სულ მუდამ კამკამა ვიქნებოდიო“.

თავისმხრივ მიწამაც არ დააკლო გულის ტკენა: - „შენს გამო ტალახად ვიქცევი ხოლმეო“.

და, ასე საყვედურებით გაეყარნენ ერთმანეთს. გავიდა ხანი და მიწა ქვიშად იქცა, მის ზურგზე არც ყვავილი ხარობდა და არც ხე. წყალმაც დაკარგა აზრი, რამეთუ მხოლოდ ორთქლის სახით შეეძლო ყოფნა, აბა მიწას გაეყარა და სხვანაირად ვერც იარსებებდა. მათი გაყრა ბუნებასაც დაეტყო, აღარ ხარობდა ხე, თევზები დაიხოცნენ, ფრინველს ჰაერში მომეტებული სინესტის გამო ფრენა უჭირდათ, ცხოველებისათვის მიწაზე საკვები გამოილია, და გახდა გარემო უსახო და ბნელი. ამის შემყურე გაბრაზდა ღმერთი და ორივე თავისთან იხმო:

პირველმა თავის მართლება მიწამ დაიწყო:

- მე რა შუაში ვარ, თვითონ გამებუტა პირველი; ასე მეუბნებოდა: - „ღმერთმა მე შემქმნა პირველი, ამიტომ ჩემს ნებას უნდა დაემორჩილოო“.

- არა ტყუის! თვითონაა დამნაშავე სულ იმას მსაყვედურობდა: - „მე, რომ არ ვიყო შენი არსებობა უაზრო იქნებოდაო“, - დამაჯერებელი ხმით, თან ნაწყენი კაცის იერით თავს იმართლებდა წყალი.

კაგით, კმარა! გაჩერდით! - ვეღარ აიტანა ღმერთმა მათი გაუთავებელი თავის მართლება და ორივეს შეაწყვეტინა საუბარი და ჰკითხა:

- დედამიწაზე, ჩემს მიერ შექმნილი ქმნილებიდან, ყველაზე უფრო რომელი მოგწონთ?

- ადამიანი. - ერთდროულად უპასუხა მიწამ და წყალმა.

- ჰო-და რისგან შევქმენი ის? - ისევ ჰკითხა ღმერთმა.

- ჩვენგან. აიღეთ თიხა და მოზილეთ. - ისევ ერთდროულად უპასუხა მიწამ და წყალმა.

- მაშასადამე თქვენი ერთიანობა მანამდე გაგრძელდება სანამ ადამიანი იარსებებს. - და, უბრძანა ღმერთმა მიწას და წყალს ერთად ყოფნა.

- ასეა ჩემო მომავალო, სანამ ადამიანი იარსებებს წარსული და აწყმყო ერთად იქნებიან და, შესაბამისად, შენც იარსებებ, რამეთუ თავად დრო ადამიანშია.

გაიხარა წარსულმა, გაუნათდა სახე და იქვე ხის ძირში წამოწვა იმ იმედით, რომ უახლოეს ხანში თვითონაც წარსული, ხოლო მისი შვილიშვილი, მომავალი გახდებოდა და ეს ერთიანობა იქნება ადამიანის ცხოვრების თანმდევი.

აგრესორი

აგრესორისათვის დამახასიათებელია ისეთი თვისება,
როგორიცაა სისასტიკე; და, მტრულად არის
განწყობილი სამყაროს მიმართ, მას არ შეუძლია

ადამიანებთან მართალი ურთიერთობა,
ახასიათებთ საკუთარი თავის
მნიშვნელობის მაღალ ხარისხში აყვანა.

უხასიათოდ იყო და ეს კიდევ უფრო სასტიკს ხდიდა მის გამოხედვას. სძულდა ყველაფერი და საკუთარ თავს ადანაშაულებდა, ყოველივე დროზე რომ არ გაანადგურა, არ მოსპო, ახლა ხომ იქნებოდა მოლხენილი და მთელი სამყაროს ბატონ-პატრონი.

- „ეს რა არის“, - გაიკვირვა, დაინახა რა ყუმბარებით სავსე ყუთი. – „აა, ახლა ხომ ავისრულებ ოცნებას“. - გაიფიქრა და ყუმბარების დათვლას შეუდგა: - ერთი, ორი, სამი, ... ასი ... ერთი მილიონი. რა ბედნიერებაა. - სიხარულისაგან მორთო ყვირილი.

- რამ გაგახარა? - ჰკითხა იქვე მყოფმა ეშმაკმა, და აბა გასაკვირი ის იქნებოდა, ეშმაკი მის გვერდით, რომ არ ყოფილიყო.

- რა-და ოცნებას ვისრულებ. - გახარებულმა უპასუხა აგრესორმა.

- რა ოცნებას? - ახლა სხვანაირად დაუსვა კითხვა ეშმაკმა.

- რა ვერ გაიგე, ოცნებას ვისურვებ. ყველას განადგურება შემიძლია. - და, გაკვირვებულმა შეხედა ეშმაკს.

- აბა მიდი, მე თუ გამანადგურებ. - ნიშნის მოგებით უთხრა ეშმაკმა.

- ა, შე კუდიანო. - და, აგრესორმა ეშმაკს ფეხებთან აუფეთქა ყუმბარა, მაგრამ ეშმაკი სხვაგან გაჩნდა.

- აბა, რომ ვერ გამანადგურე. - დასცინა ეშმაკმა.

- აბა თუ არა. - და, კიდევ აუფეთქა ფეხებთან ყუმბარა.

ეშმაკი ახლა სხვა ადგილას გაჩნდა, ასე რამოდენიმეჯერ განმეორდა და ბოლოს ეშმაკმა უთხრა:

- უგუნურო! რაც მე შევქმენი, ის მე ვერ გამანადგურებს, გირჩევნია გამოიზოგო ეს ყუმბარები და სხვები ანადგურო.

დაუჯერა აგრესორმა, და რაც პირველი გააკეთა იქვე ამოსული ახალგაზრდა წიფლის ხე ააფეთქა. ხის ტანი შუაზე გადასკდა, ჯერ აკანკალდა და მერე შხუილით ძირს დაეცა. მოეწონა ეს აგრესორს, აიკიდა ზურგზე ყუმბარები, ზოგიც ჯიბეში ჩაიწყო, ხოლო რაც ვერ აზიდა, ეშმაკს თხოვა:

- ჰო-და თუ შენი შექმნილია, დამეხმარე მის ზიდვაში. - ეშმაკიც სიამოვნებით დათანხმდა და შესთავაზა:

- შენი საგმირო საქმეების ასაღწერად ჟურნალისტი ხომ არ დაგჭირდება?

- რა ჟურნალისტი? - გაიკვირვა აგრესორმა.

- „რა ჟურნალისტი“ კი არა, „ვინ ჟურნალისტი“. - შეუსწორა ეშმაკმა.

- ჰო, კარგი: „ვინ ჟურნალისტი“. - დაჰყვა აგრესორი.

- ვინ-და ჟურნინ მიქიაშვილკა. - და, ეშმაკს ეშმაკურად ჩაეცინა.

- კარგი უკან გამომყვეს, ოღონდ არ შემაწუხოს. - და, აგრესორმა გზა განაგრძო, ის აღარ იყო ისეთ ცუდ გუნებაზე, როგორითაც ერთი საათის წინ იყო.

გზაზე მიმავალს ცნობისმოყვარე შეხვდა.

- რა ჰქვია შენ? - ჰკითხა ცნობისმოყვარემ.

- რა შენი საქმეა, - უკმეხად უპასუხა აგრესორმა, მაგრამ მაინც უთხრა თავისი სახელი: ინჩ-რუს-უზუმე. - და, ცნობისმოყვარეს ფეხებთან ყუმბარა აუფეთქა.

- ეს რა ჰქენი ინჩ-რუს-უზუმე, მე, ხომ შენში არსებული ვიყავი, რომელიც შენს ცხოვრებას საინტერესოს ხდიდა, დარჩი ახლა ამ თვისების გარეშე. - ცნომისმოყვარემ თვალები გადაატრიალა და სული განუტევა.

აგრესორი დემონივით ახარხარდა, ჟურნალიტ ჟურნინ მიქიაშვილკას ნიშნის მოგებით გახედა და გზა განაგრძო.

გზაზე მიმავალ აგრესორს, სახელად ინჩ-რუს-უზუმეს, ნამცეცა ზომის სიყვარული შეხვდა, რომელსაც უკვე სმენოდა ინჩ-რუს-უზუმეს მიერ ჩადენილი საქციელის შესახებ და როგორც კი დაინახა სთხოვა:

- გთხოვ არ ამაფეთქო. მე, ხომ ასეთი კარგი ვარ.

მაგრამ, ინჩ-რუს-უზუმემ არ დაინდო და ისიც ააფეთქა. გარდაცვალების წინ სიყვარულმა უთხრა:

- მე, ისედაც მცირე ადგილი მეკავა შენ გულში და ესეც რატომ მოისპე. ახლა გაზაფხულზე ყვავილების აყვავება აღარ გაგახალისებს, ვერც შემოდგომის ფერები აღაგფრთოვანებს, ზამთრის სითეთრეც ვეღარ გაგამხიარულებს და იქნები

მუდამ დაბოღმილი; ეჰ, ძალიან მეცოდები, მაგრამ რა... მომკალი და... - და, სული განუტევა.

ინჩ-რუს-უზუმე კიდევ უფრო გახალისდა, გრძნობდა თუ როგორ ემატებოდა დემონური ძალა, უფრო ფართო ნაბიჯებით დაიწყო სიარული რათა რაც შეიძლება მეტი მიწის ფართი მოექცია თავის ნაბიჯში. და, ამჟამად სიყვარულზე უფრო ნამცეცა, სიკეთე შეხვდა.

სიკეთის დანახვაზე ინჩ-რუს-უზუმე გაბრაზდა და უკმეხად მიმართა:

- შენ საიდანღა გამომეცხადე?

- მე, შენში ღმერთმა დამთესა. - მშვიდად უპასუხა სიკეთემ.

- ოხ შენი ...., - შეაგინა ინჩ-რუს-უზუმემ და სიკეთეც ააფეთქა.

ახლა უფრო სასტიკი გამოხედვა გაუხდა ინჩ-რუს-უზუმეს, მის გამოხედვაზე ფრინველს და ნადირს შიშისგან გული უსკდებოდათ, ეს ძალიან ახარებდა, მაგრამ, გზაზე მიმავალ ინჩ-რუს-უზუმეს ახლა ყველაზე უფრო ის აწუხებდა თუ ღმერთი სად ეპოვა; სიბრაზე აღჩობდა, შეამჩნია ეს უკან მოჩანჩალე ეშმაკმა და ჰკითხა:

- რაო, რაღაც ისევ წაგიხდა გუნება, რა ხდება?

- რა-და ღმერთს ვერ ვპოულობ. - კბილების ღრჭიალით გამოსცრა სიტყვა ინჩ-რუს-უზუმემ.

- ღმერთი შენში შენ უკვე მოჰკალი, ხოლო ისე როგორც უკდავი გონი, ზემოთ აიხედე და დაინახავ. - უპასუხა, სიარულისაგან და ყუმბარების თრევით დაღლილმა ეშმაკმა

და გაიფიქრა: - „ამას ვის გადავეყარე, ეს ჩემზე უარესი ყოფილა“.

ინჩ-რუს-უზუმემ ზემოთ აიხედა და ნათელი შუქი დაინახა.

- აა, ხომ გიპოვე, ახლა მიყურე რა დღე გაყარო. - და, ინჩ-რუს-უზუმემ ყუმბარების ტყორცნა დაიწყო ცაში, თან ეშმაკს და ჟურნინ მიქიაშვილკას სთხოვდა: - „თქვენც დამეხმარეთო“.

- მოვარტყი! მოვარტყი! გავიმარჯვე! ღმერთი გავანადგურე, ვაშაა! - უგუნური ინჩ-რუს-უზუმე ვერ ხვდებოდა, რომ გაანადგურა ის უკანასკნელი გზა რითაც დაკავშირებული იყო სიცოცხლესთან, გზა რომელსაც ეწოდებოდა: ღმერთში პატიების სურვილი, სურვილი მისი სულის გადარჩენისა. და, ჩამოწვა მისთვის სამუდამო უკუნეთი. ხოლო, იმას რასაც ასე გამწარებული ებრძოდა და რისი მოსპობაც სურდა, ის, ღმერთის წყალობით, კიდევ უფრო განვითარდა, აყვავდა და მოედო მთელ სამყაროს.

სამება სამში როგორც სამყაროს საწყისის უწყვეტობა

სამება - ბუნების აღსაქმელი ნათელი,
საიდანაც მოდის შუქი და
მაცოცხლებელი ძალა

შეუძლებელია სამყარო ორ განზომილებიანი იყოს, მაშინ ის გახლეჩილი იქნებოდა და იარსებებდა ქაოსი, ეს ისეთივე რეალობაა როგორც არ შეიძლება შეიკრას ორი წრფე ან სიბრტყე თუ მესამე არ არსებობს. ერთ სიბრტყიდან დაგორებული ბურთი ადრე თუ გვიან გასცდება მოცემულ განზომილებას და გაურკვევლობაში მოხვდება ანუ ქაოსში, მაგრამ, თუ იარსებებს სამი სიბრტყე მაშინ ბურთი სამკუთხედში იმოძრავებს და მუდმივ მოძრაობაში იქნება. და, თუ სამკუთხედის ერთ-ერთი კუთხე დანარჩენი ორი კუთხის ჯამის ტოლი იქნება, ყალიბდება მარადიულობის საწყისის გარემო. მაშასადამე, უნდა შევთანხმდეთ, რომ მარადიულობის შესაქმნელად საჭიროა სამი განზომილება პირობითად დრო ანუ პროცესის საწყისი, სივრცე და განუსაზღვრელობა, უფრო კონკრეტულად: წარსული, აწმყო და მომავალი. ასევე, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ რაც უფრო მეტი განზომილებაა მით უფრო სრულყოფილია მარადიულობის სამყარო, ანუ მით უფრო თავსებადი ხდება სამყაროში არსებული, სამყაროს პროცესებისადმი. თავსებადი განზომილებები კი ჰქმნიან თავსებად სამყაროს, ხოლო არათავსებადი განზომილება გადის მათგან ეძებს თავის მსგავს განზომილებას და მასთან ქმნის თავსებად სამყაროს, ამიტომაც არსებობს პარალელური სამყაროები, რომლებიც შეიძლება მოქმედებდნენ წარსულში, აწყმყოში და მომავალში, ანუ ყველა სამყაროს გარდა იმისა, რომ გააჩნიათ საკუთარი განზომილება, ასევე გააჩნიათ საკუთარი პროცესების

ამნუსხველი დრო, ოღონდ არა საათობრივი აღრიცხვის, არამედ როგორც აღვნიშნეთ პროცესის განზომილების დრო, რომლისათვის დამახასიათებელია სპირალური მოძრაობა, რომელშიც სასრული და საწყისი ორივე საწყისია ანუ გააჩნია მუდმივობა მოქცეული მოცემულ განზომილებაში და სამყაროს თვალთახედვით მოქცეული ერთ წერტილში. ყველა პარალელური სამყარო მოქცეული ერთიან სამ განზომილებიან მოძრავ სპირალში ქმნის ახალ სპირალებს; მაშასადამე სამყარო შედგება უამრავი წერტილებისაგან განლაგებული სამკუთხედებად და მოქცეული ექვსწახნაგა სტრუქტურაში, ხოლო ექვსწახნაგა სტრუქტურა ერთმანეთს უკავშირდებიან წახნაგებით და მათ შორის დარჩენილი სივრცეს ავსებს ეგრეთწოდებული შავი ხვრელები. მაშასადამე, სამება ერთი მთლიანია ეს ერთი ღმერთია სამ პირად, სამ სახედ არსებული - სამი ერთარსებული. სამების თითოეული წევრი ერთი ღმერთია: მამა ღმერთი, ძე ღმერთი, სული წმიდა. სამებაში სუბორდინაცია არსებობს. წმიდა წერილში ნაჩვენებია, რომ სული წმიდა ემორჩილება მამა ღმერთსა და ძე ღმერთს, ხოლო ძე ღმერთი ემორჩილება მამა ღმერთს. ეს შიდა ურთიერთობაა და არ უარყობს სამების რომელიმე პირის გაღმერთებას. ეს უბრალოდ ჭეშმარიტი ღმერთის ის მხარეა, რომელსაც ჩვენი გონება ვერ წვდება.

სამების ცალკეულ წევრებს განსხვავებული ამოცანები აქვთ. მამა ღმერთი სამყაროს უკიდურესი წყაროა და გონი. ძე ღმერთი მოქმედია, რომლის საშუალებითაც მამა ღმერთი

ახორციელებს შემდეგს: სამყაროს შექმნა და შენარჩუნება. სული წმიდის საშუალებით მამა ღმერთი ახორციელებს: ზეციური სამყაროს შექმნას და შენარჩუნებას ანუ ეს ის დადებითი ენერგიაა, რომელიც შობს.

თესლიდან აღმოცენდება მცენარე, რომელიც იკეთებს ყვავილს, ხოლო ყვავილიდან ყალიბდება თესლი და ამ უკანასკნელიდან აღმოცენდება მცენარე და, ასე შემდეგ, მაშასადამე, სამი, ეს ის საკრალური რიცხვია საიდანაც იწყება უსასრულობა, სადაც ბატონობს სიკეთე ანუ კეთილი თესლი, მხოლოდ კეთილი თესლიდან შეიძლება აღმოცენდეს ახალი სიცოცხლე, ხოლო უკეთური თესლიდან ანუ გაფუჭებული თესლიდან სიცოცხლე ვერ აღმოცენდება და ის ვერ მოექცევა ვერცერთ განზომილებაში და ვერ გახდება მარადიულობის განუყოფელი ნაწილი, მაშინ რა არის მისი სასრული და სად ჰპოვებს გაგრძელებას? რასაკვირველია შავხვრელში, სადაც მისი გარდაქმნა ხდება განზომილებების საკვებ ენერგიად ანუ კარგავს სიცოცხლის და აღორძინების ფუქციას.

სამყაროს ამგვარი ახსნა გაბრიელს მოეწონა: - მაშასადამე, თუ მე კეთილად განვლე ჩემი ცხოვრება მუდამ ვიარსებებ სიცოცხლის განზომილებათა ციკლში, - წიგნი ფრთხილად დახურა და წიგნების თაროზე შემოდო. როგორც წესი ამ წიგნს ივანესთან ერთად კითხულობდა, რამეთუ ასოები ძნელად იკითხებოდა და ივანე ფანარით ან სანთელით უნათებდა წიგნის ფურცლებს, ხშირად ეს ხერხიც არ შველოდა და ვარაუდით ხვდებოდა თუ რა უნდა წერილიყო.

გაბრიელს ყოველთვის აღელვებდა თითოეული იბერიელის საქციელი, როგორც ადამიანის და როგორც ერის შემადგენელი ინდივიდი, აღელვებდა რამდენადაც „ცოცხალი წიგნის“ მიხედვით იბერიელები ხსნას მაშინ მიიღებდნენ თუ კეთილ ერად ჩამოყალიბდებოდა და ეს, დღევანდელ დღეს ამოკითხულმაც დაადასტურა.

- ჰოო, ეს ასეა და, კიდევ, გადამწყვეტ ომში იმ შემთხვევაში გავიმარჯვებთ თუ ჩვენი საქციელი ღმერთის მიერ იქნება გამართლებული, - გაიფიქრა გაბრიელმა და კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა, და ხმამაღლა წარმოთქვა: - „ოოო, დროა, უნდა ვიჩქარო თორემ თვითმფრინავზე დამაგვიანდება“.

სამი აპრილი 9 აპრილამდე მძიმედ მიაბიჯებდა, გაბრიელს კი სამებამდე დიდი გზა ჰქონდა გასავლელი

თვითგადარჩენის ინსტიქტი ძლიერია, რის
გამოც ადამიანი ხშირად არჩევანის წინაშე
დგას: თვითგადარჩენა თუ მორალი?
აი, ამდროს ვლინდება გმირი.

თვითმფრინავი ნელ-ნელა შემოტრიალდა, საფრენ ბილიკზე გავიდა, ადგილზე აძიგძიგდა, გაქანდა, გაქანდა, გაქანდა და ჰაერში აფრინდა, ვაშაა, ვაშა ვაშა�ა.

რამდენიმე საათის შემდეგ, თვითმფრინავი „შერემენტევოს“ აეროდრომში დაეშვა. ხალხი მხიარული სახეებით თვითმფრინავიდან გადმოვიდა და რუსეთის ინჩ-რუს-უზუმეს მაცდური ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. გაბრიელი, მოთმინებით დაელოდა აეროპორტის გასასვლელისაკენ მიმავალი ხალხის ნაკადის მოუთმენელ დინების დაცლას და როცა სივრცე განთავისუფლდა თვითონაც გავიდა იმ კარში, რომელიც პირობითად აერთიანებდა საზღვარს უპირობო პირობის გარემოსთან, რომელიც სამ განზომილებიან სისტემაში აშკარად ვერ ჯდებოდა. შემდეგ, დაახლოებით ორი საათი მატარებლით იჯაყჯაყა და საღამოსპირს უკვე დაბა ბრონიცაში იყო, სადაც აღმზრდელობითი კურსები უნდა გაევლო. აღნიშნულ კურსებს ყველა ის ადამიანი გადიოდა, რომლის ქვეყანაც რუსეთის წითელი ვირთხების იმპერიაში შედიოდა. თავად კვალიფიკაციის კურსის მიზანი იყო მასში მონაწილე ადამიანების სიყვარულის და მორჩილების გაღრმავება, რუსეთის იმპერიის და ინჩ-რუს-უზუმეს ხალხის მიმართ.

გაბრიელმა მშვენივრად იცოდა თუ რა იყო სიყვარულის არსი, მას ესმოდა, რომ სიყვარული ძლიერი ერთგულებისა და პიროვნული მიმაგრებულობის ამსახველი არა მარტო გრძნობითი ფაქტორია, არამედ ვალდებულებაცაა, ის

სათნოებაა, რომელიც წარმოადგენს ყველა ადამიანურ სიკეთეს, თანაგრძნობასა და ერთგულებას. ხოლო, რელიგიურ კონტექსტში, სიყვარულს ის აღიქვამდა როგორც ყოველი არსების საფუძველს და ყოველი ღვთიური კანონის არსს. დიახ, ასეთი სულიერებით იყო ავსებული გაბრიელი და სძაგდა ყველა ის ვინც სხვა წესით ცხოვრობდა, ამიტომაც უჭირდა ამ სასწავლო კურსზე ჩამოსვლა, თანაც ვერ იტანდა ჩრდილოელ წითელ ვირთხების ჯოგს, რომელიც ყველანაირად ცდილობდა იბერიული ცივილიზაციის შთანთქმას.

პირველი ორდღიანი საგანმანათლებლო კურსი ჩაატარა გალინა ლუბოვამ. გალინას, როგორც ყველა რუსის ქალს, თეთრ გაბრტყელებულ სახეზე, ცაში აპრეხილი მონღოლური ტიპის ცხვირი აჯდა და როცა ვინმე კითხვას დაუსვამდა ან მეზობლად მსხდომ თანამსმენელს რაიმეს გადაულაპარაკებდა, მისი ცხვირი ზამბარასავით ხტუნვას იწყებდა, ტუჩები უწვრილდებოდა, თვალები კი ახლად ნაჭამი და ძილისკენ წასულ ნიანგის თვალების მსგავსად დაებინდებოდა, და ეს ყოველივე იმაზე მიანიშნებდა, რომ გალინა არსებულ ვითარებას თუ დასმულ კითხვას ტვინში რამოდენიმე სიბრტყეში ამუშავებდა, დიახ სიბრტყეში, რამეთუ შინაარსობრივი ანალიზის უნარი მას და მის ერს არ გააჩნდა, და გაბრიელის ერთ-ერთ კითხვაზე: „რითი განსხვავდება რუსეთის სულიერი ფასეულობები იბერიისაგან ან რა აქვთ მათ საერთო“, გალინამ, დასმული კითხვა, ჯერ ყურებით შეისრუტა, მერე ორ განზომილებიან სიბრტყეში მოაქცია,

ღერძის გარშემო დაატრიალა, შემდეგ თანმიმდევრულად ჩართო მექანორეცეპტორები, და შემდეგ ფოტორეცეპტორები, ბოლოს, ცხვირის ყველა კუნთოვანი ზამბარა და, ცხვირმაც დაიწყო ხტუნვა, მერე ტუჩები დაუწვრილდა, დაბოლოს როცა თვალები დაუბინდდა, გაბრიელი მიხვდა, რომ გალინას პასუხი მზად ჰქონდა:

- მართალია იბერიელებს უფრო ძველი კულტურა აქვს და მისი დამწერლობა უუძველესია, და ქრისტიანობა პირველ საუკუნეში შევიდა იქ, ანუ თქვენთან, მაგრამ, რუსეთი უფრო დიადი ერია და ამის მაგალითია მისი გენიალური წარმომადგენლები, რეფორმატორი-მეფე პეტრე პირველი, დიდი რევოლუციონერი ლენინი, სტალინი, გენიალური მწერალი დოსტოევსკი, ცნობილი მხატვარი შიშკინი, კლასიკური მუსიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი ბოროდინი. რა? განა არ კმარა, რომ რუსებზე ვთქვათ, რომ ის დიადია. - და, გალინა დადუმდა, რამოდენიმე წუთი ქვის ქანდაკებასავით იდგა, მერე კისერი წაიგრძელა და თითოეული მსმენელი გულდასმით დაათვალიერა.

- გამოგრჩათ, დიდი მომღერალი შალაპინი, მაგრამ, ქალბატონო გალინა შალაპინი იყო ბახუტაშვილი, ხოლო ბოროდინი გედევანიშვილი, სტალინი ისედაც იცით, რომ იბერიელი იყო, ხოლო თქვენი გენიალური მეფე პეტრე პირველი იბერიის მეფის არჩილის უკანონო შვილი იყო, ასე რომ, დაგრჩათ მხოლოდ ლენინი და შიშკინი. მაშასადამე გამოდის, რომ რუსეთი უკანონო ანუ ნაბიჭვრების ქვეყანაა და

ეს არის მთავარი განსხვავება რუსეთსა და იბერიის სულიერ ფასეულობებს შორის, ხოლო საერთო კი ის აქვთ, რომ ორივე ქრისტიანული ქვეყანაა, თუმცა თქვენ ქრისტიანობაზე წინ პიროვნულ ძალაუფლებას აყენებთ, იბერიელები კი ქრისტიანობას განიხილავენ როგორც ღმერთის ნებას. - ოდნავ დამცინავი ტონით მიმართა გაბრიელმა პედაგოგიკის „კორიფეს“ გალინა ლუბოვას.

- დოსტოევსკი, დოსტოევსკი ის ხომ ნამდვილად რუსი იყო. - ქათამივით აკაკანდა გალინა.

- დიახ, ის ერთადერთი რუსია რომელმაც ნათლად დაინახა ნაჯახად ალესილი ინჩ-რუს-უზუმეს ბუნება. - მშვიდათ უპასუხა გაბრიელმა.

- ვიცი რაც გინდათ თქვენ, იბერიელებს! მაგრამ, ვერ მოგართვეს. - დაჰკივლა გაბრიელს გალინამ.

ყველამ იცოდა რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირის იმპერიაში, ის იშლებოდა, და ეს გარემოება ყველაზე უფრო ინჩ-რუს-უზუმეს აწუხებდა, რამეთუ მარტო რჩებოდა; და, სწორედ ეს აწუხებდა გალინას; გაბრიელს კი ის აწუხებდა, რომ იცოდა ეს სისხლის ღვრის გარეშე არ დამთავრდებოდა, და თავის მოსაზრებაში კიდევ უფრო მაშინ დარწმუნდა, როცა განათლების კურსის მეორე ეტაპზე უშიშროების პოლკოვნიკი მიხეილ კუდრიავცევი შემოვიდა, რომელსაც უნდა წაეკითხა თემა: „ხალხთა ურთიერთობის გაღრმავება და კომუნისტური იდეების დამკვიდრების აუცილებლობა საზოგადოების საგანმანათლებლო კურსში“.

მიხეილ კუდრიავცევი პლასტელინისაგან გამოძერწილი გეგონებოდათ და ამ უზომოდ რბილ სხეულში იმდენი გარყვნილება იგრძნობოდა, რომ ცუდად ხდიდა ნებისმიერ ადამიანს, ამიტომ ყველა ერიდებოდა და გაურბოდა მასთან ურთიერთობას, მიხეილი ამას გრძნობდა, მაგრამ ეს არ აწუხებდა, პირიქით თავის უპირატესობად მიიჩნევდა, ახლაც იგივე მოხდა; შევიდა თუ არა აუდიტორიაში ყველა შეძრწუნდა, და კურსის მსმენელებმა უაზროდ დაიწყეს სივრცეში ყურება, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მიხეილისა-თვის და მან ტკბილი ხმით დაიწყო საუბარი:

- დღეს, საბჭოთა კავშირში შესულ ქვეყანებს დამოუკიდე-ბლობა სურთ, მაგრამ იმას ვერ ხვდებიან, რომ რუსეთის გარეშე არსებობას ვერ შეძლებენ, იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ მსოფლიო პოლიტიკა მათ არ მისცემს თავისუფლების მოპოვების უფლებას. საერთოდ, რა არის თავისუფლება? - დასვა რა კითხვა, ცინიკურად გაიღიმა და განაგრძო საუბარი:
- თავისუფლება, ჩემო კეთილო მსმენელებო, პირობითი ცნებაა, განა შეიძლება ქვეყანა იყოს თავისუფალი, ქვეყანა ხომ ეს მთაა, ბარი, წყალი, რომელიც მთლიანი დედამიწის ერთი შემადგენელი ნაწილია, განა შეიძლება მთლიანის რაიმე ნაწილი დამოუკიდებელი იყოს, და თუ ბუნების ნაწილი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ანუ თავისუფალი, მაშასადამე ადამიანიც ვერ იქნება თავისუფალი ანუ დამოუკიდებელი კაცობრიობისაგან. აქედან დასკვნა: დამო-უკიდებლობა არ არსებობს და თუ ეს შესაძლებელია მაშინ

მისი ხარისხი დამოკიდებულია მის დამოუკიდებლობის სიდიდეზე ანუ რაც უფრო დიდია ტერიტორია მით მეტია მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, რამეთუ ის მთლიანის უფრო დიდი ნაწილია, ასევეა ადამიანების ჯგუფი, და რასაკვირველია ერიც. ერი რაც უფრო მრავალრიცხოვანია, მით უფრო მაღალია მისი დამოუკიდებლობის ხარისხი. ჩვენ, რუსები, რიცხობრივად, რასაკვირველია ჩინელების შემდეგ, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ერი ვართ, ესე იგი ჩვენი დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალია. ხოლო, აი, მაგალითად იბერიელიბი სულ რაღაც სამი მილიონია, არც კი; მაშასადამე მათი დამოუკიდებლობის ანუ თავისუფლების ხარისხი დაბალია და მათი მცდელობა გამოეყონ რუსეთს უაზრობაა და ცუდი შედეგით დამთავრდება, ასევე ....

გაბრიელმა, ხელის აწევით მიხეილს საუბარი შეაწყვეტინა და კატეგორიული ტონით მიმართა:

- ბატონო მიხეილ, თქვენ ერთმანეთში აურიეთ ორი განსხვავებული ტერმინი დამოუკიდებლობა და თავისუფლება და, ასევე, ამ კონტექსტში არა სწორად ახსენით ტერმინი: „ხარისხი“.

მიხეილს გაუკვირდა, საუბარი რომ შეაწყვეტინეს, როგორც წესი მის ლექციას ან არ უსმენდნენ, ან კი არ აწყვეტინებდნენ საუბარს; რამეთუ, მისი გარეგნული და პიროვნული თვისებების გამო, არ სურდათ მასთან კამათი და საერთოდ რაიმე კავშირის დამყარება.

- საინტერესოა, მაინც რა ავურიე? - ირონიულად მიმართა მიხეილმა გაბრიელს.

- აი, მაგალითად: დამოუკიდებლობის გარეშე ადამიანის, საზოგადოების წიაღში, განვითარება წარმოუდგენელია, ანუ დამოუკიდებლობა განვითარების საფუძველია, რომელიც ადამიანს ანიჭებს უნარს თავი დაიცვას საზოგადოებაში არსებული დოგმებისაგან, დამოუკიდებლობა ადამიანს თვითმყოფადობას ანიჭებს, როგორც ფიზიკურ ასევე აზროვნებითს. გასაგებია, თუ რა არის დამოუკიდებლობა? - თვაზიანად მიმართა გაბრიელმა, პირდაფჩენილ მიხეილს, და, განაგრძო: - ხოლო, თავისუფლება. - შეყოვნდა გაბრიელი და ისევ განაგრძო საუბარი, ოღონდ უფრო იდუმალი ხმით და თავის საუბარს კითხვა პასუხის ფორმა მიანიჭა: - მაინც რა არის თავისუფლება? როდის შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანი თავისუფალია? როგორ ესმის თავისუფლება სხვადასხვა რელიგიას? ქრისტიანობას? პოლიტიკურ იდეოლოგებს? რა ურთიერთკავშირია თავისუფლებასა და მორალს შორის? ამ ურთულეს კითხვებზე ბევრ გენიოსს უფიქრია და უამრავი ტომი დაწერილა. - ახლა, გაბრიელი თავისთავთან მოლაპარაკეს უფრო ჰგავდა. - გავიხსენოთ პავლე მოციქული, მერაბ მამარდაშვილი, ერიხ ფრომი, შოპენჰაუერი, ჯონ სტიუარტ მილი, გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველა, ნიშცე, ბერდიაევი, ლოკი, სარტრი, მიზესი, ბესიკ გაბაშვილი და სხვა მრავალი, და მივხვდებით, რომ ეს ძალიან ფართო და რთული, ზოგჯერ კი მოუხელთებელი ფილოსოფიური,

რელიგიური, ეთიკური, პოლიტიკური ცნებაა, რომლის ყველა ასპექტის მიმოხილვა რთულია და, მაინც თუ ჩავუკვირდებით გასაოცარ ამ იბერიულ სიტყვას: „თავისუფლებას"; გასაგები ხდება, რომ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ თავისუფალი არის ის, ვისაც საკუთარი თავის უფლად, ბატონად მიაჩნია უფალი და ემორჩილება მას. იაკობ ხუცესის აღწერით, მომაკვდავი შუშანიკის სანახავად, და ეს მოხდა 472 წელს იბერიაში, სხვებთან ერთად მოსულან „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი". ცხადია, რომ ამ შემთხვევაში აზნაური მხოლოდ წოდების აღმნიშვნელი ტერმინი არ იყო, არამედ გვარის წარმომადგენელს, გვარის შვილს ნიშნავდა და მას ამის გამო „თავისუფალის" მნიშვნელობაც ჰქონდა. თავისუფალი მხოლოდ ის იყო, ვინც რომელიმე გვარს ეკუთვნოდა. უაზნო ანუ უგვარო კი მდაბიო იყო ანუ სხვა ქვეყნიდან შემოხიზნული, ან ტყვედ წამოყვანილი, და თავისუფალი არ ყოფილა. გავიხსენოთ პავლე მოციქულის სიტყვები: „აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა, მტკიცედ დეგით და ნუ კუალად უღელსა მას მონებისასა თავს-იდებთ", რაც თანამედროვე იბერიულ ენაზე ასე ჟღერს: - „თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა ქრისტემ: და, ნუღარ დაიდგამთ მონობის უღელს". ამასთან ერთად იბერიული ტერმინის - „თავისუფლების" - ფუძე არის უფალი, ანუ თავისუფლება უფლისგან მომდინარეობს, მისი ბოძებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ არის დაკავშირებული სამართალთან, კანონმდებლობასთან და სიტყვა:

„დამოუკიდებლობისაგან“ იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში აღმატებული მნიშვნელობა ენიჭება სულის თავისუფლებას. თქვენთვის ეს, ანუ რუსებისათვის ძნელი გასაგებია, ძნელი გასაგები იყო მონღოლებისათვის, თურქებისათვის და ყველა იმ ხალხისათვის ვისაც უკვირდა თუ რატომ მიილტვიან ყოველთვის იბერიელები თავისუფლებისაკენ თუნდაც სიცოცხლის ფასად.

- ჯერ ერთი, მე, ათეისტი ანუ კომუნისტი ვარ, მეორე კი... - აღარ დაამთავრა სათქმელი, ვინაიდან ეტყობოდა უფრო სხვა რაღაცის თქმა სურდა და თქვა: - ჰო-და, ახლაც გელოდებათ ჟლეტა. - ირონიულად და თან გაბრაზებული ტონით მიმართა გაბრიელს და კმაყოფილი მზერა მოავლო იქ მსხდომთ.

იგრძნო გაბრიელმა, რომ ცუდი დღე ელოდათ იმ გულმხურვალე იბერიელებს ვინც ბრძოლა წამოიწყო თავისუფლებისათვის, წარმოიდგინა სურათი იმ თანამოძმეების, რომლებიც რუსთაველის პროსპექტზე შიშველი ხელებით იდგნენ რუსული ტანკების წინ და უშიშარი თვალებით უცქერდნენ მოახლოებულ საფრთხეს. აენთო, სხეულში უდიდესი ძალა იგრძნო, მიხეილისკენ გაქანდა, მუშტი მძლავრად მოარტყა ყბაში და ძირს დასცა. ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა, ჰაერი დაიმუხტა, მსმენელები ორად გაიყო, ერთმანეთს თვალით ზომავდნენ, აშკარა იყო, რომ მსმენელებს შორის რუსები ჭარბობდნენ; უეცრად სკამზე ქალი ახტა და უკრაინულად დაიწყო სიმღერა, სიმღერა თავისუფლებაზე, მას მოლდაველი მამაკაცი აჰყვა, იქვე მდგომმა

აზერბაიჯანელმა სკამი აიტაცა და რუსების მოსაგერიებლად მოემზადა, რუსების ჯგუფს, რომლებიც ერთად შეჯგუფული იდგა ერთი კაცი გამოეყო და ებრაულ ენაზე დაიწყო სიმღერა, რუსებს სახეზე გაკვირვება გამოეხატათ, რამეთუ სერგეი რუსი ეგონათ. და, მეგობრების საქციელით გამხნევებულმა გაბრიელმაც დასჭექა სიმღერა. ხმები ისე შეერწყნენ ერთმანეთს და ისეთი მუხტი შეიძინა, რომ ბრმა და ყრუც კი მიხვდებოდა, რომ მათი დამარცხება შეუძლებელი იყო, აქ ესენი და იქ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე ბრმა დედა-შვილი მღეროდნენ იბერიის თავისუფლებისათვის, რუსული ტანკები კი უმოწყალოდ ჭყლეტნდნენ თავისუ-ფლებისათვის მებრძოლ უიარაღო ხალხს.

დასრულდა 9 აპრილი, და დაიწყო შფოთიანი დღეები, რომელსაც შეთხზული მშვიდობა მოჰყვა. „შეთხზული მშვიდობის და თავისუფლების“ გეშინოდეთ იბერიელებო! გეშინოდეთ მეზღაპრე პოლიტიკოსების!

მოციმციმე სულის ციცინათელები

შეიძლება გაანადგურონ ადამიანები,
მაგრამ ისინი კვლავ გაჩნდებიან
და ერი ისევ აღორძინდება.
მაგრამ, თუ გაანადგურეს
ერის ისტორია, კულტურა,
მაშინ ერი გაქრება.

რუსი ჯარისკაცების მიერ დახოცილი იბერიელები ქუჩაში ეყარნენ, ზედ სულის ციცინათელები დჰფარფატებდნენ, ოდნავ მოშორებით და შედარებით მაღლა ანგელოზები დაფრინავდნენ, მგლოვიარე ხალხის ცრემლის წვეთებს ჰაერში იჭერდნენ და მიცვალებულებს ზედ აპკურებდნენ; ცრემლის თითოეული წვეთი ძირს დაცემისას პატარა ნამსხვრევებად იმსხვრეოდა, რომლებიც იდუმალ ფერებად იწყებდნენ ბზინვას, და მერე ცისკენ მიიქანებოდნენ, იმ იმედით, რომ იქ ნუგეშს იპოვნიდნენ.

- ნახე როგორი სუფთა ბგერებია. - მიმართა ლურჯფრთე-ბიანმა ანგელოზმა ოქროსფერფრთებიან ანგელოზსს.

- მართლაც გასაოცარია, საიდან მიიღეს ეს ბგერები ამ ცრემლებმა? - ხმამაღლა, ყველას გასაგონად იკითხა ოქროსფერფრთებიანმა ანგელოზმა, და ანგელოზების მთელმა გუნდმა აქეთ-იქით დაიწყო ყურება.

- აი, აი იქიდან! - და, თითი გაიშვირა ვარდისფერფრთიანმა ინგელოზმა.

- ეს ცრემლები, აი იმ ხალხის გულებიდან ამოდის! ეს გულის ცრემლებია, თვალის არ გეგონოთ. მე შევამჩნიე, მე! თქვენ როგორ ვერ შეამჩნიეთ როცა წვეთებს აგროვებდით. - დაიყვირა ყველაზე პატარა ანგელოზმა, რომლის ფრთებს ჯერ ფერი არ მიცემოდა.

- აქეთ, ამათ შეხედეთ, სულის ციცინათელები! რა ხდება? - იკითხა მტრედმა, რომელიც ხან ზემოთ აფრინდებოდა და ხან ანგელოზების თავზე დაფარფატებდა.

- ჰო-და, გთხოვ, გაარკვიე რა მოხდა. - თხოვნით მიმართა ლურჯფრთებიანმა ანგელოზმა მტრედს. - აი, იმას ეცოდინება. - და, ხელი გაიშვირა სკამზე ჩამომჯდარ კაცისკენ.

მტრედმა ფრთები შემოიკეცა და შურდულიდან გასროლილი ქვასავით გაქანდა სკამზე ჩამომჯდარი კაცისკენ, მიახლოვებისას ფრთები გაშალა, ფრთხილად დაეშვა და ქუჩაში მდგარ სკამის საზურგეზე ჩამოჯდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა მტრედმა მამაკაცს.

- ის რასაც არ ველოდით ლოდინით. - უპასუხა მამაკაცმა და ცოცხი ახლოს მიიწია.

- ააა, ესე იგი ლოდინის არ მოლოდინი აღსრულდა? - იკითხა მტრედმა და კითხვაზე პასუხი, რომ არ მიიღო გაუკვირდა და ჰკითხა: - შენ ივანე ხარ, ხომ არ ვცდები?

- მართალია. - მოკლედ უპასუხა ივანემ.

- მერე-და აქ რა გინდა, თანაც ქუჩის სახვეტი ცოცხით? - ისევ ჰკითხა მტრედმა ივანეს.

- მეც ვიცავდი ჩემს წილ თავისუფლებას. - უპასუხა ივანემ.

მტრედი დადუმდა, მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ივანემ დაასწრო და ჰკითხა:

- გინდა იგავი მოგიყვე?

- მინდა. - უპასუხა მტრედმა.

- კარგი. - ივანემ თხრობა დაიწყო:

- ღმერთმა როცა ადამიანი შექმნა მას თავისუფლება მიანიჭა, ამის შემყურე მთვარე გაოცდა და ჰკითხა: - სხვა სულდგმულს რატომ არ მიანიჭე ეს ბედნიერებაო?

მაშინ ღმერთმა უპასუხა:

- მათ ეს ისედაც გააჩნიათ, რამეთუ ეშმაკი არ ებრძვის.

- ესე იგი ადამიანს თავისუფლება იმიტომ სჭირდება, რომ ეშმაკს ებრძოლოს? - მთვარე ნასიამოვნები დარჩა, რომ გამოიცნო ღმერთის სათქმელი.

- მთვარე მართალია, ეს უფრო გამოცანაა, ვიდრე იგავი. - მიმართა მტრედმა ივანეს, როცა მან თხრობა დაასრულა.

- მერე გამოიცანი თუ ვინ არის ეშმაკი. - ღიმილით მიმართა ივანემ მტრედს.

მტრედი დადუმდა, არაფერი არ უპასუხა ივანეს და სულის ციცინათელებისაკენ გაფრინდა. ციცინათელებმა დაინახეს თუ არა მტრედი, მისკენ გაეშურნენ და ფრთებზე შემოასხდნენ. ასე ერთად ნელ-ნელა ცად ამაღლდნენ. ქუჩაზე კი წუხანდელ ღამეს დაღვრილი სისხლის კვალი წითლად ანათებდა და დამნაშავეების დასჯას ითხოვდა.

ივანე, მარტო დარჩა, წამოდგა, კედელს მიუახლოვდა სადაც მერაბ კოსტავას საინფორმაციო ფურცელი იყო გაკრული. ქაღალდის მეორე მხრიდან წებოს გამოეჟონა.

- „ახლახანს გაუკვრიათ“. - გაიფიქრა თავისთვის ივანემ და ჩუმად დაიწყო კითხვა:

„იბერიელებო! - 5 აპრილიდან თბილისში იმყოფება სსრკ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი-ვირთხა

კოჩეტოვი. 7 აპრილის დილას გაიმართა ვირთხების პოლიტბიუროს სხდომა კრეტინ ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით. მაშინვე გაიცა ბრძანება რეგულარული და შინაგან საქმეთა ჯარების იბერიის დედაქალაქში შეყვანის შესახებ. ვირთხა კოჩეტოვმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკ-ტრაკმა როდიონოვმა და კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ-ქლიავ პატიაშვილმა შეიმუშავეს რა იბერიელების დასჯის ზოგადი გეგმა, აღასრულეს დღეს, 9 აპრილს.

იცოდეთ! რომ 7 აპრილს, 21 საათზე ჯუმბერ-ქლიავ პატიაშვილმა სსრკ-ის ხელმძღვანელობას დამხმარე ძალების გამოგზავნა თხოვა, იბერიელების სათანადო დასჯის მიზნით. ხოლო, 8 აპრილს გამართულ გაწითლებული თეთრი ვირთხების თავდაცვის საბჭოს სხდომაზე, სადაც გენერალ-პოლკოვნიკ-ტრაკმა როდიონოვმა და ვირთხა კოჩეტოვმა გათახსირებულ ადგილობრივ მთავრობას მისცეს დაპირება, რომ სადამსჯელო ოპერაცია სანიმუშოდ ჩაივლიდა, და შედეგსაც ხედავთ. გენერალ-პოლკოვნიკ-ტრაკმა როდიონოვმა ოპერაციაზე თანხმობა ვირთხების სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრ-აყროლებულ იაზოვისგან მიიღო, ხოლო სკკპ ცკ-ის გადაწყვეტილებით, ოპერაციისთვის გაერთიანდა გაწითლებული თეთრი ვირთხების თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები.

გაცნობებთ! 5 აპრილს დღისა და ღამის განმავლობაში, იბერიაში ჩამოიყვანეს: საგანგებო დანიშნულების მოტო-

კუანა-მსროლელთა დივიზიის მეოთხე პოლკი, საგანგებო დანიშნულების ქინძი-მილიციის რაზმები, სახელდობრ რუსეთის ქალაქებიდან: პერმიდან და ვორონეჟიდან. და, ამ ნაძირალებმა დღეს შეუიარაღებელ იბერიელებს მომწამლავი გაზითა და ტყვიით გაუსწორდნენ, მაგრამ, იბერიელები არ შეუშინდნენ ვირთხებს, ერთად დადგნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, მართალია დიდი დანაკარგებით, მაგრამ მედგრად დაუდგნენ მტერს, რუსეთმა ვერ დააჩოქა მცირე-რიცხოვანი და შეუიარაღებელი იბერიელები.

გაუმარჯოს თავისუფლებას!

წინ კიდევ მრავალი ბრძოლა გველის, არ შეშინდეთ იბერიელებო!“

ივანემ ზურგსუკან გალობა გაიგონა, მოტრიალდა: - სულის ციცინათელები! კი, მაგრამ ხომ გაჰყვნენ მტრედს - ჩაილა-პარაკა თავისთვის და კედელს მოსცილდა.

- ჰო, ეს ჩვენ ვართ, - გამოელაპარაკა ერთ-ერთი სულის ციცინათელა.

- შენ, რატომ არ გაჰყევი მტრედს? - გაკვირვებულმა ჰკითხა ივანემ სულის ციცინათელას და მის მიმართ რაღაც სულიერი ახლობლობა იგრძნო.

- უკან შესაძლოა ბევრი სხვაც მობრუნდეს. - უპასუხა სულის ციცინათელამ.

- შეგეშინდა? - ჰკითხა ივანემ.

- კი. - უპასუხა სულის ციცინათელამ.

- ოჰ. - ამოიოხრა ივანემ.

სულის ციცინათელამ ივანეს გაუღიმა და ჰკითხა:
- გინდა, ამ დილით ლექსი, რომ დავწერე წაგიკითხო?
ივანემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და დილანდელი სევდა გაუორმაგდა.
სულის ციცინათელამ კითხვა დაიწყო:

ჯვარზე გაკრული მაცხოვრის მსგავსად,
წუხელ, ქალაქი მწარედ ტიროდა,
ღრუბლებს ისეთი შავი ჩაეცვა კაბა
გაიფიქრებდით - „შედგაო ბერად“.
ღამით ურჩხულმა, ვარდსა და სოსანს,
მოსტაცა ოქროს ლივლივა ფერი,
წუხელ დაემხო ჩვენს ქალაქს ჭერი,
ქუჩას, დაედო წითელი მტვერი.
ბავშვს გაეკიდა ჯალათი ნიჩბით,
ამის შემყურე გაოცდა ღმერთი.
„უჯიშოებო რას სჩადით!“ -
შეწუხებული ყვიროდა მღვდელი.
უმისამართოდ ისროდა რუსი,
სულერთი იყო, ოღონდ, მოეკლა ვინმე,
გაგიჟებული ბღაოდა, სწყუროდა სისხლი,
სულერთი იყო მისთვის, ოღონდ, მოეკლა ვინმე.
9 აპრილს, ჩონგურს გაუწყდა სიმი,
არ დაეცალეს ლექსის თქმა პოეტს,
მშობიარე ქალს დაჰკრეს ნიჩაბი,

გამოასალმეს სიცოცხლეს ბერი.
ქუჩაში ეგდო უმწეო ჩვილი,
თვალცრემლიანი დედას ეძებდა,
გულდათუთქული ტიროდა დედა:
„ღმერთო დამსაჯე! - ვერ გავუფრთხილდი“.
წუხელ, ანგელოზს დააჭრეს ფრთები,
წუხელ, ღვთისმშობელს აფურთხეს სულში,
წუხელ ჯალათმა მოარტყა მიზანს,
ტყვიამ გაგლიჯა ქალწულის გული.
დედა ყვიროდა:
- „შვილო გამაგრდი!
შეხედე!
ვიღაცა ჯოხით ტანკს იგერიებს.
გესმის!
- კაცი, თავის ცოლს უყვირს:
- წადი! დამტოვე!
და ჩვენი შვილი გადაარჩინე;
ხედავ რა ხდება?!
მაშასადამე, არ გაქვს უფლება უკან გაქცევის!“

გათენდა:
დახოცილები ჰყრია ქუჩაში,
მგლოვიარეა თბილის ქალაქი,
მხოლოდ დედა დგას თავაწეული
და გვერდზე უდგას პატარა ბიჭი:

,,შვილო, შეხედე! სწორედ ეს არის ცადამაღლება!
დიახ ეს არის სულის ცხონება!
დაიმახსოვრე! სხეულის კვდომა,
არ ნიშნავს სულის გარდაცვალებას“.

- მე, თავისუფლება მქვია! - და, სულის ციცინათელა მხარზე ჩამოუსკუპტა ივანეს.

- კარგი, წავიდეთ. მე, ამ ქუჩის დახვეტა არ მევალება, და თავისთვის გაიფიქრა: - ,,ნეტა რას აკეთებენ ახლა პარალელური სამყაროს მეეზოვე ზაქარია და ტიმოთე“.

- წავიდეთ, - დაეთანხმა სულის ციცინათელა.

და, ძველი ნაცნობები ჩუმი ბაასით გზას გაუყვნენ, უკან კი ჯერ გამოუქვეყნებელი ლექსი აედევნა, რომელიც ზუსტად ერთი კვირის წინ, ახალგაზრდა პოეტმა თავის შეყვარებულს მიუძღვნა, იმას ვინც ყოველ დილით, მას, სარკით დაჭერილ მზის სხივების კონას უგზავნიდა:

მე, ძლიერ მიყვარს შენი ბუნება
და შენი სულის გამონათება,
მიყვარს საღამო, მთვარე ლივლივა,
მიყვარს სიჩუმე, მიყვარს ოცნება,
ხვალინდელი დღე, როცა თენდება
და დილით წყაროს არაკრაკება.
მე, მიყვარს შენი ტუჩებით თრობა,
შენი ციმციმი, ჩუმი ნათება

და
შენთან ერთად გარიჟრაჟება.

სულის ციცინათელას პირველი დილა

ადამიანის სინათლის წყაროა მზე, რომელიც
დილიდანვე გვესალმუნება და
გვიმსუბუქებს წინა დღის ტკივილს.

სულის ციცინათელამ, ნაცნობი სითბო იგრძნო, თვალი გაახილა, მიმოიხედა და როცა კედელზე მზის სხივის მოლივლივე ნათება დაინახა დატკბა. სადღაც შორიდან, მოგონების მსგავსი გრძნობა მოეძალა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაახსენდა, გაახსენდა თუ როგორ იჭერდა სარკით მზის სხივს და მეზობელ ფანჯარაში უგზავნიდა გულის მესაიდუმლეს, მისი ოცნებების პოეტს. მოგონებამ გული ატკინა, ცოტახნით გონების მზერა ლაშასკენ მიმართა, აინტერესებდა ამ წუთში რას აკეთებდა: - „ალბათ ლექს წერს“ - გაიფიქრა. მოგონებამ დაღალა. ისევ კედელზე მოლივლივე მზის სხივს შეხედა; მერე, მძინარე ივანეს დახედა. ივანეს, უცნაურ ფშვინვაზე გაეცინა და ჩუმად შეეხმიანა:

- გათენდა.

- ჰოო, ადგომის დროა. - და, ივანე ზლაზვნა-ზლაზვნით წამოდგა. ხელ-პირი დაიბანა, პური მოიტეხა; გამხმარი იყო, და სანამ ნერწყვით არ დაალბო, დაღეჭვა გაუძნელდა, ძლივს გადაყლაპა, სულის ციცინათელას ანიშნა მხარზე ჩამომიჯექიო და გარეთ გავიდა ქუჩის დასახვეტად.

ივანე, ცოცხს ცელივით, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ იქნევდა და ლექს ამბობდა:

გონების თვალით ვაცილებ ღამეს
და დილას სახლში ვეპატიჟები,
ნაცნობი ჩიტის გალობა მხიბლავს,
მაღიზიანებს ჩხავილი ყვავის.
    დილის ნიავი მანიჭებს შვებას,
    დავლიე ღამის შესანდობარი,
    დავემშვიდობე მთვარიან სიზმრებს,
    დილის სურნელი უბეში ჩავსვი.

აივანზე გაბრიელი გამოსულიყო და ყვავილებს რწყავდა.

- როდის ჩამოხვედი? - ასძახა ივანემ ბავშვობის მეგობარს.

- ახლა, სულ რაღაც ნახევარი საათია. - უპასუხა გაბრიელმა.

- რას აპირებ დღეს? - ისევ ასძახა ივანემ მეგობარს.

- დავით-გარეჯიდან წამოღებული სანთელი უნდა დავანთო. - უპასუხა გაბრიელმა.

- რუსთაველის პროსპექტზე?

- ჰო. - მოკლედ უპასუხა გაბრიელმა.

- ჰო მართლა, შენი ბიძაშვილი სადაა? - ჰკითხა ივანემ.

- ისევ იქაა, დავით-გარეჯში. - უპასუხა გაბრიელმა.

- სანთლის დასანთებლად, რომ წახვალ გამაგებინე, მეც წამოვალ. - თხოვა ივანემ.

- აუცილებლად. - უპასუხა გაბრიელმა; ივანეს მხარზე სულის ციცინათელა შეამჩნია, თბილი მზერა გაუგზავნა და ბინაში შებრუნდა.

პირველი საათი გამხდარიყო, გაბრიელმა ძველი კარადიდან სანთელი გამოიღო და ივანეს დაურეკა:

- ბატონო, გისმენ გაბრიელ. - ივანეს არც დაუხედია ფიჭურ ტელეფონზე, გუმანით მიხვდა, რომ გაბრიელი იქნებოდა.

- გავდივარ; ხომ მოდიხარ? - ჰკითხა გაბრიელმა.

- რა თქმა უნდა, აუცილებლად. მე, ჩაცმული ვარ. შენს ზარს ველოდებოდი, მეც და სულის ციცინათელაც. ისე როგორ უცბად შეამჩნიე; ძალიან მაწუხებს მისი ბედი. - მოუსვენრობა დაეტყო ივანეს.

ცოტახანში ივანე, გაბრიელი და სულის ციცინათელა ერთად მიუყვებოდნენ გზას.

- ამ ბოლო დროს ჭიპაშვილი ელისო ხომ არ გინახავს? - ჰკითხა გაბრიელმა ივანეს.

- არა, - მოკლედ უპასუხა ივანემ, მაგრამ, რატომღაც, სულის ციცინათელას გახედა. ეჭვი ღრნიდა ივანეს, და ამ ეჭვის ასრულების ეშინოდა.

- „ჭიპაშვილი ელისო? რა ნაცნობი სახელი და გვარია“. - თავისთვის გაიფიქრა, სულის ციცინათელამ და რაღაც

უცნაური გრძნობა დაეუფლა, აი ზუსტად ისეთი დილით რომ გაუჩნდა, როცა კედელზე მზის მოლივლივე სხივი დაინახა და მეგობარი პოეტი, რომ გაახსენდა. თავისთავს ჰკითხა: - „მეგობარი თუ მახსოვს“. - კითხვას პასუხი ვერ გასცა.

- მოსკოვში, რომ ვიყავი ელისომ ორჯერ დამირეკა. - თითქოს-და თავისთვის ჩაილაპარაკა გაბრიელმა.

- ელისო, ელისო... - ისევ აწრიალდა სულის ციცინათელა.

- რა სჭირს? - ჰკითხა გაბრიელმა ივანეს, როცა მოუსვენრობა შეატყო სულის ციცინათელას.

- არ ვიცი. - ისევ მოკლედ უპასუხა ივანემ და ეჭვი უფრო გაეზარდა.

- „რა მჭირს? რა მჭირს?“ - ისევ თავისთვის გაიფიქრა სულის ციცინათელამ. - ჰოო, ჰო! ჰო! მე, მე ვარ ელისო! - ბოლო სიტყვები ისე ხმამაღლა დაიყვირა, რომ ქუჩაში მიმავალი ხალხის ყურადღება მიიქცია.

- შეენ?! - და, ახლა უფრო დააკვირდა გაბრიელი სულის ციცინათელას.

- ვაიმე! - შეიცხადა ივანემ.

უკვე, თავის ვინაობით გარკვეულმა ელისომ კი, მხიარულად დაიწყო ციმციმი და მეგობრებს ხალისიანად მიმართა:

- რა მოგვიდათ, ერთი განახათ რას გიგავთ სახეები! მე, ისევ თქვენთან ვარ, ჩვენ ისევ ერთად ვართ. - და, სულის ციცინათელას გამჭვირვალე სფეროში ელისოს მხიარული სახე გამოჩნდა.

მეგობრებს თან გაეხარდათ ელისოს ხილვა, თანაც სევდა შემოაწვათ; სევდა 9 აპრილისა, რომელიც ტრაგედიაცაა და ბოროტებაზე გამარჯვებაც.

- ელისო, სხვა გარდაცვლილების სულები სად არიან? - ჰკითხა გაბრიელმა, რომელმაც ისე აუჩქარა ნაბიჯს, რომ ივანე ძლივს ეწეოდა.

- გუშინ აშკარად დავინახე: თამრიკო ჭოველიძის, მარინა ჭყონიას, ნოდარ ჯანგირაშვილის და ჭინჭარაძე მზიას ციცინათელები, - მშვიდათ უპასუხა ელისომ.

- მე, ვიცი სად არიან! - უკნიდან მოესმათ უცნობი ხმა. მიიხედეს და ლურჯად მოელვარე სულის ციცინათელა დაინახეს.

- შენ ვისი სული ხარ? - ჰკითხა ივანემ და მეგობრებმა სიარულს უკლეს.

- მე, გია ქარსელაძე ვარ. და აგერ კიდევ ნანა სამარგულიანის და შალვა ქვასროლიაშვილის სულებიც დაეშვნენ.

- და, რატომ ეშვებით ქვევით? -ჰკითხა გაბრიელმა.

- ხალხთან ერთად, რომ ვიმღეროთ სამგლოვიარო სიმღერა. - უპასუხა გიამ.

გაბრიელმა ცოტახანში კიდევ სამი სულის ციცინათელა შეამჩნია.

- მათაც იცნობ? - ჰკითხა გიას გაბრიელმა.

- კი, - უპასუხა გიამ და ჩამოთვალა: - პირველი მამუკაა ნოზაძეა, ორი მომდევნო მანანა მელქაძე და მამულაშვილი თამარი.

- ზემოთ დარჩა ვინმე? - მაღლა აიხედა გაბრიელმა.

- მგონი, დოლიძე თამუნა, ბეჟანიშვილი ეკა, ნათია ბაშალეიშვილი და აზა ადამია. ესენი არ აპირებენ დაშვებას.

- რატომ? - ჰკითხა ივანემ.

- ასე სთქვეს: - „ჩვენი ხალხის მოწყენილ სახეებს და მგლოვიარე თბილისს ვერ შევხედავთო“, ძალიან განიცდიან ახლობლების გლოვას. - უპასუხა გიამ და მოახლოებული სულის ციცინათელების გუნდს შეუერთდა.

- ჰკითხე მათ, კიდევ ვისი სულის ციცინათელები უნდა მოფრიდნენ! - კითხვა დააწია გაფრენილ გიას სულს გაბრიელმა.

- წესით უნდა დაეშვნენ: ნატო გიორგაძე, თინა ენუქიძე, ლოლაძე მანანა და ნინო თოიძე. - უკან მოუხედავად უპასუხა გიამ.

- უმეტესობა ქალები არიან. - თავისთვის ჩაილაპარაკა ივანემ.

- ეტყობა კაცებს ვერ მოერივნენ. - ასევე, თავისთვის ჩაილაპარაკა გაბრიელმა.

- კარგით რა, ნუ გაქვთ მოწყენილი სახეები. აი, ნახავთ დღეს რა მოხდება, როცა დავით-გარეჯიდან მოტანილ სანთელს დაანთებთ. - და, ელისომ გამხნევების მიზნით ორივეს თავზე პეპელასავით შემოუფრინა.

ივანე და გაბრიელი მაინც ვერ წყნარდებოდნენ: ივანე, იმის გამო, რომ იმ დაწყევლილ ღამეს ბევრს ვერ დაეხმარა, ხოლო, გაბრიელი იმიტომ, რომ საერთოდ არ იყო თბილისში. მაგრამ,

ელისოსათვის, რომ არ ეწყენინებინათ, მეგობრებმა, მწუხარება სახიდან ჩამოიხსნეს.

რუსთაველის პროსპექტი თანდათან ხალხით გაივსო, ყვალას ყვავილები მოჰქონდა, ხალხს დაღუპულების ადგილზე სანთლები დაენთოთ. გაბრიელმაც ამოიღო სანთელი, ქვედა ნაწილით ქუჩის ბორდიურს მიაკრა, ასანთი გაჰკრა და სანთელი აანთო. სანთლის ალი უაეცრად ავარდა და იქ დანთებული სანთლების ცეცხლი აიტაცა, მერე გაიშალა და მთელ რუსთაველის პროსპექტს ზემოდან ფარდათ გადაეფარა. ხალხს ჯერ შეეშინდათ, ეგონათ ისევ რუსებმა ხომ არ გაუშვეს მომწამლავი გაზი, მაგრამ, როცა დაინახეს, რომ ცეცხლის ალი არ სწვავდათ, დამშვიდნენ. ცოტახანში ფარდაში შემოაღწიეს ანგელოზების მომღერალმა დასმა და გალობა დაიწყეს, ხალხიც აჰყვა, და ყველა მიხვდა, რომ ეს მათი დამარცხება კი არ იყო, არამედ ბოროტებაზე გამარჯვება, მათ შესძლეს შიშველი ხელებით შეიარაღებული ჯარის განდევნა, მიხვდნენ, რომ გამარჯვებული ის კი არაა ვინც თავისუფლებას გართმევს, არამედ ის ვინც იცავს თავისუფლებას.

საღამო ხანს სახლში დაბრუნებული გაბრიელი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ როგორმე ბოლომდე ამოეხსნა თუ რა არის თავისუფლება, ბევრი იწრიალა ოთახში, მაგიდის უჯრიდან ფურცელი და საწერი პასტა ამოიღო და წერას შეუდგა:

- „თავისუფლება ეს ადამიანის მიმართ ღვთის უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულებაა. უფალმა ადამიანი შექმნა მის ხატად და მსგავსად. სწორედ თავისუფალ არჩევანში გამოიხატა ადამიანის ღმერთთან მსგავსება და მიახლოება. უფალმა უდიდესი სიყვარულის გამო ადამიანებს უფლება მისცა, თავად აერჩიათ სავალი გზა. თავისუფლება ნიშნავს გქონდეს სრულყოფის მიღწევის უფლება-უნარი, სრულყოფა კი იგივეა, რაც განღმრთოება, რაც მიიღწევა სულის სწორად წარმართვისას; ხოლო, სწორად წარვმართოთ თავისუფალი ნება, ნიშნავს გავხდეთ მორჩილი იესოსი, რომელმაც თავისი განკაცებით დაგვიბრუნა უკვდავება და უფლება საუკუნო ჭეშმარიტი ნეტარებისა. თავისუფლება - ეს არის სულის ზეიმი, ჭეშმარიტი თავისუფლება ღმერთია, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, რომელიც ისეთი დიდია, რომ გონება ვერ იტევს და ამავე დროს ისე პატარა, რომ თითოეული ჩვენგანის გულშია. თავისუფალი ეს არის იყო კეთილი ადამიანი. ეს არის სიყვარული, ცოლქმრობა, მეგობრობა, ეს არის ნება, აკონტროლო საკუთარი ქცევა, სურვილები, გადააფასო ღირებულებები, მიხვდე განვლილ შეცდომებს და აღარ გაიმეორო ისინი“.

- არა ეს არ არის სრული ახსნა, - ჩაილაპარაკა უკმაყოფილომ და დასაძინებლად გაემართა საწოლისკენ. უცბად ჩაეძინა, და სიზმრად ხედავს:

„დგას ღრუბლის კიდეზე და გადასცქერის სვეტიცხოვლის ეკლესიას; ერთ-ერთი სვეტის ძირი ანათებს: - „ჰო, ამ სვეტის

ქვეშ მაცხოვრის კვართია დამარხული“, - გაიფიქრა ძილში. ღრუბელი, რომელზედაც იდგა ნელ-ნელა ძირს დაეშვა, მიწაზე გადავიდა, მიწა რბილი და თბილი იყო; ეკლესიის შესასვლელისკენ გაემართა, ეკლესიის შიგნით მღვდლის გარდა არავინ იყო. გაბრიელის ფეხის ხმაზე მღვდელი მოტრიალდა, გაბრიელს გაუღიმა და თბილი ხმით მიმართა: - „თავისუფლება ნიშნავს ჰქონდეს უფლება იყო ღმერთის მსახური, და ამ უფლების მოსაპოვებლად უნდა აკეთო ის რაც ბოროტებას არ წარმოშობს, ბოროტებას არ წარმოშობს, ბოროტებას არ წარმოშობს“.

ამ ბოლო სიტყვებზე გაბრიელს გაეღვიძა. თურმე გათენებულიყო.

ტკივილი მოაბიჯებს და ტკივილისაგან ოხრავს.

მტკივა, სატკივარი - ვყვიროდი,
ხმა ვერ გაგაგონეთ - ვდარდობდი,
ასე რამ გადაგაგვარათ - ვფიქრობდი
და ამ ტკივილისგან - ვტიროდი.

ქუჩაში მეძებარი ძაღლებივით დაძრწოდნენ რუს-ინჩ-უზუმეს წარმომადგენლები, რუსთაველის პროსპექტზე სანთლის დამთებლებს ეძებდნენ. მაგრამ, ახლა იბერიელები

ერთმუშტად იყვნენ შეკრული და ვერავის დააცდევინებდი თანამოძმეზე ძვირს. დიდი ხანია ასეთი ერთობა არ გამოუჩენიათ იბერიელებს. ეს ახარებდა ივანეს, რომელიც ცოცხს ცელივით იქნევდა, ნაგავს ხან ერთ მხარეს მიაყრიდა, ხან მეორე მხარეს და მერე პარალელურ განზომილებაში გააქანებდა; თან ლექს ამბობდა:

ცაში დემონმა გაინავარდა,
ქალაქს მოედო იუდას გესლი,
ხალხის ამარა დარჩა იმედი,
ტყვიამ იმედი დაასამარა.
    გრიალი გააქვს სამხედრო ორკესტრს,
    მას დირიჟორობს თავად სატანა.
    ცრემლი, გოდება მოედო თბილისს,
    ძნელია ახლა ლელოს გატანა.
ცას ეტმასნება სველი ღრუბელი,
ქუჩაში ყრიან დახოცილები.
შეუდრეკელი დაფრინავს ქარი
და ისევ ისმის შეძახილები:
        თავისუფლება!
თავისუფლება!
            თავისუფლებას
ჩვენ ვერ წაგვართმევს რუსი სატანა.

ივანეს ხმაზე, აივანზე გაბრიელი გამოვიდა, დაელოდა, და როცა შეამჩნია ივანეს მზერა მისკენ იყო მოპყრობილი, ხელით

ანიშნა ჩემთან ამოდიო. ივანემ, ცოცხი ხეზე მიაყუდა ჰაერზე დაკიდებულ გადასასვლელზე ახტა, ეს ყოველთვის ოსტატურად გამოსდიოდა, და როცა ქუჩის მეორე მხარეზე აღმოჩნდა, აივანზე გადმოყუდებულ გაბრიელს ასძახა:

სტუმრის დახვედრა პატივით
ყველა მასპინძლის ვალია,
ცარიელი მაქვს სტომაქი
მოვდივარ მომიხარია.

ამ ლექსზე გაბრიელს გაეცინა და კარის გასაღებად ოთახში შებრუნდა.

- შემოდი. სულის ციცინათელა შენთანაა? - ვერ მოასწრო გაბრიელმა სიტყვის დასრულება, რომ ოთახში სულის ციცინათელა შემოფრინდა და ჰაერში ჭაღივით დაეკიდა.

- მე, სამზარეულოში გავალ ცოტახნით, რაიმეს შევჭამ, თორემ სახლში არაფერი არ მქონდა. - მორიდებით ითხოვა ივანემ.

- კი ბატონო, თუ იპოვი რამეს, - მხიარულად უპასუხა გაბრიელმა და სულის ციცინათელას ახედა: - ელისო, შენთან თხოვნა მაქვს, შემისრულებ?

- აქამდე შენ მისრულებდი სურვილებს, ახლა ჩემი ჯერია. გისმენ. - და, ელისო თხოვნის მოლოდინის მდგომარეობაში გადავიდა.

გაბრიელს ჯერ გაეცინა, ელისოს გამომეტყველებაზე და მერე მიმართა:

- აი, ამ წიგნს აწერია ერის ფუნქცია, ასევე ცოცხალ წიგნსაც უწოდებენ, მაგრამ დრომ ფურცლის ყველა გვერდზე ნაწერი გააფერმკთალა, შეხედე მხოლოდ თეთრი ფურცლებია. გემახსოვრება შენ, მე ადრე ამ წინგზე გესაუბრე. - და, გაბრიელმა წიგნი გადაფურცლა.

- ჰოო, მაგრამ, მე რით შემიძლია დაგეხმარო? - გაკვირვებულმა იკითხა სულის ციცინათელამ.

- ლინზას ფორმა მიიღე, ფურცელს გადაეფარე ან გამინათე შენი შუქით და დარწმუნებული ვარ ასოების წაკითხვა შესაძლებელი იქნება. - თხოვნით, და ამასთან დამაჯერებლად მიმართა გაბრიელმა სულის ციცინათელას.

- კარგი. - დაეთანხმა სულის ციცინათელა და ისე მოიქცა როგორც გაბრიელმა სთხოვა.

- გამოჩნდა! გამოჩნდა! მოდი ივანე, მოდი! მე გიკარნახებ და შენ ჩაიწერე. - გახალისდა გაბრიელი.

სამზარეულოდან ივანე გამოვიდა, რომელიც ისევ ხმელა პურს ღეჭავდა, აშკარა იყო ვერაფერი ეპოვნა გაბრიელის სამზარეულოში:

- რაა?! კარგი, ახლავე ავიღებ ფურცელსა და ფანქარს. - ივანემ საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღო ფურცელი, მოიმარჯვა ფანქარი, მიუჯდა მაგიდას და სმენად იქცა.

- მაშ ასე. ხომ იწერ? - გადაამოწმა გაბრიელმა ივანეს მზადყოფნა და კითხვას შეუდგა:

- „სიტყვა „ერი“ ძველი ქართული ტერმინია, ერთდროულად აღნიშნავს ხალხს, სარწმუნოებას და ჯარს; წარმო-

შობილია ქრისტეს შობამდე მეოცე საუკუნეში, როდესაც ხალხი, სარწმუნოება და ჯარი ერთმანეთისგან განუყრელი იყო. ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა ენათესავება იბერიულ სიტყვას „ჰერიოს“, რაც გაერთიანებას ნიშნავს და საიდანაც წარმოიქმნა იბერიული სახელმწიფოს სახელწოდება ჰერეთი; აგრეთვე ანალოგიური მნიშვნელობის ბასკური სიტყვა „ჰერი“, იგივეს ნიშნავს; რაც ჩვენს ნათესაურ კავშირზე მიუთითებს.

სამი განუყოფელი ნაწილი: ხალხი, სარწმუნოება და ჯარი ქმნის ერის ფუნქციის საფუძველს.

ხალხი, ოჯახის სიმტკიცის და სიწმინდის დაცვით ზრუნავს სისხლის და გენის ანუ ერის სახის შენარჩუნებაზე; სარწმუნეობა აერთიანებს ხალხის სულს და ერთ მუშტად კრავს ერის ყველაზე მნიშვნელოვან გრძნობას - თავისუფლებას. ხოლო, ჯარი კი იცავს ყველა ამ ფასეულობას, უცხო ტომთა ზეგავლენისაგან.

მაშასადამე, ერის ფუნქცია არის საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება“.

- დავიღალე, - დაიჩივლა სულის ციცინათელამ. - დიდ ენერგიას მართმევს წიგნი.

- მართლაც, შეხედე გაფერმკლთალდა. - აღნიშნა ივანემ.

- კარგით. დანარჩენი სხვა დროს გავაგრძელოთ. ახლა ტელევიზორი ჩავრთოთ და ახალი ამბები შევიტყოთ.

ტელევიზორში ახალგაზრდა ქალბატონი გამოდიოდა რომელიც მიმართვას კითხულობდა:

- „მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს. - ბატონო სერგეი, იბერიას, დიდი უბედურება დაატყდა, ჩვენს თვალწინ ვანდალიზმის აქტი ჩატარდა. 9 აპრილს დილის ოთხ საათზე ჯავშანტრანსპორტიორები და სპეცჯარები თავს დაესხნენ მშვიდობიან მიტინგს და სასანგრე ნიჩბების და მომწამლავი აირის გამოყენებით მოხდა ადამიანთა მასობრივი ფიზიკური განადგურება. ოფიციალური მონაცემებით მოკლულია თვრამეტი ადამიანი, აქედან თექვსმეტი ქალი და გოგონაა: მათგან უფროსი სამოცდაათი, უმცროსი თექვსმეტი წლის იყვნენ. დაღუპულთაგან ერთ-ერთი ფეხმძიმეა; დაჭრილია ორას ორმოცდაათი კაცი, სამასი დაკარგულია.

ვთვლით, რომ იბერიაში, მომხდარი ტრაგიკული მოვლენები, უნდა იქცეს სსრკ უმაღლესი საბჭოს უახლოეს სესიაზე გულმოდგინე მსჯელობის საგნად.

ხელს აწერენ: სსრკ-ს სახალხო დეპუტატები: თენგიზ აბულაძე, თენგიზ ბუაჩიძე, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ მგალობლიშვილი, რევაზ თაბუკაშვილი. სსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: გია ყანჩელი, რამაზ ჩხიკვაძე, ალექსანდრე ალექსიძე. მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი: გიორგი ოჩიაური, ზურაბ ნიჟარაძე, თამაზ ჭილაძე, ანა კალანდაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი“.

როცა დიქტორმა მიმართვის კითხვა დაასრულა, ფურცელი გვერდზე გადადო და ეკრანიდან მკაცრი მზერა ესროლა ყველა იმ ტრაგედიის მონაწილეს ვინც სავარაუდოდ ახლა მას უსმენდა.

გაბრიელმა მძიმედ ამოისუნთქა და ირონიულად აღნიშნა:

- რა გულუბრყვილოები ვართ; ამ მიმართვას რუსები დასცინებენ, და ახალ მზაკრულ გეგმაზე დაიწყებენ მუშაობას. ისინი მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობენ.

- ჰო, მართალი ხარ, და ეკატერინე მეორის გეგმა მახსენდება. - და, ივანემ დამნაშავესავით ჩაქინდრა თავი.

- მახსოვს, თქვენ წამიკითხეთ. ითვალისწინებს ინდოეთის ოკეანამდე რუსეთის საზღვრების გაფართოებას. - და, ელისომ გაბრიელს გახედა.

- მართალი ხარ, - დაუდასტურა გაბრიელმა, და ისტორიული ფაქტების გადაშლას შეუდგა:

- ამ გეგმის დაწყებას აპირებდნენ, ჯერ იბერიის დაბყრობით, და მერე სპარსეთის. ხოლო, მისი რეალური განხორციელება დაიწყო 1768 წელს, როცა ომი წამოიწყეს ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მიმდინარეობდა. ამ დროისთვის დასავლეთ იბერია ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ იბერია ირანის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. იმერეთის მეფე სოლომონ პირველი ოსმალეთის წინააღმდეგ ომში რომ მიიღებდა მონაწილეობას, ამის შესახებ რუსეთში არც კი ეჭვობდნენ. სამაგიეროდ, რუსეთის იმპერატორი არ იყო დარწმუნებული, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე, ჩაებმებოდა თუ არა ოსმალეთის ომში, მაგრამ ყველას გასაკვირად, ერეკლემ, მაინც გადასწყვიტა ომში ჩაბმა და ასე შეიქმნა რუსეთ-იმერეთ-ქართლ-კახეთის სამხედრო პოლიტიკური კავშირი. შეთანხმები-

სამებრ, 1769 წელს, დარიალის ხეობით იბერიაში შემოვიდა რუსეთის საექსპედიციო კორპუსი ოთხას ოთხმოცი კაცითა და ოთხი ქვემეხით. მოგვიანებით საექსპედიციო კორპუსის რაოდენობა ათას ორას კაცამდე გაიზარდა. პირობის თანახმად, ქართლ-კახეთისა და რუსეთის ლაშქარი მტკვრის ხეობაში უნდა შესულიყო და გაენთავისუფლებინა აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა და ახალქალაქის ციხეები.

- თითქოსდა რუსეთს კარგი განზრახვა ჰქონდა; ასეა არა? - იკითხა ელისომ.

- ერთი შეხედვით კი. მაგრამ, აი რა მოხდა: რუსთა და იბერიელთა ლაშქარი 1770 წლის მარტში სურამში შეერთდა. იბერიელთა ლაშქარი შვიდი ათას კაცს ითვლიდა, ხოლო რუსთა ათას ორას კაცს. პირველი ეჭვი რუსი გენერალ ტოტლებენის მიმართ ერეკლეს მაშინ გაუჩნდა, როდესაც გენერალმა ათას ორასი კაციდან აწყურის ციხის ასაღებად მხოლოდ ნახევარი დაძრა, ქვემეხების გარეშე. 17 აპრილს დაიწყო აწყურის ციხის იერიში, რომელიც მძიმე არტი-ლერიის უქონლობის გამო წარუმატებლად მიმდინარეობდა. ვითარებიდან გამომდინარე, ერეკლე მეორე, გენერალ ტოტლებენს ურჩევდა, ციხეების აღებისთვის საერთოდ დაენებებინათ თავი და მტკვრის ხეობაში ახალციხის მიმართულებით გაეგრძელებინათ ლაშქრობა, რადგან ახალციხის აღებას დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი აზრით, ახალციხემდე არსებული ციხეების აღებაზე დიდი დრო და ენერგია დაიკარგებოდა,

რაც ოსმალებს ახალციხის საფუძვლიანი გამაგრების საშუალებას მისცემდა. ტოტლებენმა ეს რჩევა არ მიიღო, თვრამეტ აპრილს კი ბრძოლა საერთოდ შეწყვიტა და რუსის ჯარი სურამისკენ გამოაბრუნა. იბერიელთა ლაშქარი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აწყურის გარნიზონის დასახმარებლად ოსმალთა ახალი ძალები გამოემართნენ. ტოტლებენის გათვლა ძალიან მარტივი იყო: გენერალმა კარგად იცოდა, თუ რა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ჩაცვივდებოდნენ მეფე ერეკლე და იბერიელთა ლაშქარი რუსთა ღალატის შემდეგ. გენერალი ტოტლებენი ვარაუდობდა, რომ იბერიელთა ლაშქარს ოსმალები გაანადგურებდნენ და მეფე ერეკლეც დაიღუპებოდა.

- გაიძვერა! - ისე ხმამაღლა დაიყვირა ელისომ, რომ ივანე შეხტა.

გაბრიელს, ორივეს საქციელზე გაეცინა და თხრობა განაგრძო:

- მეფე ერეკლე მეორემ ვითარება ზუსტად შეაფასა, ამიტომ, აწყურის ციხეს სასწრაფოდ მოხსნა ალყა და უკან დაიხია. ბრძოლა იბერიელებსა და ოსმალებს შორის მოხდა ოც აპრილს, ასპინძასთან. ერეკლეს ბრწყინვალე მხედართმთავრული ნიჭის წყალობით ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად იქნა დამარცხებული. ერეკლეს არ ჰქონდა ზუსტი ცნობები, თუ რას აპირებდა გენერალი ტოტლებენი, ამიტომ სოფელ სურამის გავლით თბილისში

დაბრუნებაზე უარი თქვა და ჯავახეთის გზით ანუ უფრო მოკლე და უფრო სახიფათო გზით, სასწრაფოდ დაბრუნდა დედაქალაქში, რათა გადამჭრელი ზომები მიეღო ავანტიურისტი გენერლის გეგმების ჩასაშლელად.

- რა სურდა ტოტლებენს? - უკვე ყვირილისა და ემოციის გარეშე იკითხა ელისომ, - „ვაი-და ივანე ისევ არ შევაშინოო“.

- რა-და, თბილისის აღება, მეფე ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება და რუსული ჯარის თბილისში შემოყვანა. - რაღაც უცნაური, ზიზღნარევი ტემბრი შეერია გაბრიელის ხმას.

- ეს რაა. არ გაინტერესებს მომდევნო წლებში რა ჰქნეს? - საუბარში ჩაერთო ივანე.

- თქვენგან ბევრი რამე ვიცი, მაგრამ უფრო დაწვრილებით თუ მომიყვებით კარგია. - ითხოვა ელისომ.

- კარგი. - ამჟამად თხრობა ივანემ განაგრძო:

- 1795 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ახალი საფრთხე დაემუქრა, ამჯერად სპარსეთის მხრიდან, ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლე მეორე რუსეთთან დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმება მოსთხოვა. გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგულმა მეფემ უარი განაცხადა შაჰის მოთხოვნაზე და საფრთხის შესახებ რუსეთის ხელისუფლებას შეატყობინა, იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე თვით ადრე რუსეთის ხელისუფლება ფლობდა ინფორმაციას მომავალი სპარსეთ-იბერიის შესაძლო ომის გაღვივების შესახებ და თავისუფლად შეეძლო გამოეგზავნა დამხმარე სამხედრო კონტიგენტი ერეკლესათვის, მან ეს არ გააკეთა. მიზეზი ის

იყო, რომ რუსეთს იბერიის დამარცხება ანუ მისი დასუსტება სურდა და მერე მოევლინებოდა როგორც მსხნელი, როგორც „უფროსი ძმა“.

- კიდევ მომიყევით, - ვერ ისვენებდა სულის ციცინათელა.

- ეს რაა: 1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა გადაწყვიტა ესარგებლა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი რთული მდგომარეობით და მოეხდინა მისი ანექსია, მითუმეტეს რომ მეფე გიორგი მეთორმეტეს ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. 23 სექტემბერს იბერიაში შემოვიდა რუსეთის არმიის დიდი საჯარისო შენაერთი. ხოლო, 1801 წლის 12 სექტემბერს, შემდგომმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ, ეს აქტი გააპროტესტეს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია. 1802 წლის 12 აპრილს გენერალმა კარლ კნორრინგმა სიონის საკათედრო ტაძარში ალყა შემოარტყა ქართლ-კახეთის თავადებს და იბერიელი თავადები აიძულა დაედოთ რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი. თავადების დიდმა ნაწილმა მოახერხა ალყის გარღვევა და გაგცევა, ხოლო დანარჩენები იძულებული გახდნენ ფიცი დაედოთ, ვინც უარი განაცხადა დააპატიმრეს. იბერიელების უმრავლესობა არ აპირებდა შერიგებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას, და დაიწყო აჯანყება.

- ასე, აბა რა ჰგონიათ მათ.... იბერია არასოდეს დაიჩოქებს დამპყრობლის წინაშე! - სულის ციცინათელას აღელვებისგან თვალები აუკიაფდა.

ივანე განაგრძობდა:

- **1803** წელს გაასახლეს მეფე ერეკლე მეორის მეუღლე დედოფალი დარეჯანი, იმავე წელს რუსებმა გადაწყვიტეს გიორგი მეთორმეტის მეუღლე დედოფალი მარიამის გასახლება, რომელიც კატეგორიულ უარს აცხადებდა იბერიის დატოვებაზე. რუსებმა, დედოფალი ვერ აიძულეს საკუთარი ნებით დაეტოვებინა თბილისი, მაშინ რუსი გენერალი ლაზარევი ოცი თანმხლები ოფიცრით შეიჭრა დედოფლის სასახლეში და ძალით სცადა დედოფლის გამოყვანა, რაც რუს გენერალს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მარიამმა სასახლეში ნებართვის გარეშე შეჭრილი ლაზარევი მახვილით განგმირა. მომდევნო, **1804** წელს უკვე უფლისწულები იულონი და ფარნაოზი დააპატიმრეს და გაასახლეს იბერიიდან. რამდენიმე წლის განმავლობაში რუსებმა გაასახლეს ბაგრატიონების სამეფო საგვარეულოს თითქმის ყველა წევრი, გასახლებას გადაურჩნენ მხოლოდ ისინი ვინც თავი სპარსეთს, ოსმალეთს ან ჩრდილოეთ კავკასიას შეაფარეს, საიდანაც ისინი კვლავ აგრძელებდნენ აქტიურ ბრძოლას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. იბერიაში დაიწყო აჯანყებების, პოლიტიკური გამოსვლების და შეთქმულებების მთელი სერია რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად იბერიის განთავისუფლებას ისახავდა. თუმცა რუსეთი არ შემოფარგლულა მხოლოდ

აღმოსავლეთ იბერიის დაპყრობით და მისი შენარჩუნებით, რუსეთის ხელისუფლებას მიზნად ჰქონდა სრულად დაეპყრო იბერია, ამიტომ მათ ენერგიული ქმედებების განხორციელება დაიწყეს დასავლეთ იბერიის დასაპყრობლად.

- ჰო, მაშინ დიდი წინააღმდეგობა გაუწია იმერეთის მეფემ, - აღნიშნა სულის ციცინათელამ და დანანებით დაამატა: - მაგრამ, როგორც მე ვიცი სამეგრელოს მთავარი განუდგა.

- მართალი ხარ. - ახლა გაბრიელი ჩაერთო საუბარში და მან განაგრძო თხრობა:

- იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, ქართლ-კახეთის მეფეებისაგან განსხვავებით თავიდანვე სკეპტიკურად იყო განწყობილი რუსეთის მიმართ. მას შემდეგ რაც რუსებმა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა, სოლომონ მეორემ ღიად დაიწყო დახმარება ქრთლ-კახეთიდან გაქცეული უფლისწულების, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. დასავლეთ იბერიის მეფე სოლომონ მეორეს და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის აშკარა და პირდაპირი მტრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

- იმერეთის მეფე ძალიან შორს მჭვრეტელი იყო და ხვდებოდა, რომ რუსეთი კარგს არაფერს მოუტანდა იბერიას. - ისევ ჩაერთო თხრობაში ივანე, თან გაბრიელს ანიშნა მე, გავაგრძელებო: - XIX საუკუნის დასაწყისში მეფე სოლომონ მეორე, აქტიურად იბრძოდა დასავლეთ იბერიის გასაერთიანებლად, იგი ეომებოდა სამეგრელოს თავადს გრიგოლ დადიანს და მხარს უჭერდა მის ძმებს მანუჩარს და ტარიელს,

რომლებსაც სძაგდათ რუსეთი. გრიგოლი რამოდენიმეჯერ დამარცხდა სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთავრის წოდების დაკარგვის საფრთხე დაემუქრა, ამიტომ მან დახმარების თხოვნით რუსეთის ხელისუფლებას მიმართა და 1803 წელს რუსეთის ქვეშევრდომი გახდა, ამან მას მთავრის წოდება შეუნარჩუნა, ხოლო სოლომონს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუუარესა რადგან იმერეთის საზღვართან რუსები ახლა უკვე ორი მხრიდან იყვნენ მობილიზებულნი, რამაც მათ გაუმარტივა მომავალში იმერეთის დაპყრობის პერსპექტივა და უფრო აგრესიული გახდა რუსეთის პოლიტიკა იმერეთის მიმართ. რუსეთის აგრესიულობის გამო სოლომონ მეორე იძულებული გახდა დათანხმებულიყო მოლაპარაკების დაწყებას რუსეთის ხელისუფლებასთან და 1804 წელს სოფელ ელაზნაურში ერთმანეთს შეხვდნენ იმერეთის მეფე და გარუსებული ეთნიკურად იბერიელი გენერალი პავლე ციციანოვი. მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო რუსების აგრესიულობის გამო. მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ რუსეთის არმიის ნაწილები შეიჭრნენ იმერეთში და უიარაღო მოსახლეობის ხოცვა დაიწყეს, შექმნილი მდგომარეობის გამო სოლომონ მეორე იძულებული გახდა გაეფორმებინა რუსეთთან „ელაზნაურის ტრაქტატი“. 1805 წელს რუსეთის გენერალმა ტორმასოვმა დაარღვია „ელაზნაურის ტრაქტატი“ შეიჭრა დასავლეთ იბერიის დედაქალაქ, ქუთაისში და გამოაცხადა იმერეთის სამეფოს გაუქმება. თუმცა იმერეთში არავინ, არც მეფე და არც

თავადაზნაურები, არც სამღვდელოება და არც გლეხები არ შეეგუენ დამოუკიდებლობის დაკარგვას და დაიწყეს ბრძოლა მომხდურის წინააღმდეგ. მაგრამ, ისევ ურთიერთგაუტანლობამ და სამეგრელოს გვერდზე განდგომამ ცუდი შედეგი გამოიღო - მეფე სოლომონ მეორე უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა. შემდგომში რუსებმა მეფის მოკვლა განიზრახეს, მაგრამ მამაცმა იმერელმა გლეხმა თავისი სიცოცხლის სანაცვლოდ მეფე გადაარჩინა.

- მაინც რა მოხდა? - იკითხა სულის ციცინათელამ.

- რა-და, რუსებმა ვითომ მოლაპარაკების დაწყების პირობით მეფე შეიტყუეს აზნაურის სასახლეში, სასახლეს ალყა შემოარტყეს, ჯერ სროლა აუტეხეს, მერე კი მეფეს დანებება მოსთხოვეს, მაგრამ, იმერელმა გლეხმა, რომელიც ყოველთვის თან ახლდა მეფეს, მეფის სამოსი ჩაიცვა, თავისი კი მეფეს მისცა და გააპარა, - ნაღვლიანად, მაგრამ ამასთან სიამაყის გრძნობით უპასუხა გაბრიელმა, და ივანეს მიმართა: - გააგრძელე ივანე, ბოდიში, რომ შეგაწყვეტინე. ბარემ მოუყევი იბერიის სრული ანექსიის ამბავი, თანაც დაამატა: - სწორედ იგივეს განახორციელებენ ახლა, ოღონდ უფრო მეტი სასტიკი მეთოდით.

ივანემ განაგრძო:

- გლეხის წყალობით სიკვდილს გადარჩენილმა სოლომონ მეორემ, ისევ შეკრიბა ჯარი და რუსების წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ ძირითადი სტრატეგიული ადგილები რუსებს უკვე დაეკავებინათ, ამდენად სოლომონის ყოველი

შემდგომი მცდელობა განედევნა რუსები დასავლეთ იბერიიდან მარცხით მთავრდებოდა და მეფე იძულებული გახდა ოსმალეთში გადასულიყო და იქიდან ხელსაყრელ დროს თავს დასხმოდა რუსეთის ჯარს. 1815 წელს ბრწყინვალე და უშიშარი მეფე სოლომონ მეორე ტრაპიზონში გარდაიცვალა. და, იმედია იბერიაში გადმოასვენებენ და მისი ადგილი გელათის საკათედრო ტაძარშია.

- მაშასადამე, დასავლეთ იბერიაში მეფობა არ გაუქმებულა. ეს კარგია! - სიხარულით აღნიშნა სულის ციცინათელამ. - და, მაშასადამე თუ იბერიაში მეფობის ინსტიტუტი აღდგა, ყველა მომდევნო წელს დადებული რაიმე შეთანხმება ავტომატურად გაუქმებულად ჩაითვლება. ასეა ეს, თუ ვცდები?

- გეთანხმები. არ ცდები. - თითქმის ერთდროულად დაეთანხმნენ ივანე და გაბრიელი.

- სამეგრელოს რა ბედი ეწია მაშინ, გრიგოლ დადიანი ხომ რუსეთისკენ იყო? - იკითხა სულის ციცინათელამ.

- მე, გავაგრძელო თხრობა? - იკითხა გაბრიელმა.

- გააგრძელე, გააგრძელე. - დაეთანხმა ივანე.

გაბრიელმა განაგრძო:

- როგორც უკვე იცი სამეგრელოს მთავარმა გრიგოლმა გამოთქვა სურვილი შესულიყო რუსეთის მფარველობაში, და ასეც მოიქცა და ამ ვიწრო პოლიტიკურმა ხედვამ დასავლეთ იბერიას დიდი ზიანი მიაყენა. სამაგიეროდ ალექსანდრე პირველმა, გრიგოლ დადიანი ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა. გრიგოლ დადიანის გარდაცვალების

შემდეგ სამთავროს ტახტზე ავიდა ლევან მეხუთე, რომელიც მამამისის მსგავსად რუსების მოტრფიალე და მათი მითითებების მორჩილი იყო, შედარებით მტკიცე ხასიათის ახმოჩნდა დავით დადიანი, მაგრამ რუსებმა უკვე სამეგრელოს ჩამოართვეს მდინარე ენგურიდან მდინარე ღალიძგამდე ტერიტორიები და აფხაზეთის სამთავროს დაუქვემდებარეს, სამაგიეროდ ლევან მეხუთეს ოცდახუთი ათასი ვერცხლის რუბლი გადასცეს.

- ეს როგორც თორმეტი ვერცხლი. - სულის ციცინათელას სახეზე ღრმა მწუხარება აღებეჭდა.

- სჯობს მომისმინო და აღარ შემაწყვეტინო... თორმეტი ვერცხლი ცუდი შედარებაა. - და, გაბრიელს გაბრაზება შეეტყო, თუმცა თხრობა მშვიდად განაგრძო:

- ლევან მეხუთის გარდაცვალების შემდეგ, მისი ადგილი დაიკავა დავით პირველმა, არც ის იყო დიდი ბედენა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, 1853 წელს სამთავროს ტახტზე ავიდა მცირეწლოვანი ნიკოლოზი, ხოლო სამთავროს მმარველი კი გახდა დედოფალი ეკატერინე დადიანი. ამავე წელს დაიწყო ყირიმის ომი, რომელიც 1854 წელს სამეგრელოსაც შეეხო და 1855 წელს ოსმალებმა სამეგრელო სრულად დაიპყრეს; რუსებმა, სამეგრელოს დახმარება არ აღმოუჩინეს, ელოდნენ როდის დასუსტდებოდა საბოლოოდ და მას მიმართავდა მორჩილი თხოვნით, ასეც მოხდა; ამით ისაგრებლეს რუსებმა და 1857 წლის რვა სექტემბერს რუსეთის ხელისუფლების განკარგულებით სამეგრელოს სამთავროში

იმპერიის პირდაპირი მმართველობა დამყარდა, ხოლო მცირეწლოვანი მთავარი დედასთან ერთად სანქტ-პეტერ-ბუგში გადაასახლეს. 1867 წლის ოთხ იანვარს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებით, სამეგრელოს სამთავრო ოფიციალურად გაუქმდა. მართალია ამას მოყვა მეგრელი გლეხების აჯანყება, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო.

- თქვენ თქვით სამურზაყანო აფხაზეთის სამთავროს დაუმქვემდებარესო; აფხაზეთის ანექსია, როგორ მოხდა? - იკითხა სულის ციცინათელამ.

გაბრიელი ცოტახნით ჩაფიქრდა, და განაგრძო:

- ჰოო, ეს გარიგება იყო. რადგან რუსეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აფხაზეთის დაპყრობას უთმობდა; იმიტომ, რომ აფხაზეთის მოსახლეობაში და სამთავრო კარზეც პროთურ-ქული და პრორუსული ორიენტაციის მიმდევრები ერთმა-ნეთს უპირისპირდებოდნენ. თვით აფხაზთა მთავარი - ქელეშ-ბეგ შარვაშიძე - პრორუსულ ორიენტაციას ადგა. მაგრამ, მისმა შვილმა, ასლანმა, მამა და ძმები დახოცა და თავი მთავრად გამოაცხადა. მან სოხუმი თურქული გარნიზონით გაამაგრა და სამეგრელოზე გაილაშქრა, მაგრამ დამარცხდა. ამასობაში რუსეთის ჯარები მომაგრდნენ და სოხუმი აიღეს. ასლან-ბეგი მთებში გაიხიზნა. 1810 წლის ოქტომბერში აფხაზეთის მთავრად გამოცხადდა გაქრისტია-ნებული საფარ-ბეგ შარვაშიძე, რომელიც იბერიულ ორიენ-ტაციას ემხრობოდა. ამის გამო რუსებმა ის მოკლეს და მეგრელებს დააბრალეს. ამ გარემოებამ აფხაზები და

მეგრელები ერთმანეთს გადაამტერა რასაც კარგად იყენებდა რუსეთი, გარდა ამისა რუსებმა აფხაზეთში მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი სომხების ჩასახლება დაიწყეს, რომ მათ პოლიტიკას საყრდენი ჰქონოდა.

- სვანეთის დაპყრობა როგორ მოახერხეს? - იკითხა სულის ციცინათელამ.

- ყველაზე მეტად სვანეთის ანექსია გაუჭირდათ რუსებს, მაგრამ, დადეშკელიანების ურთიერთდაპირისპირებით ისარგებლეს. თუმცა კონსტანტინე დადეშკელიანმა შესძლო ხალხის შემოკრება და რუსებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბოლოს კონსტატინე რუსებმა მუხანათურად მოკლეს, და სვანეთი ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. - და, გაბრიელმა ივანეს მიმართა: - მაინც ვერ გატეხეს სვანები რუსებმა, ვერ მართავდნენ სვანეთს.

- გამოდის, რომ ჩვენმა დაქსაქსულობამ და გაუტანლობამ დაგვღუპა. - დანანებით აღნიშნა სულის ციცინათელამ.

- ჰო, ჩემო უმცროსო მეგობარო, ასე გამოდის. - და, გაბრიელმა კითხვით მიმართა ივანეს: ერთი ამ რესპუბლიკურ პარტიის წარმომადგენლებს რა უნდათ?

- რა უნდათ და ... - კინაღამ გინება წამოცდა ივანეს და სულის ციცინათელას გახედა.

- ჰო, დღესაც ერთმანეთს ვემტერებით. - და, სულის ციცინათელამ თავის მეგობრებს თხოვა: - 9 მარტის ამბები მომიყევით.

- ეს ივანემ უფრო კარგად იცის. ივანე მოუყევი. - გაბრიელმა თხოვნით მიმართა ივანეს.

ივანემაც არ დააყოვნა და თხრობა დაიწყო:

- 9 მარტს იბერიელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა კომუნისტების ბელადის სტალინის კულტის ხრუშჩოვისეულ მხილებას და თვით თბილისელი დემონსტრანტების მიერ საპროტესტო აქციების სტალინის სახელით დაწყებას. შესაბამისად, ამ გამოსვლებს დღემდე იბერიელების კომუნისტური პრინციპებისადმი ერთგულებას უკავშირებენ და, ამდენად, დასავლეთი სახელმწიფოების მიერ რეაქციულად იყო შეფასებული, მაგრამ, სინამდვილეში ხალხის გამოსვლა ეროვნული ღირსების შელახვსთან იყო დაკავშირებული, რამეთუ სტალინი, როგორც იცი იბერიელი იყო; ამიტომაც გადაიზარდა ეს აქცია ეროვნული თავისუფლების ლოზუნგებსა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოყოფის მოწოდებებში. 9 მარტს, დილით, ყველა მიტინგზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, იბერიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და დეპეშა გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და, ასევე, სურდათ მსგავსი დეპეშა გაეგზავნათ აშშ. სწორედ ამგვარი ვითარება გახდა მიზეზი იბერიელების დახოცვისა, და მანიფესტანტთა რამდენიმე ასეული ისე ჩაცხრილეს, ამბის მომტანიც კი აღარ დატოვეს. ამრიგად, მიუხედავად თავდაპირველი ლოზუნგებისა, მიუხედავად საპროტესტო მოძრაობის წარმოშობის საწყისი მიზეზისა - 9 მარტი უნდა მივიჩნიოთ იბერიელთა

ხალხის ეროვნული გამოღვიძების ხელახალ ნიშანად და ეროვნული მოძრაობის გააქტიურების საფუძველად!

- იცი რა, რაც უბედურება გვჭირს ჩვენი ბრალია. მეზობელ სახელმწიფოებთან მხოლოდ მეზობლური ურთიერთობა უნდა გვქონოდა და არავითარი „გეორგიევსკის ტრაქტატი“ არ უნდა მიგვეღო; მე ვგულისხმობ ისეთ მეზობელს როგორიცაა რუსეთი, ხოლო რაც შეეხება სომხეთს მათი შევიწროება უნდა მოხდეს იბერიაში თანდათანობითი განდევნით, მათ სურთ იბერიის მიწის თავის საკუთრებაში მოქცევა; თურქეთს კი ყოველთვის უნდა შევახსენოთ ჩვენი ტერიტორიული პრეტენზიები, წინააღმდეგ შემთხვევაში თავზე დაგვაჯდებიან. - აღნიშნა სულის ციცინათელამ.

- მართალი ხარ. აი, რას ამბობს იბერიული ანდაზა: - „ღორის ტილი ფეხზე, რომ დაისვა თავზე აგახოხდებაო“, - დაეთანხმა, და აღნიშნა გაბრიელმა: - განსაკუთრებით სომხებს ვგულისხმობ.

- ახლა დიდი გონიერება გვმართებს. ვინ რა იცის რას გვიმზადებს ბედი. - ჩაფიქრებულმა აღნიშნა გაბრიელმა. - და, ერთი ამბავიც მინდა მოგიყვეთ: თბილისში, ვაკის სასაფლაოზე 16 წლის ჭაბუკის კიაზო ჭანტურიძის საფლავია, დიდი ხანია ამ საფლავს აღარავინ აკითხავს, გარდაცვლილია მისი ერთადერთი ჭირისუფალიც, კიაზოს დედა სონია მერაბიშვილი... - ღრმად ამოისუთქა გაბრიელმა და განაგრძო: - გასული საუკუნის 70-80 იან წლებში ყოველი წლის 9 მარტს „დედა-ენის“ ძეგლის მოპირდაპირე მხარეს, ბაღში, კიდევ

შეხვდებოდით 1956 წლის 9 მარტს საბჭოთა ჯარების მიერ მხეცურად დახოცილი ახალგაზრდების მშობლებს, რომელთა სახეზეც აღბეჭდილი იყო დიდი ტკივილი, ისინი დიდმა ტრაგედიამ გააერთიანა, დაბადების დღეებს უხდიდნენ მარადისობაში გარდასულ თავიანთ შვილებს, მთავრობის სახელზე წერდნენ განცხადებებს, ითხოვდნენ პასუხს, რატომ დახოცეს მათი შვილები, როდის დაუშვეს მათ აღზრდაში შეცდომა? და, რატომ არის სამშობლოს სიყვარული დანა-შაული? გასული საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლება მათ მამებს და პაპებს იოსებ სტალინის სიძულვილის ბრალდებით აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ, ხოცავდნენ, და როგორი სასაცილოც არ უნდა იყოს 1956 წლის 9 მარტს მათი შვილები სტალინის როგორც პიროვნების დაცვის გამო დახოცეს; ეს დედები ამაოდ ეძებდნენ სამართალს. ამ უბედურების ჩამდენი ღორი-ნიკიტა ხრუშ-ჩოვი მართალია 1964 წელს გადააყენეს, მაგრამ მისთვის არავის წაუყენებია უდანაშაულო ახალგაზრდების დახოცვის ბრალდება, ადამიანების უმრავლესობას არც თავდაცვის მაშინდელი მინისტრი მარშალი ჟუკოვი და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი ფედი-უნინსკი ახსოვთ, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს იბერიელების დახოცვაში, გაერთიანებული ერები სდუმდნენ და ახლაც სდუმს ამის შესახებ... დრო, ყოველწლიურად გვაშორებს ამ უდიდეს ტრაგედიას, მაგრამ მისი დავიწყება ჩვენთვის არ შეიძლება.

- ჰო-და ჯობია მთავარ ანგელოზის ეკლესისში წავიდეთ და ვილოცოთ, - შესთავაზა ივანემ.

მეგობრებიც დაეთანხმნენ.

- სად არის ეს ეკლესია? - იკითხა სულის ციცინათელამ.

- ეკლესია მდებარეობს სოფელ ანაგიდან აღმოსავლეთით. არ არის შორს. - უპასუხა ივანემ.

- ჰა, წავიდეთ თუ არა? და, თუ კი, ჯობია დროზე გავიდეთ. - მიმართა მეგობრებს გაბრიელმა.

დახლოებით ნახევარ საათში მოასწრეს სამწვადე ხორცის, თუშური ყველის და პურის ყიდვა; ღვინო გაბრიელმა სახლიდან წამოიღო, დიდუბის სადგურში ტაქსის მძღოლს ოცდაათ რუბლად გაურიგდნენ, ეკლესიაში ჩაყვანით და ჩამოყვანის პირობით, და გზას გაუყვნენ.

ტაქსის მძღოლი მეგრელი იყო სახელად ბიძინა. ძალიან მხიარული კაცი აღმოჩნდა და როცა გაიგო მთავარ ანგელოზის ეკლესიაში მიდიოდნენ შესთავაზა:

- გინდათ შვილებო ამ ეკლესიის შესახებ ლეგენდა მოგიყვეთ? - მაგრამ, არ დაელოდა მათ თანხმობას და თხრობას შეუდგა:

- იმ მიდამოებში სადაც მთავარ ანგელოზის ეკლესია მდებარეობს, გლეხები ყანას მკიდდნენ. იქვე ქვაბში სადილი მზადდებოდა. ხორცის ხარშვის დროს, ქვაბში დიდი გველი ჩამძვრალა, როდესაც გლეხები სადილად უნდა დამსხდარიყვნენ, ციდან მოფრენილა ქორი, რომელიც ქვაბში ჩავარდა. გლეხები, შეწუხდნენ და ქვაბი გადმოაპირქვავეს იმ განზრა-

ხვით, რომ ქორი დათუთქვას გადაერჩინათ და მოასწრეს კიდეც, ქორს მხოლოდ ერთი ფრთა დათუთქვოდა, მაგრამ, როცა ქვაბი გადმოაპირქვავეს შიგ ჩახარშული გველი ნახეს. გლეხებმა ქორს უმკურნალეს და როცა გამოჯანმრთელდა გაუშვეს. იქაური სოფლის მცხოვრებლებმა ეს ამბავი სასწაულად მიიჩნიეს და ნიშნად ამისა, მომხდარის ადგილას, ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს. მშენებლობა სარტყელთან შეუჩერებიათ, რადგან ერთხელ, დილით, მოფრენილა აუარება ქორი და მშენებლობის გაგრძელების საშუალება არ მიუციათ. ამბობენ, ერთ-ერთ ქორს იქვე დასვენებული მთავარანგელოზის ხატი აუტაცნია ჰაერში და ამჟამინდელ ეკლესიის ადგილზე წაუბრძანებიაო. მშენებლებს ეს უფლის ნებად ჩაუთვლიათ და ქორის მიერ დაბრძანებული ხატის ადგილზე გაუგრძელებიათ ეკლესიის მშენებლობა, სადაც ამჟამად მთავარანგელოზის ეკლესია დგას.

- სასწაულია ნამდვილი, - ჩაილაპარაკა სულის ციცინა-თელამ და ივანეს უბიდან ამოფრინდა: - იმ მშენებლობის ადგილას, პირველად, რომ დაიწყეს, ჰოო იმ ადგილს ვგულისხმობ, ააშენეს რაიმე თუ ნახევრად აყვანილი კედლები დატოვეს?

ქალის ხმის გაგონებამ გააკვირვა ტაქსის მძღოლი და როცა მობრუნდა, და დაინახა სულის ციცინათელა შეშინებულმა მანქანა ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, რომ გაბრიელი კინაღამ წინა სკამზე აღმოჩნდა:

- ეს რა ხდება, ვაიმეეე! - და, ბიძინამ მანქანიდან გადა-ხტომა დააპირა, მაგრამ ივანემ მხარში წაავლო ხელი და დაამშვიდა:

- ნუ გეშინია, ეს ჩვენი კეთილი მეგობარია. ამასწინათ მოკლულის სულია.

ბიძინამ, რა შეიტყო, რომ სულის ციცინათელა 9 აპრილს გარდაცვლილი გოგონას სული იყო დამშვიდდა და ახლა მისი მოფერება მოუნდა. ელისომაც, იგრძნო მისი გულის სითბო, მიუახლოვდა და მის ლოყას შეეხო, მერე კი გულზე მიეკრა; ამ შეხებამ ააღელვა ბიძინა და თვალები აუცრემლდა. ასე იყვნენ ოთხივე ჩუმად, დაახლოებით ათი წუთი, ეს სიჩუმე ისევ სულის ციცინათელამ დაარღვია.

- ეეე, ჩემო კარგებო, ვიჩქაროთ, თორემ დილამდე ვერ ჩავალთ. - და, სულის ციცინათელა ისევ ივანეს ჩაუძვრა უბეში.

ბიძინამ მანქანა დაქოქა და ფრთხილად გაუჰყვა გზას, თვალებში ვერ იხედებოდა, ცრემლებით ჰქონდა დაბინდუ-ლი. სხვებიც დუმდნენ და მხოლოდ მაშინ ამოიღეს ხმა როცა მთავარ ანგელოზის ეკლესია გამოჩნდა.

- მოვედიიით! - პირველმა გაბრიელმა შეამჩნია მწვანეში ჩაფლული ეკლესია.

- მოვედით? - გაიგონა რა გაბრიელის მხიარული შეძახილი, იკითხა, და ივანეს უბიდან სულის ციცინათელა ამოფრინდა.

- ფრთხილად საქარე მინას არ დაეტაკო! - გააფრთხილა ივანემ სულის ციცინათელა და მანქანის კარი გაუღო.

სულის ციცინათელა თავდავიწყებული გაფრინდა ეკლესიისაკენ და სარკმელში შეფრინდა.

გაბრიელი და ივანე მანქანიდან გადმოვიდნენ და ნელი ნაბიჯით გაემართნენ ეკლესიისკენ, ბიძინამ მანქანა ხის ჩრდილში გადააყენა და ისიც ეკლესიისკენ გაემართა.

- დაველოდოთ. - მიმართა ივანემ გაბრიელს.

- დაველოდოთ. - დაეთანხმა გაბრიელი.

ორივე შეყოვნდა, დაელოდნენ სანამ ბიძინა წამოეწეოდა, და ეკლესიაში ერთად შევიდნენ. შესვლისთანავე პირჯვარი გადაიწერეს და კედელზე მოხატული ფრესკების თვალიერებას შეუდგნენ; უეცრად, სამივემ გამჭოლი მზერა იგრძნო, საკურთხეველისაკენ მიიხედეს და ხორცშესხმული ელისო დაინახეს, რომელიც განათებული თვალებით და მომღიმარი სახით მათ უცქერდა.

ბიძინა, გაბრიელისა და ივანეს სახის გამომეტყველებით, და შექმნილი სურათით მიხვდა, რომ ეს ის გოგო უნდა ყოფილიყო ვინც ცოტახნის წინ მის მანქანაში ჰაეროვანი ბურთით წარმოუდგა, და კარგა გვარიანი შიში აჭამა.

- ღმერთო დიდება შენ! - პირჯვარი გადაიწერა ბიძინა ფიფიამ.

- ელისო, შენ შემოგევლე. - სუნთქვასთან ერთად აღმოხდა გაბრიელს. ხოლო, ივანე ჯერ გაშტერებული იდგა, მერე გაქანდა და ელისოს გადაეხვია. ყველამ მას მიბაძა.

ეკლესიაში მყოფი მღვდელი ალექსანდრე ოთხივეს მიჩერებოდა და ვერ გაებედა ეკითხა, თუ რა იყო მიზეზი

მათი ასეთი უზომო სიხარულისა; ეს ივანემ შეამჩნია და ყოველივე მოუთხრო. მღვდელი ჯერ დაფიქრდა და ბოლოს თხოვნით მიმართა:

- მოდით ამის შესახებ არავის არ ვუამბოთ. - და, ელისოს პირჯვარი გადაწერა.

- მართალია მამაო. - ყველა დათანხმდა, და ეს თანხმობა თითოეულის მხრიდან უფრო თხოვნა იყო, საკუთარი თავის მიმართ.

- გარეთ რომ გახვიდე, რა მოგივა ნეტა. - დაინტერესდა გაბრიელი, და ელისოს მომღიმარ სახეს თვალს ვერ აცილებდა.

- ისევ სულის ციცინათელად გადავიქცევი, ალბათ. - სევდა ნარევი ხმით უპასუხა ელისომ.

- მამა ალექსანდრე, ეს ასე რატომ ხდება? - იკითხა ივანემ.

- ეკლესია სულის სახლია და ამიტომ. - უპასუხა მამაომ.

- თუ ჩემი ბინა... ერთი ოთახი მაინც ვაკურთხე, მაშინ ელისო იქ ხორცშესხმული იქნება? - იკითხა ივანემ.

- ალბათ, მაგრამ, მე მგონი მარტო კურთხევაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. - და, თავისივე კითხვის პასუხის ძიებაში გულის ეკლესიის ლაბირინთებში დაიკარგა.

- მამაო დაგვეხმარე. - ერთდროულად მიმართეს თხოვნით გაბრიელმა და ივანემ; ხმაზე მამა ალექსანდრე ისევ ჩვეულ გარემოში დაბრუნდა.

- კარგით. - დაეთანხმა მამა ალექსანდრე.

- ახლა რა ვქნათ? - იკითხა ბიძინამ.

- ყველამ ერთად ვილოცოთ, და რისთვისაც მოხვედით იმ საქმეს მიხედეთ. - მშვიდათ უპასუხა მამამ.

ლოცვის შემდეგ, ცოტახანში, ეკლესიის ეზოში, ბალახზე ოთხი მამაკაცი ფეხმორთხმულები ისხდნენ და იბერიის ხსნაზე საუბრობდნენ, ელისო კი ხან მათ თავზე დაფრინავდა ჰაეროვანი პეპელას სახით, ხან კი, ეკლესიაში შეფრინდებოდა და ეკლესიის კარის ზღურბლიდან, უკვე ხორცშესხმული, უცქერდა საუბარში ჩაძირულ მამაკაცებს.

- იბერიას გაუმარჯოს! დრო მოვა და გაბრწყინდება. - მამამ ღვინით სავსე ჭიქა აღმართა, ცაში აიხედა, თითქოსდა იქ ვიღაცას ეძებდა და, მერე, ჭიქა სასმელისაგან ბოლომდე დაცალა.

- გაუმარჯოს! - ერთხმად აიტაცეს დანარჩენებმა სადღეგრძელო და მათაც დაცალეს სასმელისაგან ჭიქები.

- სულის სიწმინდეს გაუმარჯოს! - და, ბიძინამ ეკლე-სიისკენ გაიხედა, იქ ელისო ეგულებოდა.

ყველა მიუხვდა სადღერგძელოს:

- ელისოს გაუმარჯოს! ელისოს!

და, ასე შეძახილებით შესვეს ღვინო.

ელისომ თავისი სახელი, რომ გაიგონა გარეთ გამოფრინდა და იკითხა:

- ჩემი სადღეგრძელო დალიეთ?

- შენი. სულის სიწმინდის. - უპასუხა მამა ალექსანდრემ.

- სულის სიწმინდე არის მანკიერი ვნების საწინააღმდეგო სათნოება. ესაა სხეულის განშორება ცოდვაში ჩავარდნისგან

და ყველა იმ მოქმედებისგან, რომლებსაც ცოდვასთან მივყავართ; ესაა გონების განშორება ბოროტი აზრებისა და მაცდური ოცნებებისგან, და გულის განშორება – მანკიერი შეგრძნებებისა და ლტოლვისაგან. ასეთ სათნოებას მოჰყვება სხეულის განშორება ხორციელი გულისთქმისაგან. ჭეშმარიტად უბიწოა, ის ვინც არა მხოლოდ სხეულს იცავს ბოროტისაგან... არამედ მისი სხეულის ყველა ნაწილი იცავს სულიერებას... და შინაგან ადამიანის სამყაროში მისი სულიერი ზრახვები არ შეერწყმიან მანკიერ აზრებს, რომელსაც დემონი გვიგზავნის. - და, გაბრიელმა ღვინით სავსე ჭიქა ერთი სულის მოთქმით ბოლომდე დაცალა.

- გაიხარე და იყავ დალოცვილი. - დალოცა მამაომ გაბრიელი.

გაბრიელს ღვინო მოეკიდა და უფრო თამამად დაიწყო იმ საკითხზე საუბარი, რომელიც ასე ძლიერ აწუხებდა:

- ჩვენ დროზე თუ არ დავაღწიეთ თავი რუსეთის მონობას, გადავშენდებით. რუსების დამარცხებას მარტო ვერ მოვახერხებთ, ამისათვის უნდა დაუკავშირდეთ სოფელ ღვთაების მოსახლეობას, მე ზუსტად ვიცი, რომ ეს სოფელი არსებობს მართალია სხვა განზომილებაშია, მაგრამ მათვის ხმის მიწვდენა შესაძლებელია; მათ თავის განზომილებაში დაამარცხეს ბოროტება, ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენს განზომილებაში მოვიპოვოთ გამარჯვება, მერე ერთად შევიკრობოთ და საბოლოოდ ბოლო მოვუღოთ ეშმაკისეულ ჯარს, რომელიც დღითიდღე ძლიერდება და ძლიერდება.

- მეც, თქვენთან ვარ. - ამაღლებულმა და სიამაყით წარმოთქვა ბიძინამ.

- აი, უკვე ხუთნი ვართ, - გახარებულმა წარმოთქვა ივანემ.

- მაგრამ, ხმა როგორ უნდა მივაწვდინოთ? - იკითხა სულის ციცინათელამ.

- ამის შესახებ იმ წიგნში წერია ამ დილით, რომ ვკითხულობდით შენი წყალობით. - მიუგო გაბრიელმა ელისოს.

- ჰო-და ახლა სახლში, რომ წავალთ გავაგრძელოთ კითხვა. - ელისოს მოუსვენრობა შეეტყო.

- ისე კი უკვე დაბინდდა, და მართლაც წასვლის დროა. - შენიშნა მამამ.

- ჰო, ჯობია წავიდეთ. - დაეთანხმა ივანე და ყველა წამოიშალა.

დაახლობით საღამოს თერთმეტ საათზე ხუთივე გაბრიელის ბიბლიოთეკაში შეკრებილიყვნენ და სულის ციცინათელას დახმარებით წიგნს კითხულობდნენ:

- დროის შეგრძნება დამოკიდებულია მოვლენების სივრცითი აღქმის სიხშირის აქტივობის უნარზე და ეს განსაზღვრავს სიცოცხლის ხანგრძლივობას, ამდენად ძნელი დასადგენია პეპელა უფრო დიდხანს ცოცხლობს თუ ადამიანი. ანუ, ცოცხლობს ის უფრო დიდხანს ვისაც უფრო მეტი სივრცითი აღქმის სიხშირის უნარი გააჩნია; დრო თავისთავად არ არსებობს ის ჩვენშია როგორც მოვლენების აღმნუსხველი, და რაც უფრო მაღალი აქვს ადამიანს

სივრცითი სიხშირის აქტივობის აღთქმის შესაძლებლობა მით უფრო მაღალია პარალერულ სამყაროში შეღწევის უნარი. მაგრამ, პარალელურ სამყაროში შეღწევა გარდაქმნის გარეშე შეუძლებელია. ესე იგი ადამიანი პეპლის მსგავსად გადის გარდაქმნის სტადიებს და ...

მაგრამ, ივანემ კითხვა შეაწყვეტინა:

- მაშინ გამოდის, რომ ელისოს შეუძლია პარალელურ სამყაროში შეღწევა.

გაბრიელმა მზერა წიგნს მოაცილა და ივანეს გახედა:

- როცა ვერ ვხედავთ, მაშინაა ელისო პარალელურ სამყაროში. მე, ასე მგონია.

- კი, მაგრამ ეკლესიაში ხორცი, რომ შეისხა? - გაკვირვებულმა იკითხა ბიძინამ.

გაბრიელმა და ივანემ ჯერ გაკვირვებით შეხედეს ბიძინას, მერე ერთმანეთს.

- ბიძინა, როგორც ვხვდები შენ ჩვენიანი ხარ და მიხარია შენი სახით მეგობარი, რომ შევიძინეთ. რაც შეეხება ეკლესიაში ხორცშესხმას ეს არის სულის მაღალი მიმზიდველობის უნარი. სულს შეუძლია იმ მოლეკულების შემოკრება, რომელიც ჰქმნის ადამიანის სტრუქტურას და, თუ კი, ლაზარეს აღდგომის შემთხვევაში სხეულმა სული დაიბრუნა, მითუმეტეს შესაძლებელია სულმა სხეული შეისხას.

- მაგრამ, ასე უეცრად? - ისევ იკითხა ბიძინამ.

- ჰო, ასე სწრაფად. მაგრამ, არა ფუნქციური თვისებებით. ფუნქციური თვისებების ჩამოყალიბებას სჭირდება დახუ-

რული სივრცე, გარკვეული პირობები და დრო. აი, ისეთი როგორიც ქალის საშოშია. ამასთან, საკითხავია თუ რამდენად სწრაფად შეისხამს ადამიანის სტრუქტურას; ამ შემთხვევაშიც ფარდობითობის თეორიის გათვალისწინება გვმართებს, - გაბრიელი ჩაფიქრდა და დაამატა: - ადამიანის სხეულის ოთხმოცდახუთი პროცენტი წყალია, ადამიანი სხეულის სიმყარეს კი გონება უზრუნველყოფს; სიკვდილის შემდეგ სხეული დაშლას იწყებს, ანუ გახრწნას, რამეთუ მისი გამაერთიანებელი გონება სულთან ერთად სტოვებს სხეულს.

- გასაგებია. - მშვიდათ უპასუხა ბიძინამ.

- მეგობრებო ბოდიში, მაგრამ, ჩემი სახლში წასვლის დრო ახლოვდება და სჯობია წაკითხვა გავაგრძელოთ, - ითხოვა ალექსანდრემ.

- ესე იგი ადამიანი პეპლის მსგავსად გადის გარდაქმნის სტადიებს და ეს არის მისი სასიცოცხლო ციკლი, რომელიც გაივლის თორმეტ საფეხურს. - კითხვას დაუბრუნდა გაბრიელი. - უსმენოს ვერ დაარწმუნებ, რომ სმენა არ აქვს და ის მაინც მღერის, მაგრამ, ჩვენ ხომ გვაქვს სმენა.

- „ამ დროს წესიერი ადამიანი აცლის უსმენოს, რომ მან თავისი სურვილი დაიკმაყოფილოს, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს მისთვის, რადგან იცის, რომ არც მას და არც უსმენოს არ ესმის ის რაც უნდა გაიგოს, მაგრამ სჯერა და რწმენით აღწევს ამას. ახლა კი დაასრულეთ წაკითხვა და ხვალ გააგრძელეთ“.- უეცრად ადამიანურ ენაზე ალაპარაკდა წიგნი.

- ვაიმე, ეს წიგნი მართლაც ცოცხალია, გვაკვირდება და გვაკონტროლებს; როგორ ზრდილობიანად შეგვაფასა. - და, გაბრიალმა მამაოს შეხედა.

- სჯობს დავასრულოთ და სახლებში წავიდეთ... მეტნაკ-ლებად ყველა წიგნი ცოცხალია, რამეთუ ჩვენს გონებაში აცოცხლებს მასში დაწერილ ამბავს. - აღნიშნა მამაომ და წასასვლელად მოემზადა.

ცოტახანში გაბრიელი მარტო დარჩა. ჩაეშვა სავარძელში და ფიქრს მიეცა.

- ,,სალამ-მალეიქუმ". - სადღაც სივრციდან გაისმა ხმა.

- ვინ ხარ? - გაკვირვებულმა იკითხა ანდრიამ.

- აზერბაიჯანელი. - მოკლედ უპასუხა ვიღაცამ.

- დამენახე. - ითხოვა გაბრიელმა.

და, ფარდის უკნიდან მოციმციმე ბურთი გამოცურდა.

- მეც თავისუფლებისათვის მებრძოლი სული ვარ, აზერბაიჯანიდან ვარ. - სევდიანი ხმით უპასუხა სულის ციცინათელამ.

- რა გქვია? - კითხა გაბრიელმა.

- მუსლიმი. - უპასუხა სულის ციცინათელამ.

- მუსლიმი, მუსლიმი, თქვენ აზერბაიჯანელებს კარგი მომღერალი გყავდათ მუსლიმ მაგომაევი, - და, ისევ რამოდენიმეჯერ გაიმეორა გაბრიელმა: - მუსლიმი, მუსლიმი.

- ჰო, მუსლიმი. მეც ინჩ-რუს-უზუმეს მსხვერპლი ვარ. მე, და ჩემი თანამემამულენი 20 იანვარს დაგვხოცეს. - სევდიანი ხმით უპასუხა მუსლიმმა.

- ოჰ, - მძიმედ ამოიოხრა გაბრიელმა და ჰკითხა: - აქ იბერიაში როგორ აღმოჩნდი? თან როგორც ვხვდები მომავლიდან ხარ.

- ჩვენ აზერბაიჯანელებს გვიყვარს იბერიელები, გამეგო თქვენი ტკივილი, მაგრამ, სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდი სიმწარეს, მანამდის ის გაუცნობიერებელია, და როცა მომკლეს სულმა თავად ისურვა თქვენსკენ წამოსვლა, მაგრამ, თითქმის ერთი წლით უკან, სულის ტრანსფორმაციას დიდი დრო დასჭირდა და ამიტომაც ვერ მოვუსწარი თქვენს ტრაგედიას.

- არ ინერვიულო, მაინც ვერაფერს შეცვლიდი. წარსულში ცვლილებების შეტანა ძნელია, თითქმის შეუძლებელია; მოსახდენი მაინც მოხდებოდა, - დაამშვიდა გაბრიელმა, თან გაიფიქრა: - „იქნებ შეცვლილიყო“.

- ახლა რას აპირებთ? - იკითხა მუსლიმმა.

- რას ვაპირებთ და რა უნდა გავაკეთოთ? ჰოო, ვცდილობთ ეს ამ წიგნში ამოვიკითხოთ. - და, გაბრიელმა შინდისფერყდიანი წიგნი აჩვენა.

- ეს სახარებაა? - იკითხა მუსლიმმა.

- არა ეს იბერიელთა ცოცხალი წიგნია. - და, გაბრიელმა წიგნი ხელში აიღო.

- გადაფურცლე, იქნებ ჩემთვის საინტერესო რამე ეწეროს. - სთხოვა მუსლიმმა.

გაბრიელმა ალალბედზე გადაშალა წიგნი და მუსლიმს სთხოვა ფურცლი თავისი ნათებით გაენათებინა.

მუსლიმმა თხოვნა შეუსრულა, და გაბრიელმა ამოიკითხა:

- გაერთიანდება აზერბაიჯანელი და იბერიელი ერი და ერთად დაამარცხებენ ინჩ-რუს-უზუმეს, შემდეგ თავისი ძმობის ნიშნად კუნძულივით მოქცეულ მთაზე ძმობის ობელისკს აღმართავენ და ზედ ორ ენაზე დააწერენ: - ,,ჩვენ ორი ერის ხალხი სამუდამოდ ვდებთ ფიცს ჩვენი ღმერთების წინაშე, რომ არასოდეს ვუმტრობთ ერთმანეთს და გაჭირვების ჟამს ერთად ვიქნებით“.

- ეს მომეწონა! - აღფრთოვანება ვერ დამალა მუსლიმმა.

გაბრიელმა წიგნი დახურა და ისევ, მის გვერდით მდგარ მაგიდაზე დააბრუნა.

- მაინც რა მოხდა თქვენთან? - ჰკითხა გაბრიელმა და ჩაასწორა: - ჩემი დროის მდგომარეობის მხრიდან უფრო სწორი, იქნება თუ ვიკითხავ: - რა მოხდება? - გაბრიელს გაეღიმა თავის ჩასწორებაზე.

- აი, რა მოხდა ჩვენთან. - და, მუსლიმმა დაწვრილებით დაიწყო მომხდარის თხრობა:

- 1989 წელს შეიქმნა სახალხო ფრონტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას, და მთიან კარაბახში მიმდინარე პროცესების სამართავად. ეს შენი დროის ფარგლებშია - ბოლო ნათქვამზე მუსლიმსაც გაეღიმა, გაეღიმა გაბრიელსაც.

- თქვენი მთავრობა ამ გარემოებას როგორ შეხვდა? - შეაწყვეტინა თხრობა გაბრიელმა.

- ცუდათ. აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს აიზა მუტალიბოვას, დაურეკა ცენტრალური კომიტეტის

პირველმა მდივანმა აბდურახმან ვეზიროვმა და გააფრთხილა: „მწიფდება კატასტროფა და ჩვენ უნდა მივმართოთ მოსკოვს“.

- ეს როდის მოხდა? - ისევ შეაწყვეტინა თხრობა გაბრიელმა. ამასთან აღნიშნა: ესეც მომავალიში მომხდარი მოვლენაა ჩემთვის.

- 25 დეკემბერს. - მოკლედ უპასუხა მუსლიმმა. აღარ დააზუსტა მომავალი და წარსული დროები, და განაგრძო:

- ეს, გაფრთხილება ცუდის მომასწავებელი იყო. მოსკოვში, დაიწყო მზაკრული გეგმის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებდა აზერბაიჯანელების სამაგალითო დასჯას. - მუსლიმი უკვე მომხდარს ისე ყვებოდა თითქოს, დროის ისევ იმ განზომილებაში იყო; გაბრიელიც მომავალი დროის განსაზღვრებაში მოექცა. აწყმყოს ეს არ წყენია რადგან ძალიან აინტერესებდა რა მოხდებოდა, თან თავისი შვილიშვილის - დროის, დროის ამბებს შეიტყობდა.

- რათქმაუნდა თქვენმა ხელისუფლებამ ამის შესახებ არაფერი არ იცოდა, თორემ ხალხს გააფრთხილებდა. - ვერ ისვენებდა გაბრიელი.

- „დიახ“. - ზრდილობიანად უპასუხა მუსლიმმა.

- აზერბაიჯანის ყველა რეგიონში ერთნაირი სულისკვეთება სუფევდა? - ისევ იკითხა გაბრიელმა.

- არა. ყველაზე უფრო აქტიური ნახიჩევანის მოსახლეობა იყო. აქ, ხალხმა საზღვარი მოშალა ირანთან, სურდათ ირანში გადასვლა, მაგრამ იქ არსებულმა ინჩ-რუს-უზუმეს ჯარმა ცოცხალი კედელი აღმართეს და მოსახლეობა ირანში არ

გადაუშვა; საზღვრის ზოგიერთ ადგილას, ხალხის უკან დასახევად, ჯარისკაცებმა ჰაერშიც კი ისროლეს.

- ვინ იყო სასაზღვრო ჯარების უფროსი? - ჰკითხა გაბრიელმა.

- გვარად: ჟუკოვი. იმ დროს ხალხში ხმა გავრცელდა, რომ თითქოს ჟუკოვმა ჯარისკაცებს უბრძანა დაეტყვევებინათ რამდენიმე აზერბაიჯანელი და ხალხის თვალწინ ეცემათ, ამით რომ სხვები დაეშინებინათ. ასეც მოიქცნენ, მაგრამ, ამ გარემოებამ საპირისპირო რეაქცია გამოიწვია, ხალხი უფრო გაძლიერდა და ინჩ-რუს-უზუმეს ჯარისკაცებს ქვები დაუ-შინა. - მუსლიმს ხმაში აღელვება შეეტყო.

- მერე, მერე, - მოუსვენრობა დაეტყო გაბრიელს.

- მერე... ჰო მერე რა მოხდა? - საკუთარ თავს დაუსვა კითხვა მუსლიმმა; აშკარად შეეტყო, რომ სურდა პროცესების ქრონოლოგია დაეცვა.

- ჰო, მერე, - გაუმეორა გაბრიელმა. - უფრო სწორად მერე რა მოხდება?

- საყურადღებოა თორმეტ იანვარს მომხდარი ამბავი, ჰოო: - 12 იანვარს სახალხო ფრონტის ერთმა ნაწილმა შტურმით აიღო ქალაქ ლენკორნის რამოდენიმე სამთავრობო შენობა და უკვე მეორე დღეს დაიწყო ქალაქის გაკონტროლება. ეს იყო კულმინაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, როგორც აზერბაიჯანელი ხალხის, ასევე ინჩ-რუს-უზუმეს მთავრობის გადაწყვეტილების მიღებაში. თორმეტი იანვრი-დან ბაქოში უკვე რთული ვითარება შეიქმნა. ამ, რთულ

ვითარებას ისიც ამძაფრებდა, რომ აზერბაიჯანის ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობა „სახალხო ფრონტი“ ორ ნაწილად გაიყო, მართალია ეს გაყოფა 8 იანვარს მოხდა, მაგრამ 12 იანვარს ამ აქტმა თავი ცუდათ იჩინა ანუ ხალხი დაიბნა ვის უნდა გაჰყოლოდა, რომელ ფრთას, და ხალხში ურთიერთდაპირისპირების ნიშნები გაჩნდა. ეს ძალიან აწყობდა ინჩ-რუს-უზუმეს წარმომადგენლებს, რომლებიც, ჩემი მოსაზრებით, უკვე ემზადებოდნენ აზერბაიჯანელების დასასჯელად.

- სახალხო ფრონტის ორ ნაწილად გაყოფის ინიციატორები ვინ იყვნენ? - და, გაბრიელმა გაიფიქრა: - „ჩვენთანაც იგივე მოხდება; მე, ასე ვარაუდობ და შესძლებს ნოდარ ნათაძე ერთიანობის შენარჩუნებას?“

- სახალხო ფრონტის ლიბერალური ფრთა, რომელსაც სათავეში ედგა ალიზადე, იანუსოვა და მისი მეუღლე. მაგრამ, არაფერი არ გამოუვიდათ, ხალხი ერთსულოვნებას ინარჩუ-ნებდა. რასაკვირველია ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. - მუსლიმს გულგატეხილობა შეეტყო.

- იგივე უნდათ ჩვენთანაც. - და, გაბრიელმა ისე ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს მთელი ოთახის ჰაერის ჩაყლაპვა სურდაო. და, მუსლიმს გახედა.

მუსლიმმა თხრობა განაგრძო:

- 13 იანვარს, მიტინგზე, ხალხმა მოითხოვა ცენტრალური კომიტეტის მდივნის აბდურახმან ვეზიროვის გადადგომა, იმ მიზეზით, რომ მან ვერ შესძლო მთიან ყარაბახში

აზერბაიჯანელების დაცვა. ამ, დროისათვის ხალხში ბევრი კითხვა გაჩნდა: თუ საიდან აღმოაჩნდათ საბრძოლო იარაღი სომხებს? და, კიდევ მრავალი სხვა კითხვა, მაგალითად: რატომ ეხმარება რუსეთი სომხებს?

- აფხაზეთშიც, იგივე პროცესები მიდის, ჩემმა ერთმა აფხაზმა მეგობარმა ასლან ტარბამ ჩუმად შემატყობინა, რომ რუსები აფხაზებში საბრძოლო იარაღს არიგებენ და იბერიელების წინააღმდეგ აქეზებენო, ასევე აფხაზეთში შემოსაჭრელად ამზადებენ ინჩ-რუს-უზუმეს ჯარს. მათ განსაკუთრებული იმედი აქვთ აფხაზეთში მაცხოვრებელი სომხების; თურმე მათ წინასწარ კულტურული ავტონომიის და ბოლოს კი სომხეთის რესპუბლიკის შექმნასაც დაპირდებიან. აი, ზუსტად იგივე სცენარია რაც თქვენთან კარაბახში და, ეჭვი მაქვს, ამაში ტრაკი ლავროვი ღებულობს აქტიურ მონაწილეობას. - გაბრიელმა ფანჯარაში გაიხედა, თითქოსდა იქ ეძებდა პასუხს, მერე თვალები მოჭუტა და გონება სივრცეში გადაისროლა, სურდა წინასწარ განეჭვრიტა თუ რა შეიძლება მომხდარიყო აფხაზეთში.

- ჰო, ვიცი ის სომეხია, და სწორედ ის ხელმძღვანელობს ინჩ-რუს-უზუმეს ფსიქოლოგიის ხალხის ჩამოყალიბებას რუსეთში. - უკვე გაბრაზება შეეტყო მუსლიმს.

გაბრაზება გაბრიელსაც გადაედო და აბსტრაქტული სივრციდან დაბრუნებულმა მომხდარის განჭვრეტა დაიწყო:

- მომისმინე მუსლიმ! ინჩ-რუს-უზუმეს კავშირები აქვს ირანთან, რუსეთი ირანს ატომური იარაღის დასამზადებლად

ურანს აწვდის და თან ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ამხედრებს. ამასთან კარაბახის ტერიტორიას ამზადებს თავისი სამხედრო შენაერთების განლაგებისთვის, იმ მოსაზრებით, რომ თუ ირანი განუდგა, კარაბახს როგორც სამხედრო სტრატეგიულ ობიექტად გამოიყენებს ირანის წინააღმდეგ. და, იქ ის არასოდეს შეუშვებს აზერბაიჯანელებს, რადგანაც აზერბაიჯანელები კეთილად არიან განწყობილი ირანის მიმართ, თუნდაც იმიტომ, რომ საერთო რელიგია აქვთ.

- გარდა ამისა, გორბაჩოვი და გველის წიწილა ლავროვი, ეს უკანასკნელი ჯერ აქტიურად არ ჩანს პოლიტიკურ ასპა-რეზზე, ვერ იტანენ თურქებს და სურთ თურქებისა და ირანელების დაპირისპირება. - ახლა მუსლიმმა შეაწყვეტინა საუბარი გაბრიელს.

- მართალი ხარ. სწორედ ამიტომ სურს ინჩ-რუს-უზუმეს და მათ პრეზიდენტს აფხაზეთიდან ჯერ იბერიელების განდევნა და მერე აფხაზების... - გაბრიელს კიდევ რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ მუსლიმმა შეაწყვეტინა საუბარი:

- გარდა ამისა მათ სურთ ყირიმის წართმევა უკრაი-ნისათვის და ამით სრული კონტროლის დაწესება შავ ზღვაზე. მე, ასე მგონია. - და, მუსლიმმა მზერა შუბლზე მიაბჯინა გაბრიელს.

- მაგრამ, ეს დაპირისპირებას გამოიწვევს თურქეთთან. ხომ მეთანხმები მუსლიმ. - და, პასუხს დაელოდა.

- და, ეს კი მესამე მსოფლიო ომის პროვოცირებას გამოიწვევს. - და, ახლა მუსლიმის სულის ციცინათელამ გაიხედა აბსტრაქტულ სივრცეში.

- კარგი; სჯობს ბაქოს ამბებს დავუბრუნდეთ. - ითხოვა გაბრიელმა.

მუსლიმი გამოერკვა, მიატოვა აბსტრაქტული სივრცე და თხრობა განაგრძო:

- ბაქოში ინჩ-რუს-უზუმეს წაქეზებით აზერბაიჯანელების მცირე ჯგუფმა ბაქოში მაცხოვრებელ სომხების ოჯახებს თავს დაესხა და მათი აზერბაიჯანიდან გასახლება მოითხოვეს. სწორედ ამ გარემოებამ დაუდო საფუძველი კომენდატის საათის გამოცხადებას; და, 15 იანვარს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოიცა ბრძანება: - ,,თორმეტი საათის შემდეგ შეიზღუდოს ტრანსპორტით მოძრაობა, გარდა სასწრაფო დახმარების მანქანებისა, ხოლო ადამიანების გადაადგილება საერთოდ აიკრძალოს ....“ დაახლოებით ასეთი შინაარსის ბრძანება იყო, მაგრამ ამ აკრძალვამ ხელი ვერ შეუშალა ხალხის სწრაფვას თავისუფლებისკენ და თვრამეტი იანვარიდან დაიწყო მასობრივი გამოსვლები, იზოლაციაში მოაქციეს ინჩ-რუს-უზუმეს სამხედრო ყაზარმები, ხოლო 19 იანვარს ინჩ-რუს-უზუმეს 295-ე დივიზია და სამხედრო ქალაქიც, დაკავებულ იქნა ტელეცენტრი, ამავე დღეს ნახიჩევანის ავტონომიურმა ოლქმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს გარემოება არ მოეწონათ ინჩ-რუს-უზუმეს მთავრობას და გადაწყვიტეს ამ ავტონომიურ ოლქში

მაცხოვრებელი მოსახლეობა დაეპირისპირებინათ დანარჩენ აზერბაიჯანელებთან, მაგრამ აქ დადებითი როლი ირანმა შეასრულა და რუსეთს შეუთვალა, რომ ამგვარი ქმედება დიდ ომს გამოიწვევდა. მაშინ, რუსეთმა გადაწყვიტა აზერბაიჯანის ცენტრალურ მდივნად, ვეზიროვის ნაცვლად, რუსეთის უშიშროების კადრი და აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის უფროსი ბაგიფი გუსეინოვი დაენიშნა.

- ხედავ შენ, ჩვენთანაც ასე სურთ, იგორ გიორგაძის დანიშვნა. და, იცი ამას რა მოჰყვება? - ჰკითხა გაბრიელმა.

მუსლიმმა თხრობა შეწყვიტა და დაუფიქრებლად უპასუხა გაბრიელს:

- ვიცი, გიორგაძე შემოიყვანს ინჩ-რუს-უზუმეს უშიშროების ჯარს, რომელიც მასიურ რეპრესიებს განახორციელებს.

- მართალი ხარ. და, ბოდიში, რომ თხრობა რამდენიმეჯერ შეგაწყვეტინე; გთხოვ გააგრძელე.

მუსლიმმა განაგრძო:

- ინფორმაციის შეზღუდვის მიზნით ინჩ-რუს-უზემეს შინაგანმა ჯარმა ააფეთქა ტელევიზიის მკვებავი ელექტრობლოკი. ქალაქი ბაქო ნახევრად ჩაბნელდა; დაიწყო საჯარო შენაერთების გადმოსროლა რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან ბაქოში, მოსკოვიდან ჩამოვიდა ანდრეი გირენკო, ევგენი პრიმაკოვი და წითელი ვირთხების ჯარების მარშალი დიმიტრი იაზოვი, ასევე გენერალი ვალენტინ ვარენნიკოვი; ერთად შეიმუშავეს მომიტინგეების განადგურების გეგმა. და ...

და, მუსლიმს ხმა ჩაუწყდა.

- კარგი, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი წინასწარ რა მოხდება ბაქოში, მაინც დავახასიათებ პროცესებს. - და, გაბრიელმა თავისი დროის განზომილებიდან, წარმოდგენით დახატა სურათი, სწორედ ისეთი როგორიც მოხდებოდა და უკვე მოხდა მუსლიმისათვის ბაქოში:

- ჯერ ალყას შემოარტყამენ მომიტინგეებს, მერე გაზს გაუშვებენ და კეტებით დაერევიან მოსახლეობას, ამასთან ამორჩევით ესვრიან ადამიანებს ანუ ესვრიან მათ ვინც უფრო აქტიურად მოიქცევა. ხოლო, შენი დროის განზომილებით - იქცეოდა; ხომ მართალი ვარ? - ჰკითხა გაბრიელმა მუსლიმს.

- ჰო, საიდან მიხვდი. - გაუკვირდა მუსლიმს.

- საიდან? და ჩვენთან ზუსტად ასე მოქმედებდნენ. - გაბრიელს, დაძაბულ ტუჩებზე ირონიული ღიმილი გამოეკვეთა.

- იცი, ერთი ახალგაზრდა ჭაბუკის გმირობამ გამაოცა, ეს მოხდა ოცდასამ იანვარს, ის თავის მეგობართან ერთად ლექციაზე მიდიოდა, ოოო ეს საშინელება იყო, არც კი მინდა გახსენება. - მუსლიმს თვალები ცრემლით აევსო.

- თუ გიმძიმს არ მოჰყვე. - გაბრიელს მუსლიმის ტკივილი გადაედო.

- არა მოჰვყვები, - მუსლიმმა თხრობა განაგრძო:

- და, როცა უნივერსიტეტს მიუახლოვდა, შეამჩნია თუ როგორ ურცხვად მიათრევდა მთვრალი რუსი ჯარისკაცი პატარა გოგონას, დაახლოებით თოთხმეტი წლის თუ იქნებოდა, არც დაფიქრებულა და იმ რუს ჯარისკაცისკენ გაქანდა,

ხელი ჰკრა, გოგონამ დრო იხელთა და გაიქცა. ამ საქციელით გაცოფებულმა რუსმა ჯარისკაცმა ავტომატის კონდახი დაჰკრა მკერდში და წაქცეულს ფეხებით ცემა დაუწყო, სხვა რუსი ჯარისკაცებიც წამოეშველნენ. მერე წამოაყენეს და პირდაპირ თავში ესროლეს, ის ახალგაზრდა ბიჭი სავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

- რა გვარის იყო? - გაბრიელი წარმოდგენით მუსლიმის დროის განზომილებაში მოექცა.

- ალმამედოვ, თეიმურ იახიას ოღლი.

ეს რაა, უარესი აქვთ გაკეტებული:

- ბაგიროვ, ტელმან მელიკ ოღლი, რომელიც მილიციის უმცროსი სერჟანტი იყო და წესრიგს ამყარებდა ხალხის წინ დახვრიტეს. ხოლო მეხანძრე იუსუპოვ, ოლეგ კერიმოვიჩი „კომუნისტის“ რედაქციის შენობაში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად მიდიოდა, და სახანძრო მანქანაში ჩაცხრილეს რუსმა ჯარისკაცებმა. ასევე საერთოდ უდანაშაულო გასანოვ, სახიბ ნასიბ ოღლი, თავისი მანქანით სამსახურში მიდიოდა, რუსმა ჯარისკაცებმა უმიზეზოდ ჩაცხრილეს მანქანაში. და, ყველაზე საშინელი იცით რა იყო? სადიგოვ, იუსიფ ალლახვედრი ოღლის სიკვდილი. იუსიფი ასპირანტი იყო და თემის დასაწერად წიგნი ჭირდებოდა, რომელიც მის მეგობარს ჰქონდა, სწორედ ამ მიზეზით გამოვიდა ღამე, თორმეტი საათის შემდეგ და როგორც უკვე გითხარი კომენდატის საათი იყო შემოღებული; დაიჭირეს იუსიფი, ცოცხალს მკლავი

მოაჭრეს, შემდეგ კი ძირს დააგდეს და ტანკით გადაუარეს. საცოდავმა დედამისმა მოჭრილი მკლავით იცნო შვილი.

- მუსლიმ იცი რა არის ბოროტება? - საუბარი შეაწყვეტინა გაბრიელმა.

- ახლა უკვე ვიცი. - მუსლიმმა ისე ამოიოხრა, რომ გაბრიელს ეგონა ესაა-და გულს ამოაყოლებსო.

დაახლოებით ათ წუთიანი სიჩუმე ჩამოვარდა. გაბრიელი ხედავდა, რომ მუსლიმს უჭირდა ტრაგიკული მოვლენების მოყოლა და შესთავაზა:

- გინდა ვილნიუსის ამბებზე ჩანაწერი მოგასმენინო? ვილნიუსის ამბავი თბილისის ამბების შემდეგ მოხდება. ხომ იცი? - ჰკითხა გაბრიელმა.

- ძალიან მაინტერესებს. - და, მუსლიმი სმენად გადაიქცა.

გაბრიელმა, ჯიბიდან ფიჭური ტელეფონი ამოიღი და ალგიდასის ხმა ჩართო. ეს ჩანაწერი მან გააკეთა როცა ის საკვალიფიკაციო კურსებზე იყო დაბა ბრონიცაში, ალგიდრასის სულის ციცინათელა, მუსლიმის მსგავსად დროის უკან ტრანსფორმაციის წყალობით გაბრიელთან მიფრინდა, სურდა დახმარებოდა და ეუწყა თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო 9 აპრილს თბილისში, მაგრამ, წარსულში ტრანსფორმირება და მითუმეტეს რაიმეს შეცვლა შეუძლებელია, თან უკვე რუსთაველის პროცპექტზე პროცესებს ეშმაკი განაგებდა:

მომავლიდან გაისმა ალგიდრასის ხმა:

- „1991 წლის 7 იანვარს ლიტვის მთავრობამ გაზარდა ფასები საკვებ პროდუქტზე. პრომოსკოვურმა ძალებმა, კომუნისტებმა, მეორე დღესვე გამართეს მიტინგი ლიტვის პარლამენტის შენობის წინ. მათ პროდუქტებზე ფასების ზრდა გააპროტესტეს და ლიტვის მთავრობის გადადგომა მოითხოვეს. ადგილი ჰქონდა პარლამენტის შენობაში შეჭრის მცდელობასაც. თავის მიმართვაში ლიტვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვიტაუტას ლანდსბერგისმა დამოუკიდებლობის მომხრე ლიტველებს ტელევიზიიდან მოუწოდა – არ დაეშვათ პროსტსაბჭოთა ძალების მიერ პარლამენტის და სხვა სამთავრობო შენობების აღება“.

ჩანაწერიდან ჩანდა, რომ ალგიდრასი ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა, ამიტომაც ნელა საუბრობდა და მოვლენების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას იცავდა:

- „8 იანვარს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში იმსჯელეს ლიტვაში შექმნილ ვითარებაზე. აღნიშნეს, რომ ლიტვიდან მიიღეს ბევრი შეტყობინება, რომელთა ავტორებიც საკავშირო ხელმძღვანელობას რესპუბლიკაში წესრიგის დამყარებას სთხოვდნენ. 9 იანვარს ლიტვის პარლამენტის შენობის წინ კვლავ შეიკრიბნენ პრომოსკოვური ძალები ლოზუნგებით: „ძირს პარლამენტი!“ „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“ 10 იანვარს სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა მოითხოვა ლიტვაში საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების აღდგენა. 11 იანვარს საბჭოთა სამხედროებმა ვილნიუსში სხვადასხვა შენობე-

ბის დაკავება დაიწყეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვში გააგზავნა საპროტესტო ნოტა. მასში დაგმობილი იყო ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსი სამხედროების საოკუპაციო მოქმედებები. იმავე დღეს ლიტვის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლიტვის სსრ „ეროვნული“ ხსნის კომიტეტის შექმნის შესახებ გამოაცხადა. აღნიშნული კომიტეტი თვითნებურად თავს ლიტვის ხელისუფლებად აცხადებდა“.

- როგორც ალგიდრასის მონათხრობიდან ჩანს, ჩვენი მთავრობისაგან და ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ლიტვის პარლამენტი და მთავრობა ეროვნული მოძრაობის მხარეზე დადგა. - აღნიშნა მუსლიმმა, და თხრობის თანმიმდევრობას გააყოლა გონება.

საუბრიდან ჩანდა, რომ ალგიდრასს ეს მოვლენები კარგად ჰქონდა შესწავლილი:

- „12 იანვარის ღამეს ვილნიუსში საბჭოთა სამხედრო ტექნიკის 2 კოლონა შევიდა. ერთმა გეზი პარლამენტის შენობისკენ აიღო, მეორემ კი ტელე - ცენტრისკენ. რუსეთის ტანკებს ორივეგან ლიტველები შიშველი ხელებით ებრძოდნენ. იმ ღამეს ტელეცენტრთან დაიღუპნენ და დაიჭრნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალებიც. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში მომხდარზე პაუსხისმგებლობა, ცხადია, არავის აუღია. გორბაჩოვმა სთქვა, რომ საერთოდ არაფერი იცოდა საბჭოთა სამხედროების ამ აქციის შესახებ, რომ ინფორმაცია მას დილით მიაწოდეს. საბჭოთა კავშირის

თავდაცვისა და შინგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებმა იაზოვმა და პუგომაც უარჰყვეს მომხდართან კავშირი, თქვეს, რომ ბრძანება მათ არ გაუციათ“.

ალგიდრასის, ამ ბოლო ნათქვამზე, გაბრიელს მაშინაც ირონიულად გაეღიმა როცა პირველად უსმენდა დაბა ბრონიცაში და ახლაც.

ფიჭური ტელეფონიდან ისმოდა დამაჯერებელი ალგიდრასის საუბარი:

- „მაგრამ, ლიტველები არ თმობდნენ თავის პოზიციებს, საბჭოთა სამხედროების მიერ, უფრო სწორად რუსების მიერ ჩადენილი დანაშულის შესახებ ბევრმა ლიტველვმა სასამართლოში იჩივლა“.

ჩანაწირი დამთავრდა ალგიდრასის მოწოდებით:

- „იბერიელებო! თუ გინდათ რეალურ თავისუფლებას მიაღწიოთ, რუსეთის წინააღმდეგ თქვენც უნდა აღძრათ საქმე სასამართლოში, რომლის ბოლო ინსტანცია სტრანსბურგის სასამართლო უნდა იყოს“.

- მართალი უთქვამს, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. - აღნიშნა მუსლიმმა.

- ჰო, მომავლის საქმეა. მოდი ახლა, პოლიტიკური რაკურსიდან განვსაჯოთ თუ რა მოხდა და მოხდება ბაქოში, ვილნიუსსა და თბილისში, და რას შეიძლება ველოდოთ ოცი წლის შემდეგ, და რა გზას უნდა დავადგეთ. ეს არ უნდა გაგვიჭირდეს რამეთუ ინფორმაცია გვაქვს აწყმოსი და წარსულისაც.

- დიახ, და დაიწყეთ თუ შეიძლება. - ზრდილობიანად მიმართა მუსლიმმა გაბრიელს.

- დღევანდელი დღიდან გამომდინარე მცირე ქვეყნის პოლიტიკის მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს საკუთარი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება; ამდენად, ამ ქვეყნისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი თეორიების სიღრმესეული ანალიზი როგორიცაა „კოლექტიური სარგებლიანობის თეორია“ და, ასევე, „რაციონალური არჩევანის“ მოდელის ფარგლებში შექმნილი თეორიები და, განსაკუთრებით კი, „მომავლის უსაფრთხოების“ თეორია. ამ მიმართებაში გასათვალისწინებელია ანტიკური დროის მკვლევარის თუკიდიდეს შეხედულება; მას მიაჩნდა, რომ პელოპონესის ომის დაწყების მთავარი მიზეზი იყო შიში, ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოს ძლიერების განუხრელი ზრდისა. თუმცა ასეთ შიშს, როგორც ომების წარმოშობის მიზეზს, იგი არა იმდენად ადამიანის ბუნებას უკავშირებს, რამდენადაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხასიათს. კერძოდ კი იმას, რომ მსოფლიოში არ არსებობს ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც თანაბარ წესებს გაავრცელებდა საერთაშორისო ურთიერთობასა და პოლიტიკაში მონაწილე ყველა სუბიექტის მიმართ. ამ მიდგომას თანამედროვე პოლიტიკოსების უმრავლესობა არ იზიარებს; და, მართალია, მეორე მსოფლიო ომმა ასეთი მიდგომის აუცილებლობა დაგვანახა, მაგრამ, პოლიტიკოსებს მოკლე მახსოვრობა აღმოაჩნდათ.

- მართალი ხარ. და, მაინც - დაეთანხმა მუსლიმი და თავისი ხედვა გაუზიარა გაბრიელს:

- აი, ისეთი ცნობილი ამერიკელი მეცნიერები როგორებიც იყვნენ მორგენთაუ, ნიბური, ქენანი, ქისინჯერი მიაჩნიათ, რომ მთლიანობაში საზოგადოება, ობიექტური კანონებით იმართება, რომლის ფესვებიც ადამიანის უცვლელ ბუნებაშია; მათ მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოს ძლიერება შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი, მოსახლეობა, მთავრობა. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მაინც სამხედრო ძლიერება მიაჩნდათ.

- სწორია, - გააგრძელა გაბრიელმა. - მათ ამ მოსაზრებას ვეთანხმები... მაგრამ, რუსეთის ფაქტორის არსებობის პირობებში მიმაჩნია, რომ თუკიდიდეს დებულება არც თუ ისე რეალურია, რამეთუ როგორც ცნობილია პოლიტიკა ავტონომიურია ეკონომიკის, ეთიკისა თუ ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებისაგან, ყოველშემთხვევაში რუსული პოლიტიკა ასეთია და თანაც არაპროგნოზირებადია. ამიტომაც, პოლიტიკის სფეროში ქმედებების შეფასება არ უნდა დაიწყოს არა საყოველთაო ზნეობრივი ნორმებისა და წესების თანახმად არამედ უნდა მოხდეს, მისი მოსალოდნელი პოლიტიკური შედეგიანობის მიხედვით და შემდგომში უნდა მოხდეს ზნეობრივი ნორმების დანერგვა, ანუ რუსეთის მიმართ პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს არა იქიდან, თუ რა უნდა იყოს, არამედ რეალური მდგომარეობიდან, იქიდან

რაც არის და ზნეობრივ ფაქტორებს უნდა შეხედო, როგორც ხაფანგი.

- მაგრამ, - და მუსლიმმა გააგრძელა: საერთაშორისო სისტემა იერარქიული ხასიათისაა, ანუ მასში დიდი სახელმწიფოები ბატონობენ, და პატარა სახელმწიფოების სუვერენული სტატუსი სრული უაზრობა ხდება.

- დიახ, მე, არ გეწინააღმდეგები, რეალობაში - ჩაერთო გაბრიელი, - დიდ მნიშვნელობას იძენს სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორია, ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია და საფრთხის წონასწორობის თეორია. ამ თეორიებიდან მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორების თეორია, რამეთუ ეკონომიკურ ფაქტორებს საერთაშორისო პოლიტიკაში პოზიტიური როლის შესრულება შეუძლიათ.

- არანაკლებ მნიშვნელოვანია საფრთხის წონასწორობის თეორია. - გაბრიელს სათქმელი მოუჭრა მუსლიმმა.

- დიახ, დაეთანხმა გაბრიელი, და მუსლიმის მიერ წამოჭრილი თეორიის ახსნას შეუდგა: ეს თეორია ძირითადად აგებულია ამერიკელ მეცნიერის სტეფან უოლტის მიერ. ამ მეცნიერმა აღნიშნული თეორია ძალთა წონასწორობის თეორიის დაშვებების გადამოწმების გზით შექმნა. აღნიშნული თეორია, რომელიც, მიუხედავად იმისა, თითქოსდა რეალიზმის პარადიგმის ფარგლებშია მოქცეული და უფრო მეტი, ერთი შეხედვით მას საერთო აქვს პოსტკლასიკურ ან ნეოკლასიკურ რეალიზმთან, ის სცილდება სტრუქტურულ რეალიზმს, რაც მის პრაქტიკულ მნიშვნელობას გარკვეულ-

წილად ამცირებს. ხოლო, ძალთა წონასწორობის თეორია სახელმწიფოს ძლიერების ძირითად ინდიკატორებად ეყრდნობა ისეთ გაზომვად ცვლადებს, როგორიცაა: სამხედრო შესაძლებლობები, მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა, მოსახლეობის რაოდენობა და ქვეყნის გეოგრა-ფიული მდებარეობა, რომელიც შესაძლოა ხელს უწყობდეს ან აფერხებდეს სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამხედრო შესაძლებლობის საერთაშორისო სისტემაში პროექციას. - და, მაინც - საუბარი განაგრძო გაბრიელმა: ზემოთ მოცემული თეორიებიდან, ბუნებრივი რესურსების შემცირების გამო, შესაძლოა დაწინაურდეს ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია. ამ თეორიის თანახმად, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათს და ტრაექტორიას. ამ თეორიის მთავარი არგუმენტია, რომ როდესაც ერთი სახელმწიფო მნიშვნელოვნად არის მეორე სახელმწიფოზე ეკონომიკურად დამოკიდებული ანუ ადგილი აქვს ასიმეტრიულ დამოკიდებულებას ეკონომიკურ ურთიერ-თობებში, მაღალია ალბათობა, რომ პირველი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოსათვის მისაღებ საგარეო პოლიტიკას გაატარებს, ამის მაგალითია რუსეთის საზღვრებთან არსებული მცირე სახელმწიფოები და მათშორის ჩვენიც. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთსა და ევროკავშირს შორის არსებული ურთიერთობის ანალიზის საფუძველზე. ეკონომი-კური დამოკიდებულების თეორიის თანახმად, ეკონომიკური

დამოკიდებულება დაქვემდებარებულ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ თავისუფლებას უზღუდავს და დამოკიდებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მარტივად პროგნოზირებადს ხდის. ეს არის მიტმასნების პოლიტიკა, რომელიც კარგად ჩანს პოსტ-საბჭოთა სივრცეში მყოფ ქვეყნების ქცევაში. მაგალითად, მილერი თვლის, რომ რაც უფრო მეტად არის რომელიმე პოსტ-საბჭოთა ქვეყანა რუსეთზე დამოკიდებული, მით უფრო მეტად ეცდება იგი უარი სთქვას დაბალანსების პოლიტიკაზე და მიეტმასნოს რუსეთს. მილერის აზრით, სახელმწიფოების ამგვარ არჩევანს ეკონომიკური და პოლიტიკური გათვლები განაპირობებს. თუ რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული ქვეყნები რუსეთისთვის არასასურველი საგარეო პოლიტიკის გატარებას შეეცდებიან მაშინ არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს ასეთი ურჩი სახელმწიფოს დასასჯელად, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას „ურჩი“ სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. შესაბამისად, მილერის არგუმენტის თანახმად, მმართველი პოლიტიკური ელიტები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაა, ეცდებიან არ გაატარონ რუსეთისთვის მიუღებელი საგარეო პოლიტიკა და საკუთარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები კრემლის ხედვებთან თავსებადი გახადონ. ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველაზე უფრო ძლიერი ინდიკატორი ენერგეტიკული დამოკიდებულებაა. ამ შემთხვევაში, ძირითადად

იგულისხმება ისეთი ენერგეტიკული რესურსები როგორიც არის ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და ნავთობი. სწორედ ეს ის რესურსებია, რომელიც ქვეყნის ეკონიმიკის და მისი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და რაც უფრო მაღალია ერთი ქვეყნის ენერგეტიკული დამოკიდებულება მეორე ქვეყანაზე, კერძოდ იბერიის, მოლდოვეთის, ლიტვის ან აზერბაიჯანის რუსეთზე, მით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ჩვენი ქვეყნები მიტმასნების სტრატეგიას აირჩევენ; ამიტომ დასავლეთის ქვეყნებმა ეს პრობლემა უნდა მოუხსნან ჩვენს ქვეყნებს. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ალტერნატიული ბაზრების არსებობის ფაქტორი რამაც შესაძლოა ევროპის ქვეყნები დატოვოს რუსული ენერგორესურსების გარეშე და მაშინ ჩნდება ბევრი კითხვა... ასეა ჩემო მეგობარო მუსლიმ, როგორც ვხედავთ ამ გარემოების არსებობა პირდაპირ განსაზღვრავს თუ როგორი ეფექტი შეიძლება გააჩნდეს სავაჭრო და ენერგეტიკულ დამოკიდებულებას თუ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ჩაანაცვლოს ერთი ბაზარი მეორეთი. მაშასადამე, გამოდის, რომ უფრო სუსტი სახელმწიფო კავშირში შეიძლება შევიდეს იმ სახელმწიფოსთან რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის მას. მაგრამ, ამასთან საყურადღებოა მიჩელ შიიჰენის შეხედულებაც: - „სახელმწიფოები კავშირში არ შედიან მხოლოდ ძლიერების წინააღმდეგ. აუცილებლად უნდა არსებობდეს საფრთხის აღქმა“. და, მართლაც, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის

ამერიკის ძლიერება 1945 წლიდან აღარ იწვევდა მათში შიშს, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი აგრესიული ქმედებებით საფრთხეს უქმნიდა, ამჟამად კი რუსეთი, რომელიც საბჭოთა-კავშირის პოლიტიკური მიზნების პირდაპირი მემკვიდრეა. როგორც ვხედავთ ვითარება არ შეცვლილა. მაშასადამე სახელმწიფოს სიძლიერე კი არ წარმოქმნის საფრთხეს არამედ თავად საფრთხე ქმნის საფრთხეს და მის პროვოკაციას ახდენს, ისეთი ფაქტორები როგორიცაა: ძლიერება - რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ძლიერება პოტენციურად მით უფრო დიდი საფრთხის შემცველია იგი სხვა ქვეყნებისათვის. როდესაც სახელმწიფოს შედარებითი ძლიერება იზრდება, სხვა სახელმწიფოებმა შესაძლოა ეს საფრთხედ აღიქვან. შესაბამისად, სახელმწიფოს შედარებითი ძლიერების ზრდამ შესაძლოა დაბალანსებისა და კავშირის ფორმირების ტენდენციას შეუწყოს ხელი. ასე რომ, ძალთა ბალანსის თეორია ბოლომდე მცდარი არ არის, თუმცა, არასრული კი არის. ძლიერება მხოლოდ ერთ-ერთი და არა მაინცდამაინც ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ფაქტორებს შორის, რაც დაბალანსების ტენდენციას ზრდის. უოლტი მიიჩნევს, რომ ძლიერება საფრთხის აღქმაში მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია. მე, დავამატებდი: მაგრამ არა აუცილებელი. ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ ძლიერება მართალია არაა ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა საჭირო ფაქტორია საფრთხის გასაზომად. და, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: ძლიერი, მაგრამ არა აგრესიული ქვეყანა შეიძლება საფრთხეს არ წარმოა-

დგენდეს, მაგრამ სუსტი ქვეყანა კი მცირე საფრთხეს წარმოადგენდეს. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ სუსტი ქვეყანა ვის მიმართ არის აგრესიული. თუ სუსტი ქვეყანა ემუქრება დიდ სახელმწიფოს, რაც ძალიან იშვიათად ხდება, მაშინ მუქარის ობიექტი მას დიდ საფრთხედ არ მიიჩნევს. თუმცა, თუკი სუსტი ქვეყანა მისსავე საპირწონეს, სუსტ ქვეყანას, ემუქრება, მაშინ ამ უკანასკნელმა შესაძლოა იგი დიდ საფრთხედ აღიქვას, მითუმეტეს თუ მას ზურგს უმაგრებს ძლიერი სახელმწიფო, მსგავსი ვითარებაა შექმნილი თქვენთან აზერბაიჯანში - სომხეთს ზურგს უმაგრებს რუსეთი. საფრთხის წონასწორობის თეორიის მთელი არგუმენტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ძლიერების ცვლადზე დაყრდნობით შეუძლებელია საფრთხის შეფასება. რადგანაც ძლიერება სახელმწიფომ ორი განსხვავებული მიზნით შეიძლება გამოიყენოს: დაემუქროს სხვა სახელმწიფოს ან არ დაემუქროს, სწორედ აქ იკვეთება იმ დამატებითი ფაქტორების მხედველობაში მიღების აუცილებლობა, რომელიც საფრთხის ადექვატურად გაზომვის საშუალებას მოგვცემს; ასეთია გეოგრაფიული სიახლოვე: სახელმწიფოები, რომლებიც ახლოს მდებარეობენ, პოტენციურად უფრო დიდ საფრთხეს უქმნიან ერთმანეთს, ვიდრე სახელმწიფოები, რომლებიც შორსაა, ჩვენთვის ასეთი სიახლოვე რუსეთია და ეს საფრთხე გაორმაგებულია. მაშასადამე, ეკონომიკური დამოკიდებულება და გეოგრაფიული სიახლოვე ქმნის საფრთხეებისა და

ასევე მიტმასნების პოლიტიკის შესაძლებლობების გარკვეულ პირობებს, რომელიც კონფლიქტური ან თანამშრომლობითი ურთიერთობების განმაპირობებელი ხდებიან ან არ ხდებიან, რაც წარმოქმნის განზრახვათა სისტემებს.

- და, მაშინ გამოსავალი სადაა? - იკითხა მუსლიმმა.

- გამოსავალი? - ცოტახანით ჩაფიქრდა გაბრიელი და განაგრძო: - გამოსავალია რუსეთის აბსოლიტური ეკონომიკური ბლოკადა, და მოწოდება ამ მოძრაობაში ისეთი ქვეყნების ჩართვისა როგორიცაა გერმანია და სხვა ევროპის ქვეყნები, ასევე: თურქეთის, ირანის და ჩინეთის. ამგვარი კოალიცია შექმნის კოლექტიური სარგებლიანობის საფუძველს, სახელდობრ: ისეთი მცირე სახელმწიფოები როგორიცაა მოლდოვა, იბერია, პოლონეთი, აზერბაიჯანი, ფინეთი და ბალტიის ზღვისპირა ქვეყნები შესძლებენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას და ინტიგრირებას რუსეთის გავლენის გარეთ არსებულ კოალიციურ სისტემაში. ასევე, ტერიტორიებს დაიბრუნებენ იაპონია და ჩინეთი. აშშ, გაიმაგრებს პოლიტიკურ პოზიციებს აფრიკისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, განიმუხტება დაძაბულობა აშშ-სა და ირანს შორის; ირანი თავისუფლად გაყიდის თავის ენერგორესურსებს ევროპის ქვეყნებში, თურქეთი მოაგვარებს ქურთების პრობლემას, დიდი ბრიტანეთი შეღავათიან პირობებში მიიღებს თხევად გაზს. საფრანგეთი, გერმანია და სხვა ევროპის ქვეყნები არ იქნებიან დამოკიდებული რუსეთის საწვავზე. და, ყოველივე ეს წარმოქმნის სამართლიანობის

პრინციპზე აგებულ გაერთიანებათა სისტემის პირამიდას, რომლის შესასვლელი ღია იქნება უკვე მორჯულებული რუსეთისათვისაც; ანუ მივუახლოვდებით თუკიდიდეს მოსაზრებას, რომ აუცილებელია: „ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც თანაბარ წესებს გაავრცელებს საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე ყველა სუბიექტების მიმართ“. ევროკავშირი ამგვარ ინსტიტუტს არ წარმოადგენს.

- ზემოთ მოცემული პირობის არ შესრულების შემთხვევაში რა მოხდება? - ისევ იკითხა მუსლიმმა.

- რა-და: გარდაუვალი იქნება მსოფლიო ომი, რაც შექმნის ქაოსს და ადამიანის მოდგმის არსებობას შეუქმნის საფრთხეს ან მსოფლიოში ყველა გარუსდება და ეს უკანასკნელი წარმოშობს ხალხთა დაპირისპირებას, ვინაიდან ერები აღარ იარსებებენ; დაიწყება კლანური დაპირისპირება, რაც მსოფლიოს მიიყვანს კლანურ გაერთიანებასთან, შედეგი: ქაოსური ომი.

- ჰოო, გეთანხმები, რამეთუ თავისუფლება ყველაზე უფრო რთული ფენომენია. და, ამ განძს არავინ არ დათმობს. - და, მუსლიმმა ამაყად მიმოიხედა გარშემო.

- დღეისთვის გვეყოფა. დანარჩენზე ხვალ ვისაუბროთ. დავიძინოთ. - შესთავაზა გაბრიელმა.

მუსლიმი დაეთანხმა.

ღამე იყო მშვიდი და სავსე საოცარი სიზმრებით; სადაც მზე და მთვარე ერთად ანათებდნენ ზღაპრის ჰაეროვან სივრცეს.

მზე, მთვარე და ვარსკვლავები - სამება

მზე, მთვარე და ვარსკვლავები - ამ
სიმაღლეს ვცეთ პატივი! არ შევურაცხვყოთ,
ეს ცის კიდობანი ჩვენი ცხოვრებით...

- ნული ანუ არაფერი, განა შეიძლება არაფერი არსებობდეს, რადგან თავად კითხვა „არსებობდეს“ უკვე არსებობაზე მიგვანიშნებს და, თუ არაფერი არ არსებობს მაშინ რატომ შევქმენით ციფრი ნული, - არაფრის ამღვნიშნელი? - თავის-თავს დაუსვა კითხვა, ახლად გამოღვიძებულმა გაბრიელმა. - შევქმენით, და ჩვენში ათვლის პროცესი შევაფერხეთ, რის გამოც ყველა მათემატიკური გათვლა არარეალური გახდა; ჰო არარეალური... ნულის შემოღებამ წარსულში ჩაგვკეტა, ათვლა ერთიდან უნდა დაიწყოს, ერთიდან და მაშინ მანძილი სამ სულიერ წერტილს შორის გაქრება და ერთში მოექცევა. ეს როგორ? - ჩაფიქრდა გაბრიელი და ჭერის თვალიერებას შეუდგა. ახალი კითხვა გაუჩნდა: - შეიძლება წარსულში რაიმე არსებობდეს? - ამ კითხვამ კიდევ უფრო ააფორიაქა. - არ შეიძლება, - მკაცრად უპასუხა თავისივე დასმულ კითხვას. - ჰო არ შეიძლება, - ისევ გაიმეორა. - რამეთუ წარსული თავისი ბუნებით უკვე წარმავალია. ასეა... და, როცა ჩვენ ხელის თითით ვეხებით შენობის კედელს და შევიგრძნობთ მის

ტემპერატურას, ის არსებული შეგრძნება უკვე წარსულია, რადგანაც თითიდან ტვინის უჯრედებამდე შეგრძნების გაანალიზებას დრო ჭირდება, რომელიც ხელის სიგრძის ტოლია, ანუ ჩვენ ადამიანები წარსულში ვიმყოფებით, როგორც ცაზე მანათობელი ვარსკვლავი, რომელიც შესაძლოა დიდი ხნის წინ ჩაქრა და ჩვენამდე მხოლოდ კოსმოში დარჩენილი მისი ნათების კვალი აღწევს. მაგრამ, ეს ნათება იმდენად დიდხანს ცოცხლობს, რომ მისი გამომწვევი წყაროს ხელმეორე დაბადებას ესწრება. მაშასადამე რა გამოდის დრო დაბადებასა და სიკვდილს შორის ნულის ტოლია ანუ არ არსებობს, ესე იგი სამყარო ისეთივეა ანუ არ შეცვლილა მისი შექმნის დღიდან.

მუსლიმი, რომელიც იქვე ჰაერში ფარფატებდა და ყურადღებით უსმენდა გაბრიელის ხმამაღალ მსჯელობას, მოკრძალებით მიმართა:

- ერთს პლიუს ორი ხომ სამია? ორი ქრისტეს ორბუნებიანობას აღნიშნავს, ხოლო ერთი, ერთში სამის არსებას ანუ ღმერთს.

- შენ მართალი ხარ; ყურანშიც ხომ ასეა? - ღიმილით მიმართა გაბრიელმა მუსლიმს და... - მაგრამ, ერთიდან ათვლა მის წინა პირობას უარყობს? - დასვა-რა ეს კითხვა ანდრიამ, საწოლზე წამოჯდა და მუსლიმს ყურადღებით დაუწყო თვალიერება.

- ამ შემთხვევაში წინა პირობა ამოუხსნელია, რამეთუ უპირობოა. აი, აქ არის სწორედ დამალული საიდუმლოება,

საიდუმლოება ერთიანობისა, ერთი ღმერთის არსებობისა. - მშვიდად უპასუხა მუსლიმმა გაბრიელს, რომელიც უკვე სავარძელში გადამჯდარიყო და ტანსაცმელს იცვამდა.

- გეთანხმები ღმერთი ერთია; ეს ჩვენ ადამიანებმა მოვიგონეთ სხვადასხვა რელიგიები. მაგრამ, ერთიდან ათვლის წინა პირობა სადღაც რაღაც ზღვრამდე დადებითია და, მაშინ, როდიდან იწყება უარყოფითი ათვლა, რომელიც მიგვიყვანს მინუს ერთამდე? ანუ სარკისებრ ანარეკლამდე; მაშასადამე, უარყოფა არ არსებობას არ ნიშნავს, ეს უბრალოდ სხვა განზომილებაა. - და, გაბრიელმა მუსლიმს გახედა, რომელიც მეორე სავარძელში ჩაგორებულიყო.

- პლიუს ერთშია თავად მინუს ერთი. - უპასუხა მუსლიმმა.

- ანუ ერთმანეთშია უარყოფითი და დადებითი, როგორც მაგნიტი და მაგნიტივით მათი დამსხვრევა მის ბუნებას კი არ სპობს არამედ ამრავლებს და ეს არის სწორედ უსასრულობა, პარალელური სამყაროების, ხოლო ნული ანუ არაფერი მასში არ არსებობს და თუ ამას დავუშვებთ ....? - და, გაბრიელი ჩაფიქრდა.

- ამას ჩვენ ვერ დავუშვებთ, ეს შეუძლებელია. და, თუ ეს შესაძლებელია ამას ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ. ეს მხოლოდ ღმერთს ხელეწიფება. - უპასუხა მუსლიმმა.

- ჩემი რელიგიით, ისევე როგორც შენით, ღმერთი არის წმინდა, ყოვლის გამგებელი, ხილული და უხილავი სამყაროს შემომქმედი. ხომ ასეა? - და, აჟინებული მზერა მიაპყრო გაბრიელმა მუსლიმს.

- დიახ, - ზრდილობიანად უპასუხა მუსლიმმა და დაამატა: - ყურანი აღიარებს ქრისტეს და ღვთისმშობელ მარიამს.

- და, თუ ღვთისმშობელ მარიამს აღიარებთ, ესე იგი ქრისტეს ღმერთად მიიჩნევთ, - გაბრიელმა მუსლიმს ჩაფიქრებული მზერა ესროლა და დაამატა: ჩვენს რელიგიებს საერთო ღერძი აქვთ ეს არის სიკეთე. ღმერთი სიკეთეა და ის ყველგან არის.

გარედან, მეეზოვე ივანეს ხმა შემოდიოდა, რომელიც ქუჩის ხვეტის შხრიალის ხმას ლექს აყოლებდა.

,,ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“

ერი დაემსგავსა ჯაგლაგ ცხენს,
ხალხი, ცხვრის ფარას შესეულ მგლებს,
მთავრობა თუთიყუშს,
რომელიც ხალხს არ უგდებს ყურს.
ერი და ბერი,
ცხვარი და მგელი
ისე შეერია ერთმანეთს
ვერავინ გაარჩევს ვინ არის კრავი;
ყველას უცოდველად მოაქვს თავი.
აიმღვრა სისხლი,
დაიკარგა სიწმინდე გენის
და ამიტომაც ქუჩაში დადის:

სომეხი ქალი - სახელად მერი,
რუსი - სახელად თამარი,
თურქი - სახელად ზაური
დღეს, ჩვენი ფასი გამხდარა შაური.
და:

,,ჩვენისთანა გონიერი,
ორპირი და ლმობიერი,
განა არის სადმე ერი?“

- დავუძახებ, და ერთად ვისაუზმოთ. - გაბრიელი აივანზე გავიდა.

ივანემ, შეამჩნია თუ არა აივანზე გამოსული გაბრიელი, ცოცხი ხეს მიაყუდა და ლექსად მიმართა მეგობარს:

ღამე ჩაქრა, დღე განათდა,
ფიქრი სიზმარს უკან გაჰყვა,
ღამის სუსხიც გაიპარა,
დილამ გული გაგვინათა.

გაბრიელმა ივანეს ხელით ანიშნა ამოდიო, თან მიაძახა:

- ელისო წამოიყვანე!

ცოტა ხანში, საუზმის შემდეგ, ოთხივე: ელისო, მუსლიმი, ივანე და გაბრიელი ცოცხალ წიგნს ჩაუჯდნენ; გააგრძელეს კითხვა:

- მინიშნება, ანუ პელასგურ ენაზე სიმბოლო, არის გრძნობად-აღქმადი ცოცხალი გრაფიკა, რომელსაც შეთანადებული აქვს სხვადასხვა ბუნების და სხვადასხვა ფიზიკური ობიექტის პროცესი, როგორც მისი მნიშვნელობა. მაშასადამე, სიმბოლოს მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური საგანი, როგორც ობიექტი და მოვლენა, როგორც პროცესი და, ამდენად, სიმბოლო აღქმად-მატერიალურ სახეს აძლევს აზროვნების პროცესებს და ამით ქმნის ცოდნის დაგროვების, შენახვის და გადაცემის საშუალებას, ამასთან წინასწარმეტყველების შესაძლებლობას. ზოგჯერ სიმბოლოს იყენებენ „პირობითი ნიშნის“ სინონიმად და განსაზღვრავენ მას, როგორც აშკარა შეთანხმებით შემოღებულ ნიშანს. სიმბოლო ინარჩუნებს რა თავის ფორმას დროის ნებისმიერი ხანგრძლივობისას, მას გააჩნია თავისი შინაარსის დაუსრულებლად გახსნის უნარი, მაგალითად: მას შეუძლია დაამყაროს კავშირი იმ ერთან, რომელიც იმყოფება ამ სიმბოლოს „მოქმედების ველში”. ამასთან, ის ხდება ყველასთვის გასაგები იმდენად, რამდენადაც იგი თითოეულის შეგნებაში ქვეცნობიერად ჯდება. სიმბოლოს პოლისემანტიკა დაუსრულებელი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ყოველ აღმქმნელს მასში საკუთარი ხედვის, რაკურსის დაფიქსირება ძალუძს. სიმბოლოს გაგება და ხედვა ინტერპერსონალურ სხვაობებს უკავშირდება და, შესაბამისად, მისი ყოველი ცალკეული ინტერპრეტაცია თავად აღქმელის პიროვნულ თავისებურებებს უკავშირდება. პიროვნებას საკუთარი, პიროვნული

ხედვა შეაქვს სიმბოლოს გაგებისა და ინტერპრეტირების დროს. იბერიის მთავარი სიმბოლოა ბორჯღალი, რომელიც იბერიული წარმოშობისაა, ამ სიტყვის სამი ასოს ნაერთი „ბორ“ მოძრავ ბორბალს ანუ „დრო”-ს, „ჟამს” ნიშნავს, ასო „ჯ“ ჯვარს, ხოლო “ღალი” ანუ „ღალა“ გადასახადს უფრო ზუსტად ვალდებულებას. ამ ინტერპრეტაციით, მთლიანობაში, „ბორჯღალი” დროის სვლას, დროის ვალდებულებას, ჟამის წამღებს ანუ მარადისობას ნიშნავს. მაშასადამე ბორჯღალი ღვთაებრივი ბორბალია, რომლის ენერგია კონცენტრირებულია ერთ წერტილში, ცენტრში, ხოლო მისი წრიულად მოძრავი სხივები სიმბოლურად განასახიერებენ ჯვრის მუდმივ მოძრაობას ანუ სულის მარადიულობას, უკვდავებას. ბორჯღალს, გააჩნია შვიდი ქიმი, რომელიც ღმერთის სამყოფელის სავანეს აღნიშნავს და მოქცეულია მთოვარე, იგივე ყამარ, ანუ მთვარეს; ჯუმა, იგივე ერმი ანუ ოტარდი ანუ მერკურს; მთიები, იგივე ცისკრის ვარსკვლავი ანუ ვენერას; მარიხი, ანუ თახა ანუ მარსს; დია, იგივე მუშთარი ანუ იუპიტერს; ზუალი, იგივე სატურნს, ჰელიო, არდი ანუ მზის არიალში. ეს შვიდი მნათობი კრავს ზეციურ კაბადონს და სწორედ ამიტომ დაჰყო გაერთიანებული იბერია ფარნავაზ მეფემ შვიდ სამთავროდ, და თითოეული კუთხის მფარველი ერთი გარკვეული მნათობი იყო. აქედან წამოვიდა იბერიულ ენაში სიტყვები “მ-შვიდი”, ანუ “მე-შვიდი”, “მ-შვიდ-ობა” და ისტორიამაც ცხადყო, რომ, როცა ეს ერთობა ურყევი იყო, ღირსეული მშვიდობა სუფევდა იბერიაში, ცა და

მიწა ერთად იყო და იბერიელებისათვის ყველა სამთავროს ერთად ყოფნა მ-შვიდ-ობის უზრუნველმყოფად აღიქმებოდა. სწორედ ამგვარი ერთად ყოფნა გადაარჩენს იბერიას.

- აი, რაშია ჩვენი გამარჯვების არსი! - აღფრთოვანებულმა წარმოთქვა ელისომ.

- არა, ახლა უფრო რთულადაა საქმე, მარტო იბერიის ხალხის ერთად ყოფნა ვერ გადაგვარჩენს, მთელი კავკასიის ხალხი უნდა გავაერთიანდეთ. - დაამატა გაბრიელმა.

- კავკასიის გაერთიანებაში ცუდ როლს ასრულებს სომხეთი. - აღნიშნა მუსლიმმა.

- სომხეთი. - გაიმეორა გაბრიელმა. - სომხეთი ანუ ახლანდელი არმენები? - ისევ გაიმეორა და დანანებით აღნიშნა: - ამ ერმა იბერიაში ფართო ჯაშუშური ქსელი გააბა, რასაც ახორციელებდა შემდეგი გზით, - მაგრამ, არ დაამთავრებინა სათქმელი მუსლიმმა და გაბრიელის სათქმელი თქვა:

- გვარგადაკეთებული სომხები ვითომ იბერიელები და ვითომ იბერიული საქმის მკეთებლები, სინამდვილეში ძირს უთხრიან იბერიის სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს, ასე იყო აზერბაიჯანშიც. - და, ელისოს გახედა.

ელისომ თანხმობის ნიშნად თვალის ქუთუთოები დაუშვა, ასე რამოდენიმე წამი გაჩერდა და როცა აღმართა მისმა თვალებმა სინანული გამოანათეს. ამ ნათებამ ყველა დაასევდიანა.

მოდით ახლა გვერდის სხვა ფურცელზე რა სწერია ის ვნახოთ. - ვითარების განმუხტვის მიზნით შესთავაზა ივანემ.

- ვნახოთ. - დაეთანხმა გაბრიელი და წიგნი ალალბედზე გადაშალა. ელისომ და მუსლიმმა თავისი სულთმქმნელი შუქი მიანათეს ფურცელს და გაბრიელმა ამობრწყინებული ასოების კითხვას შეუდგა:

- ელექტრომაგნიტური და გრავიტაციული ძალები მყისიერად ურთიერთქმედებენ. რაც სამყაროში ერთიანი უზენაესი ძალის არსებობაზე მეტყველებს. ეს კი, ნიშნავს, რომ თავისი არსით, ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მსოფლიოს ტრადიციული რელიგიების წმინდა წიგნებში, სწერია, რომ უფალი ყოვლისმცოდნეა; ზოგიერთი ადამიანი ხშირად აკრიტიკებს სწორედ ამ განსაზღვრებას. ერთი შეხედვით, მათი ლოგიკა თითქოსდა რკინისებურად მტკიცეა, რადგანაც „სინათლის სიჩქარეს საზღვარი აქვს და ღმერთს, თუკი ის არსებობს, არ შეუძლია ადამიანის ნამოქმედარის მეყსეულად დანახვა და გაგონება.“ მაგრამ, ეს არ არის მართალი, რამეთუ ყველა ადამიანის აზრი მატერიალურია, და როგორც მოლეკულებში ატომები, ტვინის ნეირონები ასრულებენ რხევით და ამასთან ბრუნვით მოძრაობებს, რაც მისი სიცოცხლის მრავალ ბუნებიანობას ადასტურებს, და ამიტომაც აზროვნების პროცესს აუცილებლად თან ახლავს ელექტრომაგნიტური და გრავიტაციული ველების ძალური ხაზების გამოშვება, ან შთანთქმა. აქედან აშკარაა, რომ ღმერთმა იცის ჩვენი ყველა ნააზრევი. დიახ, არსებობს ძალა, რომელსაც ყველაფერი ემორჩილება; მას ჰქვია უფალი, მსოფლიო გონი, ან კიდევ სხვა რამ - რელიგიას

გააჩნია, მაგრამ, ამით არსი არ იცვლება. ურთიერთქმედება სამყაროში მყისიერია, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ობიექტები. ამასთან წონასწორულ შექცევად პროცესებში დრო შეიძლება მასად და ენერგიად გადაიქცეს, ხოლო შემდეგ განიცადოს უკუპროცესი. მაშასადამე გამოდის, რომ მიცვა-ლებულთა აღდგომა, რაზედაც ყველა წმინდა წიგნი მიუთითებს, შესაძლებელია! და, ეს კარგად იცოდნენ იბერიელებმა, სწორედ ეს წერია იბერიელების წმინდა წიგნში - ეფუთში. სადაც ახსნილია, რომ უფალი აღვსილია მიუწვდომელი ენერგიით. მას შეუძლია აღიქვას ჩვენი ქმედებები ნებისმიერი ფორმით და ფლობს იმის უნარს, რომ თავისი სურვილისამებრ გარდაქმნას საკუთარი ენერგია.

- სად არის ჩვენი ეფუთი? - იკითხა ელისომ და თვითონვე გასცა პასუხი: - ბებიას მონაყოლიდან ვიცი, ის უნდა ინახებოდეს სოფელ ღვთაებაში.

- კი, ასეა. - დაეთანხმა გაბრიელი.

- იბერიელებს დიდი ძალა ჰქონდათ, მაგრამ ახლა დავეცით ჯაგლაგი ცხენივით. - დანანებით აღნიშნა ივანემ.

- ჰო, დიდი ყოფილა ოდესღაც იბერია. იცნობთ ფრანგი მეცნიერის ედუარდ დემოლინის გამოკვლევას? - იკითხა გაბრიელმა.

- არა. - თითქმის ერთდროულად უპასუხეს მეგობრებმა.

- მაშინ მომისმინეთ:

- ფრანგი მეცნიერი ედუარდ დემოლინსი წერს: - „ეგეოსის ზღვიდან, თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას,

საფრანგეთს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამისი კვალი შენახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები... ეთრუსკები ისე, როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადასახლებულნი და კოლხეთმა სათავე დაუდო მედიტერანულ ანუ ხმელთაშუაზღვის კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატრულ გემოვნებას". აი, ასეთია ამ მეცნიერის მოსაზრება, - გაბრიელი ცოტახნით ჩაფიქრდა და განაგრძო: - პელაზგებს ეკავათ ეგეოსის ზღვის მიმდებარე მიწები, მათ მიღწევებზე აღმოცენდა ბერძნული კულტურა. ეთრუსკები რომის მიდამოებსა და ასევე, მდინარე ტიბრის შემოგარენში განთავსდნენ; და, სწორედ მათ მიღწევებზე აღმოცენდა რომაული კულტურა. ამის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ ტიბერი სვანურად მდინარეს ნიშნავს. მეტიც, როგორც ინგლისელი ისტორიკოსი მორტონი წერდა: - „იბერები, გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით, ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში". ხოლო რუსი ისტორიკოსი იშევსკი წერდა: - ,,ესპანეთის უძველესი მოსახლენი იყვნენე იბერები... იბერები ახლანდელი ბასკების წინაპრები, დარჩნენ პირინეებში და ნახევარკუნძულის ნაპირებზე. უმაღლესი ხარისხის განათლებით გამოირჩეოდნენ სამხრეთის ნაწილის ტომები, განსაკუთრებით, ტურდეტანის იბერები. მათ, რომაელი მწერლების გადმოცემით, ჰქონდათ თავისი ლიტერატურა, ისტორიული

ძეგლები, ხალხური სიმღერები და ძველი კანონები, დაწერილი ლექსად, რომელთაც ისინი 6000 წლისად თვლიდნენ“.

- თავად იბერიაშიც ხომ გვაქვს აღმოჩენილი უძველესი წარწერები? - საუბარი შეაწყვეტინა ელისომ.

- რასაკვირველია, აი მაგალითად გრაკლიანის გორაზე. გარდა ამისა იბერიაში დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადამიანის თავის ქალა, ჰომოერექტუსი და ის ორი მილიონი წლისაა და გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ მთელს დედამიწაზე ჰომოგეოგრაფიკუსი აქედან გადაადგილდა. რახან იბერიის ტერიტორიაზე და კერძოდ გრაკლიანის მიდამოებში ნაპოვნი დამწერლობა და უწყვეტად ცხოვრების დრო 400 ათასი წლით განისაზღვრა, გამოდის, რომ იბერიაში სახლობდნენ ერთი გენეტიკური მოდგმის ანთროპო.

- აა, ამიტომაც იყო, რომ ქრისტეს შობამდე მოღვაწე იბერიელმა ავშანდაძემ სისხლის სიწმინდის სიგელი, რომ შემოიღო. - ამჟამად, გაბრიელს, საუბარი ივანემ შეაწყვეტინა.

- გეთანხმები... - ისევ ჩაფიქრდა გაბრიელი და მეგობარს მიმართა: მე, ისევ არტეფაქტებს მინდა დავუბრუნდე. - და, გაბრიელმა საუბარი განაგრძო: - რაც შეეხება არტეფაქტებს იბერიის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ ქართლში ნაპოვნია ათასი წლის წინანდელი კერამიკული ჭურჭელი ღვინის ნაკვალებით, ყურძნის წიპწებით, ხორბლისა და ქერის მარცვლებით. აი, ცივილიზაციის საწყისი. - და, გაბრიელმა ამაყად გადახედა თავის მეგობრებს. - გრაკლიანი ჩემო კარგებო მხოლოდ მოკრძალებული მოვლენაა და, თუ

მსოფლიო მეცნიერები იბერიის კულტურით დაინტერესდებიან, მსოფლიო ცივილიზაციის საფუძველს ჩვენთან იპოვნიან.

- კიდევ რას გვეტყვი? - მოკრძალებით იკითხა მუსლიმმა.

- რას-და, პალეონტოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ ყველაზე ადრეული თბილი ზღვის ცხოველები იბერიაშია ნაპოვნი, მაშასადამე გამყინვარების შემდგომი პერიოდი საცხოვრისად ყველაზე მისაღები იყო კავკასია, და დასკვნა: ადამიანის მიგრაცია სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ კავკასიიდან დაიწყო.

- მაშასადამე ევროპელი ხალხის წინაპრები იბერიელები არიან? - იკითხა ივანემ.

- მაშასადამე ასეა და ამას ამტკიცებს იბერიული ჰემატრიის უუძველესობა.

- ჰემატრია რა არის? - იკითხა ელისომ.

- ჰემატრია ასო-ნიშანთა სახელდების და მათი რიცხობრივი მნიშვნელობითი გამოყენებით, სამეტყველო ლექსიკის არსისა და სიტყვათა წარმოშობის დადგენის ერთ-ერთი მეთოდია. - უპასუხა ანდრიამ და საუბარი განაგრძო: - ,,ჰალ“ იბერიულად, ანუ სვანურად ნათებაა. იბერიაში ღმერთი ათასწლეულების განმავლობაში წარმოედგინათ ნათების სახით. მატრიარქატის ეპოქაში წინამძღოლი იყო ქალი, ამიტომ იბერებს ღმერთი ქალის სახით წარმოედგინათ. ,,ჰალ“-ს იბერიული დედის სახელი ,,დი“ დაერთო და გამოვიდა ჰალდი ანუ ქალღმერთი. შემდგომ ,,ჰ“ შეიცვალა

ასო „ფ“-თი, შემდეგ „ხ“-დ. ლათინო-ევროპულ ენებში ტრანსკრიფციით ითარგმნა „ქან“-ად და საბოლოოდ შეიცვალა „დ“-დ, და მივიღეთ ქალდეა. ჩემო მეგობრებო, მინდა ასევე, გითხრათ, რომ ურარტუში ძველი წელთ აღრიცხვის VI საუკუნეში, არმენთა შემოსვლამდე იბერიელები ცხოვრობდნენ. ურარტუს სახელმწიფოებრივი ზეობის ხანაში უკვე პატრიარქატის ეპოქა ოყო განვითარებული და ღმერთიც მეომარი მამაკაცის სახით არსებობდა ადამიანის ცნობიერებაში. ამგვარი ხედვა რასაკვირველია არსებობდა ქრისტეს შობამდე. და, კიდევ დავამატებ, რომ სახელი „ხალდე“ იმ დროის ღმერთის სახელია, ხოლო ამჟამად მისი სახელის სოფელია შემორჩენილი სვანეთში.

- ამ ყველაფრით რისი თქმა გინდა? - იკითხა მუსლიმმა

- რა-და რომელი ენითაც იხსნება ეტიმოლოგიურად ტოპონიმი, ეთნონიმი, თეონიმი ისინი იმ ერის კუთვნილებაა. მაშასადამე, ქალდეველები იბერებია და იბერიიდან არიან მიგრირებულნი. შუამდინარეთის ველზე პირველმოსახლეებმა მიიტანეს კერამიკის ფორმები თავისი ქვეყნიდან, ხოლო კერამიკის სამშობლო იბერიაა. გარდა ამისა, და გონება მიადევნეთ ჩემს ნათქვამს! ძველი წელთ აღრიცხვიდან II საუკუნის დასაწყისში, იბერიიდან გადასახლებულებმა შექმნეს დიდი კულტურის მქონე ორი სახელმწიფო: ხეთი, დღევანდელ კაბადოკიის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ხეთაია, დღევანდელ პალესტინაში, რომელიც

შემდგომ შეუერთდა ისრაელს და დაერქვა იუდეა, რომლის ქალაქ ნაზარეთში იშვა იესო ქრისტე.

- გაბრიელ... სომხებმა იციან ყველაფრის მითვისება; შემთხვევით, შენ ახლა, სომხური სენი ხომ არ შეგეპარა? - და, მუსლიმს ირონიულად ჩაეღიმა.

- არა ჩემო მეგობარო; და, ახლავე მოგიყვან მაგალითებს. - და, გაბრიელმა ჩამოთვლა დაიწყო: - ,,გარდე-წრე" ფრანგულად და სვანურად მსგავსია; ,,გეო", ,,გე" ბერძნულად მიწას ნიშნავს, ხოლო იგივე მნიშვნელობა სვანურად არის ,,გიმ", ,,გი" ,,გე"; ,,ვაცუუმ" ლათინურად სიცარიელეს ნიშნავს, ხოლო ,,კიმ", ,,კუიმ" სვანურად სიმუნჯეს ნიშნავს; გერმანულად ,,ლინკელ" ნიშნავს კუთხეს, ხოლო სვანურად არის ,,ლინკელე"; ,,იმბეცილუო" ლათინურად უმეცარს ნიშნავს, რაც სვანურად არის ,,უმბეცილ"; ,, ლიბიდო" ლათინურად მოზიდვაა, სვანურად კი ,,ლიბიდ"; ინგლისურად მდინარე არის ,,რივერ", ხოლო სვანურად ,,რივენ-დიდი"; ,,დევა" რუსულად ქალიშვილს ნიშნავს, ხოლო სვანურად ,,დივო"; და, უფრო მეტს გეტყვი: ამერიკელმა მეცნიერებმა სვანური დნმ-ის ანალიზი გააკეთეს და აღმოჩნდა, რომ სვანები უპრეცედენტოდ უუძველესი ცივილიზაციის ხალხია.

ივანე, განცვიფრებული უყურებდა გაბრიელს და ყოველი მოყვანილი მაგალითის შემდეგ სიამაყით ივსებოდა. ეს შეამჩნია გაბრიელმა და ღიმილით მიმართა:

- ეი, ბიჭო არ გასკდე; შენ ის თქვი ახლა რა ვართ. - და, გაბრიელმა მუსლიმს მიმართა: თქვენ აზერბაიჯანელები

მომავალი ერი ხართ, ჩვენ იბერიელები კი გადაშენების გზას ვადგავართ.

- არა, არ გადავშენდებით! - წამოიყვირა ელისომ.

- რასაკვირველია. - დაამშვიდა მუსლიმმა.

ივანემ თავი ჩაქინდრა და აივანზე გავიდა. ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე მრავლის მთქმელი.

- მოდით მამა ალექსანდრეს დავურეკოთ. - სიჩუმე დაარღვია ელისომ.

- კარგი იქნება. - და, გაბრიელმა მამაოს დაურეკა.

ელისომ ზუმერის მეორე მხარიდან მოლაპარაკე მამა ალექსანდრეს ხმა გაიგო.

- ერთ საათში ვიქნები შენთან. ბატონო! ვერ გავიგე? როგორც მივხვდი ივანეს სევდა მოეძალა. - დაზუსტებას სცდილობდა მამაო.

- ჰო ახლა აივანზეა გასული. - უპასუხა გაბრიელმა.

- უკვე შემოვიდა. - საუბარში ჩაერია ელისო.

- სევდა, ადამის და ევას სამოთხიდან განდევნის დღიდან გაჩნდა. კარგი, კარგი ჯობია ახლავე წამოვიდე თქვენთან.

დაახლოებით, ერთი საათის შემდეგ, ხუთი მეგობარი მაგიდას მისხდომოდნენ და იმაზე საუბრობდნენ თუ როგორ დაეღწიათ თავი იმ საშიშროებიდან, რომელიც ელოდათ მათ სომხეთიდან და რუსეთიდან. საუბარი დიდი ხანი გაგრძელდა, ყველა მოიქანცა.

- გინდათ იგავი მოგიყვეთ? - იკითხა მამაომ.

- გვინდა. - ერთხმად უპასუხეს მეგობრებმა.

იგავი

პიროვნება, ეთიკურ და რელიგიურ
განზომილებას მოიცავს;
მხოლოდ პიროვნებას შეუძლია ჰქონდეს
ფასეულობათა იერარქიული სისტემა;
გააჩნდეს ეთიკური იდეალი და
გრძნობდეს მორალურ პასუხისმგებლობას.

ყოველი ადამიანი მოქმედებს მასში ჩადებული უნარის ფარგლებში და, შესაბამისად, თავის გარშემო ქმნის თავისი უნარის შესაბამის გარემოს, რომელიც მოქმედებს სხვა ადამიანებზე და მათ მიერ შექმნილ გარემოზე; თავის მხრივ თავადაც განიცდის ზემოქმედებას სხვა ადამიანის მიერ შექმნილი დადებითი ან უარყოფითი გარემოს ქმედებისაგან; სწორედ ამ დროს წარმოიქმნება ადამიანის არჩევითობის შესაძლებლობა, რომელშიც ადამიანი თავისუფალია; და, სწორედ ამ ფარგლებში მიანიჭა ღმერთმა ადამიანს თავისუფლება. არჩევითობა პირობითი ცნებაა, რამეთუ ადამიანი ირჩევს იმ ვითარებას ან პროცესს რისი მიღების შესაძლებლობა აქვს, ეს მიუხედავად მისი განსხვავებული სურვილისა; სწორედ ამ გარემოებაში მოექცა ერთი გონიერი მეფე.

მეფე დაჩის მემკვიდრეობით ერგო ნახევრად დანგრეული ქვეყანა, სადაც ბატონობდა სიბილწე, ეს სენი იმდენად იყო ადამიანებში გამჯდარი, რომ ამ მანკიერებას ვერ აცნობიერებდნენ და ჩადენილი უმსგავსო საქციელი არაფრად მიაჩნდათ; მაგრამ, ამავე სამეფოში ცხოვრობდა ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომლებიც გამოირჩეოდნენ კეთილი საქმით, მაგრამ მათ საქციელს ფასი არ ჰქონდა, ვინაიდან ძალიან ცოტანი იყვნენ; და, მეფეს არჩევანი უნდა გაეკეთებინა მხარი დაეჭირა მანკიერი თვისებების მქონე ადამიანებისათვის და მათ ინტერესებზე მოერგო ქვეყანა, თუ მხარი დაეჭირა იმ მცირე ჯგუფის ადამიანებისათვის, რომლებიც თავისი მაღალი ზნეობრივი საქციელით გამოირჩეოდნენ; ეს არჩევანი რთული იყო ვინაიდან მხარი, რომ დაეჭირა უმრავლესობისთვის სამეფო მთლად გაიყვრნებოდა და, თუ მხარს დაუჭერდა უმცირესობას, ხელში არაფერი შერჩებოდა, გარდა მცირე სამეფოსი; და, დარდმა მოიცვა. მეფის ასეთი ყოფა სამ თვეს გაგრძელდა და, ბოლოს, გადაწყვიტა ასე: სამეფო დაეყო ინტერესთა ფენებად და ყველა ფენისათვის მიეცა ის რაც მათ ხიბლავდა. ვაჭრებისათვის თავისუფალი ვაჭრობის უფლება, მეცნიერებს საკვლევი ინსტიტუტები გაუხსნა, ქურდებს კარგად მოწყობილი ციხეები აუშენა, ნარკომანებს ლიბერალური კანონი დაუწესა, მეძავეებს საროსკიპოები აუშენა, მატყუარებს სალაქლაქო შენობა ანუ პარლამენტი გამოუყო, მოკლედ ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. აი, ძალიან გაუჭირდა ზნეობრივი ადამიანებისთვის ადგილის პოვნა,

რამეთუ ისინი არ ეგუებოდნენ მანკიერ ადამიანებს და ქვეყნიდან მათ გასახლებას ითხოვდნენ; მაშინ მეფემ მათ მიმართა:

- კეთილშობილო ხალხო თუ კი მანკიერი ხალხი შეეგუენ ერთმანეთს და თქვენც შეგეგუენ, და არ ითხოვენ თქვენს გასახლებას სამეფოდან, თქვენ რა დაგემართათ, რატომ ითხოვთ მათ გასახლებას?

მაშინ კეთილშობილთა ხალხის ჯგუფს ერთი კაცი გამოეყო და მეფეს კითხვა შეუბრუნა:

- განა ვინმეს სურს ოქროს გადაყრა, რომელსაც ჟანგი არ ეკიდება?

- არაო. - უპასუხა მეფემ.

ისევ ჰკითხა იმ კაცმა მეფეს:

- მეფეო იცი თუ არა, რომ რკინა რაგინდ კარგი ნაწრთობი არ უნდა იყოს ჟანგი მაინც, რომ ეკიდება?

- ვიციო. - უპასუხა მეფემ.

- მაშინ რად გინდა ისეთი რამ რაც ადრე თუ გვიან აღარ ივარგებს და გადასაგდები იქნება? - ჰკითხა ისევ იმ კაცმა:

- მართლაც არ მინდაო. - მშვიდად უპასუხა მეფემ. და, მეორე დღეს ბრძანება გამოსცა მანკიერი ხალხის სამეფოდან გასახლების შესახებ.

და, დარჩა მის სამეფოში თვითონ და კეთილი ხალხი, რომლის შთამომავლებიც კეთილები იყვნენ, რამეთუ კეთილი ხე კეთილ ნაყოფს ისხამს. ასე შეიქმნა ძლიერი სამეფო, სახელად ღვთაება, სადაც ყველა ბედნიერი და

თავისუფალი იყო, ვინაიდან არჩევანი თავისთავად კეთილი იყო.

- ძალიან კარგი იგავი იყო. - მორიდებით შეაფასა მუსლიმმა.

- ვაი, ბიძინა დაგვავიწყდა. დავურეკოთ, გთხოვთ. - თხოვნით მიმართა ელისომ გაბრიელს.

- დავურეკოთ, - დაეთანხმა გაბრიელი. - ოჰ ეს როგორ დამემართა - შეიცხადა, და დასარეკად ტელეფონი მოიმარჯვა.

სადღაც ნახევარ საათში უკვე მაგიდას ექვსნი მისხდომოდნენ და ბიძინას მიერ მოტანილ წითელ ღვინოს წრუპავდნენ.

- არა ასე არ გამოვა. თამადა უნდა ავირჩიოთ. - აღნიშნა ბიძინამ.

- მასპინძელი გაბრიელია და ის უნდა იყოს. - თქვა მუსლიმმა და გაბრიელს შეხედა.

- არა ღვინო და პურმარილი ბიძინამ მოიტანა, ამიტომ მან გვითამადოს. - მხიარულად წარმოსთქვა გაბრიელმა.

ბიძინას ბევრი თხოვნა არ დასჭირვებია, ჭიქა ღვინით გაავსო და სადღეგრძელო წარმოსთქვა:

- დიდება უფალს და ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი! ალავერდი მუსლიმთან ვარ.

- აბა, მე, როგორ დავლევ, მე, ხომ სული ვარ. - უპასუხა მუსლიმმა.

- შენც არ დალიო, უბრალოდ სადღეგრძელო წარმოთქვი, - ბიძინამ ჭიქა მიაწოდა მუსლიმს.

მუსლიმმა სხივი გამოანათა ჭიქას შემოარტყა და თავისკენ წაიღო.

- მე, ამ ჭიქით ყველა საწრმუნოების ღმერთის დიდებას ვსვამ. - და, იმიტაცია მოახდინა თითქოს ღვინო დალია. შემდეგ ჭიქა გაბრიელს მიაწოდა.

გაბრიელმა ჭიქა გამოართვა და სადღეგრძელო წარმოთქვა:

- დიდიბა ღმერთს, ღმერთი სიყვარულია და ის ყველა ჩვენთაგანშია.

მამა ალექსანდრემ პირჯვარი გადაიწერა, ჭიქა აღმართა და ჩუმად მოსვა ღვინო.

საღამომ თბილად ჩაიარა, ღამეც მშვიდი იყო, დადგა მომდევნო დღეც, თენდებოდა 16 აპრილი.

16 აპრილი

არ დავიწყება უფრო ახლოს დგას სულის
მარადიულობასთან, ვიდრე სიცოცხლე

9 აპრილის მძიმე ჰაერი ჯერ კიდევ შემორჩენოდა ქალაქის ქუჩებს, ის განსაკუთრებულად აუტანელი იყო დილით და ეს იმის გამო, რომ ხალხს ასე თუ ისე, ძილში, ავიწყდებოდა ტკივილი, გამოღვიძებისას კი, უეცარი მოგონება 9 აპრილის ტრაგედიისა, მეყსეულად უკუმშავდათ გულს, რაც წინა

დღეების ტკივილს უფრო ამძაფრებდა; ივანესაც ასე დაემართა. არც დილის გრილმა ნიავმა უშველა და არც შაშვის გალობამ, რომელიც ხის ტოტზე ჩამომჯდარიყო და თავგამოდებით უხმობდა თავის შეყვარებულს; ივანე, ცოცხს უხალისოდ აქეთ-იქეთ ცელივით იქნევდა, ნაგავს შენობების ხან ერთ კუთხეში მიყრიდა, ხან მეორე კუთხეში, მერე ერთად შეაგროვებდა და პიველიდან მესამე განზომილებაში გააქანებდა, მესამე განზომილებაში გადაყრილი ნაგავი კი, თავის მეეზოვეს ელოდა და ისიც ივანეს მსგავსად ნაგავს სხვა განზომილებაში გადაყრიდა. ასე, ნაგვის ყრაში იყვნენ მეეზოვეები და უკვირდათ თუ საიდან ჩნდებოდა ამდენი ნაგავი, ვინ იყვნენ მისი შემქმნელები?

სხვა მენაგვეებისაგან განსხვავებით, ივანეს კიდევ ერთი საფიქრალიც ჰქონდა ეს იყო ელისო; ამიტომაც ხშირად ჩერდებოდა ქუჩის ხვეტის დროს, ღრმად ამოისუთქავდა და, თან, ლექსის სტრიქონებს მიაყრიდა, ნიავის მიერ ატაცებულ წითელს მტვერს:

მთაწმინდას მოსწყდა ცისფერი ნისლი,
ისმის ზარების მწუხარე ხმა,
ციდან დაეშვა ნათელი სხივი,
თბილისს დაედო ლურჯი გვირგვინი.
შორიდან მოდის ჩუმი ტკივილი,
ფეხის წვერებზე, მხრებში მოხრილი,
ისმის ჩურჩული, ბავშვის ტირილი,

მორიდებული ქალის ქვითინი.
მწყობრად მოდიან ჭირისუფალნი
ხელში უჭირავთ შავი ვარდები,
ზეცამ აღმართა მზედ პარაკლისი,
და განაჩენი განაჩენს თხზავს:
,,ვინც სამშობლოსთვის დაღვარა სისხლი
არ შეუშინდა დემონის რისხვას
მათთვის ღიაა სამოთხის კარი,
ღმერთმა დალოცოს შეწირულები;
ხოლო, ვინც გახდა მრუშის მსახური
მათთვის გაიხსნა ქვესკნელი,
რომ ჩაიტანოს ლაჩრების სული
და იქ დაუდოთ მათ საცხოვრისი.
განსჯა, განკითხვა მათ იქ არ ელის,
ჭინკებმა მათთვის დაანთეს ცეცხლი -
ელოდებიან კუდიანები,
რომ მათი სულებით გამართონ ფლირტი.
დიახ, ასეა სამყაროს წესი,
ყველას ერგება წესისებრ წილი“.

გაბრიელმა, როცა ივანეს ხმა გაიგო აივანზე გავიდა, ხელი დაუქნია მეგობარს, და მეზობლები, რომ არ შეეწუხებინა ოდნავ მაღალი ხმით ჰკითხა:

- ელისოს ღვიძავს?

- შენთან წამოვიდა. ახლა ალბათ უკვე კარებთანაა. - უპასუხა მეგობარმა.

გაბრიელი ბინაში შებრუნდა, კარისკენ გაემართა და გააღო. ოთახში სულის ციცინათელა შემოფრინდა.

- არ დავიწყოთ წიგნის კითხვა? - შემოფრენისთანავე იკითხა ელისომ.

- დავიწყოთ. - დაეთანხმა გაბრიელი; წიგნების თაროდან წიგნი გადმოიღო და ალალბედზე გადაშალა. და, როცა სულის ციცინათელამ ფურცლები გაანათა, ასოები გამოიკვეთა.

გაბრიელი კითხვას შეუდგა:

- „ლეონტი მროველი თავის თხზულებაში - „ცხოვრება ქართველთა (იბერიელთა) მეფეთა“ წერს: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქმან ზანავი. და, რომელი აქუნდა მათ ხარკითა, ან ჰქმან ხერკ ხარკისა მისთვს“. მაგრამ, ლეონტის დაავიწყდება ერთი მნიშვნელოვანი საკითხის აღნიშვნა ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილმა ებრაელების ერთმა ნაწილმა, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული იერით თქვეს: - „ჩვენ დავბრუნდებით ჩვენს ისტორიულ ქვეყანაში“. და, მართლაც ებრაელების ამ ნაწილს იბერიელების მსგავსი თავის ქალა აქვთ, ასევე მსგავსი ცხვირის ინდექსი და ნიკაპის პროპორციები, მაშასადამე

ისინი ეთნიკურად იბერიელები არიან და მრავალი საუკუნის წინ ებრაელებთან ერთად მივიდნენ იორდანიის მიწაზე, რათა იქიდან პისგანის თასი წამოეღოთ. იბერიელების ნაწილი დარჩა იორდანიის მიწაზე; ნაწილი კი, გარკვეული დროის შემდეგ, იბერიაში დაბრუნდა და თან წამოიღო ცად ამაღლებული მოსეს სამოსი, ებრაელებისა და იბერიელების ერთიანობის ნიშნად“.

კითხვაში გართულებს ფანჯარაზე ჩუმი კაკუნი შემოესმათ, ორივემ გაიხედა და მინას აკრული მუსლიმი დაინახეს.

- წავალ ფანჯარას გავუღებ. - გაბრიელი ადგა და ფანჯრისკენ გაემართა.

- გამარჯობა. - მეგობრებს, მიესალმა ოთახში შემოფრენილი მუსლიმი.

- „სალამ მალეიქუ“, - აზერბაიჯანულად უპასუხა ელისომ და ჰკითხა: - ძილის გუდა ხარ?

- არა, - უპასუხა მუსლიმმა. - უბრალოდ, წუხელ ჩემს საყვარელ ქალაქში ჩავფრინდი.

- ბაქოში იყავი? - გაიკვირვა ელისომ და ჰკითხა: - რა ხდება იქ?

- ახლა სიმშვიდეა. მაგრამ, ეს სიმშვიდე მოჩვენებითია, მთიან კარაბახშია დაძაბულობა. - დანანებით უპასუხა მუსლიმმა. და, კიდევ: გზად, რომ მოვფრინავდი, ებრაელების სასაფლაოს გადავუფრინე და ჩვენი მსგავსი სულის ციცინათელა დავინახე; ვთხოვე ჩემთან ერთად წამოსულიყო.

- მერე? - იკითხა ელისომ, თან დააყოლა: - რა დამთხვევაა, ახლა სწორედ ებრაელებზე ვკითხულობდით.

- მერე-და აქ არის. - მოკლედ უპასუხა მუსლიმმა.

- დაუძახე! - ცოტა გაბრაზებულმა თქვა გაბრიელმა.

მუსლიმი გაღებულ ფანჯარასთან მიფრინდა და ახლად შეძენილ მეგობარს დაუძახა:

- მოსე სად ხარ? მოდი გეძახიან.

ცოტახანში ოთახში მოსეს სულის ციცინათელა შემოფრინ-და და მორიდებით მაგიდის თავზე, ჰაერში დაეკიდა.

- მოსე, მოგვიყევი შენს შესახებ. - სთხოვა ელისომ.

- მე, იბერიელი ებრაელი ვარ, თბილისელი, ოცი წლის ვიყავი როცა იზრაელში გადასახლდა ჩემი ოჯახი; იზრაელის ჯარში ჩავეწერე და ერთ-ერთი ტერორისტული აქტის დროს ბავშვს გადავეფარე, გოგონა კი გადავარჩინე, მაგრამ მე, დავიღუპე. ახლა იბერიაში იმიტომ ჩამოვფრინდი, რომ ჩემი ბებიას და ბაბუას საფლავები მომენახულა. ბაბუა, განსაკუ-თრებით მიყვარდა.

- მოგვიყევი ბაბუას შესახებ. - თხოვა მუსლიმმა.

მოსეს ბევრი თხოვნა არ დასჭირვებია და თხრობა დაიწყო:

- ბაბუაჩემს იაკობი ერქვა, ის თბილისის ყველაზე ძველ უბანში სოლოლაკში ცხოვრობდა და ამავე უბანში არსებულ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა; მათემატიკას ასწავლიდა. ამასთან ხატვით იყო გატაცებული და ყოველ შაბათ-კვირას ბუნებაში ერთად გავდიოდით; ძალიან უყვარდა პეიზაჟის ხატვა. ბაბუამ შემაყვარა იბერიის ბუნება და იბერიელები. ის,

მეუბნებოდა: - „იბერიელების სული ამ ბუნების მსგავსად ლამაზია და ამოუცნობი“. ხატვა, მეც შემასწავლა, და როცა იზრაელში გადავედით საცხოვრებლად, მეც დავიწყე ხატვა და როცა ვხატავდი ძალაუნებურად იბერიისათვის დამახასიათებელი ბუნება გამომდიოდა; მოკლედ, დავიტანჯე; უკან დაბრუნება მინდოდა, მაგრამ, როგორც გითხარით ტერორისტულ აქტს შევეწირე. ახლა შუა გზაზე ვარ დაკიდებული იზრაელსა და იბერიას შორის; იქ მშობლები მყავს, აქ წინაპრები. დავიტანჯე.

- მესმის შენი. - საუბარი შეაწყვეტინა გაბრიელმა.

- იცით? მე, უფრო იბერიელი ვარ. - მორიდებით აღნიშნა მოსემ.

- ჰო-და დარჩი ჩვენთან. - ელისოს მხრიდან ეს უფრო თხოვნა იყო ვიდრე შეთავაზება.

- არ ვიცი... კარგით, ცოტახანი დავრჩები. - დათანხმდა მოსე.

- გინდა იბერიელებისა და ებრაელების ძმობის პატარა ისტორია მოგიყვე? - ჰკითხა გაბრიელმა მოსეს.

- ძალიან. - მოსე ამბის მოსასმენლად მოემზადა.

გაბრიელმა თხრობა დაიწყო:

- მეჩვიდმეტე საუკუნე იდგა, შაჰაბაზ პირველმა თავისი ჯარით ორჯერ შეუტია იბერიას, გაუჭირდა იბერიის მეფეს თეიმურაზ პირველს და დასახმარებლად ოსმალეთში გაემგზავრა, ხოლო მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი მესხეთის ქალაქში ოლთაში დარჩა, შაჰაბაზს ეჭვი, რომ არ აეღო, მაგრამ,

მსტოვრების დახმარებით შაჰაბაზმა შეიტყო, რომ დედოფალი მხოლოდ სამასი მებრძილის ამარად იყო დარჩენილი და უბრძანა ერევნის ხანს, სომეხ ამირგუნას, დედოფლის შეპყრობა. ერევნის ხანი ათიათასი ჯარისკაცით ქალაქ ოლთისკენ გაემართა, ალყა შემოარტყა ოლთის ციხეს სადაც დედოფალი თავს აფარებდა. ქალაქ ოლთაში რამდენიმე ათასი ებრაელი სახლობდა, რომლებიც კომერციული საქმიანობით იყვნენ დაკავებულები, ამიტომ ერევნის ხანმა ამირგულმა მათ ყურადღება არ მიაქცია, რაც ძვირად დაუჯდა; რაბინებმა იხმეს ებრაელი მამაკაცები და იარაღის ასხმა უბრძანეს, და როცა ერევნის ხანმა ამირგულმა მორიგი შეტევა განახორციელა ოლთის ციხეზე, ებრაელემბა მტერს უკნიდან შეუტიეს. მაშინ გაიღო ციხის გალავნის კარი გამოვიდა ნოდარ ჯორჯაძე დედოფლის თანმხლებით და სამასი მხედრით, ხმალდახმალ შეუტიეს მომხდურთ. ალყაში მოქცეული სომეხთა და სპარსელთა ჯარი შეშინდა და გაიქცა. დაედევნენ უკან ებრაელებისა და იბერიელების გაერთიანე-ბული ჯარი და მოიპოვეს ბრწყინვალე გამარჯვება.

ოთახში სასიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც იქ მყოფთა სხეულში შეიპარა და ერთმანეთის მიმართ სიყვარული გაამძაფრა. სიყვარულმა კი, როგორც ცელქი ვარსკვლავი თითოეულის თვალებში დაიწყო ნათება.

- მოდით, მოსეს იბერიაში დაბრუნება მომავლის რესტო-რანში ავღნიშნოთ. - შესთავაზა გაბრიელმა მეგობრებს.

აწმყო მომავლის რესტორანი

ფრთხილად! თუ წარსული დაგვავიწყდა,
ვეღარც მომავალს შევქმნით. წარსულის
ცოდნა მომავლის მეხსიერების შექმნის
შესაძლებლობას იძლევა.

თბილისის გარეუბანში, სახელდობრ, სოფელ წყნეთის დასაწყისში, ერთი უცნაური რესტორანი იყო აშენებული. ვინ ააშენა ან როდის, არავინ არ იცის, რესტორანი იმით გამოირჩეოდა, რომ იქ შესულ ადამიანებს შეეძლოთ ერთდროულად ყოფილიყვნენ მომავალში დროის აწმყოდ წარმომდგარ გარემოებაში. ამ რესტორნის კუპეები უხილავი კედლით ორ ნაწილად იყო გაყოფილი, პირველ ნაწილში აწყმყოს დროის შემკვეთები სხდებოდნენ, რომლებიც სასმელ-საჭმელის გარდა მომავლის ან წარსულის ისტორიულ შემთხვევებს უკვეთავდნენ, რაც კუპის მეორე ნაწილში აისახებოდა. კუპეები რეგიონების მიხედვით იყო დაყოფილი; გაბრიელმა და მისმა მეგობრებმა აფხაზეთის რეგიონი აირჩიეს და გუდაუთელების ქეიფი ითხოვეს, რომელიც მომავალში ორიათასჩვიდმეტი წლის ოცდახუთ აპრილს უნდა გამართულიყო, და გაიმართა კიდეც.

რესტორნის ოფიციანტი, რომელიც წოდებით უშიშროების პოლკოვნიკი იყო, გაბრიელს გაეცნო:

- მე, ვარ გიორგი მაისურაძე. და, კითხვა მაქვს თქვენთან: რატომ აირჩიეთ გუდაუთა?

- ამ ქალაქში დავიბადე. - იდუმალმა სითბომ გამოანათა გაბრიელის თვალებიდან.

- კეთილი. თხოვნა მიღებულია. - და, გიორგიმ, ამავე კუპეში, კედელზე დამაგრებულ კლავიატურას მიუახლოვდა, იპოვა წარწერა „გუდაუთა“, აკრიფა წელი და რიცხვი, დააჭირა თითი კლავიატურის შუაგულში დამაგრებულ მწვანე ღილაკს და კუპეს მეორე განყოფილებაც განათდა. თანდათან გამოიკვეთა ჯერ კედლები, მერე მაგიდა, სხვა-დასხვა ნივთები და ბოლოს ადამიანები.

გუდაუთელების სუფრაზე მხიარული განწყობა სუფევდა; მეგობრები იხსენებდნენ მხიარულ ამბებს:

- მისმინეთ! მე თამადა ვარ თუ არა? ეიი! თქვენ პირველ კლასელებო, მისმინეთ! - მხიარული შეძახილით ცდილობდა თამადა თავისი მეგობრების ყურადღების მიქცევას.

- ჰოო, თამადა ხარ, თამადა! - ამშვიდებდა ერთ-ერთი თანამესუფრე ვალიკო დადუნაშვილს. - მაგრამ, ჩემი ამბავი მინდა მოვყვე. - და, თვალებით მსმენელების გამორჩევას შეუდგა.

- კარგი, მოჰყევი. - დაეთანხმა ვალიკო და სკამზე დამარცხებული რაინდივით დაეშვა.

- ჰო-და, ჩემო კარგებო, იცით თქვენ, მე, ედუარდი მჰქვია, მაგრამ, არ დაურქმევიათ ჩემთვის ეს სახელი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ედუარდ

შევარდნაძის საპატივცემულოდ, არამედ იმის გამო დამარქვეს, რომ ედუარდი დაუმარცხებელს ნიშნავს; ასეთი სურვილი იყო ჩემი მშობლების, - ბოლო სიტყვები ედუარდმა ხმამაღლა წარმოსთქვა და თხრობა განაგრძო: - ერთხელ გუდაუთში, მნიშვნელოვანი თათბირი დაიგეგმა, სადაც ჩემი საქმიანობაც უნდა განხილულიყო. ამ თათბირზე სოხუმიდან ჩამოსული მაღალი თანამდებობის პირი უნდა გამოსულიყო მოხსენებით, გვარად არძინბა იყო. ის ჯერ ჩემს საქმეს და საქმიანობას გაეცნო, და მერე ჩემთან გაცნობაც მოინდომა. ჩემმა მეგობარმა შეატყო, რომ არძინბა მოსულელო კაცი იყო და გადასწყვიტა მისი გამასხარავება და ჩემი თავი წარუდგინა მოგონილი მამის სახელით, უფრო სწორედ ედუარდ შევარდნაძის მამის სახელით და როცა ეს ,,გენიოსი" თათბირზე გამოვიდა ასე მახსენებდა: - ,,ბატონმა ედუარდ ამბროსის ძემ მასზე დაკისრებული ვალდებულება წარმატებით განახორციელა" ან ,,მიუხედავად კარგი პირობებისა მან ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ფინანსური ვალდებულებები". მაგრამ, დარბაზში მსხდომნი ერთნაირად მხურვალედ უკრავდნენ ტაშს როგორც ჩემს წარმატებას, ასევე ჩემს წარუმატებლობას, რამეთუ, ყველას ეგონა, რომ საუბარი იყო ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის საქმიანობაზე; მხოლოდ, ჩემს მეგობრებს ეცინებოდათ ჩუმ-ჩუმად, რამეთუ იცოდნენ ამ ოინბაზობის ამბავი, სხვები კი ვერ ხვდებოდნენ, რომ სინამდვილეში ჩემზე ანუ ედუარდ შალელაშვილზე იყო საუბარი. თათბირის ბოლოს, ეს ჩვენმა ყოფილმა სკოლის

დირექტორმაც ილია არქანიამაც შეიტყო და ისეთი სიცილი აუვარდა, რომ ყველა იქ დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

- ილია არქანიაზე არაფერი მითხრათ! - თხრობა შეაწყვეტინა სუფრის მეორე ბოლოში მსხდომმა მამაკაცმა. - მან, მე, სასწავლო საგანში: საბჭოთა კავშირის ისტორიაში, სასემესტრო დაბალი ნიშანი გამომაყოლა, როცა ყველა სხვა საგანში მაღალი ნიშნები მქონდა.

- ალექსანდრე! ამიტომ გამოეკიდე დანით? - საუბარში ჩაერთო მოპირდაპირე მხარეს მსხდომი სამოცწელს გადაცილებული მამაკაცი.

- დიახ, ბატონო ნუგზარ ნაჭყებიავ, - სახელი და გვარი ისე წარმოთქვა საშკამ, ზოგჯერ ასე ეძახდნენ მეგობრები, თითქოს ოფიციალურ შეხვედრაზე ყოფილიყვნენ. - მე, ალექსანდრე ჯმუხაძე, ამიტომ გამოვეკიდე დანით ილია არქანიას, რასაკვირველია, არა მოსაკლავად, არამედ შესაშინებლად, და მთლად ასეც არ იყო, უბრალოდ, მერე ეს ყველაფერი სხვებმა გააფორმეს. - და, პანტომიმით გამოხატა თუ როგორ გარბოდა ილია არქანია და ეს ისე ოსტატურად გამოუვიდა, რომ ყველას გაეცინა.

- დამაცადეთ ამბის მოყოლა. - არ ცხრებოდა ედუარდი, რომელსაც არ მოეწონა, რომ თხრობის ინიციატივა სხვამ ჩამოართვა, მაგრამ, ახლა მისთვის არავის ეცალა ყველა ალექსანდრეს პანტომიმას ასარჟებდა.

- კარგით, კარგით დაწყნარდით, - ითხოვდა თამადა: - კარგი რა ნუგზარ, შენ მაინც გაჩერდი, სერიოზული კაცი ხარ, - მაგრამ, ქათინაურმა არ გაჭრა.

ნუგზარ ნაჭყებიამ თხრობის ინციატივა ჩაიგდო ხელში:

- სხვათაშორის არქანიამ მორალურად ძალიან გამამხნევა როცა კონტროლის პალატის სამსახურმა ჩემს მიმართ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო. - ნუგზარი, თან შალელაშვილისკენ იყურებოდა რომელმაც კიდევ ერთხელ სცადა თანასუფრელების ყურადღების მიქცევა, და თითქოს გამოუვიდა კედეც, მაგრამ, თამადამ გუდაუთელების სადღეგრძელო შესთავაზა მეგობრებს, და სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა:

- სირცხვილია საკუთარ სამშობლოში დევნილები გვერქვას, - მშვიდად საუბრობდა მაღალი გამხდარი მამაკაცი. - მე, გაიოზ მეტრეველი არ ვიყო თუ ჩვენსა და აფხაზებს შორის შუღლის ჩამომგდებს ცხვირიდან ძმარი არ ვადინო. - უეცრად გაცხარდა გაიოზი და მოშორებით მსხდომ ქალბატონს მიმართა: - ლიდა, რა გვქონდა ჩვენ და აფხაზებს ერთმანეთთან გასაყოფი?

ქალბატონი ლიდა ჯერ შეცბა და მერე მშვიდად უპასუხა:

- ნამდვილად არაფერი; პირიქით. აი, მაგალითად, აფხაზები ჩემს გვარს დიდ პატივს მიაგებდნენ და ასე ამბობდნენ: ,,ხვიჩიები წარმოშობით აფხაზებიც არიან და მეგრელებიცო".

- ჰოო, კვიციაზეც ასე ამბობენ და ვეღარ გავიგე აფხაზი ვარ, მეგრელი თუ სვანი. - გაიხუმრა მალხაზ კვიციამ.

- არაფერი არ გვქონდა გასაყოფი! ფეხბურთსაც ერთად ვთამაშობდით, ერთად ვსვამდით. - საუბარში ჩაერია ვალიკო დადუნაშვილი, - აგერ ტელეფონზე ჩემი კლასელი ზურა გოგოლი მირეკავს და მასაც ვკითხოთ. - და, ვალიკომ მობილური ტელეფონი ყველასსმენზე ჩართო.

- ზურა, ახლა აქ გუდაუთელები შევიკრიბეთ და ასეთი კითხვა წამოიჭრა: გვაქვს ჩვენ და აფხაზებს ერთმანეთთან შუღლის საბაბი?

- შუღლის საბაბი სომხებმა და რუსებმა ხელოვნურად შექმნეს. - გაისმა ზურას, ოდნავ ჩახრეწილი ხმა.

- კარგით, გეყოფათ სადღეგრძელო მათქვემინეთ. - სუფრის კუთხიდან ითხოვდა სიტყვას პირხმელი სახის მქონე მამაკაცი.

- დათოს, ათქმევინეთ სადღეგრძელო. - მხარი დაუჭირა სუფრის ერთ-ერთმა წევრმა.

- მადლობა გია. - მადლობა მოუხადა დათომ გია მესხიას, და ჭიქა მაღლა აღმართა:

- მე, დათო რეხვიაშვილი ვსვამ რა გუდაუთის სადღეგრძელოს მინდა აღვნიშნო, რომ გუდაუთა როგორც იბერიელებისათვის, ასევე აფხაზებისათვისაც საყვარელი ქალაქია, ეს ქალაქი არის ერთი ფესვის მქონე ხალხის აფხაზებისა და იბერიელების აკვანი რომელშიც სიყვარული იფურჩქნებოდა და მჯერა მომავალშიც ასე იქნება, გაგვიმა-რჯოს ყველა გუდაუთელს. - და, დათომ ღვინით სავსე ჭიქა ბოლომდე დაცალა.

სადღერგძელო ყველამ აიტაცა.

- მართალია ქალი ვარ მაგრამ მეც მინდა სადღერგძელო ვთქვა. - სადღერგძელოს ითხოვდა შუახნის ქალბატონი.

- აბა! სიჩუმე ბერტა რობაქიძეს უნდა სადღეგრძელოს წარმოთქმა. - მოსაუბრეთა დამშვიდების ინიციატივა ისევ გია მესხიამ გამოიჩინა.

სუფრა დადუმდა და ყველამ ბერტასკენ მიაპყრო სმენა.

- იცით ყველამ, რომ აფხაზებსა და იბერიელებს შორის შუღლის გაღვივება კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის მიხეილ სუსლოვის მიერ დაიწყო, რომელსაც ნიკიტა ხრუშჩოვი აქტიურად უჭერდა მხარს; შემდგომში, გარბაჩოვმა და ელცინმა ამ საქმეში გამოიყენეს აფხაზეთში მაცხოვრებელი სომხები. სომხებმა, ჯერ დაიახლოვეს აფხაზები, მერე ნელ-ნელა იბერიელების მიმართ სიძულვილი ჩაუნერგეს, და შედეგიც სახეზე გვაქვს. მაგრამ, მე, მჯერა აფხაზები მიხვდებიან სომხების მზაკვრობას და ისევ ჩვენი ძმები გახდებიან, ამიტომ მე, მინდა გუდაუთის სადღეგრძელო შევსვა დაკარგული ძმობის დაბრუნების იმედით. - და, ბერტამ ღვინით სავსე ჭიქა ნახევრამდე დაცალა.

- ღვინის მადლი არ მოგკლებოდეს! - ერთხმად შესძახეს მამაკაცბმა და ყველამ გაიმეორა ბერტას ნათქვამი:

- დაკარგული ძმობის დაბრუნების იმედს გაუმარჯოს!!! - დაცალეს რა ყველამ ღვინით სავსე ჭიქები, ხელმეორედ

შეავსეს და მათთვის ჩვეული სადღეგრძელო, ამჟამად ჩუმად დალიეს:

- აფხაზეთის ომში დაღუპულების ხსოვნა იყოს, ორივე მხრიდან. - ეს სადღეგრძელო ყველამ თავისთვის ჩუმად წარმოსთქვა, მაგრამ იქვე მდგომების გასაგონად.

- მოდით ყველამ, გუდაუთაში ჩვენი ცხოვრების რაიმე ნაწილი გავიხსენოთ, თუნდაც სასაცილო ან ომის ეპიზოდი. გივი მესხიას ეს წინადადება ყველას მოეწონა და პირველმა ევმენიმ დაიწყო:

- ძალიან ტკბილად მახსენდება ჩვენს გვერდით, მეზობლად მცხოვრები აფხაზები გვარად ტარბა, მათ ოჯახში ჩემი ტოლი ბიჭი იზრდებოდა სახელად ასლანი. ჰო-და ძალიან, რომ არ გამიგრძელდეს საუბარი, მე და ასლანი დავმეგობრდით, სულ ერთად ვთამაშობდით, მთელი ქუჩა აკლებული გვქონდა, სათევზაოდაც ერთად დავდიოდით და დაჭერილ თევზებს, იქვე, ჩვენი ეზოების საზღვარზე აშენებული არქივის საუწყებო შენობის წყალსაცავში ვუშვებდით. ერთხელ ასლანმა მითხრა: - ,,ევმენ ვიღაცა თევზებს გვპარავსო". და, მართლაც როცა აუზში ჩავიხედე, ჩვენს მიერ დაჭერილი თევზებიდან, მხოლოდ ორიღა დაცურავდა. - ,,რა ვქნათ?" - ვკითხე, - „ჩავუსაფრდეთო" - მიპასუხა ასლანმა, და ასეც მოვიქეცით. მართლაც, მეორე დღეს დავინახეთ ჩვენს ქუჩაზე მცხოვრები რუსის ბიჭი, თუ როგორ მიეპარა წყალსაცავს და პეპლების დასაჭერი ბადით თუ როგორ ამოიღო წყლიდან ჩვენი თევზები. ამ ბიჭს საშა

ერქვა. ჩვენზე ოთხი წლით უფროსი და ტანადაც დიდი იყო. ჯერ შეგვეშინდა, მაგრამ ერთმანეთის იმედით საფარიდან გამოვედით და თევზების უკან წყალსაცავში ჩაშვება მოვთხოვეთ, საშკამ თხოვნა ყურად არ იღო, უფრო უარესი, დაგვცინა კიდეც; ამან კი, გაგვამწარა, მე ფეხებში ვეცი, ასლანი ტანზე შემოახტა და წავაქციეთ. წაქცეულს ზედ წამოვაჯექით და მუშტები დავაყარეთ. შეშინებულმა საშკამ ისეთი ყვირილი ატეხა, რომ სახლიდან ასლანის უფროსი ძმა ლულუ გამოვარდა და, რომ დაგვინახა ჩვენზე უფროს ვცემდით გაეცინა, მაგრამ გაგვაშველა, გაგვიწყრა კიდეც: - „ორის მიერ ერთის ცემა რა ვაჟკაცობაა“. მაგრამ, ერთი თვითონაც უთავაზა საშკას. ამ შემთხვევის შემდეგ საშკა ჩვენს ქუჩაზე საერთოდ არ გამოჩენილა, მხოლოდ მაშინ მოვიდა ჩემთან, როცა გაიგო, რომ გუდაუთს ვტოვებდი და თბილისში ვბრუნდებოდი საცხოვრებლად; მოვიდა ჩემთან მომეხვია, გამომეშვიდობა და მითხრა: „როცა გუდაუთში ჩამოხვალ მესტუმრეო“. მაგრამ, მე აგერ უკვე სამოცდაოთხ წელს მივაღწიე და გუდაუთში იმის შემდეგ არ ჩავსულვარ - ძალიან მტკივა გული ამის გამო. აბა, ახლა რას ჩავალ რუსებმა წაგვართვეს ეს წალკოტი. ძალიან კი მენატრება.

- მეც ძალიან მენატრება. ახლა მე მოვყვები ჩემს ამბავს. - და, თხრობა სათვალებიანმა მამაკაცმა დაიწყო, რომელსაც როგორც გამოირკვა ხუტა ერქვა:

- ყველა გუდაუთელმა იცის ჭკუა შეშლილი მამაკაცი, რომელსაც გაბრაზების მიზნით კანიუნას ვეძახდით; და, მეც

სხვებივით ხშირად ვაბრაზებდი ამ საწყალ კაცს, რომელიც კანიუნას დაძახებისთანავე უბეში დამალულ ქვას მოიმარჯვებდა და გამბრაზებლისკენ ყვირილით მიექანებოდა; ერთხელაც ბაზრის შესასვლელთან დავინახე და მივაძაღე: - ეი, კანიუნა! - და, გავიქეცი. გამომეკიდა და, ამჯერად, არ გამიმართლა ფეხი გადამიტრიალდა, წავიქეცი, ფეხზე ვეღარ ვდგებოდი, ძირს დაცემულს კანიუნა წამომადგა, გულმა შიშისაგან ბაგა-ბუგი დამიწყო, შიშით ვუყურებდი კანიუნას, მეგონა ახლა ქვით გამიხეთქავდა თავს, ის კი დაიხარა და მკითხა: - „რაო, ხომ არ იტკინე რამე?“. - მე, თავის შეცოდების მიზნით ავლუღლუღდი და ვუპასუხე: „ჰო, ფეხი მოვიტეხე მგონი“. მაშინ კანიუნა დაიხარა ხელში ამიყვანა და ასე ხელში აყვანილი სახლში მიმიყვანა. მოგვიანებით, მე და კანიუნა დავმეგობრდით; აღმოჩნდა, რომ სულაც არ ყოფილა ჭკუიდან შეშლილი, ასე უბრალოდ თავს იცავდა, რადგანაც არ სურდა მეორე მსოფლიო ომში გაეწვიათ, არ სურდა საბჭოთა კავშირის მხარეზე ებრძოლა. თურმე მისი ბაბუა კომუნისტებმა დახვრიტეს, ხოლო მშობლები ციხეში დაუხოცეს. ის ბებიამ გაზარდა, რომელიც თურმე რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ II უფროსი ქალიშვილი იყო, არ ვიცი ეს მართალია თუ ვინმეს მიერ შეთხზული ამბავი, მაგრამ, ყოველშემთხვევაში ამბობდნენ არისტოკრატიული ქცევებით ანცვიფრებდაო ყველას.

ამ ამბავმა ყველა დააღონა, რამეთუ იქ მსხდომთ ყველას გაუჯავრებია კანიუნა და არავის სცოდნია მისი სავარაუდო

ამბავი. ევმენიმ სითამამე მოიკრიბა, ფეხზე წამოდგა და სადღეგრძელო წარმოთქვა:

- მოდით გუდაუთელებო ჩვენს ბავშვობას გაუმარჯოს, ყველა მისი შეცდომებითა და სიხალისით!

- გაუმარჯოს! გაუმარჯოს! - ყველამ ერთხმად აიტაცა სადღეგრძელო.

სადღეგრძელოს შესმის შემდეგ დათო რეხვიაშვილმა ითხოვა:

- თუ შეიძლება კიდევ, მე, მოვყვები ჩემს ამბავს, ოღონდ აფხაზეთის ომის შესახებ. - ყველა დაეთანხმა და დათომ თხრობა დაიწყო:

- იცით თქვენ, მე, სასწრაფო დახმარების მანქანაზე მძღოლად ვმუშაობდი და ამ დაწყევლილი ომის დროს დაჭრილები და, ზოგჯერ, მიცვალებულებიც გადამყავდა. ერთხელ შეტყობინება მივიღეთ: „სოფელი ლიხნის დასავლეთით სადაც ევკალიპტების მეჩხერი ტყეა ჩეჩნებსა და იბერიელებს შორის ცხარე შეტაკება მიმდინარეობს, ორივე მხარეს ბევრი დაჭრილი და დახოცილია....“ ვერცერთი სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ ბედავდა იმ მიმართულებით გამგზავრებას, მაშინ გუდაუთის სავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ვადიმ ჟიბამ მკითხა: - „აა, ძამიკო ხომ არ გეშინია? წავიდეთ?“ მე, ვუპასუხე: - „მეშინია, მაგრამ უნდა წავიდეთ“. მაშინ, ვადიმმა მხარზე დამკრა ხელი და მითხრა: - „ნამდვილად კაცური სიტყვაა“. და, ჩვენ გავემგზავრეთ. რაც იქ ვნახეთ ენით აღუწერელი საშინელება იყო. ტყვიების

ზუზუნი სამი მხრიდან ისმოდა. აი, მესამე მხარე რუსების და სომხების იყო, რომლებიც დროდადრო იბერიელებსაც ესროდნენ და ჩეჩნებსაც; ამას ჩემითაც მივხვდი და სიკვდილს გადარჩენილმა ჩეჩენმაც მითხრა. ეს ჩეჩენი, მე და ვადიმმა გამოვათრიეთ. დანარჩენი ჩეჩნები, დაახლოებით ასე ოცი, მეტი არ იქნებოდა, დახოცილები, იქვე დავტოვეთ და მეორე დღეს გამოვიტანეთ, როცა ბრძოლის ხაზმა სხვა მიმართულებით გადაინაცვლა. ჰო, მართლა, აი, კიდევ რა მინდოდა მეთქვა: ერთხელ ჩემთან ლულუ ტარბა მოვიდა ის გუდაუთელ აფხაზებს შორის ავტორიტეტით სარგებლობა და მთხოვა: - „გთხოვ არ დატოვო აფხაზეთი“. გაიგო, რომ გამგზავრებას ვაპირებდი, მაგრამ, მე ვუპასუხე: - „ლულუ, აბა ყველა იბერიელი გაემგზავრა, და მე მარტო როგორ დავრჩე? განა, შენც ასე არ მოიქცეოდი?“. ლულუ დაფიქრდა და იცით რა მიპასუხა: - „ეს ჩვენი ომი არ არის, სომხებმა და რუსებმა გაგვაბრიყვეს; იმედია დაბრუნდებით“. და, როცა აფხაზეთიდან წამოსვლა გადავწყვიტე, მდინარე ენგურის საზღვრამდე გამომაცილა, ვინმეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის რაიმე, რომ არ დაეშავებინა.

- მართალია დათო! ამ ომის პროვოცირება სომხებმა და რუსებმა მოახდინეს; ამის დასტურად ჩემი ამბავი მინდა მოგითხროთ. შეიძლება?

- მიდი მოჰყევი. - გააგულიანა ვალიკო დადუნაშვილმა. და, ყველას მოუხმო: - აბა ჯონდი გოგლიძეს მოვუსმინოთ!

ჯონდიმ თხრობა დაიწყო:

- ყველას ერთნაერად ვეპყრობოდი ეს იბერიელი იყო, სომეხი თუ რუსი, ხედავდნენ სომხები, რომ ყველას ვუყვარდი და ომში ვერ ჩამითრევდნენ, ამიტომ ჩემი უმცროსი ძმა, ულამაზესი ტანად, სახედ და სულით სახლიდან გაიტყუეს და მომიკლეს. აი, მაშინ ავიღე იარაღი მე და ჩემმა ძმებმა და მანამდე ვიბრძოლეგ სანამ აფხაზეთს არ გავწმენდ ტერორისტებისაგან.

სუფრაზე უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე; რა არის სიჩუმე? ნამდვილად ვიცი, რომ ის მდუმარება არ არის. სიჩუმე ბრძენთა აკვანია. სიჩუმე მომავალი დიადი საქმეების საწინდარია. სიჩუმეში ცბიერი ზრახვები კვდება. სიჩუმეში გრძნობ სიმშვიდეს, ცნობიერების ნეტარებას, გრძნობათა ისეთ ჰარმონიას, რომელსაც ვერავითარ სიამოვნებას ვერ შეადარებ. სიჩუმე, ეს უსიტყვო ლოცვაა, უსაგნო ჭვრეტაა, ის ადამიანის ერთადერთი სინამდვილეა, რომლისათვის არ არსებობს სიკვდილი, ისევე როგორც არ არსებობს დაბადება; ის ყოველთვის იყო და იარსებებს. სიჩუმე, ადამიანის სულის მამხილებელი და მიუკერძოებელი მსაჯულია. სიჩუმე გულწრფელობაა. და, ამან დაისადგურა სუფრასთან მსხდომთა თვითეულის გულში, რასაკვირველია მეტ-ნაკლები აქტივობით.

- სიჩუმეს გაუმარჯოს. - ხმამაღლა წარმოსთქვა ევმენიმ, არავის დაელოდა ღვინით სავსე ჭიქა დაცალა, და ბერტას სთხოვა რაიმე გაეხსენებინა; ის რაც ასე ტკბილად აგონებდა გუდაუთას. ბერტამ არ დააყოვნა და თხრობა დაიწყო:

- ჩემს მეზობლად ერთი ძალიან კარგი ოჯახი ცხოვრობდა; მათი ერთ-ერთი შვილი ჩემი კლასელი იყო, ამდენად ამ ოჯახს ხშირად ვსტუმრობდი, მართალი გითხრათ მათთან უფრო დიდ დროს ვატარებდი ვიდრე ჩემს სახლში და ერთი საოცარი ამბავი მახსენდება: ამ ოჯახის უმცროსმა ვაჟიშვილმა მიტოვებული ძაღლის ლეკვი მიიყვანა სახლში, ჯერ კიდევ ბრმა იყო, რძით გამოკვება და სიკვდილს გადაარჩინა, როცა ლეკვი წამოიზარდა ამ ბიჭის განუყრელი მეგობარი გახდა, სკოლაში დაჰყვებოდა და სკოლის ეზოს კარებთან ელოდა, მოკლედ ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებდნენ, მაგრამ, როცა ამ ოჯახმა გადასწყვიტა თბილისში საცხოვრებლად გადასვლა, ძაღლი ერთ კარგ ოჯახს მიაჩუქეს. ძაღლიც თითქოსდა შეეჩვია თავის ახალ პატრონს, მაგრამ იმ დღეს როცა ამ ოჯახმა ბარგი ჩააწყო მანქანაში და გასამგზავრებლად მოემზადა, ძაღლმა ეს იგრძნო, და თქვენ წარმოიდგინეთ ჯაჭვი გაწყვიტა რითაც ეზოში იყო დამბმული და იმ ბიჭს დაედევნა. ამის შემდეგ ის ძაღლი არავის აღარ უნახავს. ზოგი ამბობს, რომ ასე დევნა-დევნით და ძებნა-ძებნით თბილი-სამდე ჩააღწია და იპოვა თავისი ძველი პატრონიო, ზოგსაც ეს სიმართლედ არ მიაჩნდა. არ ვიცი რამდენადაა ეს ამბავი მართალი, ეს კი ფაქტია, რომ ძაღლი თავის ძველ პატრონს დაედევნა.

- საოცრად სევდიანი ამბავია. - აღნიშნა ლამაზი პირისახის მქონმა ქალბატონმა.

- მზია, ის ბიჭი მგონი შენი ტოლი იყო. - ჰკითხა მზია ჯანჯალიას ედუარდ შელელაშვილმა.

- ჰო, ბერტას აღწერილობით ასე უნდა იყოს და, მგონი, ჩემი კლასელი უნდა ყოფილიყო; იცით თუ ის არის, მაშინ ჩვენ სწორედ მას ვეძებდით, როცა კლასის შეკრება გვქონდა, მაგრამ ვერ ვიპოვეთ, ვის არ ვკითხეთ და ვერავინ ვერ მიგვასწავლა მისი გზა და კვალი. - დანანებით აღნიშნა მზია ჯანჯალიამ.

- ეს ამბავი მეც გამიგია, რადგან ამ ოჯახის უფროსი სოფელ აბრახუკში ჩემს დას ასწავლიდა გეოგრაფიას და, მისი მონაყოლიდან ვიცი, რომ ძაღლმა ჩააღწია თბილისში და იპოვა ის ბიჭი. - საუბარში ჩაერთო სანდომიანსახიანი მამაკაცი.

- აკი თბილისში მთელი ოჯახი წავიდაო საცხოვრებლად? - იკითხა მზია ჯანჯალიამ.

- კი ასეა, ოღონდ ოჯახის უფროსი დროებით დარჩა, სანამ მას თბილისში სამსახურს გამოუძებნიდნენ; მას ვლადიმერი ერქვა. - უპასუხა ბერტამ, და იქ მყოფთ გადახედა: იქნებ ვინმეს კითხვა ჰქონდა. მაგრამ არა.

- ვალიკო, იქნებ ახლა შენ მოგვიყვე რაიმე, თუნდაც აფხაზეთის ომის შესახებ. - თხოვნით მიმართა ნუგზარ ნაჭყებიამ.

- კარგით. და, მსურს აფხაზეთის ომის ანუ ჩვენი საერთო დიდი სატკივარის შესახებ მოგითხროთ. - უპასუხა ვალიკო დადუნაშვილმა და თხრობა დაიწყო:

- ისე მოხდა, რომ აფხაზების, რუსებისა და სომხების გაერთიანებულ შეიარაღებულ ჯგუფთან შეტაკებისას, უკან მოგვიწია დახევა და, ჩვენს სოფელს მოვწყდით. ყველანი შევშინდით განსაკუთრებით მე, რამეთუ აფხაზებმა იცოდნენ ჩემს შესახებ, რომ ომში ვიღებდი მონაწილეობას და ისიც იცოდნენ, რომ ოჯახი ადგილზე მყავდა, ანუ სახლში, და უხიფათო ადგილას არ მყავდა გახიზნული. არ ვიცოდი რა მექნა, ჩემი ფიქრი გონებაში მაწანწალა ძაღლივით წრიალებდა და ხანდახან ისეთ ყმუილს ატეხდა ლამისაა თავი შუაზე გამსკდომოდა. არ მინდოდა წარმოდგენა იმისა თუ რას უზამდნენ ჩემს ცოლ-შვილს, მორფით გაბრუებული რუსები და, სულ, ჩვენი ერთი გაგრელი მებრძოლის მონაყოლი მახსენდებოდა: - „მორფით გაბრუებულმა რუსებმა და კაზაკებმა ტყვედ აყვანილ ხუთ იბერიელს და მათ მომხრე ორ აფხაზს თავები დააჭრეს და მოჭრილი თავებით ფეხბურთის თამაში გამართეს, ხოლო ერთი ქალი ელექტროხერხით შუაზე გადახერხეს და ეს, იქვე, ხეზე მიბმულ მის ქმარს აყურებინეს, რომელიც ჭკუიდან შეიშალა“. და, ამ მონაყოლის გახსენება გულს ისე მიკუმშავდა, რომ საშინელ ტკივილს ვგრძნობდი მთელს სხეულში; გამოსავალს ვეძებდი, ვეძებდი რაღაც მისტიურ შემთხვევაში, ვლოცულობდი და ღმერთს ვევედრებოდი ჩემი ოჯახის გადარჩენას; უცებ გამახსენდა, რომ ერთ-ერთი ჩვენი ჯარისკაცი სხვას უყვებოდა ტყვედ აყვანილი სოხუმელი აფხაზის შესახებ, რომელიც გვარად შოთა ადლეიბა იყო და რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ აფხაზები;

და, აზრი გამიჩნდა ჩემი ოჯახის სანაცვლოდ, შოთას და მისი ოჯახის განთავისუფლება. ამ საქმეში დამეხმარნენ კომენდატი კორნელი ჩალაძე და რეხვიაშვილი, რეხვიაშვილის სახელი არ მახსოვს, ოჯახების გაცვლაზე უშუალო მოლაპარაკებას რეხვიაშვილი ახორციელებდა, მოლაპარაკება გაიმართა და გადაწყდა: მე, აქ შოთა ადლეიბას ოჯახის უსაფრთხოებას ვუზრუნველვჰყოფდი, ხოლო მისი ახლობელი აბხაზები კი ჩემი ოჯახის უსაფრთხოებას დაიცავდნენ აბრახუკში. და, მერე, ხელსაყრელი ვითარების შექმნისთანავე მოვახდენდით ოჯახების გაცვლას. ამ შეთანხმების საფუძველზე შოთა გავუშვი იმ პირობით, რომ სამ დღეში ჩვენს მხარეს გადმოიყვანდა ჩემი ოჯახის წევრებს. დრო ცუდი იყო, ამდენად არავის ნდობა არ შეიძლებოდა, და შოთა ძალიან შევაშინე, ვუთხარი: „თუ მომატყუებ შენი ოჯახის ყველა წევრს დავხოცავ“. რასაკვირველია, მე, ამის გამკეთებელი არ ვიყავი, ან ვაჟკაცი როგორ იკადრებდა ბავშვებზე და ქალზე ხელის აღმართვას, მაგრამ უნდა შემეშინებინა და ამიტომაც დავემუქრე ასე. ჩემმა ხრიკმა გაჭრა და მართლაც ორი დღის შემდეგ პატარა აფხაზი ბიჭის პირით, რომელმაც გადმოლახა ჩვენი და აფხაზების ბრძოლის გამყოფი ხაზი, გამაგებინეს, რომ მდინარის მეორე მხარეს ქვემო გუმისტის ხიდის ბოლოში ცოლი გელოდებაო, გავყევი ამ ბიჭს და რას ვხედავ ფეხშიშველა, შეშინებული, მაღალ ძეძვნარში ჩემი ცოლი დგას. სხეულის შიგნიდან თითქოს დანა დამისვესო ისეთი ტკივილი ვიგრძენი, თვალებიდან კინაღამ ცრემლები წამსკდა,

მაგრამ თავი შევიკავე, ჩემმა გარეგნულმა სიმტკიცემ ისიც გაამაგრა, შიში გაუქრა, მიახლოვებულს გადამეხვია და ჩემი იქ ყოფნით გათამამებულმა მითხრა: „იმ ძაღლისშვილებს ჩვენი შვილები იქ ყავთ“. და, ხელი ოდნავ შემაღლებულ ადგილისაკენ გაიშვირა. ფრთხილად გავეშურე მითითებული ადგილისაკენ. ბავშვებმა, შორიდანვე დამინახეს და დამიყვირეს: „მამა აქ ვართ“. მეც ხმას გავყევი და როცა რამდენიმე ნაბიჯით მივუახლოვდი, ხელი ჰკრეს აფხაზებს, რომლებსაც ბავშვები ეჭირათ, თავი გაინთავისუფლეს და მე, შემომეხვივნენ. შოთაც იქ იყო, მომიახლოვდა და ახალი პირობა წამომიყენა: - „თუ გინდა ბავშვები გაგატანოთ, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად, ჩემი სხვა ახლობლებიც უნდა გადმოიყვანოო“. არ მომეწონა ახალი პირობა და პირდაპირ მივახალე: - „ჩვენი პირობა სხვა იყო, ეს ახალი მოთხოვნაა, რომელსაც არ შევასრულებ, სიტყვის გატეხა არ არის ვაჟკაცის წესი...“, შევაგინე და რევოლვერი დავუმიზნე: - „მეც მოკვდები და შენც ჩაგაძაღლებ“. - ასე ვუთხარი. შეშინდნენ იქ მყოფნი და ძველ პირობაზე დათანხმდნენ. მეც ჩემი სიტყვა შევასრულე, ჩავუყვანე მისი ოჯახის წევრები უვნებლივ, კარგად ჩაცმულნი და ფულიც გავატანეთ, ჩემები კი ფეხშველა და შემოხეული ტანსაცმლით გამოუშვეს, იმის უფლებაც კი არ მისცეს სახლიდან ტანსაცმელი, რომ წამოეღოთ. აი, მითხარით ახლა ეს ადამიანური საქციელია? იცით თქვენ, რომ ჩემს სოფელში აფხაზებმა ყველა იბერიელი დახოცეს,

ხოლო კოვზირიძეები და ბზიკაძეები ჯერ სასტიკად აწამეს და მერე დახვრიტეს.

- რატომ მოხდა ასე? - იკითხა ვალიკოს გვერდით მჯდომმა ქალბატონმა.

- ქალბატონო ციცინო, ჩვენი სოფელი იმიტომ ამოიჩემეს, რომ 17 მარტის რეფერენდუმი, რომელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირში დარჩენა არ დარჩენის არჩევანს, ჩვენმა სოფელმა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას დაუჭირა მხარი. - გაღიზიანებით უპასუხა ვალიკომ.

- ანუ აფხაზებს სურდათ საბჭოთა კავშირში დარჩენა? - დააზუსტა ციცინო ჯმუხაძემ.

- დიახ. - მოკლედ უპასუხა ვალიკომ.

- ასეთ ცუდ დამოკიდებულებაში იყავით აფხაზებთან? - ჰკითხა ზაურ ნადარეიშვილმა ვალიკოს.

- არა, პირიქით კარგად ვიყავით ერთმანეთთან, ერთმანეთის ბავშვები გვყავდა მონათლული. იცით? ბავშვობაში ერთხელ ტრაქტორზე ვიყავი ამძვრალი და ჩამოვარდი, შესაძლოა ტრაქტორზე გამობმულ გუთანს გავეჭყლიტე, მაგრამ შამბა მკანმა გადამარჩინა. მკანს მხოლოდ გოგონები ჰყავდა და ამ შემთხვევის შემდეგ თავის ვაჟად მიმიღო. მაგრამ, რუსებმა და სომხებმა ისე გადაუტრიალეს ტვინი, რომ ომის დროს ჩემი და ჩემი ოჯახის დანახვაც არ სურდა. გეუბნებით! აბგარხუკში ჩეჩნები უფრო კარგად ექცეოდნენ იბერიელების ოჯახებს, ვიდრე აფხაზები. - ვალიკოს მიერ ამ ამბის გახსენება ყველა დაასევდიანა. კიდევ რაღაცის თქმა

სურდა, მაგრამ დადუმდა, გვერდზე მსხდომ მეგობრებს გადახედა და ჰკითხა:

- რა, თქვენც მსგავს ვითარებაში არ იყავით, უარესში თუ არა?

- ასე იყო? - დაეთანხმა ზაური.

- ჰო-და ზაურ ახლა შენ თქვი შენი გულის ტკივილი. - თხოვნით მიმართა ვალიკომ.

- მე, ზაურ ნადარეიშვილს ერთი მაქვს სათქმელი ასე იყო თუ ისე ბოლოს მაინც უნდა შევრიგდეთ ჩვენ და აფხაზები. გარდა ამისა ამ დაწყევლილი ომის დროს ბევრი აფხაზი დაგვეხმარა; მაგალითად, ჩვენი თანამოქალაქე თემურ რურუა ომის პერიოდში გუდაუთაში არ იმყოფებოდა და როცა მისი ოჯახი საფრთხეში აღმოჩნდა, მისმა აფხაზმა მეგობარმა ვადიმ არისტავამ თავის ოჯახთან ერთად ბომბორას სამხედრო აეროდრომიდან ქალაქ როსტოვში გადააფრინა, ანუ გადაარჩინა თემურის ოჯახი. - და, ზაურმა მხარდაჭერის მიზნით გაიოზ მეტრეველს გახედა.

- ვეთანხმები ზაურს! - მხარი დაუჭირა გაიოზმა და დაამატა: - მე, ვქმნი არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც კავშირს დაამყარებს აფხაზებთან და შეეცდება ძველი მეგობრობის აღდგენას.

- არ გამოვა ეს. რუსეთი არ დაუშვებს ამას, - საუბარში ჩაერია სპორტული აღნაგობის მამაკაცი. - იცით თქვენ, რომ ოჩამჩირის რაიონის დაბა ტამიშთან იბერიელებმა ომი თავის სასარგებლოდ მოატრიალეს, მაგრამ 1993 წლის 2 ივლის

ტამიშში გადმოსხმულმა რუსულმა საზღვაო დესანტმა მოულოდნელი შეტევით მთლიანად გაანადგურა იბერიის თავდაცვის სამინისტროს დუშეთის სწრაფი რეაგირების ბატალიონი. დაიღუპა დუშეთის ბატალიონის ორმოცამდე მებრძოლი, მათ შორის იყვნენ ქალები: მესხია ნანა და ჭინჭარაული ლელა. დიახ, როგორც კი დაინახეს, რომ იბერიელები იმარჯვებდნენ იმწუთშივე გააძლიერეს თავისი სამხედრო ძალები აფხაზეთში. ეს ფაქტიც კი მიანიშნებს იმაზე, რომ ეს იყო ომი რუსეთსა და იბერიას შორის და განვმეორდები, რუსები არ დაუშვებენ აფხაზებისა და იბერიელების დაახლოებას, რადგან ეს აფხაზეთის დათმობის ტოლფასია.

- მაინც, რატომ არ დაუშვებს? - დაბეჯითებით ჰკითხა ზაურმა.

- ვიცი მე ეს. დამიჯერეთ მე, დაუჯერეთ ნუგზარ სონგულიას, - და, ნუგზარმა დასაბუთება დაიწყო: - პირველი, ამას არ დაუშვებს იმიტომ, რომ რუსეთს ბატონობა სურს შავ ზღვაზე, მეორე იმიტომ, რომ იბერია ანუ აფხაზეთი სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით ხელსაყრელი ტერიტორიაა, დაბოლოს ისიც მინდა დავამატო, რომ სანამ ლავროვი კრემლში იჯდება შეეცდება აფხაზეთი სომხეთის ავტონომიურ ოლქად აქციოს.

- მართლა! - გაბრაზებულმა წამოიყვირა ზორბა ტანის მამაკაცმა.

- მართლა, მართლა ჩემო გია. - ცოტა დამცინავად მიმართა ნუგზარმა გია ჭიჭინაძეს.

- არ გამოუვათ. - საუბარში ჩაერია გიას მოგვარე იური ჭიჭინაძე.

- რუსეთმა თუ შავ ზღვაზე პოზიციები გაიმაგრა, ევროპის ქვეყნების ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე აშკარად გაიზრდება. - საუბარში ჩაერთო მიშა ცქვიტაია. - და, ევროკავშირის პოლიტიკური სტატუსი დაეცემა.

იქვე, მახლობლად, სამი მამაკაცი და ერთი მანდელოსანი მაგიდას მისხდომოდა და აშკარად ეტყობოდათ გუდაუთელეზის საუბარს, რომ უსმენდნენ; ეს გარემოება გუდაუთელებს არ გამოჰპარვიათ, შენიშნეს, მაგრამ არ იმჩნევდნენ.

- რატომ გვისმენენ, თან ასე აშკარად? - ჰკითხა მამაკაცმა გვერდზე მსხდომ ქალბატონს.

- ალბათ აინტერესებთ რამაზ კანდელაკი იბრძოდა თუ არა აფხაზეთის ომში. - ღიმილით უპასუხა ქალბატონმა.

- ეჰ, მე იმაზე მეტი გავაკეთე ვიდრე სხვებმა იარაღით, - მოკლედ უპასუხა რამაზმა და ქალბატონს ჰკითხა: - ნათელა, შენი კლასელი იურა ისევ მოსკოვში მოღვაწეობს?

- რომელ იურაზე მეკითხები, ცხვირავაშვილზე? - დააზუსტა კითხვა ნათელა ოყუჯავამ.

- ხო, ცხვირავაშვილზე; მას მგონი დიდი ბიზნესი აქვს იქ. - და, რამაზ კანდელაკმა მზერა ისევ გვერდზე მაგიდასთან მსხდომ უცნობებზე გადაიტანა. ეს მზერა აშკარად გამოხატავდა: - „რატომ გვისმენთ და როგორ მოხვდით აქ“? -

უცნობები შეწუხდნენ, და ერთ-ერთი მათგანი წამოდგა და გუდაუთელებს მიუახლოვდა:

- თქვენი საუბრიდან მივხვდი, აფხაზეთიდან უნდა იყოთ? - იკითხა უცნობმა.

- აფხაზეთიდან ვართ. - ხმა გაისმა მაგიდების სხვადასხვა ადგილებიდან.

- თქვენ ვინ ბრძანდებით? - მორიდებით ჰკითხა რამაზ კანდელაკმა უცნობს.

- მე, სოხუმიდან ვარ, გია მარღანია. შეიძლება თქვენ შემოგიერთდეთ და ჩემი ამბავი მეც გიამბოთ?

- რასაკვირველია. - თანხმობა განაცხადა რამაზმა, ვალერი ბაღათურიამაც დაუჭირა მხარი:

- დიახ ბატონო, გისმენთ.

საერთო თანხმობამ გია მარღანია გაათამამა და თხრობას შეუდგა:

- იცით თქვენ, სადღაც ომის შუა პერიოდში, ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყდა, რომ აფხაზები და იბერიელები ომს შეწყვეტავდნენ და მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებოდნენ. ასეც მოხდა და გადაწყდა, რომ იბერიელების მხარე სოხუმიდან მძიმე არტილერიას გაიყვანდა. როგორც იცით იბერიელებმა დადებული პირობა მეორე დღესვე შეასრულეს, მაგრამ აფხაზებმა, რუსებისა და სომხების წაქეზებით ომი განაახლეს ანუ ზავის პირობა დაარღვიეს; ამ დროს მე, და ჩემი შენაერთი ედუარ შევარდნაძის ბრძანებით სოხუმის დამცავი

ზოლი დავტოვეთ და გამარჯვების პარკში განვლაგდით; მეორე დღეს ჟიული შარტავაც გვესტუმრა და დაგვამშვიდა: - „ომი დამთავრდა, ახლა პოლიტიკოსების გადასაწყვეტია აფხაზეთისა და ჩვენი ბედი“. ჟიული შარტავა ამის შემდეგ არც მინახავს, მოგვიანებით, უკვე, თბილისში გავიგე, რომ შარტავა და გაბისკერია დახვრიტეს. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, და ეს უცნობის მიერ გადაღებულ ვიდეოზეც ჩანს; კაზაკებმა, თურმე გაბისკერიას დაჩოქება უბრძანეს და იცით რა უპასუხა: - „არასოდეს არ დავიჩოქებ თქვენს წინაშე!“, ნამდვილი გმირი იყო, და ყოველთვის მიკვირდა, შევარდნაძემ როგორ მიატოვა სოხუმში ეგ ორი ბუმბერაზი ადამიანი. ჰოო... დავუბრუნდები ისევ იმ დღის ამბავს: დ. გულიას სახელობის ქუჩიდან შემოგვესმა ჯერ მსუბუქი ავტომანქანის სწრაფი დამუხრუჭების ხმა და მერე რამდენიმე კაცის ყვირილი, რასაც გინება მოყვა. ჩემი ჯარისკაცები იქით გაეშურნენ. ახალგაზრდები, თითქმის ბავშვები იყვნენ; ჯარისკაცებს ჩეჩენი მებრძოლი დაეტყვეებინათ და ჩემთან მოჰყავდათ, ჩემებიც წამოეშველნენ:

- ვინ არის? - ვკითხე ახალგაზრდებს.

- ამბობს ჯოხარ დუდაევის თანამოაზრეა და ჩვენთან ამბის შესატყობინებლად მოვიდაო, ზვიად გამსახურდიასაც ვიცნობო. - ყველამ ერთად სხაპა-სხუპით მომაყარა ინფორმაცია.

მე, რუსულად ვკითხე:

- რატომ გინდოდა ჩემთან შეხვედრა?

რუსულადვე მიპასუხა:

- ქალაქიდან შეიარაღება არ გაიყვანოთ, გატყუებენ! რუსი კაზაკების, სომხების და ახმად კადიროვის მომხრეთა დიდი შენაერთი უახლოვდება სოხუმს, ასაღებად!

ვკითხე:

- რა გქვია?

- არ გეტყვი. - მოკლედ მიპასუხა.

- რა უყავით იმ ჩეჩენს? - საუბარში ჩაერთო იური ჭიჭინაძე.

- რასაკვირველია მადლობა გადავუხადეთ და გავუშვით. - მოკლედ უპასუხა გიამ და თხრობა განაგრძო:

- ეს ჩეჩენი გავუშვით თუ არა, უკან გავეკიდე ჟიული შარტავას, მაგრამ ვერ დავეწიე. დავდარდიანდი. ჯარისკაცებს ვთხოვე ისევ ძველ პოზიციებზე დავბრუნებულიყავით, დამთანხმდნენ. ბოლომდე ვიცავდით სოხუმს, მაგრამ ზურგს ალტერელია ვეღარ გვიმაგრებდა; გაყვანილი იყო ქალაქიდან. სხვა გზა არ გვქონდა უკან დავიხიეთ. აი, ასე მოგვატყუეს რუსებმა.

- კი არ მოგვატყუეს, ღალატს ჰქონდა ადგილი. ეს კარგად ვიცი, ზვიად გამსახურდია წამოვიდა თავისი ჯარით დასახმარებლად, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის და ჯაბა იოსელიანის მებრძოლები ზურგში მოექცნენ, ზვიადის დაჭერისა და მისი მომხრეების განადგურების მიზნით. - ევმენიმ საუბარი შეაწვეტინა გიას და სადღეგრძელო მოითხოვა, თამადამ ნება დართო:

- იბერიელმა, პიროვნული ზნეობის სრულყოფის მაღალ იდეალად გმირობა აღიარა. უარჰყო ფიზიკური ძლიერების

კულტი, და გმირობა სულიერი სიძლიერით განსაზღვრა. ამგვარი იდეალური გმირებია შუშანიკი, აბო თბილელი, გრიგოლ ხანძთელი...

- ცოტნე დადიანი. - შეეშველა გია მესხია.

- ცხრა ძმა ხერხეულიძე. - ხმამაღლა წარმოთქვა რამაზ კანდელაკმა.

- სამასი არაგველი. - ახლა ნუგზარ სონგულია წამოეხმარა.

- შორს რატომ მივდივართ? აფხაზეთის გმირები ჩამოვთვალოთ. - და, დაიწყო ჩამოთვლა ზაურ ნადარეიშვილმა:

- ლილი თაკვარელია, ზურა იარაჯული, ირაკლი ამირეჯიბი,

სხვებიც მიეშველნენ:

- ვაჟა თოდუა,

- ზურა გაგუა,

- იზანი ცერცვაძე,

- საშა იოსელიანი,

- დიმა ჭურღულია,

- ასლანიკაშვილი ....

და, გაგრძელდა გვარების ჩამოთვლა, რომელსაც დასასრული არ ჰქონდა. ჭეშმარიტად ცხადია და უცხადესი, რომ როგორც მართალთა ნეტარება იქნება დაუსრულებელი, ასევე გმირთა უკდავება.

ევმენიმ ხელახლა შეავსო ჭიქა და, ამჟამად, წამებით დახოცილი უდანაშაულო ადამიანების სადღეგრძელო შესთავაზა მეგობრებს, და მორიდებით ითხოვა ზოგიერთი

წამების ამსახველი დოკუმენტალური ფაქტების მოყოლის უფლება, ყველა დადუმდა, რაც ევმენიმ თანხმობად მიიღო და თხრობას შეუდგა:

- ყველაზე შემზარავი ის გარემოებაა, როცა უმწეო მოხუცებს და ბავშვებს ხოცავენ, ერთ-ერთი დოკუმენტური მასალის შესწავლის დროს აღმოვაჩინე, რომ რუსმა კაზაკებმა სოფელი ზემო ფშაფის იბერიელი მოსახლეობა მთლიანად ამოსწყვიტეს მოხუცებიც კი არ დაინდეს. სამოც წელს გადაცილებული ლილი წურწუმია, ის ჯერ წყლით გაბერეს და მერე დახვრიტეს მეუღლესთან ერთად; აწამეს და დახვრიტეს ამავე სოფლის სამოცდაათ წელს მიღწეული შალვა წურწუმია, თამარ ჩიქვაიძე, ხოლო ლუბა ჩემია დახვრიტეს მეუღლესთან, ქალიშვილთან და შვილიშვილე-ბთან ერთად, აწამეს და დახვრიტეს ეთერი ვეკუა, რაია გაგუა, ეკატერინე შენგელია, ვერა მესხი, გვრიტი მესხი. მსგავსი და უფრო სასტიკი დანაშაული კაზაკებმა, სომხებმა და რუსებმა ჩაიდინეს სოფელ ახალდაბაში, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა რუსი კაზაკების გენერალი ვიქტორ ვადალადსკი და ატამანი ნიკოლაი კაზიცინი მათი უშუალო ბრძანებით ჭაში ცოცხლად ყრიდნენ იბერიელ ტყვეებს. ძალიან დიდი დანაშაული ჩაიდინა მღვდელმა ბესარიონ ფილიამ, უშუალოდ მისი სურვილით დახვრიტეს იოანე ოქროპირის მონასტრის მღვდელი მამა ანდრია, ხოლო ამ მონასტრის ამღდგენელი და რესტავრატორი, აფხაზი იური ანუა მონასტრის ეზოში ჯერ სცემეს, მერე ავტომატის ჯერით

ფეხები დაუცხრილეს და ბოლოს გაგუდეს, ამავე დღეს მონასტერში იმყოფებოდნენ ინვალიდები არც ისინი დაინ-დეს. რუსებმა, დედის, ნაირა კალანდიას თვალწინ მოკლეს მისი ჩვიდმეტი წლის ვაჟი, რომელსაც ნუკრი ერქვა, და მკვლელობის მიზეზი იყო მისი კარგი გარეგნობა. ამ საშინელი ამბის თვითმხილველები ჰყვებიან: - „დედა, ემუდარებოდა მკვლელებს, რომ ისიც მოეკლათ, მაგრამ ერთ-ერთმა რუსმა ჯარისკაცმა უპასუხა: - „არა შენ ამ მოგონებით უნდა იცხოვროო“, შემდეგ მოკლულ შვილს, დანით, თვალი ამოთხარა და დედას ჩათხარა პირში. დედა დაემხო თავისი ვაჟის მომაკვდავ სხეულს და მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა ჩაისუნთქა“. ეს არ აკმარეს ნაირას, ფეხებით დაკიდეს და ქვემოდან ცეცხლი შეუნთეს, მერე კაზაკებმა მათ მიერ მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს სადაც პატარა გოგონები ჰყავდათ დამწყვდეული. ამ გოგონებს ყოველდღე აუპატიურებდნენ, არ დაინდეს რვა წლის გოგონაც.

ევმენიმ თხრობა შესწყვიტა, თითქოს რაღაც გაახსენდა, ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო და იქიდან დაჭმუჭნილი გაზეთის ფურცელი ამოიღო:

- ამ დილით წავიკითხე ლელა ჯიყაშვილის სტატია და მინდა თქვენც წაგიკითხოთ. - და, ხმამაღლა კითხვას შეუდგა:

- „ყაზბეგის ქუჩის ერთ-ერთ ეზოში ყვავილები ისე ჰყვაოდა, თითქოს გარეთ არც ომი ყოფილიყო, არც ხალხი იხოცებოდა, არც ახალგაჭრილი საფლავი იყო იქვე, სახლის

კიბესთან. აქ რამდენიმე დღის წინ ოჯახის უფროსი ხუტა ჯღამაძე დაკრძალეს. იგი თავისსავე ჭიშკართან დახვრიტეს - ვინ, ზუსტად არავინ იცის, მაგრამ არა აფხაზებმა, რადგან მეორე თუ მესამე დღეს ეზოში შესულმა შეიარაღებულმა აფხაზებმა მეზობლებს დაუძახეს: - „ვიღაცას ხუტა მოუკლავს და მიხედეთო“. შეშინებული ხალხი: - „საფლავს გაგვათხრევინებთ და ჩვენც დაგვხვრეტთ ალბათო“; დაუმშვიდებიათ, - „ხელს არავის გახლებთ, დაკრძალეთ მიცვალებულიო“. ამ კაცთან ბევრ მათგანს ექნებოდა ლუკმა გატეხილი. ხუტა ჯღამაძის ოჯახი ხომ სტუმართმოყვარეობით იყო განთქმული. დიასახლისსაც ყველა იცნობდა, არა მხოლოდ მშვენიერი ლექსებით - მისი შეუმჩნევლობა შეუძლებელი იყო, ის თავისი ხიბლით ალამაზებდა ქალაქს. ეთერ სამხარაძე-ჯღამაძეს სამი შვილი დარჩა: აზა, ვაჟა და რეზო... მისი ვაჟი, რეზო, საგანგებოდ ჩავიდა მოსკოვში, იქ აფხაზ ყოფილ მეზობელს სთხოვა: - „დედა როგორმე სოხუმიდან გამომაყვანინე, მამა დამიხვრიტეს და მასაც რამე არ მოსწიონო“. „ხუტას ვინ დახვრეტდაო“, - ვერ დაიჯერა მეზობელმა. ამ ამბის შემდეგ შვილებს დედის წერილი ჩამოუტანეს: - „ახლა ბინდდება, ღელესთან ვზივარ და ისე გწერთ... ვიდრე ორმოცი არ გავა, ხუტას საფლავს ვერ მივატოვებო“.

- დახვრიტეს? - აღელვებულმა იკითხა ნათელა ოყუჯავამ.

- დახვრიტეს, - დანანებით უპასუხა ევმენმა, და გაზეთის დაჭმუჭნილი ქაღალდი, ისევ ჯიბეში ჩაიდო: - იმ პერიოდში დახვრიტეს ბიჭიკო ბარამია და ეს მიუხედავად იმისა, რომ

ხელშეუხებლობის წერილი ჰქონდა არძინბასგან მიღებული, მაგრამ აფხაზებმა მაინც მოაკითხეს და, წაიყვანეს, რაღაც უცნაური მიზეზით. უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ბიჭიკო ბარამია ავადმყოფობდა, მეუღლემ მარტო არ გაუშვა. ქალბატონი ეთერიც თანადგომის ნიშნად მას გაჰყვა, თან პოეტ იოსებ გრიშაშვილის ნაჩუქარი ალბომი წაიღო, სადაც არაერთი ისტორიული ფოტო ჰქონდა ჩაკრული. ეიმედებოდა იბერიის საამაყო შვილები, უნდოდა ეჩვენებინა რუსებისთის და ამით დაემტკიცებინა, რომ ადამიანები, რომლებიც ასეთი სიყვარულით ჩამოდიოდნენ სოხუმში და, სოხუმელები, რომლებიც ასე ცდილობდნენ თავისი ქალაქი საუკეთესო კუთხით წარედგინათ სტუმრე-ბისთვის, არ და ვერ იქნებოდნენ მტრები... ალბომს ძვირფასი სპილოს ძვლის ყდა ჰქონდა. ცოტა ხანში ყდამოგლეჯილი, მტვერში ამოსვრილი ალბომი სოხუმის ქუჩაში იპოვეს... ბიჭიკო და მედეა სომხებმა დახვრიტეს.

- დასანანია. - აღნიშნა იური ჭიჭინაძემ.

- მე, ახლახანს კიდევ ერთი დოკუმენტი მოვიპოვე. - და, ევმენმა უკვე პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო ოთხად დაკეცილი ქაღალდი და მის კითხვას შეუდგა:

- „1993 წლის 27 სექტემბერს ყაბარდოელთა სადაზვერვო-საშტურმო ჯგუფი მუაედ შოროვის ხელმძღვანელობით, აფხაზური ჯარის სხვა დანაყოფების მსგავსად, ცდილობდა, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობას მიახლოებოდა. დილის 9 საათზე, როდესაც ჯგუფი ქუჩაში, მინისტრთა

საბჭოს შენობასასთან ახლო მდებარე პროკურატურის შენობასთან იმყოფებოდა, რაციით გადაიცა ცნობა: „77-ევ, გადაადგილდით მინისტრთა საბჭოსკენ, იგი უკვე აღებულია“. როდესაც მებრძოლები შენობის მარჯვენა ფრთის მხრიდან მინისტრთა საბჭოს შენობის მოედნის კიდეზე გავიდნენ, ცენტრალური კორპუსის ზედა სართულებიდან და მარჯვენა ფლიგელის მეორე სართულის ფანჯრებიდან ჯგუფს ტყვიამფრქვევებიდან და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. მოხალისეები დაიქსაქსნენ და თავშესაფრებში გადაიმალნენ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩათვალეს რა, რომ თავისიანები ესროდნენ, და მათ აფხაზური დროშის ქნევა დაიწყეს შეძახილებით „აფსუა!“,„აფსუა!“, მაგრამ, როცა მოხალისეებმა შენობის თავზე აღმართული იბერიული დროშები დაინახეს. ცხადი გახდა, რომ შენობაში მათი მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები იყვნენ. ამიტომ, მათ უმალ დაიწყეს მზადება შტურმისთვის. შტურმი **10:30** სთ-ზე შენობის მარჯვენა მხრიდან დაიწყო. შენობის ცენტრალური კორპუსის ზედა სართულებიდან ყაბარდოელებს უკრაინული სპეცრაზმელები ესროდნენ. მათი სნაიპერული ცეცხლის ჩახშობას ყაბარდოელთა ჯგუფის მეტყვიამფრქვევე და სნაიპერები ცდილობდნენ. ქვედა სართულებიდან და მარჯვენა ფლიგელის მეორე სართულის ფანჯრებიდან ედუარდ შევარდნაძის დაცვის წევრი სპეცრაზმელები და აფხაზეთის საოკუპაციო მთავრობის წევრები ისროდნენ ჟიული შარტავას თაოსნობით, ქვედა სართულიდან რაულ

ეშბა, ჯუმბერ ბეთიშვილი, იური გავა და შარტავას დაცვის ბიჭები: ავთანდილ დეკანოიძე, მამია ალასანია, ბადრი ბაღათურია, თენგიზ აბსანძე, ელგუჯა შარტავა და მერაბ კვირიკაძე. მალე ყაბარდოელებს მარშალ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის მებრძოლები ამოუდგნენ გვერდში. მათ მთელი მოედნის გასწვრივ ტყვიამფრქვეველებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან გახსნეს ცეცხლი. ყაბარდოელებს ასევე რუსების საზენიტო დანადგარმა აღმოუჩინა დახმარება. ყაბარდოელებმა ცეცხლმტყორცნი „შმელი“-იც გამოიყენეს. დაახლოებით 5 საათის შემდეგ მარცხენა ფლიგელის მეორე სართულის ერთ-ერთ ფანჯარაში თეთრი პირსახოცი გამოფინეს. კიდევ რამდენიმე წუთში შენობიდან უიარაღო ადამიანი გამოვიდა თეთრი პირსახოცით აწეულ ხელში. მასთან, ასევე უიარაღოდ, მ. შოროვი და ა. შიხალიევი მივიდნენ. მომლაპარაკებელმა მათ ჟიული შარტავას წინადადება გადასცა, მათთვის დერეფანი გაეკეთებინათ, რომლითაც ქალაქიდან გავიდოდნენ, თუმცა იბერიელ წარმომადგენელს უპასუხეს, რომ მისაღებია მხოლოდ ერთი პირობა: „ცოცხლად გადარჩენილები ტყვედ ბარდებიან, დაჭრილებს გაეწევათ სამედიცინო დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში 15 წუთში შტურმი განახლდება და მათ გაანადგურებენ“. ამის შემდეგ 15-20 წუთში გამოსულმა იგივე მომლაპარაკებელმა ყაბარდოელებს ამცნო, რომ შარტავა თანახმა იყო, ჩაჰბარებოდა მხოლოდ ყაბარდოელებს. როდესაც მოხალისეები მომლაპარაკებელთან ერთად შენობის

მეორე სართულზე ავიდნენ, იქ ერთ ოთახში დარჩენილმა იბერიელმა სპეცრაზმელებმა, დაახლოებით 30 კაცი, და საოკუპაციო მთავრობის წევრებმა იარაღისა და ამუნიციის იატაკზე დაყრა დაიწყეს. მ. შოროვმა, გაარკვია რა, რომელი იყო ჟიული შარტავა, მას გამოუცხადა: „თქვენ დაკავებული ხართო“. შარტავამ ითხოვა, განემარტათ, ვინ იყვანდა ტყვედ. შოროვმა უპასუხა: „ყაბარდოელთა ჯგუფის მეთაური, აფხაზური არმიის მაიორი შოროვი“. შარტავამ იარაღი ჩააბარა, ასევე გადასცა იბერიის პარლამენტის დეპუტატის მოწმობა. თავისი საბუთი ჩააბარა სოხუმის მერმა გურამ გაბესკირიამაც. მათ გარდა, ჩაბარდნენ საოკუპაციო მთავრობის პოლიციისა და კანცელარიის უფროსები. შარტავამ ჩაწერა თავის ბლოკნოტში, ვის მიერ და რა ვითარებაში იყო დაკავებული. ჩაბარდა 26 იბერიელი სპეცრაზმელიც. იბერიელმა ტყვეებმა განაცხადეს, რომ იბერიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ ისინი შეცდომაში შეიყვანა და მუდმივად ატყობინებდა მათკენ მიმავალი სხვადასხვა დახმარების შესახებ, რომელიც რეალურად, არც იყო დაგეგმილი. როდესაც შეიტყვეს, რომ ეს ტყუილი იყო, უკვე გვიანი იყო. 14:30 სთ-ზე ყაბარდოელი მოხალისეები ასლან აბაევი და აზამატ ხაგაჟეევი შენობის სახურავზე აძვრნენ და აფხაზური დროშა აღმართეს. შენობის ზედა სართულების შემოწმების შემდეგ მოხალისეებმა დაადასტურეს, რომ იქ მოკლული უკრაინელების ბევრი ცხედარი იყო. დაიწყეს ტყვეთა გაყვანა მარცხენა ფლიგელის

სადარბაზოდან. მოედანი სავსე იყო აფხაზური და სომხური ჯარის სხვადასხვა შენაერთების წარმომადგენლებით. საყურადღებოა ერთ-ერთი ჩერქეზის მონაყოლი: „მესამე სართულის ერთ-ერთ ოთახის კუთხეში სპეცრაზმელი იდგა ერთ ხელში ჯვრით, მეორეში კი - „ლიმონკით“. მან მშვიდი ხმით ითხოვა: მომკალით, ჩემი რწმენა თვითმკვლელობის უფლებას არ მაძლევსო. გესროლა მისთვის - ნიშნავდა, ყველას სიცოცხლე რისკის ქვეშ დაგეყენებინა. ამიტომ ანატოლი შიხალიევმა, აზამატ ხაგაჟეევმა, აჰმედ ფშეუნოვმა და ანზორ თემირკანოვმა სცადეს, დაერწმუნებინათ იგი, არ ჩაედინა გამოუსწორებელი შეცდომა. როცა გაირკვა, რომ იბერიელი სპეცრაზმელი ავღანეთში იყო ნაბრძოლი, მოლაპარაკებებში ასევე „ავღანელი“ - ყაბარდოელთა ჯგუფის წევრი ასლან ბალკაროვი ჩაერთო. მერაბს, ასე ერქვა იმ იბერიელს, ეუბნებოდნენ, რომ ომი დასრულებული იყო, სახლში ახლობლები ელოდნენ. მას სიტყვა მისცეს, რომ დაუტოვებდნენ იარაღს, როგორც ღირსეულ მამაკაცსა და მებრძოლს, თუ ისიც დადებდა პირობას, რომ მას არ განოიყენებდა. ასეც მოხდა. მერაბმა აზამატ ხაგაჟეევს ფოტოსურათი ჩააბარა, რომელზეც თამაზ ნადარეიშვილთან და იბერიელ გენერლებთან ერთად იყო გადაღებული, ეს ფოტოც ახლა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის აფხაზი მოხალისეების კავშირში ინახება შარტავას და გაბესკირიას საბუთებთან ერთად“. - აი, კიდევ რას აღწერენ ამ დოკუმენტში: - „მერაბმა განაცხადა: „რაციით“ გადმოგვცეს, რომ ბატონი შევარდნაძე გმირულად დაიღუპა,

მათ საშველად კი სატანკო ნაწილი მოდიოდა, რომ მალე ადგილზე თვითმფრინავი იქნებოდა უკრაინული დესანტით, ხოლო ახალ ათონში მსხვილი საზღვაო დესანტი გადასხეს. როცა მივხვდით, რომ მიგვატოვეს და გვატყუებენ, წასვლა უკვე გვიანი იყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა შარტავამ, რომ უნდა ჩავბარებულიყავით, რადგან სასიკვდილოდ მიგვატოვეს და გაგვწირეს. ოღონდ მივაღწიო სახლამდე და ყველას ვუამბობ, როგორ მიგვატოვა ხელმძღვანელობამ და სარდლობამ“.

- ხო, ეს დიდი შეთქმულება იყო იბერიის წინააღმდეგ, - თხრობა შეაწყვეტინე მიშა ცქვიტაიამ ევმენს. - შეთქმულება ღმერთის წინააღმდეგ.

- ამ ომის გეგმა ნიკიტა ხრუშჩოვის დროს დაიწერა, მერე გორბაჩოვმა და ელცინმა განავითარა, რომელსაც საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელი პუტინი აკონტროლებდა და ახლა როგორც პრეზიდენტი ახორციელებს. მაგრამ, ამ უტვინოებმა არ იციან, რომ სანამ ორი იბერიელი მაინც იარსებებს, იარსებებს იბერიაც. - და, გია ჭიჭინაძემ მუქარის ნიშნად მუშტი ჰაერში შემოატარა.

- ხსოვნა იყოს უდანაშაულო ადამიანების! - ევმენმა აღარ გააგრძელა თხრობა, რადგან შეამჩნია, რომ მეგობრებს თუ როგორ ამძიმებდა ეს ყოველივე.

- ხსოვნა იყოს, ხსოვნა იყოს. - გაისმა მაგიდების ყველა მხრიდან, ფეხზე წამოდგომით შესვეს ეს სადღეგრძელო.

შემდეგი სადღეგრძელო იყო ყველა იმ ერისა ვინც იბერიელების გვერდით იბრძოდა: ქურთების, აზერბაიჯანელების, უკრაინელების, პოლონელების, ებრაელების, ლიტველების, ესტონელების და ასირიელების.

- მე, მინდა შევსვა ერთი სადღეგრძელო, - ითხოვა ნუგზარ სონღულიამ და ჭიქა ღვინით შეავსო: - მოდით ჩვენს მომავალ მეგობრობას გაუმარჯოს, განახლებულ მეგობრობას აფხაზებსა და იბერიელებს შორის.

- გაუმარჯოს! გაუმარჯოს! - ერთხმად შეჰყვირა ყველამ, და სიმღერა „კახური მრავალჟამიერი“ დასჭექეს.

გაბრიელი და მისი მეგობრები, აღტაცებულები და ამასთან სევდიანი განწყობით უსმენდნენ აწმყოდან მომავალში მოსაუბრე გმირებს.

- ახლა უკვე ყველაფერი ნათელია, მაგრამ, როგორც წარსულიდან აწმყოში მომავლის მომხდარის მოწმენი მინდა გკითხოთ: იბერიელები, შესძლებდნენ ომის მოგებას, ღალატს, რომ არ ჰქონოდა ადგილი? - იკითხა მუსლიმმა.

- იცი მეგობარო რუსებს თავიდანვე აფხაზები იარაღით, რომ არ მოემარაგებინათ მაშინ არც ომი იქნებოდა და არც არაფერი, ვიქნებოდით მშვიდად და დროთა განმავლობაში აფხაზებიც მიხვდებოდნენ, რომ რუსებთან ყოფნა კარგს არაფერს მოუტანდათ; აფხაზები ახლაც მოდიან მოლაპარაკებაზე, 9 აპრილმა დაანახა რუსეთის რეალური სახე, და უკვე თანახმანი არიან ჩვენთან ერთად სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოსვლაზე. - უპასუხა გაბრიელმა.

- დიდი შეიარაღება გადასცა რუსეთმა აფხაზებს? - ისევ იკითხა მუსლიმმა.

- ძალიან. როგორც ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, 27 აპრილს მოწყობილ მიტინგზე, გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის საზენიტო პოლკიდან ათასხუთასი ავტომატი გადასცა; და, როგორც შენც მოუსმინე დღეს მოქეიფე გუდაუთელებს, თურმე გადაუციათ: ასი ტყვიამრფქვევი, შვიდასი ხელყუმბარა და უამრავი ტყვია-წამალი. როგორც კარგად გავიგონე მათი საუბრიდან, რუსების წყალობით 1991 წლის სექტემბრის ბოლოს აფხაზთა შეიარაღება ქვეითთა ცხრა საბრძოლო მანქანით, ტ-72 ტიპის ოცი ტანკით, აგრეთვე საარტილერიო დანადგარებითა და ნაღმტყორცნებით შეივსო. ხომ უსმინე რას ჰყვებოდნენ გუდაუთელები, რომ იარაღთან ერთად, თურმე რუსები ინტენსიურად ახორციელებდნენ სეპარატისტების ცოცხალი ძალით მომარაგებას. რუსეთის მსხვილ ქალაქებში დაქირავებულთა მოსაზიდად სპეციალური პუნქტები გაიხსნა. ოცდაერთ აგვისტოს მთიელ ხალხთა კონფედერაციამ იბერიას ომი გამოუცხადა. აფხაზეთში ჩამოსვლა დაიწყეს ადიღედან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ჩეჩნეთიდან, ყარაჩაევო-ჩერქეზეთიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან და ცხინვალიდან.

- გაბრიელ! შეხედე! დროის საზღვრის მინის კედელს ვიღაცის სული თავგამოდებით ეჯახება. - და, ელისომ გაბრიელი ზემოთ აახედა.

- ვინ უნდა იყოს? - გაიკვირვა გაბრიელმა.

უცნობი ადამიანის სული კი გამეტებით ეხეთქებოდა მინას და, როგორც იქნა გაამსხვრია, სიცარიელეში გაძვრა თუ არა, მინის ხვრელი ისევ გამთელდა.

- გამარჯობათ! - ჩრდილო კავკასიელისათვის დამახასიათებელი აქცენტით მიესალმა გაბრიელს და მის მეგობრებს, უცნობი სული.

- ვინ ხარ? - ჰკითხა მოსემ.

- ჩეჩენი ვარ, შამილი მქვია. მეც სულის ციცინათელა ვარ. - მედიდურად უპასუხა შამილმა.

- მომავალში იქ და აწმყოში აქ როგორ მოხვდი? - ახლა მუსლიმმა ჰკითხა.

- მე, რომ მომკლეს, იმ დროს მაღალი მაგნიტური ველი იყო და მაგნიტურმა ტალღამ ჩემი სული მომავალში გადაისროლა. ახლა თქვენთან ვარ აწმყოში.

- ვინ მოგკლა? - ჰკითხა ელისომ.

- იბერიელის ტყვიამ, მაგრამ, იბერიელებს ამაში არ ვადანაშაულებ; ჩემი ბრალია ავყევი რუსულ პროპაგანდას და... - და, შამილმა სათქმელი აღარ დაასრულა.

- ჰმ ვხვდები.... აფხაზეთის ომში ყველა მოტყუებულნი დავრჩებით; ამ ომს მამაძაღლი პოლიტიკოსები დაიწყებენ, ისინი ახლაც და მომავალშიც ზღაპრებს თხზავენ. - გულდაწყვეტით აღნიშნა ივანემ.

- მე, ახლა, ჩემი დროის პარამეტრებით არც თქვენთან არ უნდა ვიყო. - აღნიშნა შამილმა და საუბარი განაგრძო: - მაგრამ, ვიფიქრე თუ თქვენთან შემოვაღწევდი და მოგიყვე-

ბოდით თუ რა მოხდა აფხაზეთში, მაშინ იქნებ მომავალი ომიც აიცილოთ.

- ომი ავიცილოთ? ჰო, შენ მომავლიდან მოხვედი აწმყოში, მაგრამ ეს ომი დიდი ხანია რაც იგეგმებოდა ინჩ-რუს-უზუმეს მიერ. - უპასუხა გაბრიელმა.

- მაგრამ, მაინც შეიძლება მისი თავიდან აცილება, თუნდაც მსხვერპლის შემცირება, მცირედით მაინც. - ეს უკვე თხოვნა იყო და ეს თხოვნა შამილის თვალებიდან მუდარის მზერით იღვინთებოდა.

- არა ეს დაგეგმილია უკვე. და, მგონი, სსრკ-ს დაშლის საფასური იქნება რუსებისათვის, ასეა და ვფიქრობ ამაში ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი მორიგდნენ 1989 წელს, გორბაჩოვის პერიოდში, 9 აპრილიც წინასწარ გათვალეს. ედუარდ შევარდნაძემ ეს ყველაფერი იცოდა ან როგორ შეიძლებოდა ეს არ ცოდნოდა, თანხმობაც ჰქონდა მიცემული ამ გეგმაზე, დაუმალა ხალხს. მომავალში რაც მოხდება რასაკვირველია, შენ, უკეთ იცი. კარგი, ჯობია ჩემთან წავიდეთ სახლში და იქ მიამბე ყოველივე. ამ წუთიდან შენ ჩვენი მეგობარი ხარ. - და, გაბრიელმა მოიხმო ოფიციანტი გიორგი მაისურაძე, რომელიც იქვე იდგა და ყოველივეს თვალს ადევნებდა; ასეთი მოვალეობა ჰქონდა და რა ექნა.

- გმადლობთ, ბატონო გიორგი კარგი მასპინძლობისათვის და მომავლის კარგი ეპიზოდის შერჩევისათვის. - გაბრიელმა ფული გადაუხადა გიორგის და მეგობრები გაეშურნენ გაბრიელის სახლისკენ; იქ სადაც შამილმა მოუყვა მათ ის რაც ჯერ

უცნობი იყო ყველასათვის და რაც მომავალში აუცილებლად გადახდებოდა შამილს; შამილი მშვიდად ჰყვებოდა:

- მე, ვცხოვრობდი გროზნოში და ვმუშაობდი სამთავრობო დაცვაში. ერთხელ დამავალეს აეროპორტში დავხვედროდი რუს გენერალს და კიდევ ვიღაცას. დილის შვიდ საათზე აეროპორტისკენ გავეშურე, თან გამომყვა ჩემთვის უცნობი პირი, რომელსაც ხშირად ვხედავდი მინისტრთა კაბინეტში, მაგრამ, არც მე, და არც სხვამ არ იცოდა თუ რად მუშაობდა მთავრობაში; ეს კი იყო, რომ ყველა ერიდებოდა მასთან ურთიერთობას, გრძნობდნენ, რომ ინჩ-რუს-უზუმეს წარმომადგენელი იყო. მე, და ის ვიღაცა ზუსტად შვიდ საათზე ვიყავით აეროპორტში. უცნობმა, თავაზიანად მთხოვა სამთავრობო შესასვლელიდან პიდაპირ თვითმფრინავების საფრენ ბილიკზე გავსულიყავი და ლურჯზოლებიან თვითფრინავის ტრაპთან გამეჩერებინა მანქანა, რომელიც უკვე ჩამოფრენილიყო. ცოტა ხანში თვითმფრინავის კარებში გამოჩნდა, ჯერ, გენერალი, და მერე ორი სამოქალაქო პირი. გენერალი ვერ ვიცანი ხოლო სამოქალაქო პირებიდან პირველი იყო ლავროვი, მეორე კი პუტინი; მათი სახეები ტელევიზორიდან დამამახსოვრდა, ხშირად სტუმრობდნენ გროზნოს. გულმა რეჩხი მიყო, ნერვიულობამ ამიტანა, შემატყო ჩემმა უცნობმა მგზავრმა, დამამშვიდა და მათ შესახვედრად გადავიდა მანქანიდან. შეხვედრა გულთბილი ჰქონდათ და ოთხივე ჩემსკენ გამოემართნენ. ჩემი უცნობი მგზავრი, ისევ ჩემს

გვერდით დაჯდა, დანარჩენები კი უკანა სავარძელში ჩასხდნენ და ერთმანეთში რუსულად გამართეს საუბარი:

- აბა რას იტყვით, შევძლებთ ჩვენი გეგმის განხორციელებას? - პუტინმა ორივეს დაუსვა კითხვა და თან მე, კეფაზე მომაბჯინა მზერა. დამიჯერე გაბრიელ, მზერა ისე მწვავედ ვიგრძენი, რომ თავიც კი ამტკივდა. - და, შამილმა თხრობა განაგრძო და ყოველივე ამას ისე ოსტატურად ხატავდა, რომ გაბრიელს და მის მეგობრებს ეგონათ, რომ ამ ამბის თანამონაწილეები თვითონაც იყვნენ:

- რასაკვირველია, ეს ხომ მიხეილ გორბაჩოვის სურვილიცაა. - თითქმის ერთდროულად უპასუხეს ლავროვმა და რუსმა გენერალმა.

- შევძლებთ. - კიდევ ერთხელ გაიმეორა ლავროვმა და დაამატა: - პოლიტიკური განძრახვის განხორციელებაში მოსყიდული იბერიელი პოლიტიკოსები დაგვეხმარებიან, ხოლო აფხაზეთში კი იქ მცხოვრები სომხები, ომის გაჩაღებაში.

- კარგია, - მოიწონა პუტინმა და დაამატა: - ბოლო-ბოლო ახდება ეკატერინე მეორის და ხრუშჩოვის ოცნება და ჩვენც რა დაგვრჩენია შევასრულოთ ჩვენი მთავრობის დავალება. - ბოლო სიტყვები პუტინმა ირონიულად წარმოთქვა.

- დიახ, - ზრდილობიანად დაეთანხმა ლავროვი და განაგრძო: ჩეჩნები აუცილებლად უნდა ჩავრთოდ ამ ომში, რომ საშვილიშვილოდ გადავკიდოთ ერთმანეთს იბერიელები და ჩეჩნები.

- ძნელია კავკასიელების ერთმანეთზე გადაკიდება, - აღნიშნა პუტინმა. და, მერე, მე, მომმართა: - ეი, თქვენ ჩეჩენი უნდა იყოთ!? იერზე გეტყობათ, სწორს ვამბობ თუ არა?

მე, ვუპასუხე:

- ბოდიში არ გისმენდით.

ჩემს პასუხზე პუტინი გაცხარდა და ლავროვს მიმართა:

- შენ ხომ თბილისში გაიზარდე და კარგად იცნობ იბერიელების ბუნებას? ... ალბათ ჩეჩნებსაც იცნობდი?

- დიახ, - მოკლედ უპასუხა ლავროვმა და საუბარი განაგრძო: ისტორიულად, ჩეჩნებს და იბერიელებს ყოველთვის ჰქონდათ ერთმანეთთან ომი, მაგრამ ეს ომი ერთმანეთის სიძულვილით არ იყო გამოწვეული, ისინი ერთმანეთს კავკასიაში პირველობას ეცილებოდნენ ანუ ერთმანეთს გულადობას უმტკიცებდნენ; მაგრამ, შინაგანად ერთმანეთს ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ, უფრო მეტიც ერთმანეთი უყვართ კიდეც, ბევრ ჩეჩენში იბერიული სისხლი სჩქებს, ისევე როგორც კავკასიის სამხრეთ ფერდზე მაცხოვრებელ იბერიელებში.

- მაშინ აბა როგორ უნდა ჩავრთოთ ჩეჩნები აფხაზეთის ომში იბერიელების წინააღმდეგ? - იკითხა პუტინმა.

- და, იცით რა უპასუხა ლავროვმა? - შამილმა გაბრიელს თვალი თვალში გაუყარა.

- არა. - მოკლედ უპასუხა გაბრიელმა.

- რა-და: - ნარკოტიკებით უნდა მოვამარაგოთ იბერიელებიც და ჩეჩნებიც. მორფზე დამოკიდებულები გავხადოთ, დავიქირაოთ მებრძოლებად და დიდი ფული გადავუხადოთ.

- ფულის გაგონებაზე პუტინი აღშფოთდა და უპასუხა: - სად გვაქვს ფული. ლავროვმა კი დაამშვიდა:

- მორფზე დამოკიდებულები, რომ გახდებიან ჩვენს მიერ მიცემული ფულით, ისევ ჩვენს მორფს იყიდიან ანუ ეს ფული ისევ ჩვენ დაგვიბრუნდება უკან, და საქმეც გაკეთდება.

- გაბრიელ, იქ უნდა ყოფილიყავი და გენახა ამ ყველაფერზე როგორი სიცილი აუტყდა რუს გენერალს, გეგონებოდათ სატანა ხარხარებსო.

- შენ ამ საუბრის მოწმე როგორ დარჩი ცოცხალი? - ჰკითხა გაბრიელმა შამილს.

მოიცა ბოლომდე მოგიყვე და შამილმა თხრობა განაგრძო:

- ცხინვალს რა ვუყოთ? - ახლა ცხინვალზე ჰკითხა პუტინმა ლავროვს. და, ლავროვმა უპასუხა:

- იგივე გეგმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, მხოლოდ აქ მარტო ოსები იმოქმედებენ, რადგან ჩეჩნები ჭირისდღესავით ვერ იტანენ ოსებს.

- არა, არა, მიკვირს შენ მაინც როგორ დაგტოვეს ცოცხალი? - ისევ ჰკითხა გაბრიელმა შამილს.

- და, ვინ გითხრა, ჩემი ცოცხლად დატოვება რომ სურდათ? როცა სტუმრები მივიყვანე მთავრობის სახლში, ჩემმა უცნობმა სახლში წაყვანა მთხოვა. მატარა გროზონოს ქუჩებში

და როცა მიყრუებულ ადგილას მთხოვა გაჩერება, გადმოვხტი მანქანიდან და გავიქეცი.

- ამ ყველაფრის მოწმე, აფხაზეთის ომში როგორ აღმოჩნდი, რატომ წახვედი? - ჰკითხა ელისოს სულის ციცინათელამ.

- ეჰ, მე, რომ ვერ დამიჭირეს, ცოლი და ერთადერთი ვაჟი მომიკლეს; ვერ ავიტანე დარდი, ვიფიქრე ღვინოში ჩავკლავ ჩემს ტკივილს, მაგრამ არ გამომივიდა, ერთხელაც სულ უცნობმა შემომთავაზა აფხაზეთის ომში წასვლა, მთვრალი ვიყავი, დავთანხმდი და კონტრაქტს ხელი მოვაწერე, ასე აღმოვჩნდი აფხაზეთში; იქ კი მორფს დავეჩვიე და წამლის გამო მზად ვიყავი ყოველგვარი საზიზღრობა ჩამედინა. ერთხელ ომში, ახალგაზრდა იბერიელს პირისპირ წავაწყდი, რომ შევხედე შევძრწმუნდი ისე ძალიან ჰგავდა ჩემს შვილს, ვერ ვესროლე, მან კი ავტომატის მთელი მჭიდი დამაცალა. ახლა კი აგერ თქვენთან ვარ.

- არა უშავს, ჩვენ ყველა ადრე თუ გვიან სულის ციცინათელები გავხდებით, მთავარია ჯოჯოხეთში არ მოხვდეთ. შენმა ღმერთმა დაინახა შენი რწფელი გული და არ გაგიმეტა ჯოჯოხეთისათვის და, ია ჩვენთან ხარ. - დაამშვიდა გაბრიელმა თვალებაცრემლებული შამილი.

- მოდით მთაწმინდაზე ავიდეთ და მზის ჩასვლას შევხე-დოთ. - უხერხული გარემოს განმუხტვის მიზნით შესთავაზა მეგობრებს ელისომ.

ეს აზრი ყველას მოეწონა და მეგობრები მთაწმინდისკენ გაეშურნენ.

საოცარი დღე იყო; მზის ჩასვლა და მთვარის ნათება ეთდროულად ჩანდა ცაზე. მეგობრები ხან ერთ მხარეს იყურებოდნენ და ხან მეორე მხარეს, ახარებდათ ერთად ყოფნა და მშვიდი საღამო. მხოლოდ შამილს ეტყობოდა მოუსვენრობა.

- რა გჭირს მეგობარო? - ჰკითხა გაბრიელმა.

- ჩემი მთები გამახსენდა, - სევდიანად უპასუხა შამილმა და ითხოვა: - შეიძლება ლექსი ვთქვა?

- შეიძლება. და, ძალიან გაგვახარებ. - უპასუხა გაბრიელმა.

- გვითხარი, გვითხარი. - ყველა ერთდროულად ჩააჟინდა შამილს და შამილმა წარმოსთქვა.

ნაკადულების და მთების გადაღმა
სადაც ცას მზერა ვერ შესწვდენია,
სადაც კაცობა დაბადებულა,
ქართველს და ჩეჩენს დაუდევთ ბინა.
ტოლს არ უდებენ ვაჟკაცობაში,
მტრობაც ჰქონიათ და სიყვარულიც,
ერთად დალაშქრეს მზის საწიერი,
მზემდე აღმართეს კავკასიონი.
იქ სადაც არწივს ფრთა გაუშლია,
მყინვარს მზის სხივი აურეკლია,
სადაც სიცოცხლე სიკვდილით ფასობს,
ძმობას ქიშპობა მოუდრეკია.

მეზღაპრე პოლიტიკოსების სატვინონი

ზღაპარი - სასურველ სურვილზე აგებული ამბავი,
რომელიც დაკავშირებულია
სინამდვილესთან იდეით.

ივანე, ცოცხს აქეთ-იქით მძიმედ იქნევდა, ნაგავს ხან ერთ კუთხეში მიაყრიდა, ხან მეორე კუთხეში, მერე ერთად შეაგროვებდა და პირველიდან მესამე განზომილებაში გააქანებდა, მესამე განზომილებაში გადაყრილი ნაგავს კი, მესამე განზომილების მეეზოვე, ივანეს მსგავსად, ნაგავს, სხვა განზომილებაში გადაყრიდა. ასე, იქცეოდა ყველა განზომილების მეეზოვე, მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ სხვადასხვა ლექსს ამბობდნენ. აი, მაგალითად, ივანე ასეთ ლექსს ამბობდა:

მაშ თქვენ გგონიათ
პოლიტიკა არის ბრძენთა თამაში?
ან თუ გგონიათ
პოლიტიკური ზღაპრის შეთხზვა არის იოლი?
წარმოიდგინეთ, ამ ტყუილებს როგორ შეთხზავდნენ,
რომ არ ჰყოლოდათ იდეების „რუხი სპონსორი“,
იქნებ გგონიათ მოქმედებენ თავისი მრწამსით?

არ დაიჯეროთ, მათ არ აქვთ ამის თავი.
დაიმახსოვრეთ! თავისუფალ აზროვნებას
სჭირდება ტვინი,
მათ კი, სანაცვლოდ თავში უდევთ
მართვადი ჩიპი
და, მხოლოდ ერთი რამ დარჩენიათ,
წარმოგვიდგინონ თავისი თავი
როგორც „ხალხის მფარველი“ ან
„კარგი ტიპი“.
იქნებ გგონიათ
პოლიტიკა არის შაშის თამაში?
არ დაიჯეროთ ამისათვის საჭიროა იყოთ
ჯაშუში, ან უსაქმური,
ან გაიძვერა სულის პატრონი -
როგორიც იყო ჰერმესი და პალამედინი.
დიახ: პოლიტიკა არის სპექტაკლი
რომელსაც მართვს ,,რუხი სპონსორი“.

და, ამის მიზეზი იყო გუშინდელი პოლიტიკოსების გამოსვლა. ივანეს კარგად ესმოდა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ფუძემდებლურ მახასიათებელს წარმოადგენს მისი ისტორიული ტიპი, სოციალური არსი ან სოციალური ორიენტაცია, მისი კონკრეტული - ისტორიული იერი მთლიანობაში, განპირობებული საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სტრუქტურებით.

ამასთან პოლიტიკური გარემო დამოკიდებულია სახელმწიფოს ცხოვრების ისეთ ძირითად კომპონენტებზე, როგორიცაა იდეოლოგია, პოლიტიკური ტრადიციები, მასობრივი საზოგადოების ცნობიერების მდგრადი ღირებულებათა ორიენტაციები, ანუ პოლიტიკური კულტურა, რომელშიც მოაზრებულია სახელმწიფოს მთელი ისტორიული გამოცდილება; ამასთან ივანესთვის გასაგაბია იყო ისიც, რომ ასეთი რთული სისტემა მოიცავს ისეთ მაღალ სულიერ ღირებულებას როგორიცაა რელიგიური რწმენა; ასევე გასაგები იყო მისთვის, რომ ნებით თუ უნებლიედ ეკლესია ემსახურება მოთხოვნილებათა სოციალურ ჯგუფებს და ასრულებს გარკვეულ პოლიტიკურ ფუნქციებს. ამ გარემოებიდან გამომდინარე გასაგებია, რომ პოლიტიკურ ნორმებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მორალურ - ზნეობრივ ნორმებსა და ღირებულებებს, რომელსაც რელიგია ამკვიდრებს ეკლესიის საქმიანობის ფორმით; პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაში არ არის არც ერთი ქვესისტემა, სადაც რელიგიას და ეკლესიას წამყვანი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომ არ ეჭიროს. დიახ, ასე უნდა იყოს, რამეთუ რელიგიას შეუძლია ეთიკური ბაზისით უზრუნველყოს პოლიტიკა. ეს ივანემ კარგად იცოდა, მაგრამ არ ესმოდათ იბერიაში მოღვაწე პოლიტიკოსებს, რომლებსაც ივანემ „მეზღაპრე პოლიტიკოსები“ უწოდა და საბოლოოდ ამაში გუშინ დარწმუნდდა, მან აშკარად დაინახა, რომ არცერთ პოლიტიკოსს არ აწუხებდა ხალხის ბედი, ყველა ცდილობდა

თავისი თავი გამორჩეულად წარმოედგინა. აი, მაგალითად, ერთი მათგანის ქცევა, რომელიც ივანეს ყველაზე უფრო კარგად დაამახსოვრდა და რომელსაც თავისი ჰაბიტუსით აშკარად ეტყობოდა, რომ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი იყო; მან ასე მიმართა ხალხს: - „ადამიანებო! ჩემი პარლამენტში მოსვლის შემთხვევაში პირველ რიგში იბერიას დაკარგულ ტერიტორიებს დავუბრუნებ, და იბერიას როგორც ისტორიულ წარსულში, მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში მოვაქცევ“. ამ სიტყვებზე ივანეს გაეცინა, გაეცინა მის გვერდზე მდგომ ახალგაზრდა ჭაბუკს, რომელიც დიდი დიდი თვრამეტი წლის თუ იქნებოდა.

მაშინ ივანე გამოელაპარაკა მას:

- რა გქვია?

- სანდრო. - მოკლედ უპასუხა ახალგაზრდამ.

- რატომ მოხვედი მიტინგზე? - ისევ დაუსვა კითხვა ივანემ.

- მაინტერესებდა რამდენად გამოშტერდა ჩვენი ხალხი. - უპასუხა სანდრომ.

- მერე რა დაასკვენი? - უკვე გაბრაზებულმა ჰკითხა ივანემ.

- ჩვენი ხალხი არ არის გამოშტერებული .... უბრალოდ ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ ვიღაცა გამოჩნდება და გვიშველის. - ღიმილით უპასუხა სანდრომ.

- ზვიად გამსახურდიასი და მერაბ კოსტავას გჯერა? - ისევ შეეკითხა ივანე, რომელსაც ბოლო პასუხიდან გამომდინარე ამ ახალგაზრდის მიმართ ნდობა გაუჩნდა.

- მჯერა, მაგრამ ირგვლივ ბევრი ინჩ-რუს-უზუმეს ჯაშუში ჰყავს. დაიმახსოვრეთ! იბერიელებს შორის ომი დაიწყება, მაგრამ ჯერ მერაბ კოსტავას მოკლავენ, თორემ ისე არაფერი გამოუვათ და ამაში მისი ძალიან ახლობელი მიიღებს მონაწილეობას. - ბოლო სიტყვები სანდრომ დანანებით წარმოთქვა.

- რა იცი ასე რომ მოხდება? - გაკვირვებით ჰკითხა ივანემ სანდროს.

- იბერიამ, სრული თავისუფლება რომ მოიპოვოს, მაშინ მთელი კავკასია განთავისუფლდება, ამას კი რუსეთი არ დაუშვებს. - და, სანდრომ ივანეს გამომცდელი მზერა ესროლა.

- თავისუფლება ეს არის ემონო უფალს. და, ამისათვის აუცილებელია ტერიტორიული დამოუკიდებლობა? - ივანეს ამ კითხვამ გააკვირვა სანდრო, მაგრამ არ დაიბნა და მშვიდად უპასუხა:

- ტერიტორიული დამოუკიდებლობა საშუალებას და, ამასთან, გარანტიას იძლევა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც მყარ საფუძველს უექმნის ზნეობით ღირებულებაზე აგებულ სარწმუნეობას და როცა ამგვარი გარემო შეიქმნება უკვე შეგვიძლია თავისუფლად ვემონოთ უფალს. - ამჟამად, სანდრომ მორიდებით შეხედა ივანეს.

- გეთანხმები! - ლამისაა იყვირა ივანემ. - დიახ, ასეთი თავისუფლება ჰქონდა იბერიას და ეს უნდა დავიბრუნოთ.

- როგორ მოგწონს პოლიტიკური სპექტრი? - ჰკითხა ივანემ.

სანდროს გაეღიმა და ლექსად უპასუხა:

ქალაქს შესევია ცისფერი კალიები,
წითელი ყვავები
და,
შავი ბეღურები.

სანდროსთან გუშუნდელი საუბარი, დღესაც თავში უტრიალებდა ივანეს, - „ჰმ, რა კარგი ბიჭია“, - გაიფიქრა და ქუჩის ხვეტა განაგრძო, და თან იმაზე დაიწყო ფიქრი თუ რა თამაშს წამოიწყებდნენ ინჩ-რუს-უზუმეს აგენტები იბერიაში.

- პირველად ცნობილი ადამიანების გადმობირებას დაიწყებენ. - უცნობი ხმა ჩაესმა ივანეს.

- ვინ ხარ და რატომ ვერ გხედავ? - შეშინებულმა წარმოთქვა ივანემ და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა.

- დრო ვარ, აგერ ვარ ხეზე ჩიტივით შემოსკუპებული.

ივანემ ზემოთ აიხედა და ხის ტოტზე ჩიტივით შემოსკუპებული, რაღაც უცნაური, ნახევრად გამჭვირვალე, კვერცხის ფორმის და ფრთებიანი პლაზმა დაინახა.

- რას ნიშნავს: ,,დრო ვარ“? - იკითხა გაბრიელმა.

- აი-და რას? - და... დრო ხუთი მიმართულებით გაიწელა.

- შენ ხუთ განზომილებიანი ხარ? - გაუკვირდა ივანეს.

- დიახ, მაგრამ თქვენ რატომღაც სამად აღმიქვამთ. - ღიმილით უპასუხა დრომ.

- კარგი: წარსული, აწმყო და მომავალი; მაგრამ, ორი დანარჩენი რაღაა? - იკითხა ივანემ.

- წარსულის აწმყო და მომავლის აწმყო. - ისევ ღიმილით უპასუხა დრომ.

- ეს როგორ? - გაიკვირვა ივანემ.

- აი, მაგალითად: თქვენს მეგობრებს შორის შამილი არის მომავლი აწმყოში, ხოლო ელისო წარსული აწმყოში. ხომ ადვილად აგიხსენი? - ჰკითხა დრომ.

- დიახ, - ზრდილობიანად უპასუხა ივანემ; თან გაიფიქრა: „საიდან გაიგო მათ შესახებ?“ - და, სთხოვა: - მოდი ისევ პოლიტიკურ საუბარს დავუბრუნდეთ.

- კი ბატონო. - დაეთანხმა დრო. და ითხოვა - სანამ პოლიტიკურ თემაზე გავაგრძელებდეთ საუბარს ერთ ლექს წაგიკითხავ, რომელშიც თქვენი ერის ახლანდელი სახე ჩანს და ეს არის სწორედ თქვენი უბედურებაც და ბედნიერებაც. წაგიკითხო?

- წამიკითხე. - დაეთანხმა ივანე.

- კარგი. - და, დრომ ლექსის კითხვას შეუდგა:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!“

პარლამენტში ქვეშ-ქვეშ მძრომნი,
სკამის დიდი მოყვარულნი,
მოძმის მტერნი,

რუსის მონა
            და თურქების ნეხვის მთმენნი.
    ზოგი გიჟი,
    ზოგი ფლიდი,
    ზოგიც ქურდი,
    სხვა, - გზა მრუდი.
ბრმა,
        ყრუ,
            მუნჯი.
ზოგჯერ თაგვი,
ზოგჯერ მგელი,
ზოგჯერ ბრძენი,
თუ დასჭირდა არის მღვდელიც.
  ფრთებ გაშლილი ანგელოზიც,
        უწყინარი,
            ლმობიერი,
  უცხო ტომის მადლიერი,
  საკუთარის ურცხვად მგმობი.
    სტუმრის მიმართ ხელგაშლილი,
    პურ-მარილის მოყვარული,
    ღვინის მსმელი,
    სადღეგრძელოს კარგი მთქმელი,
    სიმღერაში ნიჭიერი,
    კოპწია და მშვენიერი.
სხვის საქმეში გონიერი,

თუ დასჭირდა ქალთან ზრდილი,
მტერთან ჩვილი
და მიწების გამყიდველი.
ჩვენისთანა უდარდელი,
ერთმანეთის ორმოს მთხრელი,
განა არის სადმე ერი?

- ჰოო, ილია ჭავჭავაძეს აქვს ასეთი ფორმით დაწერილი ლექსი, თუ არ ვცდები, „ბედნიერი ერი“ ჰქვია და მისი ლექსის დასაწყისი გაქვს გამოყენებული. კარგი, ლექსებს დავანებოთ თავი შენ ის მითხარი: ცნობილი ადამიანების გადმობირების შემდეგ რას მოიმოქმედებენ? - დიდი ინტერესი გამოიჩინა ივანემ.

- მოსახლეობაში ეკონომიკურ სიდუხჭირეს შექმნიან, მერე ადამიანებს შორის უნდობლობას დასთესენ, მერე თავის მომხრეებს ან მათ მიმართ ლოიალურად განწყობილ ადამიანებს გაამდიდრებენ და ამით დანარჩენ ხალში ფულის მსახურების გრძნობას გააღვივებენ. მერე, განათლების სისტემას მოშლიან, ხოლო ყოველივე ამის შემდეგ ადვილი იქნება ხალხის არა მარტო მართვა, არამედ ერთმანეთთან დაპირისპირებაც.

- შენ მართალი ხარ. - დაეთანხამ ივანე.

ივანეს თანხმობაზე დროს გაეცინა, მერე გაფართოვდა, გარს შემოერტყა ივანეს და ჩაყლაპა. ივანე უეცრად სხვა გარემოში აღმოჩნდა, რომელიც უფორმო საგნებით და

სხეულებით იყო გატენილი. შეშინდა, მაგრამ ისევ დრო დაინახა.

- კი მაგრამ, ეს როგორ? შენ ხომ ჩამყლაპე? და, ამიტომ ჩემს გარშემო უნდა იყო. - გაიკვირვა ივანემ.

- ნუ გიკვირს, მე ახლა დრო დროში ვარ. - და, დრომ მხიარულად გადაიხარხარა: - არ ინერვიულო ივანე, ახლავე ყველაფერი დალაგდება და „სასიამოვნო“ სანახაობის მოწმე გახდები.

მართლაც, ცოტა ხანში კარგად გამოიკვეთა საგნებისა და ადამიანების ფორმები. გამოიკვეთა ოთახიც, რომლის ერთ ბოლოში გრძელი მაგიდა იდგა, რომელსაც სამი მსაჯული მისხდომოდა, ხოლო მათ წინ სკამებზე ისხდნენ ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძე, მიშა-სააკ-საკოვიშვილი, გიორგა-ოგანეზ-მარგველაათშვილი.

შუაში მსხდომმა მსაჯულმა, ხის ჩაქუჩი ჰაერში აღმართა, მაგიდას დაჰკრა და ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძეს მიმართა:

- აღიარებთ თქვენს დანაშაულს?

- მე, დამნაშავე არ ვარ. - ალუღლუღდა ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძე.

- რა�ა? 9 აპრილის მოწყობაში ხელი არ გირევია? ან აფხაზეთის ომშიც უბრალო ხარ? - ირონიულად იკითხა ისევ იმ მსაჯულმა, რომელიც წითელ მოსასხამში იყო გახვეული.

- ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძე, დადუმდა.

- აღიარე! - მკაცრი ხმით მიმართა წითელმოსასხამიანმა.

- ვაღიარებ, რომ ვიცოდი თუ რა უბედურებას უმზადებდნენ ინჩ-რუს-უზუმეს წარმომადგენლები 9 აპრილს იბერიელებს და არ ვაცნობე ხალხს; მეგონა თუ სასტიკად დაისჯებოდნენ, მაშინ შეიჯავრებდნენ მიტინგის მომწყობებს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას, მაგრამ პირიქით მოხდა, ხლხმა ის უფრო შეიყვარა. ამ გზით ვერ ჩამოვიშორე ეროვნული მოძრაობის ეს ორი წარმომადგენელი, თუმცა თამრი-მიკო ინჩ-ჩხეიტის დახმარებით ჯერ კოსტავას მოვუწყე მცირე ავარია და იქვე ჩასაფრებულმა ვითომ სასწრაფო მანქანის ექიმებმა გამაყუჩებელი წამლის ზედმეტი დოზა გაუკეთეს მერაბს, და ის სამუდამოდ მიაძინეს, ხოლო ზვიადი როცა პრეზიდენტი გახდა ჯერ გადატრიალება მოვუწყე კიტოვანის და იოსელიანის დახმარებით, მერე ვაიძულე ჩეჩნეთში გაქცეულიყო, ხოლო როცა უკან დაბრუნდა, სამეგრელოში, ჩემი უშუალო დავალებით მოჰკლეს.

- საბჭოთა კავშირის დროს, პოლიტიკური პატიმრები თუ გყავდათ? - ჰკითხა წითელმოსასხამიანმა.

- გვყავდა, მაგრამ მათ სხვა მიზეზით ვაპატიმრებით და ამდენად ფიქსირდებოდნენ, როგორც ჩვეულებრივი დამნაშავეები, მათ ჩვენ „ყოფითი დამნაშავეებს“ ვუწოდებდით, და რომლებსაც „უგალოვნიკებს“ ვუმორჩილებდით. ჩვენ, კომუნისტებმა, ციხეებში შევქმენით კრიმინალური სუბკულტურა, სადაც გაბატონებული „პროფესიული დამნაშავეების“ კასტა ანუ „ქურდები“ უპირობო ძალაუფლებით სარგებლობდნენ.

ისინი ციხეების ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და არაოფიციალური გარიგებით ინარჩუნებდნენ „შიდა წესრიგს“ და პოლიტიკურ პატიმრებზე ზეწოლის უფლებას, რაც გამოიხატებოდა მათი წილი საკვების მითვისებაში ან შეგზავნილი ფულის წილობრივ უფლებაში, იღებდნენ ათ პროცენტს.

- ეს საფუძველი იყო იმისა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პატიმარი თქვენი აგენტი გამხდარიყო? - ახლა მკაცრი ტონით მიმართა წითელმოსასხამიანმა.

- დიახ, - ზრდილობიანად უპასუხა ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძემ.

- მაგალითად? - მოკლედ ჰკითხა წითელმოსასხამიანმა.

- ლეო-ლე ბერძენისშ-ვირი. - ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძემაც მოკლედ უპასუხა.

- სხვა? - ისევ ჰკითხა წითელმოსასხამიანმა.

- ხაინ-დრიკა, სარის-შვილი-კა, სისორ-დრიკა, ჟვანი-ატიკა, ... - და, ჩამოთვალა და ჩამოთვალა ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძემ

- კარგი, ახლა აფხაზეთის საკითხზე: რა გარიგებები იყო მომიყევი. - მკაცრი ტონით მიმართა წითელმოსასხამიანმა.

- ეს გარიგება თუ საიდუმლო შეთანხმება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, როცა გარბაჩოვი მართავდა წითელ იმპერიას, მაშინ დაიდო და ითვალისწინებდა გერმანიის გაერთიანებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის სანაცვლოდ აფხაზეთის, სამაჩაბლოს და უკრაინის ჩრდილო ნაწილის დათმობას. ასე რომ, აქ ჩემი დანაშაული

ნაწილობრივია. - ირონიულად უპასუხა ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძემ.

- შენ გინდა სთქვა, რომ იბერიის დამოუკიდებლობა და ყოველი შემდგომი პროცესები რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ქვეყნების მიერ წინასწარ დაგეგმილი იყო? - გაკვირვებით იკითხა წითელმოსასხამიანმა.

- კი. და, ეს იცოდა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამაც, მათ სურდათ ამ გეგმის იბერიის სასარგებლოდ შემოტრიალება, მე კი მევალებოდა მათვის ამის საშუალება არ მიმეცა ანუ მათვის ხელი შემეშალა. - და, ედუარდ-ბადრაკ-ეშვარდნაძემ ბრიყვი ადამიანის გამომეტყველება მიიღო.

- შენ, შენი ქვეყნის მოღალატე ხარ! - მკაცრი ტონით მიმართა წითელმოსასხამიანმა და განაჩენიც გამოუტანა: - ჯოჯოხეთისკენ გაემგზავრები.

- შემდეგი! - ზემოდან გაისმა მკაცრი ხმა და შუბით შეიარაღებულმა ანგელოზმა მიშა-სააკ-საკოვიშვილი წამოაყენა ფეხზე. შუაში მსხდომმა მსაჯულმა, ხის ჩაქუჩი ჰაერში აღმართა, მაგიდას დაჰკრა და მიშას მიმართა:

- აღიარებ დანაშაულს იბერიელების წინაშე? - და, მარჯვენა მხარეს მსხდომ მწვანემოსასხამიან მოსამართლეს მიმართა: - ახლა შენს დაკითხე. მსაჯულმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და დამნაშავეს მიმართა:

- იყო თუ არა შენსა და ლავროვს შორის ფარული მოლაპარაკება ცხინვალის რეგიონში ომის დაწყების თაობაზე?

- არა. - ჯერ უარყო მიშამ, მაგრამ ვერ გაუძლო მწვანემოსასხამიანი მსაჯულის მზერას და აღიარა: - კი, იყო.

- რას ითვალისწინებდა ეს თქვენი ფარული შეთანხმება? - მწვანემოსასხამიანი ისევ არ აცილებდა გამჭოლ მზერას.

- რას-და. - და, მიშამ თხრობა დაიწყო:

- როგორც თქვენთვის ცნობილია მე, ეროვნებით სომეხი ვარ, ლავროვიც სომეხია და ჩვენი მთავარი მიზანი იყო ყველა პირობა შეგვექმნა სომხებისათვის შავ ზღვაზე გასასვლელად, ამისათვის საჭირო იყო წინა პირობა და ეს არის, რომ აფხაზეთში სომხები რიცხობრივად მეტნი ყოფილიყვნენ და ეს მოხერხდა და, მეორე, აფხაზეთის დაბრუნებაზე იბერიელს, რომ არ ეფიქრა უნდა შექმნილიყო მეორე დაძაბულობის კერაც და ამგვარად შეიქმნა ცხინვალის კონფლიქტი, ვაპირებდით მესამე დაძაბული კერის შექმნასაც ჯავახეთის რეგიონში.

- ცხინვალში ომი ვინ დაიწყო? - თხრობა შეაწყვეტინა მწვანემოსასხამიანმა.

- რასაკვირველია რუსმა. რუსი იბერიას ეომება უკვე ოთხი საუკუნე. - ვითომ დანანებით თქვა მიშამ და თავი ჩაჰქინდრა, მერე უცბად ასწია; გუმანით მიხვდა შემდეგ კითხვას და აღიარა: - რასაკვირველია ამ ომის გაჩაღებაში მონაწილეობას ვიღებდი და ჩემი მსტოვრების დახმარებით ვატყობინებდი რუსეთის მხარეს იბერთა ჯარის განლაგებას, მაგრამ მერწმუნეთ ახლა ყველაფერს ვნანობ.

- სტყუი! შენისთანა ადამიანმა არ იცის თუ რა არის მონანიება. შენი ადგილი ჯოჯოხეთშია! - და, მწვანე მოსასხამიანმა ანგელოზებს ანიშნა: - გაიყვანეთო.

შუაში მსხდომმა მსაჯულმა, ხის ჩაქუჩი ისევ აღმართა ჰაერში, მაგიდას დაჰკრა და ამით აღნიშნა, რომ გიორგა-ოგანეზ-მარგველაათშვილის განკითხვის დღე ჩამოდგა და ამის გაკეთება ყვითელმოსასხამიან მსაჯულს დაევალა.

- თქვენც სომეხი ხართ? - ჰკითხა ყვითელმოსასხამიანმა.

- დაახლოებით. - შეშინებულმა უპასუხა გიორგა-ოგანეზ-მარგველაათშვილმა

- რა დაგავალა ინჩ-რუს-უზუმემ? - ირონიულად იკითხა ყვითელმოსასხამიანმა.

- იბერიაში სომხური ინტერესების გატარება. - მოკლედ უპასუხა გიორგა-ოგანეზ-მარგველაათშვილმა.

- და, რას გულისხმობს ეს სომხური ინტერესები? - კითხვა მკაცრი ტონით იყო დასმული და გიორგა-ოგანეზ-მარგველაათშვილი იძულებული გახდა ყოველივე წვრილად მოეყოლა.

- მე, ყველა ღონე უნდა მეღონა, რომ სამთავრობო სტრუქტურებში გვარგადაკეთებული სომხები მომეყვანა, მერე ვითომ ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების მიზნით მომეთხოვა რუსეთი-აფხაზეთი-სომხეთის რკინისგზის გახსნა, ამის შემდეგ მომეთხოვა სირიაში სამხედრო კონფლიქტით დაზარალებული სირიელი სომხების ჩამოსახლება იბერიაში, შემდეგ უნდა დავმხმარებოდი ჯავახეთში მცხო-

ვრეგ სომხებს, რომ მათ იბერიის ფარგლებში ავტონომიური ოლქის სტატუსი მოეთხოვათ და მიეღოთ, შემდეგ პროვოკაციის გზით დამეპირისპირებინა ბორჯომში მცხოვრები ოსები და იბერიელები რათა ერთმანეთი რაც შეიძლება მეტი დაეხოცათ და შემდეგ ბორჯომის მხარე შემეერთებინა სამცხე-ჯავახეთის ოლქისათვის, მაგრამ, ეს არ გავაკეთე.

- რატომ არ გააკეთე? - ჰკითხა ყვითელმოსასხამიანმა მსაჯულმა.

- იბერიელი ვარ მაინც. და, ამას ხალხი არ მაპატიებდა. - და, გიორგა-ოგანეზ-მარგველაათშვილი აიბუზა.

- უყურე შენ რამდენი რამ ჰქონია გასაკეთებელი? და, დარჩენია გაუკეთებელიც. აა, შე უნიათო. - და, ყვითელმოსასხამიანმა მსაჯულმა ხის ჩაქუჩი გამოსტაცა შუაში მჯდომ მსაჯულს, წამოხტა სკამიდან და თავში ჩასცხო გიორგა-ოგანეზ-მარგველაათშვილს.

სხდომათა დარბაზში ისეთი გამაყრუებელი ხმა გაისმა, რომ დრო შეცბა. მიუტრიალდა ივანეს და უთხრა:

- ახლა ჯობია აქედან გაგიშვა, თორემ აქ იმისთანა ცემატყეპა ატყდება, რომ მთელი კვირა პირღია ივლი. - და, ხელი ჰკრა ივანეს.

დროის სივრციდან გამოვარდნილი ივანე ქუჩას ისე დაენარცხა, რომ კინაღამ თეძო მოიტეხა. ცოტახანს გაკვირვებული აქეთ-იქით იყურებოდა, მერე წამოდგა და გაბრიელისკენ წავიდა.

გაბრიელი ტელევიზორში დილის საინფორმაციო გადაცემას უყურებდა, სადაც ზურაბ ჟვანია გამოდიოდა და ხალხს უხსნიდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკისათვის ყაზახეთთან ურთიერთობას; და, ამ დროს, შემოსასვლელ კარებზე გაისმა ზარის ხმა. – „ეს ივანე იქნება“ - გაიფიქრა გაბრიელმა და კარი გააღო. მართლაც ივანე იყო.

- შემოდი, - შემოიპატიჟა გაბრიელმა მეგობარი. - იცი ვინ გამოდის ტელევიზიით? - და, თვითონვე უპასუხა: - ჩვენი „დიდი პოლიტიკოსი“. დღეს შევარდნაძის პოზიცია და ზურა ჟვანიას შეხედულება ერთმანეთს დაემთხვა.

- არ გამიკვირდება. - უპასუხა ივანემ, მისაღებ ოთახში შევიდა და სავარძელში ჩაეშვა.

- რაიმე მოხდა? - ჰკითხა მეგობარს გაბრიელმა.

- არაფერი. - დაუმალა ივანემ მისი დროში მოგზაურობის ამბავი.

- იცი გუშინ საღამოს ვინ შემხვდა? - და, არ დაელოდა პასუხს: - „ჭირვეული ფულის ტომარა“.

- ვიინ? თუ ძმა ხარ ამიხსენი ამ დასახელების მნიშვნელობა. - თხოვა ივანემ.

- აგიხსნი. - და, გაბრიელმა ახსნა დაიწყო:

- ჩვენს საზოგადოებაში არსებობენ „დიდი ფულის ტომარა“, „საშუალო ფულის ტომარა“, „პატარა ფულის ტომარა“ და „ჭირვეული ფულის ტომარა“ ადამიანები. „დიდი ფულის ტომარა“ ისეთი ადამიანია, რომელსაც ფულის შოვნის მეტი არაფერი არ აინტერესებს და თუ აინტერესებს, მაგა-

ლითად მუსიკა, მხატვრობა ეს მხოლოდ მათი მატერიალური ღირებულებიდან გამომდინარე, მაგალითად, თუ თეატრის ბილეთი ძვირია მაშინ მას მიაჩნია, რომ ეს სპექტაკლი ღირებულია და არ ფიქრობს იმაზე, რომ შეიძლება უბრალოდ დროებითაა პოპულარული, ანუ ტანსაცმლის მსგავსად აფასებს; თუ ძვირია კარგია, და არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ტანსაცმელი უბრალოდ ახლა მოდაშია და ამიტომაცაა ძვირი. ასეთი ადამიანების ცხოვრება ძირითადად უინტერესოა. რაც შეეხება „საშუალო ფულის ტომარას“, ეს ის ადამიანები არიან, ვინც იციან, რომ არსებობენ მათზე მდიდრები და სურთ მათსავით გამდიდრნენ, ან მათსავით მოიქცნენ; ასეთი ადამიანები ხშირად პოლიტიკურ თამაშებში ერთვებიან და ამ გზით აცნობენ თავიანთ თავს საზოგა-დოებას; უყვართ პოპულარულნი თუ არიან. ამ მიზნით იღებენ ცოდნას ხელოვნებაში, სწავლობენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას, უმეგობრდებიან ცნობილ ადამიანებს და მათ საზოგადოებაში ყოფნა სურთ; ყოველივე რაც ჩამოვთვალე მათი წმინდა სულიერი მოთხოვნილება კი არ არის, არამედ სულიერ-ანგარებიანი მოთხოვნილებაა. ახლა, რაც შეეხება „პატარა ფულის ტომარა“ ადამიანებს, მათ „საშუალო ფულის ტომარა“ ადამიანების მსგავსად იციან, რომ არსებობენ მათზე მდიდრები. მათ ზუსტად იგივე ამბიციები აწუხებთ, მხოლოდ მეტი გარჯა სჭირდებათ ვიდრე მათზე მდიდრებს, ამასთან ემატებათ კიდევ ერთი ფსიქოლოგიური დატვირთვა რომელსაც მე ვუწოდებ „დაგვიანებულ

სასოწარკვეთას“, რაც ნიშნავს იმ რეალობის აღმოჩენას, რომ არასოდეს ექნებათ იმდენი ფული, რომ გააკეთონ ყველა-სათვის გასაკვირი ქველმოქმედება.

- და, „ჭირვეული ფულის ტომარას“ ვინ მიეკუთვნებიან? - არ დაცალა საუბრის ბოლომდე დასრულება ივანემ გაბრი-ელს.

- დამაცადე; აგიხსნი. „ჭირვეული ფულის ტომარას“ მიეკუთვნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მალავენ თავიანთ ფულს, ეშინიათ ღარიბმა ნათესავებმა არ მოსთხოვონ, ამასთან გრძნობენ, რომ ფული არ არის ის რეალური ღირებულება რითაც ადამიანმა შეიძლება თავი მოიწონოს, დიახ ხვდებიან, რომ რეალური ღირებულება ეს არის ნიჭი, გარჯის უნარი, თავისუფალი აზროვნება, მაგრამ უყვართ ფული და რა ჰქნან, იტანჯებიან, ორ ცეცხლს შორის არიან, ამიტომ ქამელიონები ხდებიან. აი, მაგალითად ერთხელ ასეთ სურათს შევესწარი: - შუახნის მამაკაცი თავის ლექს უკითხავდა „ჭირვეული ფულის ტომარას“, ეს ფულის ტომარა გრძნობდა, რომ ვერასოდეს ვერ გახდებოდა ისეთი როგორიც ეს შუახნის მამაკაცი იყო, რადგან ამის არც ნიჭი ჰქონდა და არც თავისუფალი აზროვნების უნარი, ამიტომ ცდილობდა ეს შუახნის მამაკაცი გაემასხარავებინა ანუ მასხრად აეგდო იქ დამსწრე სხვა ადამიენების წინ, და იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ ეს შუახნის მამაკაცსაც სურდა ანუ სურდა მისი ბუნება, რომ გამოევლინა. დიახ, ასეთი ადამიანები, ანუ, „ჭირვეული ფულის ტომრები“ ხშირად უფრო საშიშნი არიან,

ვიდრე მკლელები, რამეთუ მკვლელს ციხეში ჩასვამ, ასეთ ადამიანს კი კანონს ვერ მიუყენებ ანუ ვერ აუკრძალავ არ იყოს შურიანი და სხვისი მასხრად ამგდები.

- ხომ შეიძლება ამ თვისების მქონენი სხვა „ფულის ტომრებიც იყვნენ“. - იკითხა ივანემ.

- რასაკვირველია, მაგრამ ჩემმა დაკვირვებამ ამ გრადაციის კატეგორიულობა დაასაბუთა. - ღიმილით უპასუხა გაბრიელმა.

- კარგი, ახლა ის მითხარი: ვინ შეგხვდა? - ჰკითხა ივანემ.

- ჰოო, „ჭირვეული ფულის ტომარა“, ვანო ჩხარტია. მოგიკითხა და შენთან დამაბარა: „თუ გადაწყვიტავს ჩემს ბანკში მუშაობას, მივიღებო“. - გაბრიელმა გამომცდელი მზერა მიაპყრო ივანეს.

ივანემ არაფერი უპასუხა, მხოლო ორაზროვნად გაეღიმა და გაბრიელს მიმართა: - ჩვენს პოლიტიკოსებზე რას იტყვი? გთხოვ დაახასიათე.

გაბრიელიც სხვა არაფერს ელოდა ივანესაგან და მის კითხვაზე გასცა პასუხი: - აბა რა უნდა დავახასიათო, ისინი „ფულის ტომარა ადამიანების“, მსგავსად იყოფიან; და, კიდევ ერთი დიდი განსაზღვრება განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან და... - არ დაამთავრა სათქმელი, რამეთუ გულგატეხილობამ დააღონა.

- მაინც რა განსაზღვრება? - არ მოეშვა მეგობარს ივანე.

- რა-და სხვადასხვა ქვეყნის ჯაშუშები არიან. - ახლა უკვე გაბრაზება შეეტყო გაბრიელს.

- გინდა დღევანდელ მიტინგს დავესწროთ? როგორც გუშინ თქვეს, ამ მიტინგზე 9 აპრილის დამნაშავეები უნდა დაასახელონ. - და, გამომცდელი მზერა გაუგზავნა ივანემ მეგობარს.

- წავიდეთ. - დაეთანხმა გაბრიელი, და ორივე, ოთახიდან გასასვლელი კარისაკენ გაეშურნენ.

რუსთაველის პროსპექტი ხალხით იყო სავსე, ყველა ფორიაქობდა, ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ შეკრებილები; თვთოეულ ჯგუფში, ემოციური საუბრით, ერთი ან უკეთეს შემთხვევაში ორი ადამიანი გამოირჩეოდა, დანარჩენები უსმენდნენ, ზოგსს ჯეროდა მათი და ეს მათ სახეზეც კარგად სჩანდა, ზოგს არ სჯეროდა და ხანდახან მათ სახეებზე ირონიული ღიმილი გადაირბენდა; ზოგნი კი ყურადღებით უსმენდა, და ისენი კი, იყვნენ ინჩ-რუს-უზუმეს მსტოვრები, რომლებიც სწავლობდნენ ხალხის განწყობას, ავლენდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ თავისი ავტორიტეტით და ინტელექტით ზეგავლენა მოეხდინათ ხალხზე. ასეთი ადამიანების სახელსა და გვარს რუსეთის უშიშროების სამსახურის ვირთხებს აცნობებდნენ და იწყებოდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანების დევნა; სამაგიეროდ გზა ეხსნებოდათ ისეთებს, როგორებიც იყვნენ: იმასანგო-სარიშვლ-ვირიშვილი, გი-ჭი-ჭანტურა, გი-ჟი-ჟორჟოლიანა, გი-მათე-მათეაშვლა-ვრშვილი, ზ-ჟ-ჟვანიკა; ისინი ნელ-ნელა ხელთ იგდებდნენ ძალაუფლების სადავეებს; და, ახლაც, ეს ინჩ-რუს-უზუმეს და ამერიკშშ-სექსუალისტების

მატლები ხელმძღვანელობენ მიტინგს; ყველაზე ხმამაღლა იმა-სანგო-სარიშვლ-ვირიშვილი ყვიროდა:

- ჩვენ მოვინელეთ 9 აპრილი და შეგვიძლია მისი იპოსტასები შემდეგი ბინარული სქემით დავახასიათოთ: იყო სოციალიზმი - შეიქმნება კერძო საკუთრება; იყო კომუნისტური რეჟიმი - შეიქმნება ეროვნული ხელისუფლება, ბატონობდა ინტერნაციონალიზმი - შეიქმნება ნაციონალიზმი; ბატონობდა ათეიზმი - შეიქმნება რელიგია. სსრკ კონსტიტუციიდან VI მუხლის ამოღება, რომელიც აკანონებდა მონოპარტიულ დიქტატურას კომპარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველ ფუნქციებს, ხელს შეუწყობს პოლიტიკური პლურალიზმის ჩამოყალიბებას, ჩვენ გავიმარჯვებთ! გაუმარჯოს დემოკრატიას! გაუმარჯოს იბერიას. - ხალხიც აყვა:

- გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

გაბრიელმა თავის მეგობარს გახედა და ჰკითხა:

- რომელი ცხოველია ყველაზე ეშმაკი?

- ის, რომელიც ადამიანს ჯერ არ დაუჭერია. - სწრაფად უპასუხა ივანემ.

იმა-სანგო-სარიშვლ-ვირიშვილის გამოსვლა შეცვალა გიჟი-ჟორჟოლიანმა. ის, ცდილობდა უფრო ემოციურად ესაუბრა ვიდრე მისი წინა მორბედი და ამით მეტი ხალხის ყურადღება დაემსახურებინა.

- ჩემო ძმებო! უნდა ვაიძულოთ, რომ კომუნისტური ხელისუფლების უზენაესმა საბჭომ მიიღოს დადგენილება „იბერიის სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების

შესახებ”, ეს ჩვენი მოვალეობაა! ასევე, პრინციპული ხასიათის დადგენილებანი რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის იბერია-რუსეთის ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შესახებ, ასევე 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენების სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასების შესახებ. ესეც ჩვენი ვალდებულებაა; ჩვენ ერთად მოვიპოვებთ თავისუფლებას! გაუმარჯოს თავისუფლებას! ძმებო მინდა გითხრათ, რომ აუცილებელია შეიქმნას „ეროვნული ფორუმი”, რომლის ძირითად ფუნქციად მოიაზრება „არჩევნების გამართვა და ეროვნული კონგრესის ფორმირება იბერიის სახელმწიფოებრივი საქმეების მართვისათვის”, - და, მორთო ღრიალი: - იბერია! იბერია! იბერია! - ხალხიც აყვა:

- იბერია! იბერია! იბერია!

- გაბრიელი ისევ მიუტრიალდა თავის მეგობარს და ჰკითხა:

- ქვეყანაზე ვინ უფრო მეტია, ჭკვიანი თუ სულელი?

- სულელი; რადგან სულელი, რომ სულელია ამას ვერ ხვდება. - ისევ სწრაფად უპასუხა ივანემ.

- პოლიტიკა ფესვგადგმულია ადამიანის პერმანენტულად უცვლელ ბუნებაში, რაც თავისი არსით ეგოისტურია. ჩემი მოსაზრებით, ჩვენი არც ერთი პარტიის ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მივიჩნიოთ ერის საყოველთაო ზნეობრივ კანონებად, ხოლო მათი ძალით დაკანონება, საფრთხეს

უქმნის სახელმწიფოებრიობას. მეთანხმები? - და, მთელი ტანით შემოტრიალდა ივანესაკენ.

- გეთანხმები... ხომ არ დავბრუნდეთ სახლში? - ეს უფრო თხოვნა იყო ვიდრე შეკითხვა.

- დღეს რომელზე ვიკრიბებით? - იკითხა გაბრიელმა.

- ხუთი საათისთვის. - უპასუხა ივანემ.

- აბა, სულ ერთი საათი დაგვრჩენია. სჯობს წავიდეთ. - და, გაბრიელმა ივანეს ხელი გადახვია. და, ასე ნელი ნაბიჯით გასწიეს გაბრიელის სახლისკენ, თან დღევანდელ პოლიტიკო-სებზე საუბრობდნენ, რომლებიც არც გაბრიელს და არც ივანეს გულზე არ ეხატებოდათ, მეტიც, ვერ იტანდნენ.

დაახლოებით, ხუთის ათ წუთზე, გაბრიელის ბინაში ძველ და ახლად შეძენილ მეგობრებს თავი ერთად მოეყარათ და საუბრობდნენ თავიანთ გასაჭირსა და უსამართლობაზე.

შამილი ყველაზე მეტს ცხარობდა:

- თქვენ წაკითხული გაქვთ ოსნე საიეშტადის წიგნი: „გროზნოს ანგელოზები“? ააა, არ გექნებათ, ის თქვენთვის ჯერ არ დაწერილა, მაგრამ, მომავალში ამის საშუალება გექნებათ, მეც ჩემი ტრანსფორმაციის წყალობით შევძელი მისი წაკითხვა ანუ მომავალში გადავედი; ეს წიგნი ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომის დასრულების შემდეგ დაიწერება. ამ წიგნიდან ზოგიერთი რამ თითქმის ზეპირად მახსოვს; და, რუსების დასახასიათებლად რამედენიმე პატარა ეპიზოდს მოგიყვებით, აი რას წერს ქალბატონი ოსნე:

- „1994 წლის 10 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი ცხვირის ოპერაციის გასაკეთებლად საავადმყოფოში დააწვინეს. მეორე დღესვე ორმოცი ათასი რუსი ჯარისკაცი ჩეჩნეთისკენ მიმავალ დათოვლილ გზას გაუყვა, და იმ ქვეყნის საზღვარი, რომელიც სამი წლით ადრე რუსეთის სახელმწიფოს გამოეყო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თვითნებურად გადაკვეთა. რადგან სწორედ იმ დროს რუსეთის პრეზიდენტი საოპერაციო მაგიდაზე იწვა, ამის არც დამნახავი იყო ვინმე და არც გამგონი; თუმცა ოპერაციის წინა დღეს უშიშროების საბჭოს პირადად თვითონ დაავალა, რომ ყველა „არალეგალური“ შეიარაღებული ჯგუფის განიარაღებისათვის საჭირო ზომები მიეღოთ. ამის შემდეგ თავად ნარკოზში ჩაიძირა, მისმა ერთგულმა თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩკოვმა კი რეალური მართვის სადავეები გადაიბარა“.

- არ მითხრა ახლა, რომ ჯერ გორბაჩოვის და მერე ელცინის მიერ არ იყო ყველაფერი დაგეგმილი. - საუბარში ჩაერია ელისო.

- რასაკვირველია ეს ერთიანი საერთო გეგმა იყო, - უპასუხა შამილმა და გინდათ კიდევ ერთი საშინელი ფაქტი გაცნობოთ, რომელიც აღწერილი აქვს ოსნეს? - შამილმა თავის გონებაში იმ წიგნის გვერდის ფურცელი გადაშალა სადაც ეწერა:

- „შვედ ჟურნალისტს მარტინს გროზნოს გარეუბანში, იმ საერთო სასაფლაოზე შევხვდი, რომელსაც „კონსერვნის“ ეძახდნენ. აქ ხალხი თავიანთი დაკარგული ახლობლების

მოსაძებნად მოდიოდა. ღრმა თხრილებში გვამები ეყარა, მთელი ის ტერიტორია უცნაურ, გულისამრევ სიმყრალეს მოეცვა. გვამებს უამრავი ბუზი ეხვეოდა და სქელი, თეთრი მატლები უსიცოცხლო სხეულებზე დაფუთფუთებდნენ. ზოგიერთი მიცვალებული სრულიად შიშველი იყო, ზოგს ტანსაცმლის ნაცვლად ნაფლეთებიღა შერჩენოდა. რამდენიმე გვამს ხელები ჰქონდა შეკრული, უმეტესობას ან თითი აკლდა, ან მკლავი, ან თავის ქალა ჰქონდა დაჩეჩქვილი. ზოგიერთის სხეული ტყვიებს ისე დაეფლეთა, რომ მათი ამოცნობა მხოლოდ კბილების საშუალებით თუ მოხდებოდა“.

- საშინელებაა, - თხრობა შეაწყვეტინა მუსლიმა და მოსეს მიმართა: - იზრაელის ომში ხდება ასეთი სისასტიკე?

- არა. - მოკლედ უპასუხა მოსემ.

- ეს რუსები, ასე რამ გააბოროტა? - გაკვირვებულმა იკითხა მუსლიმმა. - თითქოსდა დიდი მორწმუნეები არიან?!

- არასრულყოფილების კომპლექსი აწუხებთ. - ირონიით აღნიშნა მამა ალექსანდრემ.

- ნამდვილად ასეა. - დაეთანხმა ბიძინა.

- როგორც ოსნეს წიგნიდან ჩანს, რუსებმა, ჩეჩნეთში საშინელებები ჩაიდინეს და აღარ გვინდა ამაზე საუბარი. - აღნიშნა მოსემ და შამილს გახედა: - „ხომ არ ვაწყენინეო“.

- მართალი ხარ. - დაეთანხმა შამილი.

უეცრად საუბრის ინიციატივა მამა გაბრიელმა აიღო:

- ერთი რა მიკვირს იცით? ამასწინეებზე ტელევიზიით გამოდიოდა ჩვენი სახელგანთქმული მომღერალი ბუბი

უკაბიძე და მომიტინგე ხალხს უვიცები უწოდა, - ნახევრად გაბრაზებით და ნახევრად დანანებით აღნიშნა მამა ალექსანდრემ. - ხოლო მის გვერდით მსხდომმა ვაი პოლიტიკოსმა ვახტანგ ხიმალაძემ საერთოდ გადაუარა და გალანძღა 9 აპრილის მიტინგის ინიციატორები.

- მე მგონი, ორივე სომეხი უნდა იყოს. - ირონიით აღნიშნა ივანემ.

- და, როგორ მოგწონთ ლეკო ბრძენიკა? - იკითხა გაბრიელმა.

- ლეკო არ იყო? ბათუმის ციხეში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, რომ დააბეზღა! - უპასუხა ივანემ და ჰკითხა: - და, ზვკიდა ძიძიგურაი?

- ეს ახალგაზრდა ჭაბუკი უკვე კავშირში შევიდა იბერიაში მოქმედ ინჩ-რუს-უზუმეს წარმომადგენლებთან. - უპასუხა გაბრიელმა.

- აბა დიდი მომავალი ელის. - ირონიით აღნიშნა ბიძინამ.

- საერთოდ მინდა აღვნიშნო, რომ - დინჯად დაიწყო საუბარი გაბრიელმა: - საბჭოთა კავშირს მახინჯი სიკვდილი ელის. მაგრამ, ამ მახინჯ სიკვდილს ბევრი კომუნისტი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და მანამდე არსებული აგრძა-ლვების მოხსნა, რომელიც ხელს უშლიდა ნაქურდალის გამოჩენას, უცბად, მათ, კაპიტალისტებად გადაქცევის საშუალებას მისცემს.

- უკვე დაიწყეს ქარხნების თავის ჯიბეებში მოხვეტა და ამ საქმეში ოსტატურად იყენებენ ზოგიერთ ვაი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს. - აღნიშნა მამა ალექსანდრემ.

- ეჰ, მამაო რად უნდათ ეს ნაძარცვი სიმდიდრე, იმ ქვეყანას თან ხომ ვერ წაიღებენ. - და, გაბრიელმა იქ მყოფ სულის ციცინათელებს თბილი მზერა შემოატარა.

ელისოს სევდიანი გრძნობა მოეძალა და ამ სევდის გასაქარწლად ლექსი წარმოთქვა:

ქუჩის ბოლოში ყველა კვდება
და მეც იგივე მარგუნა ბედმა,
მაგრამ შევქმენი სულის სიმღერა
რასაც ვუწოდე თავისუფლება.
ქუჩის ბოლოში ყველა კვდება
ეს განაჩენი არის უცვლელი,
მაგრამ სიწმინდე შემომისახლდა
და ამიტომაც ვრჩები უხრწნელი.
და, თქვენც შეჰქმენით თქვენი სიმღერა
თქვენი სამყაროს განზომილება
სადაც იცოცხლებს თქვენი გონება,
თქვენი სურვილი, თქვენი ოცნება.

- არა ჯობს, ისევ ჩვენი წიგნის კითხვას დავუბრუნდეთ. - ლექსის თქმის დასრულებისთანავე შესთავაზა ელისომ მეგობრებს.

- ნამდვილად სჯობია. - დაეთანხმა გაბრიელი და წიგნი, რომელიც დიდიხანია იდო მაგიდაზე და ელოდა როდის გადაშლიდნენ, გადაშალა.

სულის ციცინათელებმა გვერდი გაანათეს; ასოები გამოიკვეთა და გაბრიელი კითხას შეუდგა:

- „დამწერლობა ყველაზე დიდი გამოგონებაა რაც კი შეუქმნია ადამიანს ოდესმე. დამწერლობამ აზრის დამახსოვრების და მისი უკდავების შესაძლებლობის და, რაც მთავარია, ერის იდენტურობის დადგენის საფუძველი შექმნა. იბერიული დამწერლობა კალენდარული აღრიცხვისა და რიცხობრივი ქრონოლოგიის გარდა, მოიცავს დედამიწის წარმოშობისა და განვითარების პროცესს, მაგალითად: ანბანის პირველი ასო „აი“, ნახევარი წრით და ზემოთ დატანილი სწორი ხაზით აღნიშნავს მთარის ერთ ციკლს, ხოლო ძველი დასახელება ქალაქ ქუთაისისა: ,,აია“, მთვარის სრულ ციკლს. იბერიული ანბანის მეორე ასო „ბანი“, მოხრილ მუხლზე განთავსებული წრე, აღნიშნავს დედამიწისა და მთვარის ერთ სისტემაში მოქცევას - შვიდ განზომილებიან სისტემაში და ეს იქიდან ჩანს, რომ ბორჯღალოს შვიდი ქიმი აქვს, ასევე: ღმერთმა სამყაროს შექმნას ექვსი დღე მოანდომა და მეშვიდე დღეს დაისვენა, ხოლო სიტყვა „ბანი“ აღნიშნავს სახლს ბრტყელი სახურავით, მაშასადამე მთვარემ და დედამიწამ შექმნეს სახლი სახურავით, რომელსაც ასტრონომები „შავ ხვრელს“ უწოდებენ. სიტყვა „ბანი“, ასევე, იხმარება ირლანდიაში და მდინარის სახელწოდებაა და

სახელწოდებას „ბანი“, სახლის წყაროდ მიიჩნევენ, რომელიც იბერიული კულტურის მატარებელია. შემდეგი ასო „განი“, ურთიერთპერპენდიკულარული და პარალელური ხაზების სისტემაა და კოსმოსური სისტემის გახსნილობას ნიშნავს, სათვალავში აღნიშნავს სამს ანუ სამებას, ესე იგი შემოდის მაცოცხლებელი ენერგია და ეს არის მზე, რომელიც იბერიულ ანბანში აღინიშნება ასო „დონი“-ით, ის არის შეკრული წრე ზემოთ დატანილი ხაზით და ამ სისტემაში ამჟამად იმყოფება კაცობრიობა. ანბანის ასო „ენი“ აღნიშნავს სიცოცხლის ახალი ციკლის დაწყებას, ასო „ვინი“ აღნიშნავს ხელმეორედ გაერთიანებას ანუ ეს არის ასოების: „ბანი“-სა და „განი“-ის მუხლების ნაერთი, სადაც ხდება მზის სამასსამოცდახუთი ანუ სრული ციკლის შესრულება. ხოლო, „ზენი“ ქვევით მუცლით და ზემოთ მოხრილი მუხლით ანუ გადმოტრიალებული ასო „ბანი“, ნიშნავს სამყაროს სხვა განზომილებაში გადასვლას“.

გაბრიელმა კითხვა შეწყვიტა, მეგობრებს გახედა და მიმართა:

- ჩვენ, ახლა ისეთ საიდუმლოს ვეცნობით, რომელიც სჯობს არ ვიცოდეთ, რამეთუ ეს მხოლოდ ეკლესიის მსახურებმა უნდა იცოდნენ და სჯობს წიგნი დავხუროთ. - და, ასეც მოიქცა.

- გეშინია მობიდანის ბედი არ გაიზიარო. - ჰკითხა ბიძინამ და გაეღიმა.

- ჩემო მეგობარო, მე მეშინია ისეთი რამ არ შევიტყო რაც დამკარგავს ამ მიწიერ სამყაროში. - უპასუხა გაბრიელმა.

- ასეთი რამ, ნებრუთის წიგნში ეწერა, ეს წიგნი კი მეოთხე საუკუნეში ეგვიპტიდან ჩამოსულმა ქურუმებმა ითხოვეს და აღარ დაგვიბრუნეს. - დანანებით აღნიშნა მამა ალექსანდრემ.

- ვინ იყო მობიდანი? ... და, რა წიგნი იყო ნებრუთი? - იკითხა მუსლიმმა.

- მობიდანი იბერიელი მღვდელი იყო, წარმოშობით სპარსელი, რომელიც მეხუთე საუკუნეში მოღვაწეობდა, ის ფარულად მანიქეიზმის მიმდევარი იყო, რაც ქრისტიანობის მწარმს ეწინააღმდეგებოდა, ის მოკლეს ყვითელმა თხებმა, და ბევრი წიგნიც გაიტაცეს. ხოლო, რაც შეეხება წიგნს ნებრუთი, გადმოცემით ვიცი, რომ ეფუთის მსგავსი წიგნი იყო, მხოლოდ, ამ წიგნში დამატებით სამყაროს წარმოშობასა და ადამიანის სულის რაობაზე ეწერა, - მამა ალექსანდრემ პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო საუბარი: - ეფუთი ვიცი, რომ სოფელ ღვთაებაში ინახება, დავითის ოჯახმა იქ გადამალა... მეგობრებო, ჩემი წასვლის დროა, წესი უნდა ავუგუ ერთ კეთილ ადამიანს, რომელმაც ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრება.

- ვინ არის? - ჰკითხა ივანემ.

- იის? ის არის .....

სიკეთე და ბოროტება

თავმოყვარეობა ყველა სულდგმულს
აქვს, იბერიელები ამბობენ:
„კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო“.

დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა. ხოლო ქუეყანა იყო უხილავი და განუმზადებელი და ბნელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალსა. და, თქუა ღმერთმან: “იქმენინ ნათელი”! და იქმნა ნათელი. და, იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილი იყო. და, განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე პირველი. აი, საიდან აქვს დასაბამი სიტყვა „კეთილს“. სიტყვა „კეთილი“, როგორც ვიცით, შეიძლება ნიშნავდეს როგორც „კეთილი თვისებების მატარებელს“, ასევე „კარგს“. მაშასადამე, უფალმა რომ იხილა საკუთრივ შექმნილი სამყარო, იხილა ისეთად, როგორიც სურდა, რომ ყოფილიყო, ხილული მის ჩანაფიქრს და განზრახვას შეესაბამებოდა და ამიტომ იყო კეთილი. სიკეთე, თავისი წარმოშობის დღიდან იბერიული კულტურის შემადგენელი ნაწილი გახდა. საერთოდ, ყველა ერი თავისი არსებობის მანძილზე სიკეთის განხორციელებას ემსახურება,

მაგრამ, არსებითი ისაა, ვისთვის რა არის სიკეთე და რა თვალთახედვითაა ეს ფენომენები დანახული, მაგალითად: ზოგიერთი ერისათვის სხვა ერის დაპყრობა თავისი ერის სიკეთედ აღიქმება. ამიტომ მთავარია ის, თუ რა მიიჩნევა ამა თუ იმ ერისათვის სიკეთის კრიტერიუმად და რამდენად ახლოსაა ის ღმერთის მიერ შექმნილ გაგებასთან; ჭეშმარიტი სიკეთისაგან განდგომილებს ასეთი კითხვა უჩნდებათ: ვისგან და როგორ უნდა შეფასდეს რა არის სიკეთე? მართალია, მიწიერ ცხოვრებაში ზოგადად, ადამიანი წყვეტს სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის, მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი მოკვდავი და არასრულყოფილი არსებაა და, შესაბამისად, მათი აზრებიც ცვალებადია. დიახ, ბოროტება მრავალსახოვანია, სიკეთე კი ცალსახოვანი, ეს როგორც ჯანმრთელობა, რომელიც ცალსახად განსაზღრულია, ხოლო ავადმყოფობა მრავალგვარია. სიკეთის ფენომენი მუდამ აქტუალური იყო, არის და იქნება მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს და იაზროვნებს, რადგან ყოველი ნორმალური ერი მიისწრაფვის სიკეთისაკენ. ყველა ერი?

ივანეს, დილის სუსხი ესიამოვნა, ცოცხი ცელივით მოიმარჯვა და ხვეტას შეუდგა, ნაგავს ხან ერთ კუთხეში მიაყრიდა, ხან მეორე კუთხეში, მერე ერთად შეაგროვებდა და პირველიდან მესამე განზომილებაში გააქანებდა, მესამე განზომილებაში გადაყრილი ნაგავი კი, მესამე განაზომილების მეეზოვე, ივანეს მსგავსად სხვა განზომილებაში გადაყრიდა. ასე, იქცეოდა ყველა განზომილების მეეზოვე.

ივანემ ეს იცოდა და ამის არსებობა სიამოვნებდა და ეს გრძნობა იმედით ავსებდა მის გულს... ქუჩის მოპირდაპირე მხარეს პატარა გოგონას მოჰკრა თვალი, რომელიც ფრთხილად მიუახლოვდა სადარბაზოს კიბეზე ჩამომჯდარ მათხოვარს, ხელში ხურდა ფული ჩაუყარა, სწრაფად შემოტრიალდა და მამისკენ გაიქცა, რომელიც იქვე, დაახლოებით, ათ ნაბიჯში ელოდებოდა. ივანე, იცნობდა ამ კაცის ოჯახს და გაგონილი ჰქონდა მათი კეთილი საქმიანობის შესახებ, და ყოველთვის სიამოვნებდა მათი დანახვა. თბილი მზერა გააყოლა მამა-შვილს, რომლებიც სადღაც მიიჩქაროდნენ და ლექსი დაადევნა:

ნახო ვინმე დავრდომილი, შეიფარე,
ჩაიკარი თბილად გულში,
ღვინო ასვი, დააპურე,
გაუყავი სიხარული,
ამით შენს თავს გაამდიდრებ,
გაიხარებს შენი სული.

ლექსის თქმა უეცრად შეწყვიტა რადგანაც არასასიამოვნო ხმა შემოესმა, ხრიგინი თანდათანობით ძლიერდებოდა და უეცრად ქუჩის კუთხიდან ტანკი შემოვარდა. ზედ მთვრალი ჯარისკაცები ისხდნენ.

- „აკი დატოვეს თბილისიო“? - გაიფიქრა ივანემ. - არა ესენი არ მოგვეშვებიან. - უკვე ხმამაღლა წარმოსთქვა.

რუსი ჯარისკაცები ჰაერში იყით ნახევრად სავსე ბოთლს ატრიალებდნენ, დროდადრო პირთან მიიტანდნენ, გადაყლურწავდნენ და ისევ ჰაერში აღმართავდნენ, შემდეგი შეძახილებით:

- იბერიელებო ტრაკზე გვაკოცეთ,
- თქვენი დედები მოვტყანით,
- ჩქარა ყველას გაგწყვეტთ,

უეცრად, საიდღანაც ველოსიპედზე ამხედრებული, დაახლოებით თხუტმეტიოდე წლის ბიჭი გამოვარდა და პირდაპირ ტანკისკენ გაემართა. ივანემ შეამჩნია, რომ ბიჭს ხელში მოზრდილი ქვა ეჭირა, ეს რუსმა ჯარისკაცებმაც შეამჩნიეს, მათ ჯერ სახეზე ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ, როცა შეამჩნიეს ბიჭის თვალებში დანთებული ცეცხლი, დაფრთხდნენ, ავტომატები მოიმარჯვეს, მაგრამ სროლა ვერ მოასწრეს, ბიჭმა ერთ-ერთ რუს ჯარისკაცს თავში ზუსტად მოარტყა ქვა, რუსმა ჯერ დაიბღავლა, მერე თავზე ხელები მოიხვია, შეტორტმანდა და ტანკიდან გადმოვარდა. ტანკში მსხდომმა მძღოლმა რაღაც საოცარი მანევრირებით ააქცია ტანკი ძირს გადმოვარდნილ რუს ჯარისკაცს და დაამუხრუჭა. ტანკის გაჩერებისთანავე ზედ მსხდომნი მთვრალი ჯარისკაცები ჩამოხტნენ და სროლით გაეკიდნენ ველოსიპედიან ბიჭს, მაგრამ, ბიჭმა ტყვიებს ეზოში შესასვლელ არკაში შეასწრო. მართალია რუსი ჯარისკაცები მთვრალები იყვნენ, მაგრამ იმდენს კი აზროვნებდნენ, რომ ეზოში არ უნდა შესულიყვნენ თორემ ცოცხლები ვეღარ

გამოვიდოდნენ; საშინლად გამწარდნენ; იმდენად, რომ ძირს გადმოვარდნილი და თავგატეხილი მეგობარიც აღარ ახსოვდათ; გამწარებულებმა აქეთ-იქით დაიწყეს ყურება, სურდათ ვინმეზე მაინც ეძიათ შური და, ივანე დაინახეს.

- ოხ შე, იბერიელო ღორო. - ამ შეძახილით მოსხლტა ადგილს ერთ-ერთი რუსი და ივანესკენ გაქანდა.

ივანე, მიუხვდა განზრახვას, მაგრამ იცოდა, მასზე თუ არ იყრიდნენ ჯავრს, მაშინ, სხვას ნახავდნენ და ამიტომ მშვიდად შეხვდა სახეში კონდახის ჩარტყმას; იგრძნო როგორ გაუტყდა ცხვირი და თქეშად წამოსული სისხლი. შეეცადა არ დაცემულიყო, მეორე დარტყმა მარჯვენა ნეკნებში იგრძნო. „ცაცია ყოფილა“ - გაიფიქრა, და გაეცინა საკუთარ თავზე, რომ ანალიზის უნარი შერჩენოდა რუსი ჯარისკაცის ქმედებაზე, ეს სიცილი ჯარისკაცმა დაცინვად მიიღო და, ახლა, ავტომატის კონდახი შუბლში დაჰკრა, ამჯერად ივანე წაიქცა და წუთიერად გონება დაკარგა; როცა გონს მოვიდა თავზე ადგა ის ოთხი მთვრალი რუსი ჯარისკაცი, მათ შორის თავგატეხილი რუსიც იყო, რომელიც ცოტახნის წინ ტანკიდან გადმოვარდა. ივანეს არ მოეწონა მათი დამცინავი მზერა და როცა ერთ-ერთმა ზედ დააფურთხა, მთელს სხეულში შეურაცყოფის საშინელი ტკივილი იგრძნო, დაიღრიალა და გიჟივით წამოვარდა და შემფურთხებელს ცხვირში ისე მძლავრად დაჰკრა მუშტი, რომ ჯარისკაცი უკან მოსხლეტილი ჩახმახივით გადავარდა; ახლა მეორეს მოუქნია მუშტი, მაგრამ ზურგში კონდახის ძლიერი დარტყმა იგრძნო. მიხვდა,

წრიდან უნდა გასულიყო, და ფეხბურთელის მატყუარა ილეთის მსგავსად დაუსხლტა გარშემორტყმულ რუს ჯარისკაცებს და მოკრივესავით მუშტები მოიმარჯვა.

- აქა ვარ, გამაგრდი! - გაისმა გაბრიელის ხმა.

ივანემ, მხოლოდ წამით მოწყვიტა მზერა რუს ჯარისკაცებს, გახედა მეგობარს, რომელიც სისხლმოწყურებული მგელივით მოექანებოდა. – „ახლა კი გვესვრიან“ - გაიფიქრა ივანემ, მაგრამ, აოცებდა რუსი ჯარისკაცების უმოქმედობა. და რაღაც, ჩუმი, მაგრამ მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმა, ბევრი ნაბიჯის, უამრავის, და რას ხედავს: ეზოებიდან ხალხი გამოდის, რომლებიც ჯარისკაცებისაკენ მოემართებიან, ჰოო საოცრება! მათ წინ მოუძღვებათ ის პატარა გოგონა, მათხოვარს, რომ დაეხმარა და ის, ველოსიპედზე ამხედრებული ბიჭი, რომელმაც, ქვით, თავი გაუხეთქა მთვრალ რუს ჯარისკაცს.

- შესდექ გაბრიელ! ყველას გვესვრიან. - დაუყვირა ივანემ მეგობარს.

ივანეს შემზარავმა ხმამ გაბრიელი ადგილზე გააქვავა, მიმოიხედა, შეაფასა ვითარება და, ხალხში ბავშვები, რომ შეამჩნია მიხვდა თუ რატომ შეაჩერა ივანემ.

რუსმა ჯარისკაცებმაც შეაფასეს ვითარება და მიხვდნენ თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ კიდევ ერთ დაუფიქრებელ გამოხტომას, ამიტომ აძვრნენ თავიანთ ტანკზე, ტანკის მესაჭეს ჩასძახეს: დაქოქე! და, ხრიგინ-ხრიგინით გაეცალნენ იქაურობას.

ივანე, მოახლოებულ გაბრიელს ჩაეხუტა. ერთხანს მეგობრები ასე იყვნენ გაჩერებულები, მერე დაცილდნენ და ერთმანეთს თვალებში ჩახედეს.

ივანემ გაბრიელის თვალებში, სიმწრის ცრემლები დაინახა, გაბრიელმა კი ივანეს თვალებში, სიმტკიცე.

- მოგვერივნენ. - ჩაილაპარაკა ივანემ.

- არა! - გაისმა წკრიალა ხმა და ივანემ ისევ ის პატარა გოგონა დაინახა.

- რა ჰქვია? - ჰკითხა ივანემ.

- ნინო. - უპასუხა პატარამ და ივანეს მოეხვია.

წელზე ივანემ, ბავშვის თბილი ხელები იგრძნო, იგრძნო მისი გულის ფეთქვა, სადღაც მუცელთან, და ყელში ცრემლის ბურთი მოებჯინა, მაგრამ, შიგნიდან წამოსულმა უცნაურმა ენერგიამ ამოაგდო ყელში გაჩხერილი ბურთი და იყვირა:

- სიკეთეეე!

„იქმენინ ნათელი!". ღვთისგან წარმოთქმული პირველი სიტყვები, რომელიც ადამიანმა იცის და რაც ბიბლიაში სწერია, არის: - „იქმენინ ნათელი“. მშვენიერების და ბრწყინვალების მომფენი ეს სიტყვები დაბნელებულ მატერიას განაბრწყინებს იმ მადლით, რომელიც მის ზემოთ იყო და მასში ჯერ არ შეღწეულიყო. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე უფლის სიტყვა საქმედ იქცა და სულიწმიდის მადლით და ნათელით გაბრწყინდა ნივთიერი სამყარო. რაც არსებობს ღმერთის წყალობით ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ყოველივე კეთილია, რადგან ნაყოფითაა

კეთილი სიკეთე და ასრულებს თავის ფუნქციას ღვთის წინაშე და ადიდებს უფალს თავის შემომქმედს. იბერიელები, თავს ზევით და თავს ქვევით, ყოველთვის მონობდნენ უფალს, რამეთუ მეფეს არ ირჩევენ, ის თავად დაადგა მოძმის თავზე ზედა. აი, მაგალითად: ფუტკრები მეფეს არ ირჩევენ, ეს თავისთავად ხდება თითქოსდა განგება ირჩევს; და, ემორჩილებიან მას, ვიდრე მეფე არ აფრინდება, არცერთი ფუტკარი არ გაფრინდება და მეფეს არ გაასწრებს; უცნაური კი ისაა, რომ მეფე არ იჩემებს მეფობას, მძლავრობით არ ცდილობს ადგილის დამკვიდრებას, იგი ბუნებით იბადება, გამორჩეული ყველასგან. ფუტკარი-მეფე იმითაც გამოირჩევა, რომ არა აქვს ისარი და არავის არაფერს არ ვნებს, შურს არ იძიებს; ის ფუტკარი კი, რომელიც მას არ დაემორჩილება, თვითონვე შეინანებს თავის უგუნურებას და საკუთარი ისრის ცემით კვდება. დიახ, იბერიელები არიან უფლის მონანი, ანუ თავისუფალნი, ანუ რჩეულნი და ის ერი, რომელიც მას ბოროტებით წინ აღუდგება, უგუნური ფუტკრის მსგავსად დაეცემა მიწის ქვემოთ, რამეთუ სიკეთე დაუმარცხებელია.

„კეთილში" იგულისხმება ქმნილებაზე ღმერთის ზრუნვა, რომ მას ღვთისგან არაფერი მოაკლდება და, თავის მხრივ, ეს ვალდებულებაცაა კეთილი ქმნილების, რომ სიკეთე შეინარჩუნოს სამყაროში, მაგალითად: მზე, ეხმარება ბალახს აღმოცენებაში, ბალახი ცხოველებს გამოკვებაში, ანუ ყოველი ქმნილება ერთმანეთის არსებობას უწყობს ხელს, ასეთია ღვთის ჩანაფიქრი სიკეთისა, სადაც ადამიანი მთავარ

ფუნქციას უნდა ასრულებდეს, რამეთუ თუ სხვა ქმნილებების დაბადებისას ნათქვამია „კეთილ“, ადამიანის შექმნისას ნათქვამია „კეთილ ფრიად“, რაც ადამიანის დაბადების განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და გამორჩეულად კეთილ თვისებებზე უნდა მიგვანიშნებდეს. მისი გამორჩეულობა, უპირველეს ყოვლისა იმას გულისხმობს, რომ ადამიანი შეიქმნა არა მხოლოდ ღვთის მიერ, არამედ ღვთის ხატად და მსგავსად, რაც მის სულიერ სიკეთესა და ფიზიკური მშვენიერების სრულყოფილებაზე მეტყველებს.

ადამიანი, განსხვავებით ცხოველთაგან, წელში გამართული ზეცას შეჰყურებს და იძულებით მიწას არ დაჰყურებს როგორც ოთხფეხი, თევზი ან ფრინველი; ყველა სხვა ქმნილება იძულებით, როგორც მორჩილებაში მყოფნი, მიწისკენ იყურებიან, ადამიანი ერთადერთია, რომელიც განიცდის, ხედავს და აღიქვამს მის ზემოთ ზეცაში თუ რა ხდება, მას თავისუფლების არჩევანი გააჩნია, არჩევანი სიკეთისა და რადგან ღმერთმა დაჰბადა ადამიანი დედამიწაზე არსებული ყოველი ქმნილების ხელმწიფედ, მისი საქმე და ცხოვრება ხელმწიფეების შესაფერი უნდა იყოს, ვითარცა მეფე-ფუტკარი. ადამიანს გარეგნობა მიეცა მისი უკვდავი სულის შესაფერისად, რათა თავისი ცხოვრებითაც ღვთაებრივი, ზეცის მოქალაქე იყოს და ცხოველივით საჭმლის ძიებასა და გემოთმოყვარეობაში არ გაატაროს ცხოვრება. ადამიანი მოწოდებულია სულიერი ცხოვრების, ღმერთთან კავშირის, გონიერი საქციელისა და საკუთარი

სხეულის ფლობისთვის. ადამიანი უკვდავია, იგი სულიერი ცხოვრებისთვის არის მოწოდებული, ღმერთის შეცნობის-თვის უნდა მოემზადოს თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით, უნდა ისწავლოს მიწიერზე ამაღლება, და ამით საუკუნო ზეციური სამყოფელი დაიმკვიდროს; ღვთის მსგავსი ხატი მიეცა, რათა ღვთის მსგავსი სულით იცხოვროს და მსგავსმა - მსგავსი შეიცნოს. სხვაგვარად ადამიანი, რომ ვერ შესძლებს ღმერთის გვერდით, სამყოფელში არსებობას და გახდება ბოროტის მსახური.

ივანეს ყვირილი ტანკზე მსხდომ რუს ჯარისკაცებს დაეწია და თავზე დაემხოთ. მათში დაგუბებულმა სიბოროტემ გარეთ გამოხეთქა და მანქანის გამონაბოლქვის მსგავსად შავ ლაქად დაედო ასფალტს, და ეშმაკმა დაიყვირა:

- ბოროტებაა!

ბოროტება დაფარულია, ხშირად მიმზიდველი თავისი გარეგნული ყოფით; ასეთივე მიმზიდველი იყო აკრძალული ხის ნაყოფი. აკრძალულ ხის ნაყოფში ბოროტება გაშიშვლე-ბული, ანუ ცხადი რომ ყოფილიყო ევა მას არ შესჭამდა. ბოროტება დაფარულია კეთილი საბურველით. დიახ! ბოროტება რომ შეუფარავი ყოფილიყო, მაშინ არავინ გაიკარებდა მას და ყველასთვის საძულველი იქნებოდა. ამიტომაა რომ, არსებობს ჭეშმარიტად კეთილი და არსებობს ისეთიც, რომელიც კეთილი გგონია, მაგრამ ბოროტია.

ერთ-ერთმა გამვლელმა ეშმაკს მიაძახა:

- ჩვენ ადამიანები ვართ და ვერ დაგვამარცხებთ!

ღმერთის მიერ ადამიანის შექმნას წინ უძღვის მსჯელბა, რომელიც განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ როლს სამყაროში. ღმერთმა, წინასწარ გადაწყვიტა რა სახით შეექმნა ადამიანი, ვის ემსგავსოს, რა საქმით იყოს დაკავებული, რამეთუ ყველა ქმნილება რაღაც საქმისთვის გაჩნდა. უმიზ-ნოდ არაფერი დაბადებულა, ყველაფერს და ყველას რაღაც სიკეთის მოტანა შეუძლია. ადამიანი კი გაჩნდა განსაკუ-თრებული საქმისთვის და მისი ბუნებაც შექმნა ღმერთმა ორგვარი, როგორიც მის საქმეს შეეფერება: გონებითა და სულით ადამიანი მოწოდებულია ღვთისაკენ სწრაფვისთვის, ხოლო სხეულით და ფიზიკური მოთხოვნილებებით ის უკავშირდება დედამიწას. სათნოებათა მოპოვება ხდება ადამიანის გონიერი საქციელით, ხოლო სიკეთისა, გონიერი და ფიზიკური საქციელით.

და, იყო 9 აპრილიდან ოცდამეცხრე დღე, უკანა განზომი-ლებით, დრო გამყოფი სიკეთისა და ბოროტების. თბილისი, დავით-აღმაშენებელის პროსპექტი, დღე ხუთშაბათიდან მეორე ანუ განსჯისა და ჭვრეტის დღე.

ვინ ვართ ზღაპრის ფილოსოფიის შვილები?

რა კარგი იქნებოდა, ცა რომ ორმხრივი
სარკე იყოს, მაშინ ჩვენ, ვინც ცას
ვუყურებთ, დავინახავდით ერთმანეთს,
ჩვენს რეალურ სახეს, და ღმერთიც

დაინახავს მათ ვინც ცაში იყურება.

ხის კასრის ერთ მხარეს გაბრიელი და მისი მეგობრები ისხდნენ, მეორე მხარეს ანგელოზების გუნდი, რომლებსაც მოსამართლის მანტიები მოესხათ მხრებზე.

- კარგით, როდემდე ვისხდეთ ასე? დაიწყეთ ადამიანის თვისებების გამჟღავნება, მიმართა ლურჯფრთიანმა ანგელოზმა გაბრიელს.

- სიამოვნებით. და, მას იგავ-არაკის ფორმას მივცემ. - და, დახასიათებას შეუდგა:

ფიქრი:

- რევოლვერის სამიზნეზე ჩამოჯდა ფიქრი და იმაზე დაიწყო ფიქრი თუ რით განსხვავდებოდა აზრისაგან:

- „აზრი, რაიმეს..., ჰოო, უფრო ზუსტად, კონკრეტულის ამსახველია და გააჩნია შემდეგი განშტოებანი: უაზრობა, საზრიანობა, ზრახვა. მე, კი ვარ მისთვის საფუძველი, ანუ საზრდო და ჩემგანაა წარმოებული“.

გაბრიელმა დროებით შესწყვიტა თხრობა, კასრში ჩაიხედა; დაინტერესდა: - „წყალი ხომ არ აიმღვრაო“, და როცა ნახა, რომ: - „არა“, მშვიდად განაგრძო თხრობა:

- ამას ფიქრობდა ფიქრი და აზრი გაუჩნდა: - „მოდი რევოლვერის ლულაში ჩავიხედავ“. - და ჩაიხედა, და უცბად ვიღაცამ გამოჰკრა თითი ჩახმახს; რევოლვერმა ტყვია გაისროლა. და, დასრულდა ფიქრის ფიქრი.

ანგელოზებმა ერთმანეთს გადახედეს და ხორბალის თითო მარცვალი ჩააგდეს კასრში, მერე მოსეს მიმართეს:

- დარდი როგორ წარმოგიდგენია?

- დარდი? - მეც იგავ-არაკის ფორმით მოგახსენებთ.

- ბრძანეთ. - საუბარში ჩაერთო თეთრფრთიანი ანგელოზი.

და, მოსე თხრობას შეუდგა:

დარდი:

- დარდმა იძრომიალა კაცის სხეულში, იძრომიალა და გულში დაიდო ბინა.

- „ჰმ, რატომ არ გავჩერდი გონებაში?“ - საკუთარ თავს ჰკითხა დარდმა. – „ალბათ იმიტომ, რომ გონება დამჯაბნიდა და შესაძლოა გამქრალვიყავი, აქ კი საშიშროება არ მელის; ვიქნები ჩემთვის და დავღრნი გულს, სანამ გული იქნება მეც ვიარსებებ“. - და, დარდი დარდიმანდულად წამოწვა გულის პარკუჭზე.

გადიოდა დრო და დარდი იზრდებოდა და ძლიერდებოდა, მაგრამ ერთ დღესაც გაქრა; თურმე, გული გამსკდარიყო დარდისაგან.

ანგელოზებმა მოიწყინეს; განსაკუთრებით ოქროსფერ-ფრთებიანმა. მან პირველმა ამოიღო ხორბლის მარცვალი და კასრში ჩაუშვა.

- კაგით, ახლა მე დავიწყებ თხრობას, თქვა მამა გაბრიელმა, არავის თანხმობას არ დაელოდა და დაიწყო:

ამპარტავნობა:

- „შემომხედეთ! შემომხედეთ! ნახეთ რა ახოვანი და მიმზიდველი ვარ“. - ყვიროდა ამპარტავნობა.

- „შემომხედეთ! შემომხედეთ! ნახეთ რა ჭკვიანი ვარ; ხომ მეთანხმებით, რომ ჩემი გადაწყვეტილება და აზრი ბრწყინვალეა“! - განაგრძობდა ყვირილს ამპარტავნობა.

ამპარტავნობა ისე გამჯდარიყო კაცის გონებაში, რომ საკუთარი თავის გარდა ვერავის და ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ერთხელ გადაეყარა მეორე ამპარტავანს; ვერ აიტანეს ერთმანეთი, დაეტაკნენ და მანამ ურტყეს ერთმანეთს სანამ ორივეს სული არ ამოხდათ ცემაში.

ცისფერფრთებიან ანგელოზს ამაზე გაეცინა და გაბრიელის მოგობრებს მიმართა:

- აბა, ვინ დაახასიათებს ცბიერებას?

- მე. - და, მუსლიმმა თხრობა დაიწყო:

ცბიერება:

ცბიერებამ, თვითონაც არ იცოდა თუ როგორ აღმოჩნდა კაცის გონებაში, და ფიქრთან დამეგობრდა. პირველი მისი წარმატება იყო ის, რომ კაცის ანუ თავისი პატრონის მშობლები მოატყუა:

- „ხელობა მინდა ვისწავლო ფული მომეცითო“.

მშობლებიც სიხარულით დათანხმდნენ; სინამდვილეში კი, ცბიერებამ მშობლების მოცემული ფული ჰარამხანაში დახარჯა. მოეწონა ცბიერებას თავისი პირველი წარმატება და მეორედაც სცადა ბედი; ამჟამადაც წარმატებას მიაღწია. ასე მოჰყვა წარმატებას წარმატება და როცა ყველა მოატყუა

გადასწყვიტა თავისი თავიც მოეტყუებინა, და აჯობა, ანუ მოატყუა საკუთარი თავიც და როცა ნახა, რომ მოტყუვდა, დაიბოღმა. ამ საქციელზე სიმართლეს გაეცინა და თავის პატრონს მიმართა:

- „ხომ გავიმარჯვე; დიახ, სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს“.

ამ, იგავმა ყველა კარგ განწყობილებაზე დააყენა. და, ანგელოზებმა სიხარულით ჩაუშვეს ხორბლის მარცვლები კასრსში.

- თუ წინააღმდეგი არ ხართ, ბოღმას მე დავახასიათებ. - ითხოვა ელისომ.

ანგელოზები დასთანხმდნენ და ელისომ თხრობა დაიწყო:

ბოღმა:

- ბოღმა, კაცის სხეულის ყველა ნაწილში მოკალათდა, ხელის თითის წვერშიც კი, და როცა კაცი თითით რაიმეს ეხებოდა, ბოღმა ბოღმით ივსებოდა და ამის მიზეზი იყო: თუ რატომ არ იცოდა, კაცი ამას თუ აპირებდა. ერთხელ კაცმა სარკეში ჩაიხედა და ბოღმამ თავისი თავის ანარეკლი იხილა, მაგრამ, ვერ აღიქვა საკუთარი ანარეკლი, რადგან ბოღმით იყო სავსე და იმდენად დაიბოღმა „მოქიშპის“ ნახვით, რომ გასკდა. კაცმა შვება იგრძნო და ლაღად განაგრძო ცხოვრება.

- ახლა, თუ გაბრიელი ისურვებს, ისევ მან გვინდა მოგვითხროს, ოღონდ სიბილწეზე. - ერთდროულად ითხოვეს რამოდენიმე ანგელოზმა.

გაბრიელმაც არ დააყოვნა:

სიბილწე:

- „ჰოო, ყველა მლანძღავს, ხშირად ჩემი პატრონიც კი, მაგრამ რა სიამოვნებას ვანიჭებ! ჰმ, ყველას მოცილება შეიძლება, ჩემი მოცილება კი ძნელია; აბა რა ჩემი ბრალია, ვეტკბილები და...“ - ამაყად საუბრობდა სიბილწე, და რას სჩადიოდა თავადაც არ იცოდა.

სიბილწემ, ერთხელაც უკურნებელი სენი შეჰყარა თავის პატრონს, ამის გამო პატრონი, მას, საშინლად სწყევლიდა; დაიწყეს ერთმანეთის ჭამა, დასუსტდნენ, სიბილწემ ნელ-ნელა თავისი მნიშვნელობა დაკარგა და პატრონთან ერთად მოკვდა.

- ღირსია პატრონი. - კატეგორიული ტონით განაცხადა წითელფრთიანმა ანგელოზმა, ხორბლის მარცვლები ჩამოართვა სხვა ანგელოზებს, ხელის გულზე მოუყარა თავი და ერთიანად ხის კასრში ჩაუშვა, და თან ითხოვა:

- მოდით ახლა ბიძინამ მოგვითხროს ადამიანის რომელიმე თვისების შესახებ.

- მე, მოგიყვებით სიამაყეზე. - და, ბიძინამ თხრობა დაიწყო:

სიამაყე:

- სიამაყემ ადამიანის თავის კეფაში დაიდო ბინა, და კაცის თვალებიდან უმზერდა მის ირგვლივ არსებულ სამყაროს; შიოდა, სწყურიოდა თუ სციოდა, მაინც, ამაყად იყო და არავის შეამჩნევინებდა თავის წუხილს; უყვარდა თავისი პატრონი და პატრონსაც უყვარდა სიამაყე. სხვებსაც მოსწონდათ სიამაყე, ეგ იყო მხოლოდ ზოგჯერ იტყოდნენ მასზე: - „ძალიან ამაყია,

ხანდახან ზედმეტობაში გადასდის“. მაგრამ, ეს სიამაყეს არ აწუხებდა, პირიქით, მოსწონდა კიდეც; ეს იყო მხოლოდ გულის ეშინოდა, ვაი-და არ შემეყაროს მისი სენი, რასაც გულჩვილობა ჰქვიაო. მაგრამ, ასაკის მატებასთან ერთად ამჩნევდა სიამაყე, რომ ამ სენს ვერ გადაურჩებოდა და უკვე სადღაც სამოცდაოთხი წლის ასაკში, როცა პატრონის მეუღლე გახდა ავად, თვალის კუთხეში ცრემლი დაეკიდა, და ამის შემდეგ მას გულჩვილი შეარქვეს, ხოლო მის პატრონს რბილი კაცი.

ანგელოზებს მოეწონათ მონათხრობი და ხალისით ჩაუშვეს ხორბლის მარცვლები კასრში.

- შეიძლება ახლა მე მოვყვე? - იკითხა მუსლიმმა.

- მოყევი. - ერთხმად დათანხმდნენ ანგელოზები.

- სიყვარულზე მინდა ვისაუბრო. - ისევ იკითხა მუსლიმმა.

- კი ბატონო. - ახლა ყველამ ერთად მისცა დასტური.

მუსლიმმა თხრობა დაიწყო:

სიყვარული:

- „ვაიმე, ვაიმე ამიჩქარდა გული, ვაიმე, ვაიმე გამებნა გონება, სული მეხუთება, ფრენა მინდა, ვაჰ რა ლამაზი ფერებია, რა ტკბილად ჭიკჭიკებს ჩიტი, უი, ეს ყვავილიც გაშლილა, რა სულის ამაფორიაქებელი მუსიკაა; ვაშაა, წვიმა წამოვიდა, შეწყდა, რა კარგია შეწყდა! რა კოხტად ცეკვავენ მზის სხივები წყლის გუბეებში. მე, ყველა მიყვარს, ყველა! ყველაა! აი, ისიც, ის ყველაზე უფრო მიყვარს, მიყვაარს!

მიყვაააარს! ღმერთო მადლობა ყველაფრისათვის! მადლობაააა!“ - და, სიყვარულმა იგრძნო, რომ ის უკდავი იყო.

და, საერთოდ მინდა აღვნიშნო, რომ შუაზე გადატეხილი მაგნიტის მსგავსად, სიყვარულიც ორი სახისაა. ღვთიური რომელიც სრულყოფილებისაკენ მიისწრაფვის, მეორე კი სრულყოფილებასთან ერთად გამრავლებისაკენ, ანუ განმეორებისაკენ, ანუ საკუთარი თავის რეპროდუქციისაკენ მიისწრაფის. პირველს თან ახლავს სილამაზის ჭვრეტის სურვილი, მეორეს კი, მშვენიერების დაბადების სურვილი. შეყვარებული ადამიანი მოკვდავი სულია თავის სხეულში და ცოცხალი სული სხვისაში. მატერიალურ ხილვაში კვდება ყველა, ვისაც უყვარს, რადგან მის გონებას ავიწყდება თავისი თავი და იგი ყოველთვის მიმართულია შეყვარებულისაკენ, ამიტომ ყველას, ვისაც უყვართ, კვდება თავისთვის და ცოცხლობს სხვაში. არსებობს სიყვარულის ორი პროცესი, ცალმხრივი და ურთიერთსიყვარული. სიყვარული ცალმხრივია, როდესაც სატრფოს არ უყვარს შეყვარებული. ამ დროს შეყვარებული საბოლოოდ მკვდარია, რადგან ის არ ცოცხლობს არც საკუთარ თავში და არც სხვაში. ამდენად დაკარგულია ის, ვისაც არ უყვარს სხვა. რაც შეეხება ურთიერთსიყვარულს, ამ დროს ორი ადამიანი ცოცხლობს ერთმანეთში, ისინი რიგ-რიგობით გადაიქცევიან სხვად და ყოველთვის მზად არიან, დათმონ საკუთარი თავი სხვისთვის.

- ძალიან კარგია. - შეაქეს ანგელოზებმა, ხორბლის სამ-სამი მარცვალი ჩაუშვეს კასრსში და სთხოვეს: - ახლა სიძულვილი დაგვიხასიათე.

მუსლიმმა დაიწყო:

სიძულვილი:

- „მიყვარდა? ... არა, არა. ჩემზე ამბობენ, სიყვარული, რომ არ არსებობდესო არც მე ვიარსებებდიო; მართალია ეს ვითომ?“ - ვერ გარკვეულიყო სიძულვილი თავის წარმომავლობაში და ისიც ვერ დაედგინა სად სჯობდა დაედო ბინა გულში თუ კაცის გონებაში, ამიტომაც იყო, რომ სულ ფორიაქობდა, რაც მისდაუნებლიედ ცვალებადს ხდიდა ანუ ხან ძლიერდებოდა და ხან სუსტდებოდა. სიძულვილი ბოღმის ტყუპისცალი იყო და როცა ბოღმა ბოღმისგან გასკდა, სიძულვილიც გაქრა.

- მართალია. - დაეთანხმა წითელფრთიანი ანგელოზი და როგორც წინაზე, ახლაც აკრიფა ანგელოზებიდან ხორბლის მარცვლები და ერთიანად ჩაუშვა კასრში.

- ბოროტება, ესეც ხომ ადამიანის თვისებაა. ვინ განიხილავს მის მანკიერ მხარეებს? იქნებ ისევ შენ გაბრიელ? - ეს უფრო თხოვნა იყო, ვიდრე კითხვა, მწვანეფრთებიანი ანგელოზისაგან.

- კი ბატონო. გავაიგავარაკებ. - და, გაბრიელმა თხრობა დაიწყო:

ბოროტება:

- ბოროტება ცბიერების უფროსი ძმაა, ის ხან კაცის გულში მოკალათდებოდა, ხან გონებაში. აი, როცა გონებაში იყო მოკალათებული მაშინ ის უფრო საშიში ხდებოდა, და მკვლელის თვისებებს იძენდა და მკვლელად იქცეოდა, მაშინ სამყაროს ყველა ბოროტი ძალა ზეიმს იწყებდა, მაგრამ, ბოროტება კიბოს უჯრედივით თუ არავინ ჰყავს შესაჭმელი, თავის თავს ღრნის და საკუთარი თავის მსხვერპლი ხდება; ბოროტება მშიშარაა მას ყველაზე მეტად სიკეთის ეშინია და როცა წააწყდება ამ მშვენიერებას კნავილს იწყებს, შიშისგან პატარავდება და ქრება.

- და, სიკეთე რაა? - იკითხა ოქროსფერფრთებიანმა ანგელოზმა.

- სიკეთე ყოვლის შემძლეა, მაგრამ, ხშირად არამართებულად გაკეთებული სიკეთე ბოროტებას ბადებს. - მშვიდად უპასუხა გაბრიელმა.

- მართალი ხარ. - დაეთანხმნენ ანგელოზები და თითო მარცვალი ხორბალი კასრსში ჩაუშვეს.

- აბა მოვალეობაზე ვინ ისაუბრებს? ალბათ ივანე. - იკითხა ყავისფერფრთიანმა ანგელოზმა.

- სიამოვნებით. - დაეთანხმა ივანე და თხრობა დაიწყო:

მოვალეობა:

- მოვალეობა კაცის სხეულის ყველა ნაწილშია განლაგებული, ის სიყვარულზე უფრო ძლიერია და სიკეთის უმაღლესი გამოვლინებაა. მას გააჩნია პატიების მაღალი ხარისხი, რომელიც შთამომავლობით კაციდან კაცზე გადადის.

მოვალეობას თავისი პატრონივით ასაკი გააჩნია და რაც უფრო ხანდაზმულია, მით, უფრო მდიდარია მოვალეობებით.

ანგელოზებმა მოიწონეს ივანეს მონათხრობი და ბოლო ხორბლის მარცვლებიც ჩაუშვეს კასრსში. კასრი ჯერ აგუგუნდა, მერე ამღერდა და მისი შუაგულიდან ჯეჯილმა დაიწყო ზრდა; ჯეჯილმა თავთავები გაიკეთეს. თავთავები შეივსო და უეცრად დამწიფდა. ანგელოზებმა თავთავები მოკრიფეს, ხელში მოფშვნიტეს, და, გაბრიელს და მის მეგობრებს თავზე გადააყარეს. ყველამ შვება იგრძნო.

- ეს არის თქვენი განწმენდის დღე. - გაისმა ღრუბლებიდან. - წადით ახლა და იცხოვრეთ მშვიდობიანად, იპოვეთ სოფელი ღვთაება, განსაზღვრეთ თქვენი მისია და კეთილად აღასრულეთ ის.

რა უფრო მეტია დღე, თუ ღამე? - თვალხილული ადამიანისათვის დღე - „და, იქმნა ნათელი“.

მზისგან დამწვარი მთვარე
ანათებს ღამეს, ხოლო,
მეგობრობა ამარცხებს გულგრილობას.

სუფრას მისხდომოდნენ ძველი მეგობრები, მეგობრები წარსულიდან და მომავლიდან; მოსული განუსაზღვრელ აწმყოში.

თამადობა მხატვარ დავით ბაძაღუას დაევალა. დავითმა ღვინით სავსე ჭიქა მაღლა აღმართა და სადღეგრძელო წარმოთქვა:

- ერთი ლეგენდის თანახმად, ავღანელებთან ბრძოლისას ძალაგამოლეულ იბერიელებს, თამზანის გორაზე, წმინდა გიორგი გამოეცხადათ და მისცა მათ ძალა ბრძოლის გასაგრძელებლად. ავღანელები გაიქცნენ და აღარც დაბრუნებულან. იქ, სადაც იბერიელებს წმინდა გიორგი დაუნახავთ, დიდი ქვა ყოფილა, რომელიც რაღაც ძალას შუაზე გაუხეთქავს. მას შემდეგ ყოველი წლის ივნისის თვეში, გამთენიას, როცა დღე ღამეს საბანს გამოაცლის, სალოცავად ადიან სპარსეთში მაცხოვრებელი იბერიელები; მათ ჩვენ ფერეიდნელებს ვუწოდებთ. ქვის ხელის ხლებას ვერავინ ბედავს. ეს ლოდი უცნაური ფორმისაა, თითქოს მაკრატლით გაჭრესო. იმ ადგილთან მიკარებას სპარსელებიც ვერ ბედავენ, რადგან მათაც წმინდა ადგილად მიაჩნიათ. და, გაუმარჯოს იმ ძალას, რომელიც ჩვენშია ღმერთის იმედად.

- გაუმარჯოს!

- გაუმარჯოს!

აიტაცეს თანამესუფრეებმა, ღვინით სავსე ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს და ხვინო ბოლომდე შესვეს.

- ჩვენ ხშირად გვეხმარება, უფრო სწორედ გვეხმარებოდა, უფალი. ახლა რა ხდება? - აღნიშნა ამირან კუპრავამ და კითხვა ჰაერში დაჰკიდა.

- მიზეზი ბევრია. - აღნიშნა მამუკა ფიფიამ.

- მაინც? - იკითხა მაია ცომაიამ.

- მოდი, შენს ქალიშვილს ვკითხოთ. - ითხოვა დავითმა. და, ყველამ დეასკენ გაიხედა.

დეა ჯერ შეცბა, მერე მორიდებით დაიწყო საუბარი:

- ძალის მოპოვება ხდება ადამიანის გონიერი საქციელით. გონება კი ადამიანის მიერ ღვთაებრივი მშვენიერებისა და სიკეთის მოპოვებაში ჰპოვებს ჭეშმარიტებას; რამეთუ ყველანაირი სიკეთის სრულყოფილება ღმერთია, რომლისკენაც მიისწრაფვის ყოველი კეთილისმოსურნე; ამიტომ, გონება არის ხატი კეთილისა მანამ, სანამ ემყარება მშვენიერების ბალავარს, ანუ ღმერთს. თავისი ძალის ფარგლებში იგი მშვენიერია; ღმერთს მიდევნებული გონება მართავს ადამიანის სხეულს; როგორც კი გონება ღმერთთან გაწყვეტს კავშირს, იგი ვეღარ მართავს სხეულს და უძლურდება. ამდენად, ღმერთის იმედად ყოფნა გონიერებაა და წაგებულ ომსაც მოგაგებინებს.

- და, მოდით ახლა დეას სახით გონიერ იბერიელ გოგონას გაუმარჯოს. - დავითმა ხელმეორედ შეავსო ჭიქა სასმელით და იგიც ბოლომდე დაცალა.

მეგობრებმა, როგორც წინა ეს სადღეგრძელოც ხალისით აიტაცეს; დეა ადღეგრძელეს და წინანდელივით ჭიქები სასმელისაგან ბოლომდე დაცალეს.

მხატვართა სახელოსნოს კედელზე ჩამოკიდებული სურათიდან ახალგაზრდა ქალბატონის გაცოცხლებულმა მზერამ, მხატვრებისგან შეუმჩნევლად, ზეთის საღებავების ყუთს დახედა, და გაიფიქრა: - „თუ ძალიან არ დათვრა, ალბათ დღეს დაასრულებს ჩემს პოტრეტს“, - ეს გაიფიქრა თუ არა, და, მამუკამ ჰკითხა ამირანს:

- იცნობდი ელისოს?

- არა, მაგრამ ვიცი, რომ 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლია. როცა მისი ფოტო ვნახე გადავწყვიტე დამეხატა. მასში სათნოება დავინახე. - ამირანი მშვიდად საუბრობდა ეტყობოდა, რომ დღეს აპირებდა სურათის დასრულებას.

- ჰმ, ჩემში სათნოება დაინახა. მიხარია. - ჩუმად, თავისთვის ჩაილაპარაკა სურათმა და გაიფიქრა: - „სათნოება, მიამსგავსებს ადამიანს თავის დამბადებელს - უფალს; ამისათვისაა მოწოდებული ადამიანი. სათნოებასთან განშორება, ღმერთთან ხატებასა და მსგავსებას აკარგვინებს ადამიანს და პირუტყვს ამსგავსებს, ღვთაებრივ სულს განაშორებს“.

- მაინც რა დღეში ჩაგვყარეს რუსებმა, ოჰ. - ამოიოხრა გოჩა ხუნდაძემ და გვერდით მჯდომ მეგობარს მიმართა: - ევმენ ბატონო როდიდან გახდა ასეთი დაუნდობელი ადამიანი?

ევმენი, ჩაფიქრდა და უპასუხა:

- ადამისა და ევას ურჩობით სამყაროში წესრიგი დაირღვა. ადამიანმა დაკარგა სამოთხე და სიკვდილი შეიძინა; მისი, როგორც დედამიწის ბატონ-პატრონის დაცემით, ყველა ქმნილება დაეცა, დედამიწის ქმნილებებს შორის დაირღვა ღვთაებრივი ურთიერთკავშირი; რომელიც სიკეთესა და მშვენიერებაზე იყო დამყარებული, დაიწყო ბრძოლა არსებობისთვის. ქრისტეს შობამ შობა იმედი, იმედი ღვთაებრივი სიკეთის დაბრუნებისა. და, ჩვენ რა ვქენით? ქრისტე ჯვარს ვაცვით. ჩვენს მიერ მიყენებული დიდი ტკივილის მიუხედავად, ქრისტემ გვაპატია და გაგვიხსნა გზა სამოთხისკენ; მხოლოდ ერთ რამეს გვთხოვს ვიყოთ ღვთის მსახურნი და სათნონი.

- ქრისტეს ჯვარცმითა და გარდაცვალებით ხდება კაცობრიობის გამოხსნა ჯოჯოხეთიდან, სასუფეველი ეხნება მათ, ვინც ქრისტეს მსგავსად იცხოვრებს, თავისი ძალისა-მებრ - ეს არის ღვთაებრივი სიკეთისა და მშვენიერების მოპოვების გზა. - საუბარში ჩაერთო დეა.

- ხოლო მშვენიერება და სიკეთე! - აიტაცა ბოლო სიტყვა ევმენიმ და განაგრძო: - ჩემო კარგებო, ეს ცხონებაა. ღმერთმა ყოველივე კეთილად დაჰბადა და იგულისხმება, რომ ყველა ქმნილება მშვენიერია, ადამიანი კი მითუმეტეს; რადგან ღვთის ხატად დაბადებულს გარეგნობაც კეთილი მიეცა, და რამდენადაც ადამიანში საუკეთესო ნაწილია უკვდავი სული და გონება, ის ცად აღმავალია, ხოლო სხეულით კი მიწას უკავშირდება, მიწისაგანაა, ამიტომ სხეული უნდა მართოს

გონებამ; წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ხატი ვეღარ იქნება და დაემსგავსება პირუტყვს, და ნივთიერ სამყაროს დაუნათესავდება.

- რუსებიც ხომ ღმერთმა შექმნა?! ისინიც, ხომ ადამისა და ევას შთამომავლები არიან? - გოჩას ძალიან სტკიოდა რუსების არაადამიანური საქციელი იბერიაში, უკრაინაში, სირიაში. დიახ, სტკიოდა რადგანაც ბევრი რუსი მეგობარი ჰყავდა და ისინი კარგები იყვნენ.

ამჟამად საუბარში გაბრიელი ჩაერია, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და მეგობრებს უსმენდა:

- მე, თქვენზე უფროსი ვარ, თქვენზე მეტი გადავიტანე, აფხაზეთის ომში დავკარგე ჩემი უახლესი მეგობარი, მიწიერ ტკივილს ვერ გაუძლო ელისოს სულმა და დასტოვა ჩვენი სამყარო და ახლა სურათიდან გადმოგვყურებს; ცხინვალის ომის დროს ოსებმა წამებით მოკლეს ჩემი მეგობარი და მოძღვარი მამა ალექსანდრე. ამ წამებას შეესწრნენ შამილის, მუსლიმის და მოსეს სულის ციცინათელები, ვერ აიტანეს ოსების უმგვანობა და მათაც დატოვეს ჩვენი სამყარო. ძველი მეგობრებიდან დავრჩით მე და ბიძინა, და ჩვენც ხვალ სოფელ ღვთაებაში გადავდივართ სადაც დავითის ოჯახობაა და სავლე. ჰო, გეთანხმებით, რომ ყველა ადამიანი ღმერთმა დაჰბადა და ყველა მშვენიერია თავისი საწყისით, მაგრამ ზოგი კაენის შთამომავალია, ზოგი კი შეთის. რუსები, კაენის, საკუთარი ძმის მკვლელის შთამომავლები არიან, ჩვენ კი

შეთის. თუმცა ამ ბოლო დროს ჩვენც დავკარგეთ ჩვენი სახე, შეხედეთ:

დღეს ქართველი არ თაკილობს
მტრის ენაზე ენის ცვეთას,
აღარ ახსოვს, დაავიწყდა,
ვინ ესროდა გუშინ ტყვიას.
  დღეს ქართველი ფულით ხარობს,
  აღარ ახსოვს ვახტანგ მეფე,
  დაავიწყდა ანი-ბანი,
  შოთას ვეფხვისტყაოსანი.

- მართალი ხარ. - დაეთანხმა დავითი და იქ მსხდომთ აფხაზეთში და ცხინვალში დაღუპულების შესანდობარი შესთავაზა:

- მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ზოგი დაკარგულ და დამწვარ სახლ-კარს ტირის, რომელსაც მთელი ცხოვრება შეალია; უფრო მეტნი კი, ოჯახის წევრების, ნათესავებისა და ახლობლების სიცოცხლეს... ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ-აფხაზურ ომს ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა; ათასრვაასზე მეტი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება... და, ეს ომი დაიწყო რუსეთმა, მათ ჯერ წინა პირობა შექმნეს 1989 წლის 18 მარტს, ეგრეთ წოდებული „ლიხნის ასამბლეის“ ჩატარებით, სადაც რამდენიმე ასეულმა აფხაზმა იბერიიდან გამოყოფა და 1921

წლის საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვა. ამის საპასუხოდ, ანტისაბჭოთა ჯგუფებმა მთელი იბერიის მასშტაბით არასანქცირებული მიტიგნები მოაწყვეს. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ კომუნისტური მთავრობა აფხაზურ სეპარატიზმს იყენებდა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის მომხრეთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ, რასაც მოჰყვა 9 აპრილი. დიახ, ეს ერთი ჯაჭვია: 9 აპრილი, აფხაზეთი, ცხინვალი, და მისი ანალოგებია ბაქოს და ვილნიუსის ტრაგედიები. ამ უმგვანობას შეეწირნენ გულანთებული, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ვაჟკაცები და გოგონები. მათი ხსოვნა იყოს!

- ღმერთმა გაანათლოს მათი სულები! - ეს სადღეგრძელო პირველმა მამუკამ აიტაცა.

- ღმერთმა გაანათლოს! - აყვნენ მეგობრებიც.

სადღერგძელოს შესმის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, არავის სურდა პირველს დაეწყო საუბარი, ეს უხერხულობა ჯუმბერ ბეჭვაიამ დაარღვია, და დეას ჰკითხა:

- თუ გიფიქრია განათლებასა და ნათელს შორის რა კავშირი შეიძლება არსებობდეს?

- დიახ. უნდა არსებობდეს რამოდენიმე სახის ნათელი: ხელთუქმნელი ღვთაებრივი, ხელით ქმნილი - ღვთის მიერ ქმნილი, ფიზიკური რომელსაც ჩვენ ვხედავთ, და გონებრივი ნათელი, რომლითაც ჩვენი გონება სწვდება ღვთის მიერ შექმნილ სამყაროს, ღვთის განგებას, ნებას და ვიმეცნე-ბთ ჩვენს თავსა და სამყაროს.

- და, რა კავშირია მათ შორის? - არ მოეშვა ჯუმბერი.

- სხვაობა ისაა, რომ ნათელი სრულია; ხოლო სრული არის ის, როდესაც ხილულ, ფიზიკურ სამყაროს იმეცნებს ადამიანი, და ის იმეცნებს მას იმ ზომამდე რისი უფლებაც აქვს. ეს განსხვავებაა, ხოლო საერთო კი ის აქვთ, რომ ორივე შემთხვევა სიკეთის შემეცნების საწყისია. - დეას ნაცვლად უპასუხა ევმენმა.

- აი, თქვენ პროფესორი ხართ, უმაღლეს სასწავლებელში და სკოლაშიც ასწავლით, და რა არის განათლების სისტემა და როგორია ის იბერიაში? - ახლა ევმენს ჰკითხა ჯუმბერ ბეჭვაიამ.

- ჩვენთან განათლების სისტემა დანგრეულია, ეს კეთდება განგებ, ხალხი, რომ ადვილი სამართავი იყოს, ხოლო რაც შეეხება ჯანსაღი განათლების სისტემას, ის უპირველეს ყოვლისა მიზნად უნდა ისახავდეს ისეთ სწავლებას, რომ ადამიანმა შესძლოს შეიცნოს გარე სამყარო და თავისი თავი. თავისთავში აღმოაჩინოს უფლის მიერ მოცემული ნიჭი და ამ ნიჭის შესაბამისად იცხოვროს; თავისი შემოქმედებითი შეს-აძლებლობები განახორციელოს, რეალიზება გაუკეთოს. ეს არის საერო განათლების ნიჭი, შესაძლებლობა იმისა, რომ ადამიანი სწორედ იყოს ორიენტირებული სამყაროში. რაც შეეხება სულიერ-სარწმუნოებრივ აღზრდას, ეს უკვე დამოკიდებულია თვით ადამიანზე. სულიერი განათლება შეუძლებელია სულიერი მოღვაწეობის, ლოცვის და მადლის გარეშე. ცხადია სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებლებში

ძალით ვერ მოახდენენ ყოველივა ამას, რადგანაც იძულებითი ლოცვა, ლოცვა აღარ იქნება, მაგრამ, რადგან ღვთის ხატად არის შექმნილი ადამიანი, მას ბავშვობიდანვე უნდა მიეცეს საწყისი, სიტყვიერი ცოდნა ღვთისა, სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ; იცოდეს ლოცვა და საღმრთო ისტორია და შემდგომ ცხოვრებაში მას უკვე შეეძლება სწორად გააკეთოს არჩევანი. თავად ადამიანმა უნდა აირჩიოს, გახდება მისი ცხოვრება, შეგნებულად, მიზანმიმართულად უფლისმიერი თუ, მარტო მატერიალურ ცხოვრებას მიანიჭებს უპირატესობას.

- ჰო-და დავლიოთ განათლებული ადამიანის სადღეგრძელო. - მეგობრებს, საუბარი, გოჩა ხუნდაძემ შეაწყვეტინა.

- არ გვყავს და როგორ დავლიოთ. - აღნიშნა ამირანმა.

- მართალია. - დაეთანხმა მამუკა.

და, ყველას სიცილი აუტყდა, მხოლოდ გაბრიელი იჯდა მოწყენილი.

- გაბრიელ რატომ მოიწყინე? - ჰკითხა მაიამ.

- არა არ მომიწყენია, უბრალოდ ტელეფონის გზავნილით ლექსი გავუგზავნე მეგობარს.

- წაგვიკითხე თუ საიდუმლო არ არის. - სთხოვა დათომ.

- არ არის საიდუმლო... უბრალოდ, გუშინ ველოდი სტუმრად და არ მოვიდა, ბათუმში გამეპარა.

- რატომ კაცო. - გაიკვირვა დათომ.

- გადაუდებელი საქმე ჰქონდა. - უპასუხა გაბრიელმა.

- მაშინ ეპატიება. - საუბარში ჩაერთო მამუკა ფიფია.

- კი, ეპატიება და საპატიებელიც არაფერი სჭირს, მაგრამ მე ხომ უნდა ვუკბინო. - გაეღიმა გაბრიელს.

- ოო, აბა წაგვიკითხე თუ რა გაუგზავნე და როგორ უკბინე. - ითხოვა ამირანმა.

- კარგით. - და, გაბრიელმა კითხვა დაიწყო: - ლექსი ეძღვნება ჩემს კარგ მეგობარს მირიან პაპუნიძეს.

სახლში გაშლილი სუფრით გელოდი
და მოლოდინში დავწვი სანთლები,
შენ ბათუმიდან შემატყობინე:
„უკვე დავტოვე ქალაქ თბილისი“.
ამ საქციელსა გასაკვირველსა,
შენგან, მირიან, მე არ ველოდი,
აწი ბათუმში როცა ჩამოვალ,
მეც ასე ჩუმად გავიპარები.

- სუფრა თუ გქონდა გაშლილი ჩვენ ვერ დაგვიძახე? - სიცილით მიმართა მამუკამ გაბრიელს და ყველას გაეცინა.

- ძალიან მიყვარს ბათუმი. კარგი ქალაქია. - აღნიშნა მაიამ.

- გეთანხმები, - დაეთანხმა გაბრიელი. - იქ ბევრი მეგობარი მყავს.

- მირიანი დაუსწრებლად უკვე გაგვაცანი. კიდევ ვინ? - იკითხა ამირანმა.

- ბავშვობის მეგობარი ზურა გოგოლი იქ საქმიანობს, სიყრმის მეგობარი ვახტანგ გოგიჩაიშვილი და ახლად

შეძენილი მეგობარი თამარ სირაძე, ნანა არუშიძე და იური ირემაძე. კარგია სხვადასხვა ქალაქში მეგობრები, რომ გყავს. - და, გაბრიელს სახეზე სასიამოვნო ღიმილმა გადაურბინა.

- ჰო-და, მოდით ახლა მეგობრობის სადღეგრძელო შევსვათ. - თამადამ ჭიქების შევსება ითხოვა:

- ძალიან ძნელია მეგობრების გარეშე ცხოვრება. მეგობრული ურთიერთობისთვის კი ორი რამ არის მთავარი. პირველი: იპოვნო მსგავსებები შენსა და შენს მეგობარს შორის და მეორე, პატივი სცე განსხვავებებს, რადგან ხშირია როცა მეგობრებს არ აქვთ ერთნაირი ბუნება, მათ უბრალოდ, შესწევთ ერთმანეთის განსხვავებების საუკეთესოდ გაგების უნარი. მაგრამ, მხოლოდ ეს საკმარისი არაა. კიდევ ერთი რამ რაც მართლაც აუცილებელია: ეს არის პრობლემების ერთად გადაჭრის უნარი. მეგობარმა უნდა გაგიგოს რადგან გაგება ცნობაზე ღრმაა. უამრავია ისეთი ადამიანი რომელიც გიცნობს, მაგრამ, ძალიან ცოტაა ისეთი, რომელიც გაგიგებს. და, გადღეგრძელებთ თქვენ. - დავითმა დალია ჭიქაში მოელვარე ვაზის ნაჟური და ალავერდი მამუკასთან გადავიდა.

- ალავერდის მადლი შეგეწიოს. - მადლობა გადაუხადა მამუკამ და მანაც წარმოთქვა სადღეგრძელო: - მეგობარი, ხომ, ის ადამიანია ვინც მართლა გიცნობს, უყვარხარ და ხედავს ტკივილს შენს თვალებში მაშინაც, როცა ყველა დანარჩენს მართლაც სჯერა შენს სახეზე მოთამაშე ღიმილის. გაუმარჯოს მეგობრობას! ალავერდი შენთან ვარ ამირან.

- და, ახლა ამირანმა წარმოთქვა:

- ნამდვილმა მეგობარმა უნდა მიგიღოს ისეთი, როგორიც ხარ. მეგობარი ის ადამიანია, ვინც ყველაფერი იცის შენს შესახებ და მაინც უყვარხარ. თუკი არ შეიცვლები, მართალი ხალხი ისეთს შეგიყვარებს როგორიც ხარ. - დაცალა ღვინით სავსე ჭიქა და ალავერდი გაბრიელთან გადავიდა:

- ნამდვილ მეგობრებს ერთმანეთის სჯერათ. ნდობის გარეშე ურთიერთობაც არ იარსებებდა. მეგობრის თითოეული სიტყვის მოსმენა და გაგება ძალზედ მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი ძველი ანდაზაც გვიდასტურებს რომ „გულწრფელი პასუხი ჭეშმარიტი მეგობრობის ნიშანია", - და, გაბრიელმა დეას მიმართა. - შენ რას გვეტყვი?

დეა, ფეხზე წამოდგა, მაგრამ მამაკაცებმა დაჯდომა სთხოვეს: - იბერიელების სუფრაზე მანდილოსნები ფეხზე არ დგებიან. - დეა დაჯდა და სადღეგრძელო წარმოთქვა:

- მეგობარი არის ის, ვინც მობრუნდება შენსკენ როცა სხვები ზურგს შეგაქცევენ. - და, დედისკენ მიბრუნდა. - დედა შენც გვითხარი:

მაიამ, ჭიქა აიღო, ჯერ ღვინო მოსვა და სადღეგრძელო შემდეგ წარმოსთქვა:

- ძალიან ძნელია ნამდვილი მეგობრის პოვნა, კიდევ უფრო ძნელი მისი დაკარგვა, ხოლო შეუძლებელია მისი დავი-წყება! და თუ შესძლებ და იპოვნი ასეთ ადამიანს, ეს იგივეა რაც უძვირფასესი განძი გეპოვნოს.

ერთ სადღეგრძელოს მეორე მოჰყვა და სუფრა მხიარულ მოედნად გადაიქცა. მეგობრებს უხაროდათ ერთმანეთი და

დავიწყებას მიეცა ყველა ტკივილი. ტკივილი, კი კედელზე აკრულიყო და უკვე გაჭაღარავებულ გაბრიელს უცქერდა, უცქერდა გაოცებით, რომ ამ კაცმა მრავალი ტკივილისა და ტანჯვის მიუხედავად შესძლო ბოლომდე ლელოს გატანა.

გაბრიელმა იგრძნო ტკივილის მზერა, ცალი თვალით გახედა და თვალი ჩაუკრა და ისე ვითომ სხვათაშორის წარმოთქვა:

- ყოველმა ადამიანმა უნდა ატაროს თავისი წილი ტკივილი, როგორც ქრისტემ იტვირთა, და გაიაროს გზა „ჯვარცმიდან აღდგომამდე“, სხვაგვარად ადამიანი ღვთის ხატი და მსგავსი მისი ვერ იქნება, ვერც ღვთაებრივ მადლს, მშვენიერებასა და სიკეთეს მოიპოვებს. და, თუ ოდესმე ჰქონდა - დაკარგავს.

ელისომ სურათიდან გადმოხედა თავის ძველ მეგობარს და ის ლექსი გაახსენდა, რომელიც გაბრიელმა, ივანეს დაღუპვის დღეს დაწერა:

რომელმა იცით თუ როგორ მტკივა?
როცა აბიჯებთ ვარდების კონას,
ვინ იცის? მუხლებზე დგომა
თუ როგორ მაგიჟებს.
თვენგანმა რომელმა იცის, მე როგორ ვკვდები?
როცა გულიდან სიყვარულს მაცლით
ან ჩემს ნააზრევს
ხელიდან მართმევთ.

ვინ იცის მე, როგორ მცივა?
როცა ზედ მათოვს,
ან მიწიერი ცხოვრების ყოფა
თუ როგორ მახრჩობს.
იცით?
    არ იცით!
და, არც გჭირდებათ თქვენ ამის ცოდნა,
რადგან ტკივილი თქვენთვის უცხოა,
                ჩემთვის კი, არის სამყაროს წვდომა.

ვინც სიყვარულს გასცემს სულის საცხონებლად, ჰგავს ადამიანს, რომელიც შორეული მოგზაურობისთვის ემზადება, როგორც ქრისტემ გაწირა თავი კაცობრიობისათვის. ეს კი იმდენად დიდი მოწყალებაა, რომ სახელს იცვლის და მას ერთგულება ჰქვია.

ჩვენ ქრისტეს ტკივილი მივაყენეთ, ეს არის დიდი ცოდვა.

სოფელი ღვთაება - თარბუდა

ცდილობ ლოგიკური ახსნა მოუძებნო
ყოველ ფაქტს, მაგრამ, ალბათ
დამეთანხმებით, რომ ლოგიკური
განმარტების პოვნა ყოველთვის არ ხერხდება.

კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

- მამა! ვიღაც აკაკუნებს. - მიმართა ამირანს უფროსმა ვაჟმა, ცოტნემ.

- გაუღე მერე. სავლეს შვილიშვილები იქნებიან: დაჩი და ანდრია. სხვა ასე ადრიანად არავინ მოვიდოდა. - და, ამირანმა ეფუთის წიგნის კითხვა განაგრძო.

ცოტნე, რომელიც საუზმობდა თავის უმცროს ძმასთან აკაკისთან ერთად, ზანტად წამოდგა და კარისკენ გაემართა. ურდული გადაატრიალა და კარი ფართოდ გააღო. ზღურბლზე ორი უცნობი მამაკაცი იდგა.

- მამა, სტუმრები გვყავს, - დაუძახა ცოტნემ ამირანს, თან თვალი შეავლო წიგნს, რომელიც ერთ-ერთს ხელში ეჭირა. წარწერის ამოკითხვაც კი შესძლო: „ცოცხალი წიგნი - ერის ფუნქცია“ და მიხვდა: - მამა, მესამე განზომილებიდან არიან.

ამის გაგონებაზე ამირანი სწრაფად წამოდგა და სტუმრებისკენ გაეშურა.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. კარგია, ახლა სამივე განზომილების წარმომადგენლები ერთად ვიქნებით. - სიხარულით მიეგება ამირანი სტუმრებს და მეუღლეს გასძახა: - ნინო სტუმრები გვყავს! - გვერდით ოთახიდან ნინო გამოვიდა, - დედა სადაა? - იკითხა ამირანმა.

- ახლავე დავუძახებ. - უპასუხა ნინომ და ისევ იმ ოთახში შებრუნდა საიდანაც გამოვიდა. ცოტახანში ნინოსთან ერთად თამარიც გამოჩნდა.

- ესენი... - და, ამირანმა სტუმრებს გახედა.

- ჩვენ გაბრიელი და ბიძინა ვართ. ცოცხალი წიგნი მოვიტანეთ. - გაეცნო და ბიძინაც გააცნო, მასპინძლებს გაბრიელმა.

- დიდება თქვენს მობრძანებას! როგორც იქნა... ტიმოთეს, დაჩის და ანდრიას უნდა გავაგებინოთ. დღეს ყველანი შევიკრიბებით და სამივე წიგნი დაიდება მაგიდაზე; სავლეს „განსჯის წიგნი“, თქვენი „ცოცხალი წიგნი“, და აქ გვაქვს წიგნი „ეფუთი“. ამ საღამოს საკრალური დღე გვექნება. იცოდეთ! იბერიული ყოფა საკრალურ შემეცნებით ყოფაზეა აგებული. დიახ, ჩვენ შეგვიძლია ჭირის და ლხინის დროს ვიმღეროთ, მაგრამ, სალოცავში ვგალობთ. მართალია ორივე გულისა და გონების ჰანგია, მაგრამ ეკლესიაში „გალობაა“, სხვაგან კი „სიმღერა“. აი, კიდევ: ჩვენ ვხმარობთ საერო წიგნისთვის „მხედრულს“, საღვრთო წერილისთვის კი „ხუცურს“, რათა ზღვარი იყოს გავლებული საეროსა და საღვრთოს შორის; მაგრამ, არა იმიტომ, რომ ერთ-ერთის საკრალურობა დაკნინდეს, არამედ იმიტომ, რომ მეორესი ამაღლდეს. ჩვენ ღმერთს მივმართავთ: „უფალო“; მაგრამ, „უფლება“ იბერიაში „ბატონისაგან“ კი არ მოდის, არამედ „უფლისაგან“; მაშასადამე, უფლება საკრალური ბუნებისაა და ამას იბერიული თქმულებაც ადასტურებს.

თამარმა სტუმრები მოწიწებით მაგიდასთან მიიპატიჟა, სკამზე ჩამოსხდომა სთხოვა და როცა სტუმრები დასხდნენ, განაგრძო თხრობა:

- „ერთხელ იბერიის მეფეები კაცხის კირქვიან სვეტზე ავიდნენ ღმერთან, რომ ახლოს ყოფილიყვნენ, და დაიწყეს ლოცვა, ღმერთმა მათ ოქროს სხივები დააყარა; მეფეები ცდილობდნენ სხივი ანუ ღმერთის მადლი დაეჭირათ, და თავზე დაედოთ, რათა თავიანთი ხალხის მართვის უფლება ჰქონოდათ“. სხვა თქმულებაც არსებობს: - „თამარ მეფეს, დვალის მთაზე ტაძარი აეგო და იქ ხშირად დადიოდა სალოცავად; ერთ-ერთი ლოცვის დროს ციდან გრაალის თასიდან ამოვარდნილი ძვირფასი ქვა თავად დაეშვა თამარის თავზე, თამარ მეფემ გაიხარა, თან წაიღო ქვა, და სკივრში შეინახა. ერთხელაც, როცა თამარი შინ არ იყო, მოპარვის მიზნით, უცხო ტომის მსახური გოგო მიეპარა სკივრს, ახადა სახურავი, ვარსკვლავი, ანუ ის ქვა ამოფრინდა და გაფრინდა ცისკენ“. ამის შემდეგ იბერთა ბედი უკუღმა დატრიალდა. რამეთუ, საკრალური ძალა დაკარგა, თუმცა მისი ნიშნები, სახელდობრ იბერიულ ტრადიციებში, მაიც შემორჩა. არც ერთი სხვა ერის ტრადიციაში საკრალურის წყობა ისე მკაფიოდ არ ჩანს, როგორც ეს არის გამოკვეთილი იბერიულ სახელდებაში, მაგალითად, სიტყვა „ხელმწიფე“, ამ სიტყვის შემადგენელი სიტყვა „მწიფე“ აღნიშნავს დასრულებულს, ანუ სრულს, ანუ იბერიაში „ხელმწიფედ“ მოიხსენიებენ ღმერთის მიერ ხელდებულ მეფეს. დღეს ჩვენ სამი საკრალური წიგნი გვაქვს და ჩვენი შეხვედრაც საკრალური იქნება. - თამარმა დაასრულა საუბარი.

ამასობაში ნინომ სტუმრებისათვის მაგიდა გაშალა.

თამარმა სტუმრები სასაუზმოდ მიიპატიჟა და შემდეგ მოსასვენებელ ოთახში გაიყვანა.

საღამოს, დაახლოებით შვიდი საათისთვის მაგიდას მისხდომოდნენ ერთი სამყაროს სამი განზომილების შვილები და მათი ფიქრი დამძიმებული იყო იმით თუ როგორ დახმარებოდნენ იბერიას.

საუბარი თამარმა დაიწყო:

- როგორც იცით, რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ ანალიზსს, სწორედ ისტორიული ანალიზისას ადამიანი ისტორიულ ფაქტებს აწყმყოს სტატუს ანიჭებს. მაგრამ, თავად აწმყოს სტატუსი თავის-თავად არ არსებობს, ის წამოჭრილი პრობლემიდან მომდინარეობს და გარკვეულწილად მოვლენათა უსასრულობიდან იზოლირებულია და, ამასთან, აწმყოს მარწუხებშია მოქცეული, და ამდენად ჩვენი შეფასება მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული.

- ვეთანხმები ქალბატონ თამარს, და გარდა ამისა მინდა აღვნიშნო, რომ ისტორიულ და აწმყოში მომხდარ მოვლენებს შორის ხშირად არსებობს ინფორმაციის ასიმეტრია. ეს განპირობებულია იმით, რომ როგორც წესი, ადამიანი, უფრო სწორედ ცალკეული ინდივიდი, თავისთავიდან გამომდინარე ხსნის რაიმე მოვლენებთან დაკავშირებულ ინფორმაციას; ამდენად ეკლესიამ უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ინფორმაციის სწორად განსაზღვრაში და, შემდგომში, მის მიმართ ნდობის დამკვიდრებაში, - გააგრძელა გაბრიელმა

თამარის მოსაზრება. - და, დავამატებდი, რომ მომავლის ინტერესების გათვალისწინება დღევანდელ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანია, რამეთუ იბერიას მარტოს საგარეო საფრთხესთან გამკლავება გაუჭირდება. ასვე გაუჭირდება თუ არ იქნა გათვალისწინებული რეგიონში, ანუ მეზობელი სახელმწიფოების სამხედრო ძალების შესაძლებლობანი, აგრეთვე იბერიისადმი განწყობის პრინციპი, საფრთხის გეოგრაფიული სიახლოვე და უფრო ძლიერ ქვეყანასთან დაახლოების, ანუ, მიტმასნების ფაქტორები და შესაძლებლობები. თქვენ რას იტყვით? - კითხვით მიმართა გაბრიელმა იქ მყოფთ.

- მე, მინდა შევეხო, ეკლესიის როლს ქვეყნის უსაფრთხოებაში, - ჩაერთო საუბარში ტიმოთე. - ჩემი მოსაზრებით ასეთ რთულ ვითარებაში, როგორშიც ამჟამად იბერიაა, ქრისტიანობის უარყოფა, რაც საფუძველია იეღოვური და სხვა სექსტანტური მიმდინარეობის დაფუძნების ადამიანის ცნობიერებაში, დაანგრევს ადამიანის ფსიქიკას, გააუცხოვებს ადამიანის ცნობიერებას ეროვნული ცნობიერებისაგან. როგორც იცით, ეროვნულ წეს-ჩვეულებებს ეფუძვნება ნიშნობა, ტრადიციული ქორწილი, ბავშვის ნათლობა, დაკრძალვის წესი, მიცვალებულის ხსოვნის პატივისცემა, შობა, აღდგომა, რაც არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ ჩვევითი-საოჯახო ყოფის ელემენტებია; ქრისტეს ღვთაებრიობის უარყოფით, ყოველივე ამ ტრადიციულ წეს-ჩვეულებას საფუძველი ეცლება და ერში ნიველირდება ქაოსი.

სხვათაშორის კომუნისტური იდეოლოგიაც მძაფრად ებრძოდა ეროვნულ წეს-ჩვეულებებს და „მავნე ტრადიციებს“ უწოდებდა მას. ახლა უკვე იმავეს სჩადის ახალი რელიგიური სექტები. ეროვნული კულტურისა და ტრადიციების მიმართ გაუცხოვებული ადამიანი ნიჰილისტურად განეწყობა ყოველივე ეროვნულის მიმართ, ეს კი ძალზედ სახიფათოა არა მარტო იბერიული სახელმწიფოსთვის, არამედ ყველა სახელმწიფოსათვის, ვინც ტრადიციული სარწმუნოების მატარებელია. აი, მაგალითად: იეღოველები ჰგმობენ ეროვნულობას, სახელმწიფოებრიობას, ამიტომაც არ სურთ სახელმწიფოს დაცვა, ჯარში არ მიდიან, ასევე გაურბიან ეროვნულობის ინდიფიკაციას; მათ ახასიათებთ უკიდურესი ექსტრემიზმი, გაუაზრებელი ფანატიზმი. ასეთი სახეობის ფანატიზმის შედეგად საზოგადოება ხდება არამდგრადი. ამიტომ ჩვენს ეკლესიას მნიშვნელოვანი ამოცანა უდგას წინ, სწორედ ამიტომ წამოვჭერი ეს საკითხი, და სწორედ ამიტომ გამიჩნდა კითხვა: შეუძლია თუ არა ეკლესიას უფრო აქტიური როლი შეასრულოს ეროვნულ საქმეში? იბერიელი მართლმადიდებელი, მუსულმანური და ებრაული სარწმუნეობა, ათეისტური რეჟიმის დროს განსაკუთრებით იდევნებოდა, ის მივიდა თითქმის გაქრობის პირამდე მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში. არსად, მთელ საბჭოთა კავშირში, ტრადიციულ სარწმუნეობას ისე არ სდევნიდნენ, როგორც იბერიაში. უფრო ადრე, მეცხრამეტე საუკუნეში იბერიაში ტრადიციულ ეროვნულ წესზე აგებულ ქრისტიანულ, ებრაულ და

მუსლიმურ სარწმუნეობას ებრძოდა მეფის რუსეთის იმპერიული ძალა. მათ შეძლეს იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, მაშინ ჩვენმა ეკლესიამ დაჰკარგა საეკლესიო თავისთავადობა; ამასთანავე, რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ მიისაკუთრა იბერიის ეკლესიის მრავალასეულ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ქონება. ორასი წლის მანძილზე იბერიული ეკლესიის ნგრევის შემდეგ, ათეისტური რეჟიმიდან განთავისუფლებული იბერიის ეკლესია, ცხადია, ეკონომიკურად უკიდურესად არის დასუსტებული. ამის გამოც უცხოეთის დიდი ეკლესიები და სხვადასხვა საზოგადოებების მიერ დაფინანსებული სექტები ბედავენ და ცდილობენ ჩაენაცვლონ იბერიულ ეკლესიას, მათ სურთ ის ადგილი დაიჭირონ საზოგადოებაში, რაც ტრადიციული იყო ათასწლეულთა მანძილზე იბერიული ეკლესიისთვის. ამათგან ზოგიერთი სარწმუნეობრივი მიმდინარეობა თავის თავს "ჭეშმარიტ მართლმადიდებლებად" მიიჩნევს და უცხოეთიდან არიან დაფინანსებულნი. მსგავსი და სხვა უცხოეთიდან დაფინანსებული ჯგუფები იბერიაში ყალიბდებიან ეკლესიებად. ამდენად, მე ვფიქრობ, რომ ამგვარი უმსგავსოება ეკლესიის დახმარებით უნდა აღიკვეთოს, თუ უნდა ეკლესიას ერის სამსახურში ჩადგეს; დიახ! უნდა განვამტკიცოთ ჩვენი რწმენა და გავჰყვეთ წინაპართა გზას, იმ ორიენტირს, რომელიც გაგვიკაფა წმიდა ნინომ, მეფე მირიანმა, ვახტანგ გორგასალმა და ისტორიულმა გამოცდილებამ. ასევე, უნდა ითქვას, რომ ევროპა არაა ჩვენთვის უცხო, უფრო

მეტიც, ჩვენ საუკუნეთა მნძილზე ვიცავდით დასავლური ცივილიზაციის უშიშროებასა და უსაფრთხოებას. და, საუბარი ძალიან, რომ არ გამიგრძელდეს პირდაპირ ვიტყვი: მიმაჩნია, რომ ეკლესიამ უნდა აღიმაღლოს ხმა და თუ საჭირო იქნება, იარაღიც აისხას, იბერიის გადასარჩენად. რას ფიქრობ ამირან? - და, გაბრიელი ამირანის პასუხის მოლოდინში სკამზე წამოიმართა.

- იცით თქვენ; მე, ამ განზომილებაში დავამარცხე ურიცხვი მტერი. მაგრამ, ის ჯერ კიდევ არსებობს თქვენს განზომილებებში. ამასთან, ისეთი დრო დადგა, რომ ჩვენ მოგვიწევს ომი არსებულ უმგვანო ცივილიზაციებს შორის და, ამდენად, ვეთანხმები გაბრიელს, ეკლესიის მნიშვნელობის ამაღლებაში. ამასთან, ვფიქრობ რომ, მომავალ ცივილიზაციათა შორის ომს ექნება ადათობრივი ნიშანი, ამიტომ უნდა გაერთიანდეს მთელი კავკასია მისი სარწმუნეობრივი მიმდინარეობის განსხვავებულობის მიუხედავად. თქვენ, რას ფიქრობთ ახალგაზრდებო? - და, ამირანმა თავის შვილებსა და სავლეს შვილიშვილებს გადახედა.

- სჯობს არ დავაყოვნოთ და ომი დავიწყოთ. ამით, ჩვენ საშუალება მოგვეცემა ყურადღების ცენტრში მოვექცეთ და, ამასთან, მოვახდენთ იმ შეიარაღებულ ძალების კოცენტრაციას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მსოფლიო კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას. - თანატოლებს აზრის გამოთქმა დაასწრო ამირანის უფროსმა ვაჟმა ცოტნემ.

- ვეთანხმები ცოტნეს. გაიხსენეთ უახლესი ისტორია: 9 აპრილი, აფხაზეთისა და ცხინვალის ომი, მცოცავი ოკუპაცია. - დაეთანხმა, სავლეს უფროსი შვილიშვილი დაჩი, და განაგრძო: - დამეთანხმებით ალბათ, რომ ომის დაწყების ბუნება თითქმის არ შეცვლილა და ხალხი, დღეს, იმავე ფუნდამენტურ მიზეზდთა გამო ომობს, რომლებიც მრავალი საუკუნეების წინ საბერძნეთში მაცხოვრებელმა იბერიელმა ფაზისმინმა განსაზღვრა და ეს არის: შიში, როგორც საფუძველი რაღაცის დაკარგვის, ღირსების დაცვის და ახლის ინტერესი, მართალია დღეს, გარკვეულწილად, შეიცვალა მიზეზთა საფუძველი და ომის წარმოების მეთოდებიც, მაგალითად, ომმა მიიღო კონფლიქტის ფორმა, რომელსაც მე „მეტასტაზურ ომს“ ვუწოდებდი, და, რომელიც მოიცავს მოწინააღმდეგე სახელმწიფოში კრიმინალური გარემოს შექმნას, საგანმანათლებლო სისტემის დაკნინებას, საზოგადოებაში უიმედობის დანერგვას, კორუფციის ზრდას, და მართალია, ამ შემთხვევაში სამხედრო ძალა უკანა პლანზე გადადის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ომის ეს მეთოდი, ბევრ შემთხვევაში, სამხედრო საშუალებებზე უფრო ეფექტიანიც კი არის, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა სივრცეში „არალოიალური“ მეზობლების დასამორჩილებლად და უსაფრთხოების მთავარი ალიანსის, ნატოს, „ქაღალდის ვეფხვად“ გადასაქცევად. ამდენად, ვეთანხმები ცოტნეს, რამეთუ ჩვენ ვერ შევძლებთ „მეტასტაზურ ომს“ რაიმე დავუპირისპიროთ.

- პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევაში არასამხედრო საშუალებების როლი გაიზარდა და თავისი ეფექტურობით ამ საშუალებებმა, ბევრ შემთხვევაში, იარაღის ძალასაც კი გადააჭარბა. ეს არის ის ძირეული ცვლილება, რომელსაც თანამედროვე ომის ტრანსფორმირებად ხასიათში ვხედავთ. რუსეთის თანამედროვე სტრატეგია ემყარება მოსაზრებას, რომლის თანახმად მოწინააღმდეგის სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შერყევა ყველაზე კარგად არასამხედრო საშუალებებით მიიღწევა. ამდენად, მეც ვეთანხმები ცოტნეს და დაჩის პოზიციას, რამეთუ აშკარა სამხედრო დაპირისპირება გააშიშვლებს რუსეთის განზრახვას და ვადასტურებ, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ „მეტასტაზურ ომს“ რაიმე დავუპირისპიროთ. - მხარი აუბა უფროს ძმას ანდრიამ, და აკაკის გახედა.

- რუსეთის მიერ არასამხედრო საშუალებების იარაღად ქცევა, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის „ახალი ფორმა“, ძირეულად ცვლის იბერიის დამოუკიდებლობის უსაფრთხოების გარემოს და უამრავ კითხვას ჰბადებს არა მხოლოდ იმ საფრთხეების შედეგებზე, რომელთა წინაშეც ვდგავართ, არამედ მისგან თავის დაღწევის შესაძლებლობებზეც. ამდენად, მეც ვეთანხმები ცოტნეს. - და, აკაკი სხვებივით დადუმდა.

- კარგით, გასაგებია ახალი თაობა ომის დაწყების მომხრეა და, მართალი გითხრათ, მეც ამ აზრზე ვარ. მაგრამ, მოდით

ნინოსაც მოვუსმინოთ რას იტყვის. - და, ამირანმა მეუღლეს გახედა.

- რა გითხრათ? არ ვიცი... აი, დავითი ჩვენთან ერთად, რომ ყოფილიყო... ჰოო... - ორჭოფობა დაეტყო ნინოს; მაგრამ, უეცრად თითქოს რაღაც გაახსენდა სახე გაუნათდა, და ოდნავ აგზნებულმა ხმამაღლა წარმოსთქვა: - მოდით ერთდროულად გადავშალოთ სამივე წიგნი და რაც შიგ ეწერება ის იყოს ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველი. - ასეც მოიქცნენ.

გადაშლილი წიგნის თვითეული გვერდიდან სხივმა გამოანათა, ერთად შეიკრა კონად და ბინის აღმოსავლეთ კედელზე, ვითარცა საწერკალამმა, გაერთიანებულმა სხივმა წერა დაიწყო:

- ქვეყნის და, შესაბამისად, ერის საქმეები ყველაზე მნიშვნელოვანია და ის უნდა გადაწყდეს რაც შეიძლება რაციონალური მეთოდებით, მხოლოდ უვიცი და ლაჩარი ადამიანებია, რომლებიც სახელმწიფო საქმეებისადმი ავლენენ დაუდევრობას; ერის მედროშეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ სახელმწიფოს ჰქონოდეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მართვის ძლიერი ბერკეტები, ძალიან მნიშვნელოვანია კარგი და მობილური სამხედრო შენართის ყოლა, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი დაეთმობა საჰაერო შეარაღებას. სამხედრო ძლიერება მთავარია, ქვეყანას რომ არ დასჭირდეს უცხო და გარეშე ძალების დახმარება და, რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობო-

დეს. მაგრამ, თუ უძლურებაში ჩავარდა ერი, ერის მედრო-შეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ სახელმწიფოში ჩამოყალიბდეს ძლიერი ცენტრალიზებული მართვა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა სამხედრო წვრთნას; ამ დროს ყურადღება არ უნდა მიექცეს გაჭირვების ისეთ ფორმებს, როგორიცაა ყოფითი სიდუხჭირე. იცოდეთ! თავდაცვით ბრძოლას ადამიანს თვით „ბუნება აიძულებს“. ამრიგად, ძალა, იძულებითი ღონისძიებები ეროვნული ინტერესების განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელი ინსტრუმენტია. გახსოვდეთ! ვიდრე წითელი და ყვითელი ვირთხები ჩვენს მეზობლად სახლობენ ყოველთვის იარსებებს საფრთხე! საფრთხე, რომელიც მოსახლეობის სიცოცხლეს და განვითარებას დაემუქრება; საფრთხე, რომელიც ადამიანის პირად თავისუფლებას და მის ღირსებას დაემუქრება; საფრთხე, რომელიც იბერიელების მორალს ემუქრება, რადგან - ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ვეღარ აღორძინდება, ანუ დამარცხებისა და მტრისადმი დამორჩი-ლების შემთხვევაში, ერს დამოუკიდებლობისადმი სწრაფვის, მისთვის ბრძოლის უნარის დაკარგვის საფრთხეა. ამდენად, უნდა მოემზადოთ ომისათვის! მაგრამ, წინ დიდი მოსამზა-დებელი სამუშაოების განხორციელება გელით.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინ ფეხზე წამოდგა ანდრია და ბაბუას ლექსი წარმოთქვა:

მობუბუნებდა სამხრეთიდან იბერთა გენი,

სულით მოჰქონდა ლეგენდები შუამდინარეთის,
მოჰქონდა მზეს მოღვენთილი ეფუთის წესი
და კანონები დაწერილი მაღალი ღმერთის.
    მართალი სიტყვით აამაღლა გოლგოთა ცამდე,
    გადაიშალა გაფოთლილი მზის ვენახივით,
    მეფედ შემოჯდა გენეოლოგიის ბიბლიურ ხეზე,
    ამაღლდა ზიარებით და ზეთის შვიდგზის ცხებით.
მობუბუნებდა, მოდიოდა იბერთა გენი,
გენი ადამის, ევას და შეთის,
კეთილი ხის, კეთილი ფესვი,
გენი შემქმნელი უკვდავი ერის.
    ერი მბრალდებელი -
        ბოროტის მსაჯული,
    მიწასთან შეზრდილი -
უმანკო მსხვერპლი,
        ცდუნებებთან მებრძოლი -
            ხშირად ტანჯული,
ღმერთისგან რჩეული -
        მარადისობის ცეცხლი.
მობუბუნებდა და მოჰქონდა ხარაჩოები,
მხრებზე აზიდული ალავერდი, სვეტიცხოველი...
მოიმღეროდა სიმღერას -
შენ ხარ ვენახი,
            შენ ხარ გუთანი,
ბურჯი ხვალინდელ საქართველოსი!

და, მოდიოდა ღმერთის მორჩილი,
და ივლის მარად ერი დიადი,
ერი რჩეული,
გაუტეხელი -
ქრისტიანობის გადამრჩენელი!

ამინ! - ერთხმად წარმოთსქვეს და გადაწყდა:

ისევ აღიმართა იბერთა დროშები ბრძოლის ველზე, მათ გვრდით იყვნენ მუსულმანები, იუდეველები, ბუდისტები და ყველა კეთილი სულის ადამიანი. ბრძოლის ველის მეორე მხარეს იდგნენ უგვანონი ბუნებით და სარწმუნოებით, თუმცა მათაც აღემართად დროშები. ისინიც, მსგავსად კეთილი სულისა, ლოცულობდნენ და ევედრებოდნენ ღმერთს გამარჯვებას.

და, ღმერთმა გადმოხედა ბრძოლის ველს და სთქვა:

- ძალიან ცუდია, როცა ადამიანი თავის სახეს ჰკარგავს, და ეს პირველად მაშინ მოხდა როცა, ჩემმა შვილებმა, ადამმა და ევამ არ შეასრულეს ჩემი დანაბარები, ადამიანის სისასტიკემ გამაოცა მაშინაც, როცა კაენმა მოჰკლა თავისი ძმა - აბელი, მათმა გაუფრთხილებლობამ გამაკვირვა მაშინ როცა შეთის და კაენის შთამომავლები ერთმანეთთან ქორწინებით დაახლოვ-დნენ, ადამიანების უგუნურობამ შემზარა მაშინაც, როცა ქრისტე ჯვარზე გააკრეს; და, ახლა თუ არ დავეხმარე კეთი-ლს, კიდევ რაღაც საშინელებას ჩაიდენენ.

და, ღმერთმა კეთილს მისცა ძალა გამარჯვებისა. დაეცა ინჩ-რუს-უზუმეს იმპერია, და კეთილი საქმისადმი თავდადებულებს, ღმერთმა გარდაცვალების უფლება მისცა.

სარჩევიდან ამოღებული სარჩევი

მხოლოდ არწივი იპყრობს ცას იდუმალებით,
ხოლო ჭილყვავები ჩხავილით.

და, ღმერთმა კეთილს მისცა ძალა გამარჯვებისა, დაეცა ინჩ-რუს-უზუმეს იმპერია, და კეთილი საქმისადმი თავდადებულებს, ღმერთმა გარდაცვალების უფლება მისცა.

და, ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ, ბრძოლაში გარდაცვლილი, საკრალური შეხვედრის სამი გმირი და იმაზე მსჯელობდნენ თუ რა დიდებული გრძნობაა, გამარჯვება.

- ჩვენი პირველი გამარჯვება იყო როცა შეთიმ დაჰგმო კაენის საქციელი, მეორე - როცა ქრისტემ უდაბნოში დაამარცხა ეშმაკის ცდუნება, მესამე ის იყო როცა აბო თბილელმა ქრისტე აღიარა. აი, ეს სამი გამარჯვება ყველაზე დიდია, სხვა გამარჯვებები კი აქედან მომდინარეობდა. - და, ამირანმა გადახედა გაბრიელსა და ივანეს.

- 9 აპრილი, იბერიის ხელმეორედ დამოუკიდებლობის მიღების პირველი გამარჯვება იყო. - ეს, უშუალოდ ჩვენი

გამარჯვებაა და ამჟამად გაბრიელმა თავის მეგობრებს გადახედა.

- აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ჩვენს მიერ შეწყალებული ყოველი ადამიანი ჩვენი გამარჯვებაა და სწორედ ამან მიგვიყვანა ჩვენს საბოლოო გამარჯვებამდე, - ივანემ მძიმედ ამოიოხრა და დაამატა: - სწორედ ჩვენში არსებულმა სიკეთემ მოგვიპოვა სასუფეველი და გამარჯვება.

და, დაიწყო აზრმა აზროვნება და განსაზღვრებებმა განსაზღვრა რათა ყველას შეეცნო თავისი თავი და თქვენც იპოვნეთ მკითხველო თქვენი მომავლის ადგილი:

კვდომის უკდავება, არ არის სულის უკვდავების განსაზღვრა:

ყველა ადამიანს, გარდა სულიერი უკდავებისა, გარდაქმნის უკდავების თვისება გააჩნია, რომლის საშუალებითაც ცოცხალი არსება აღწევს გარკვეული იდენტობის შენარჩუნებას მიწიერი სიცოცხლის დაკარგვის პროცესში. ცოცხალი არსება წარმოშობს თავისი სხეულის შთანთქმული ნაწილების სანაცვლოს, ის განუწყვეტლივ ახლდება და სწორედაც აქტი საკუთარი თავის რეპროდუქციისა არის ის, რასაც ჩვენ ცხოვრებას სიცოცხლეს ვუწოდებთ. ადამიანის ეგ ძალისხმევა, შეინარჩუნოს სამყაროში თავისი სუბსტანცია, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ საკუთარი თავის მარადიულობა უზრუნველსაყოს, რადგან როგორც ბიოლოგიური ინდივიდი, იგი ბრძოლას წაგებით დაასრულებს სამყაროს არამატერიალურ კანონებთან. მაგრამ, როგორც ბიოლოგიური სუბსტან-

ცია, მას შეუძლია წარმოშვას თავისი შემცვლელები, რომლებიც მომავალში შეინარჩუნებენ მის მსგავს ფორმას და მომავალში, მის მსგავსად გაუჩინარდეს და, ამასთან, შეჰქმნის მის მსგავსს. მაგრამ, იმისათვის, რომ ეს უნარი ეფექტურად პროდუქტიული გახდეს და ეს პროცესი შეინარჩუნოს, საჭიროა, სხვა არსებების მხრიდან სტიმულის მიღება; ანუ, ვისაც სურს გახდეს ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა მოვიდეს ჰარმონიაში სხვა არსებებთან. მაგრამ, რაც შეეხემა სულიერ უკდავებას, ის მიიღწევა იმ განზომილებათა სისტემაში მოქცევით, რასაც სიკეთეს ვუწოდებთ. სული, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ინარჩუნებს ფიქრისა და არჩევანის უნარს. ეს ორი თვისება სულს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს. ამ ორი თვისების დახმარებით სამყაროში სული ეძებს კეთილს და ნებას იქით მიმართავს, რომ მარადიულად მას ესწრაფვოდეს ანუ ღმერთის შემეცნებისკენაა მიმართული.

სული, როგორც თვითმოძრავი, უსხეულო და თავისუფალი ინდივიდუალური სუბსტანცია, მიესწრაფვის რა ღმერთის შემეცნებისკენ, ერთიანობასა და სრულყოფილებას ღმერთში აღწევს. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის სულს ღმერთის ხილვა სურს, იმის თქმის საშუალებას იძლეა, რომ იგი ღმერთის ხატი და მისი მსგავსია. პირველი შეხვედრა ადამიანური სულისა ღმერთთან ხორციელდება ფიქრის გზით, ეს არის ის უნარი, რომელიც ხუთი შეგრძნების სახეს აერთიანებს და მათი არჩევითობის უნარს იყენებს. ამ დროს

აზროვნებას არჩევანი მიჰყავს ბოლომდე ანუ ჭეშმარიტებისაკენ.

გარდაცვალება ანუ სიცოცხლის დასაწყისი:

ერს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს და, ასევე, მის შემადგენელ თითოეულ ინდივიდს - ადამიანს, შექმნის დღიდან ხშირად უჩნდება კითხვა და სტანჯავს ამოხსნა იმისა თუ რა არის სიცოცხლე და რა ზღვარია სიკვდილსა და გარდაცვალებას შორის; რადგან, როგორც წესი, ასეთ შეკითხვას ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ გააჩნია, სიცოცხლესთან პაექრობაში დაღლილი და დაბერებული ადამიანი, ხვდება, რომ ფუჭია სოცოცხლის არსის განსაზღვრა ან დაგვიანებულია და იწყებს იმაზე ფიქრს, თუ, რა ზღვარია სიკვდილსა და გარდაცვალებას შორის. მაგრამ, ქუჩის ბოლოში გასულს, აღარ ძალუძს და ეშინია უკან მოხედვის. რამეთუ, ხვდება, რომ გარდაცვალება არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, ის სავსეა იდუმალებით, იმ იდუმალებით, რომელსაც ცხოვრების მანძილზე სიცოცხლესთან ბრძოლის დროს იძენს.

ყოველი ადამიანი, რომელმაც ღირსეულად განვლო ცხოვრება, გარდაცვლილად უნდა მივიჩნიოთ რომლის სული ნათელში იდებს ბინას. ასეთი ადამიანები, საკუთარი მაგალითით, დაგვაფიქრებენ სიცოცხლის არსსზე. ღმერთი და სულის მარადიულობა რეალობაა, მაგრამ ის რთულადაა გასაცნობიერებელი ეს მიუხედავად იმისა, რომ ხელისგულზე გიდევს ჭეშმარიტება, თუმცა თვალზე ლიბრგადაკრულივით ვერ ვხედავთ, სანამ, ამ ლიბრს არ ჩამოვიშორებთ, მისი

ჩამოშორება კი მხოლოდ გონების თვალს ძალუძს და ღრმა ფიქრიან მხედველობას. გარდაცვალება სიცოცხლის ნაწილია, დასასრულის საწყისი, მაგრამ აუცილებელი კომპონენტი იმისთვის, რომ სიცოცხლე სრულად შედგეს, და, რაც უფრო ღირსეულად გაივლი სიცოცხლის გზას, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გაქვს სულის განზომილებაში ახლებური არსებობის განგრძობისა. ყველაზე მართებულად მავალთ კი, განსაკუთრებული და უნიკალური შესაძლებლობა აქვთ, შესაძლებლობა იმისა, რომ ერთდროულად, იცხოვრონ ორ განზომილებაში: მიწიერ განზომილებაში კეთილი მოგონების ფორმით და სულიერ განზომილებაში როგორც სულის ციცინათელა.

დიახ, მხოლოდ ღირსეულ ადამიანს, ცოცხალსაც და გარდაცვლილსაც მეტი მოეკითხება, ხოლო მკვდარს კი არაფერი მოეკითხება, რადგან, შერცხვენილია, მკვდარია.

რწმენა:

რწმენა ადამიანს ეხმარება ბუნებაში მიმდინარე პროცესე-ბის სულიერი თვალით დანახვასა და მოვლენების ქაოსურ მდინარებაში ღვთაებრივი წესრიგის განჭვრეტაში. თუ ჭეშმარიტად მორწმუნე ხარ, დაინახავ, თუ რა დიდი როლი აქვს ერის ცხოვრებაში სარწმუნოებას. არ მეგულება ადამიანი მორწმუნე რომ არ იყოს, ზოგს ღმერთის სჯერა, ზოგს მეგობრის, ზოგს აბსტრაქტული რწმენა აქვს და სჯერა ხვალინდელი დღის. ასე, რომ რწმენა ყველა ადამიანშია და თუ ის რელიგიასთან არის დაკავშირებული, მაშინ მას

მორწმუნეს უწოდებენ და თუ ხვალინდელი დღის რწმენა აქვს, მას იმედიან ადამიანს უწოდებენ. რწმენა არის ღვთის მადლი და ნიჭი, ძალა, სიცოცხლე! მორწმუნეს ან იმედიან კაცს ამ ქვეყნად ნებისმიერი ტვირთი უმსუბუქდება, რადგანაც იცის, რისთვის უნდა ზიდოს იგი.

დიახ: ადამიანის რწმენა, რომელიც სამი განზომილებისაგან შედგება, არის ის ინსტანცია, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია წარსულის, აწმყოსი და მომავლის შემეცნება, ასევე ის არის საკუთარი „მეს“ და ამასთან სხვისი ზნეობრივი თვისებებისა და ზნეობრივი ქმედებების საფუძვლიანი განმსაზღვრელი. რწმენა არის ადამიანის ინტელექტუალური ცენტრის მთავარი კატეგორია, რომელმაც იცის რა არის სიკეთე და როგორ უნდა დააღწიოს თავი ბოროტებას. ამიტომაც შეუძლია მას, გრძნობადი სამყაროდან გამოსასვლელი გზა იპოვოს და თავისი გონების მზერა ღმერთისკენ მიმართოს. სწორედაც ამიტომ ადამიანის სწრაფვა შემეცნებისა და ჭეშმარიტებისაკენ ანუ ღმერთისკენ, იქცევა მისი ცხოვრების არსად. ჭეშმარიტების წვდომა, მხოლოდ, სულიერებაში შეიძლება იყოს გაცოცხლებული, რომელიც გარდაცვალების შემდეგ ცილდება სხეულს ანუ მატერიას; ამდენად მას ლოგიკური მსჯელობით ან შედარებითი ანალიზით, ან ადამიანის მატერიალური მგძნობიარობითი ცოდნით ვერ მიაღწევ; თუნდაც ერთ კონკრეტულ შემთხვევაშიც მოცემული აზროვნებითი კატეგორიები სისწორით გამოირჩეოდეს. დიახ, ადამიანის მატერიალური მგძნობია-

რობითი ცოდნა, მხოლოდ და მხოლოდ, იმ საგნებით შემოისაზღვრავს თავს, რომლებიც უცვლელნი არიან გარკვეულ მომენტში და ამიტომაც ნათლად და ცალსახად არიან შეუცდომელი ცოდნის ობიექტები; სწორედაც ამიტომ, ადამიანის მატერიალური მგძნობიარობითმა ცოდნამ, შეიძლება დაუშვას ისეთი შემეცნება, რომელიც მართალია, ანუ არ არის აუცილებლებლობით მცდარი, მაგრამ პოტენციურად ნაკლული და შეცდომის მატარებელია თავის თავში.

და, ვზიდოთ! ყოველმა ჩვენთანგანმა სიკეთის გამარჯვების ტვირთი და გვქონდეს რწმენა იმისა, რომ სიკეთე ყოველთვის გაიმარჯვებს!

გაუმარჯოს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას!!!

Philosophy of a Fairy-Tale - 3
(Real fairy tales for story-tellers and story-tellers in politics)
Vazha (Vaja) Kakabadze

ვაჟა კაკაბაძე
Vazha Kakabadze

ზღაპრის ფილოსოფია - 3
(ნამდვილი ზღაპარი მეზღაპრეებისათვის
და მეზღაპრეები პოლიტიკაში)
▪
Philosophy of a Fairy-Tale - 3
(Real fairy tales for story-tellers and story-tellers in politics)
▪
אגדה פילוסופיות
▪
Filozofia Baśni – 3
(Prawdziwe baśnie dla gawędziarzy i opowiadacze bajek w polityce)
▪
Hağıl fəlsəfəsi (Bu, həqiqəti danışanların nağılıdır və bu nağıl danışanlarlar siyasətçilərdir)
▪
Туьран философи, - 3
(боккъал долу туьйра, туьйранхошна, туьранхой политикехь)
▪
მხატრული გაფორმების და ლექსების ავტორი: ვაჟა კაკაბაძე
ქაღალდის ზომა 60x80, 1/16; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 30;
ტირაჟი 500. სტამბაში შესულია 20017 წელს
ფასი სახელშეკრულებო

თბილისი, 2017 წელი